ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 18 ოქტომბერი 2013 | №21 (203)



მანანა ჩიტიშვილის ლირიკა
სად არის აქ საზოგადოება?!
მსახურება ღვთისა და ერისა
დიდი ჯიხაიშიდან წერაქვამდე
ოთარ ჩხეიძის შერისხული რომანი
მაკა კვერენჩხილაძის იტალიური დღიურები
ფიროსმანის ფერწერის თავისებურებანი
ბულგაკოვის წარწერები მანჟეტებზე
ინტერვიუ ნინო ხომასურიძესთან
ვანო ჩხიკვაძის მცირე პროზა
მარტოობის სევდის პოეზია

შინაარსი

თქმა მართლისა	2	**იოსებ ჭუმბურიძე სად არის აქ საზოგადოება?!** (დიალოგი გიორგი (კახა) კახაბრიშვილთან რეფრენითა და ინტერმედიებით)
საქართველოს გზებზე	4	**ივანე ამირხანაშვილი ორი ნარკვევი ერთ თემაზე** (ნიკო ნიკოლაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმები)
ექსპრეს-ინტერვიუ	8	**ნინო ხომასურიძე „ბედნიერებაა, როდესაც ცხოვრობ და გიხარია... “** (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	9	**ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა**
პოეზია	16	**მანანა ჩიტიშვილი ჩემი ლოცვა და სხვა ლექსები**
ევროპის გზებზე	19	**მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერი იტალიური დღიურები**
პოეტის ერთი ლექსი	23	**იოჰან ვოლფგანგ გოეთე ველზე ვარდი**
დაუვიწყარი სახელები	24	**გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრაჟები** (გერონტი ქიქოძე, აკაკი გაწერელია, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ჩხენკელი, ვახტანგ როდონაია)
საოჯახო ალბომიდან	29	**სოლომონ ბრეგაძე ნავთობის ნიშნები ტყიბულის რაიონში**
მარადი ხელოვნება	30	**გურამ ჯავახიშვილი ფერწერის ტექნიკის თვისებანი და ფიროსმანის შემოქმედების ატრიბუცია**
მოგონებათა სკივრი	33	**ეკა ბუჯიაშვილი ჩემი პატარა ქალაქი** (კარლო ფაჩულია)
კრიტიკა	38	**გია ხოფერია „მეჩეჩი“ მეჩეჩზე არ გარიყულა** (ოთარ ჩხეიძის შერისხული რომანი)
წერილი რედაქციას	41	**რეზო ესაძე შინაგანად ვიწერ პირჯვარს**
წუთები და წლები	42	**როსტომ ჩხეიძე მარტოობის სევდის პოეზია** (ვასილ კიკნაძის გამოთხოვება მოგონებებთან)
ლიტერატურული ცხოვრება	49	**ნინო დეკანოიძე მაჩაბლის 13 — პოეზიის მასპინძელი** (გივი ალხაზიშვილის ახალი პოეტური კრებულის განხილვა)
ახალი თარგმანები	50	**მიხაილ ბულგაკოვი წარწერები მანჟეტებზე**
ახალი წიგნები	64	**ელისო კალანდარიშვილი სანიმუშო — ამ ყაიდის გამოკვლევებში** (ლია კარიჭაშვილის მონოგრაფია „მსახურება ღვთისა და ერისა“)
სპორტი	67	**გივი გამრეკელი მატჩი მსოფლიო პირველობაზე 5 ნოემბერს: ანანდი — კარლსენი**
ნაკვესები	69	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	71	**შექსპირი ნიურნბერგის პროცესზე**

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 1 ნოემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: გიორგი (კახა) კახაბრიშვილი, ფოტო ჯონ ჰენშალისა
ლუსერნი (შვეიცარია), ფოტო სანდრო მაღრაძისა

იოსებ ჭუმბურიძე

სად არის აქ საზოგადოება?!

(დიალოგი რეფრენითა და ინტერმედიებით)

„ნაციონალური“ კურიოზი

დავიწყოთ ფაქტით, რომელიც „ნაციონალური“ ხელისუფლების პირობებში კურიოზად სულაც არ აღიქმებოდა: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კენჭს იყრიდა ამ დარგის ცნობილი პროფესიონალი. რა თქმა უნდა, არ აირჩიეს. არც უკითხავს, რატომო. მოგვიანებით, შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ოქმი, სადაც ეწერა: „გაეცნო რა კანდიდატის ბიოგრაფიას, კომისიამ კანდიდატურის განხილვა საჭიროდ აღარ ჩათვალა“.

დაწუნებული ბიოგრაფიის რამდენიმე დეტალი

გიორგი (კახა) კახაბრიშვილი;

დაიბადა თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში;

თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე იყო;

23 წლისამ დადგა ჭეშმარიტად უბერებელი სატელევიზიო სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ (რასაც შემდეგ მოჰყვა „უჩინმაჩინის ქუდი“, „ხორუმი ქართული ცეკვა“, „გვადი ბიგვა“, „მტრედის მოტანილი ბარათები“...);

35 წელი იმუშავა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში;

1994-99 წლებში იყო ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე და სამხატვრო ხელმძღვანელი.

„გაეცნო რა კანდიდატის ბიოგრაფიას“...

შენიშვნა: *საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ნაციონალური აღარ ნიშნავს ეროვნულს.*

ფესვები... სხვენში

ასეთ ცნობებს ოფიციალურ ავტობიოგრაფიებში (ე.წ. CV) არასოდეს წერენ. არადა, ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია:

„დედაჩემი ტაბახმელიდან იყო. იმ დროს, როცა მისმა მშობლებმა მარიამმა და დავითმა იქორწინეს, კომუნისტებმა სოფელში მდგარი პატარა ბაზილიკა დაანგრიეს და საეკლესიო ინვენტარი ხევში გადაყარეს.

ბებია და პაპა ღამით ჩუმად მიდიოდნენ, გადაყრილ ნივთებს „იპარავდნენ“ და სხვენში ინახავდნენ. ასეთი სხვენის ქვეშ ხშირად მეძინა ბავშვობაში. ბევრჯერ ავმძვრალვარ კიდეც იქ და მინახავს, მაგალითად, ოქროს ოლარი...

ამ ჭერქვეშ ჩემმა ბებომ და პაპამ ცხრა შვილი გაზარდეს — 6 ქალი და 3 ვაჟი.

დედაჩემის ძმამ, შალვა პაპაშვილმა ითავა და, და-ძმებისა და თანასოფლელთა დახმარებით ბოლშევიკების მიერ დანგრეული ის ეკლესია აღადგინა.

„გაეცნო რა კანდიდატის ბიოგრაფიას“...

საზმაუ-ს პრობლემა საქართველოში

— ბატონო გიორგი, მაინც რა არის ასეთი ეს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოში მისი ჩამოყალიბება ვერა და ვერ რომ მოხერხდა?

— ვერ კი არა, არ მოხერხდა. საქმე ის არის, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ ევროკავშირის წინაშე რამდენიმე ვალდებულება იკისრა. ერთ-ერთი სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნა იყო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მით უფრო, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, არ არის მხოლოდ მასმედია. ის, იმავდროულად, კულტურის კერაც უნდა იყოს. ასეა ყველა ნორმალურ ქვეყანაში — მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში.

— მოდით, ერთ-ერთ ქვეყანაზე შევჩერდეთ. როგორია, მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის გერმანული მოდელი?

— კი, ბატონო. გერმანიაში, საერთოდ, მაუწყებლობის მხოლოდ ორი ფორმაა: საზოგადოებრივი და კერძო. ძ (გერმანიის მეორე ტელევიზია) საზოგადოებრივი მაუწყებლობაა. მას მართვის სამი ორგანო აქვს: სატელევიზიო საბჭო, ადმინისტრაციული საბჭო და ხელმძღვანელი (ინტენდანტი).

სატელევიზიო საბჭოში 77 წევრია (ისინი ამისთვის ხელფასს არ იღებენ). აქ წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მთელი სპექტრი.

ადმინისტრაციული საბჭო ანუ იგივე „ბორდი“ 14 წევრისგან შედგება. მათგან მხოლოდ ექვსია ხელისუფლების წარმომადგენელი. მათ ირჩევენ 5 წლის ვადით. საბჭო აკონტროლებს ხელმძღვანელის საქმიანობას, განიხილავს მის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს სატელევიზიო საბჭოს.

ხელმძღვანელს (ინტენდანტს) ასევე 5 წლის ვადით ირჩევს ადმინისტრაციული საბჭო, ფარული კენჭისყრით, შემადგენლობის სამი მეხუთედით და დასამტკიცებლად წარუდგენს სატელევიზიო საბჭოს. ხელმძღვანელი პასუხს აგებს ძ-ის საქმიანობაზე, სატელევიზიო პროგრამების შექმნის ჩათვლით. ადმინისტრაციულ საბჭოსთან შეთანხმებით ნიშნავს მოადგილეს და საკვანძო მიმართულებათა ხელმძღვანელებს.

— მივადექით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს: დაფინანსებას.

— მსოფლიოში საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების სხვადასხვა ფორმა არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში „ტელეგადასახადი“ ელექტროენერგიის საფასურში შედის, ზოგან — საზღვარგარეთიდან შემოტანილი აპარატურის ღირებულებაში... გერმანიაში შემოღებულია პირდაპირი საabონენტო გადასახადი. სხვათა შორის, მსგავსი რამ საბჭოთა კავშირშიც არსებობდა. შემდეგ ტელევიზორი „რეკორდი“ გააძვირეს და ხსენებული გადასახადი მის საფასურში შეიტანეს.

— ახლა კი უფრო მთავარზე ვთქვათ, ანუ საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვაზე, მასში ჩაურევლობაზე. უცხოეთში ეს პრობლემა როგორ გვარდება?

— დემოკრატიულ ქვეყნებში ეს პრობლემა არც არსებობს. იქ დაუშვებელია, საზოგადოებრივი მაუწყებელი რომელიმე პარტიის ან დაჯგუფების ინტერესებს ემსახურებოდეს. მისი ვალია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად მიტანა მაყურებლამდე და პრობლემური საკითხების პარიტეტული პრინციპით გაშუქება.

არსებობს რადიო და ტელემაუწყებლობის მსოფლიო საბჭოს მიერ მომზადებული და იუნესკოს ეგიდით გამოცემული წიგნი, სადაც აღნიშნულია, რომ „საზოგადოებრივი

რადიოსა და ტელევიზიის ძირითადი სამსახურების საქმიანობის წრე სამი ამოცანისაგან შედგება: მიაწოდოს ინფორმაცია, გაანათლოს და გაართოს“.

ამავე წიგნში ხაზგასმულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული მომენტი — ის, რომ „საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის პროგრამები უფრო მეტად ეროვნული უნდა იყოს, ვიდრე სხვა სამაუწყებლო არხების პროგრამები. და რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი მისია ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობაა.

* * *

ეს ყოველივე პირდაპირ ეხმიანება საუბრის დასაწყისში თქმულს, საზოგადოებრივი მაუწყებელი არა მხოლოდ მასმედია, კულტურის კერაც უნდა იყოსო. სხვათა შორის, ასეთი იყო სახელმწიფო ტელევიზია და იყო იმ ავად სახსენებელ საბჭოთა ეპოქაში...

გიორგი (კახა) კახაბრიშვილი

კომუნისტური პარადოქსი

— დიახ, ეს ნამდვილი პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კომუნისტურ ეპოქაში სახელმწიფო ტელევიზია ქართულ კულტურას ემსახურებოდა. ჯანსუღ კახიძე ტელევიზიით კლასიკური მუსიკის გაკვეთილებს ატარებდა; თემურ ქევხიშვილი ქართულ ხალხურ სიმღერას ასწავლიდა; ანზორ ერქომაიშვილი სოფელ-სოფელ აგროვებდა მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს და შემდეგ ტელეაუდიტორიას აცნობდა; ვახუშტი კოტეტიშვილი ხალხური პოეზიის საღამოებს მართავდა...

ესეც ხომ ფაქტია:

საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის შემადგენლობაში შედიოდა მსოფლიოში სახელგანთქმული ტელეფილმების სტუდია, სატელევიზიო თეატრი, სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი; ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ანსამბლი „ქართული ხმები“, ბავშვთა გუნდი...

— **მართლაც, შთამბეჭდავი ჩამონათვალია. მაგრამ დღეს? აქედან რაიმე შემორჩა?**

— არაფერი.

ტელეპულოები და ეკრანიანი რადიო

— **და მაინც, ალბათ, არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სულ არაფერი გაკეთებულა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩამოსაყალიბებლად. უკანასკნელ ხანს შესაბამის კანონში შეტანილი ცვლილებებიც ხომ რეალობაა.**

— საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა და მოდელი დაიბადა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მთელი მსოფლიო თანამეგობრობა შეთანხმდა, რომ გებელსის ფაშისტური რადიოს მსგავსად, ამიერიდან არცერთ ხელისუფლებას, არც ბუნჩულასა და კარგს და არც ცუდს, არ უნდა ჰქონოდა გავლენა მასობრივი ინფორმირების საშუალებებზე.

დღეს რა ვითარება გვაქვს საქართველოში? — პარლამენტი ირჩევს სამეურვეო საბჭოს, სამეურვეო საბჭო კი — გენერალურ დირექტორს. სად არის აქ საზოგადოება?

პარლამენტი რა, ხელისუფლება არ არის?

საქართველო, საზოგადოება, ფაქტობრივად, მოტყუებული აღმოჩნდა.

ისიც გავიხსენოთ, როგორ დაიწყეს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთება — თანამშრომელთა შევიწროებით. ხელშეკრულებას უფორმებდნენ თითო თვით. თვის ბოლო რომ მოახლოვდებოდა, აჩრდილებივით დადიოდნენ, შეშინებულნი, არ იცოდნენ, კონტრაქტს გაუგრძელებდნენ თუ არა. როცა ქალაქში ცენტრალური გათბობა მოიშალა, არჩილ გოგელიას თავმჯდომარეობის დროს, ავტონომიური საქვაბე გავაკეთეთ და ჩვენს კორპუსებში არ ციოდა. ახალმა ხელმძღვანელობამ გათბობა გამორთო, რომ თანამშრომლებს თავი კომფორტულად არ ეგრძნოთ. როცა სტუდიებსა და საოპერატოროებში წყალი ჩამოვიდა, სახურავი კი არ შეაკეთეს, ფული პლასტიკური ბარათების დაბეჭდვაზე დახარჯეს, არასასურველი თანამშრომლები შენობაში რომ ვერ შემოსულიყვნენ. მაშინ „თეატრონის“ ხელმძღვანელი ვიყავი და ჩემს ერთ თანამშრომელს შარი რამდენიმე წუთით დაგვიანებაზე მოსდეს. არადა, ჩვენი სამუშაო დრო ხომ არანორმირებულია. ვინ დამითვლის მე იმ საათებს, გარიჟრაჟზე რომ ავმდგარვარ, მზის ამოსვლის გადასაღებად?

ასე, ბუნებრივია, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ შეიქმნებოდა...

— **სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი რეჟისორი... რამდენადაც ვიცი, ეს თანამდებობებიც გამქრალია.**

— დიახ, ასეა. დღეს ტელევიზიაში რეჟისორი არ სჭირდებათ. ამიტომაც გვაქვს ეკრანიანი რადიოები და არა ტელევიზიები. მთელი დღე სტუდიაში სხედან და ლაპარაკობენ. მოქმედება აღარ არსებობს. არადა, ჩემმა სტუდენტებმაც კი იციან, რომ ტელევიზია არის არა მხოლოდ მასმედია, არამედ ინფორმირების ელექტრონული საშუალება და, იმავდროულად, სანახაობა. მე რომ ტელევიზიაში მივედი, მის დერეფნებში დადიოდნენ მიხეილ თუმანიშვილი, რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, მერაბ კოკოჩაშვილი... დუღდა შემოქმედებითი ცხოვრება.

დღეს ტელევიზიებში მომრავლდა ფულის მკეთებელი ხალხი. მე მათ ტელეპულოებს ვეძახი. „პულო“ ბერძნული სიტყვაა და ვაჭარს ნიშნავს. ასეთი მდგომარეობაა ქართულ კინოშიც: ფილმს იღებს არა ნიჭიერი, არამედ ის, ვინც ფულს შოულობს.

— **ბატონო გიორგი, მაინც რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში ნამდვილი საზოგადოებრივი მაუწყებელი შეიქმნას?**

— ნება!

— **ვთქვათ არის ნება, ანუ ეს ხელისუფლებასაც სურს და საზოგადოებასაც. მაგრამ რაკი დამფინანსებელი ხელისუფლება იქნება, ეს კვლავაც პრობლემას არ შექმნის? ვინც ფულს იხდის...**

— მაგრამ ეს ფული ვისია? საზოგადოების, ხალხის არ არის? ასე რომ, პრობლემა ნებაშია.

— **კადრები? არსებობენ პროფესიონალები, ვინც ამას შეძლებენ?**

— რა თქმა უნდა, არსებობენ. უბრალოდ, მათ არ იყენებენ. პროფესიონალი არაერთია. ერთიც რომ იყოს, ისიც მოახერხებს. ისევ კინოსთან გავავლებ პარალელს. თითქმის ყველა (თენგიზ აბულაძის გარდა), ვინც ქართული კინოს ფენომენს ქმნიდა, ცოცხალია, დიდი ქართული კინო კი აღარ არსებობს. რატომ? მერედა, რა კინო?! „უბრალო“ მაგალითი: ლუიჯი პირანდელოს ცნობილი ნოველა თვითონ იტალიელებსაც აქვთ გადაღებული, მაგრამ ქართული „ქვევრი“ რომ ნახეს, ხელები აწიეს — თქვენი უკეთესიაო...

ოცნება და უფულობა

— **ფილმს ის იღებს, ვინც ფულს შოულობსო. თქვენ? შეუძლებელია, ახლის შექმნაზე არ ფიქრობდეთ, არ ოცნებობდეთ?**

— ვოცნებობ. თუ საჭირო თანხას მოვიძიებ, ნიკოლოზ გაბაონის „აივნიანი ქალაქის“ გადაღება მინდა.

— **საინტერესოა, მაგრამ ამ რომანს, ალბათ, ერთ და ორ სერიაში ვერ ჩატევთ...**

— რა თქმა უნდა. დაახლოებით 30 სერია უნდა იყოს... მანამდე, უფრო „ახლო“ ჩანაფიქრიც მაქვს: გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“. ეს პატარა ნოველაა და მინდა, მისი გადაღება ახალ წლამდე მოვასწრო. არსებობს ჩანაწერი, სადაც გიორგი ლეონიძე ამბობს, ღვინჯუა განსაკუთრებით მიყვარს, რადგან ავტობიოგრაფიულ თვისებებს ატარებსო.

აქედან გამომდინარე, ფილმის დასაწყისიც მოფიქრებული მაქვს: დათოვლილი ალაზნის ველი. შორს გედივით მოჩანს ალავერდის ტაძარი. ისმის ქარის სუსტი სისინი, „ოროველა“ და გიორგი ლეონიძის ხმა.

— **რამდენადაც ვიცი, ღვინჯუა თქვენს ავტობიოგრაფიულ თვისებებსაც ატარებს. ამბობენ, რომ თქვენც განთქმული თამადა ხართ...**

— გიორგი ლეონიძეს ნამდვილად ვერ შევედრები...

— **ღვინჯუას?**

— მასთან შედარება კიდევ შეიძლება...

ისევ პარადოქსი

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში ერთი გენერალური დირექტორი უკვე ორჯერ მოხსნეს.

თვითონ საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ჯერ არა გვაქვს.

არადა, ერთი პროფესიონალიც რომ იყოს დარჩენილი, ისიც კი შეძლებსო...

* * *

„გაეცნო რა კანდიდატის ბიოგრაფიას...“

ივანე ამირხანაშვილი

ორი ნარკვევი ერთ თემაზე

2001 წლის ოქტომბერში იმერეთის ღირსშესანიშნაობები დავათვალიერე „ჩვენი მწერლობის“ (მაშინ გაზეთი იყო) რედაქციის თანამშრომლებთან ერთად. შთაბეჭდილებები რამდენიმე წერილში აღვწერე, დავბეჭდე რეპორტაჟი ქუთაისიდან და ნარკვევები ჩუნეშისა და სიმონეთის სახლ-მუზეუმების შესახებ. ბევრი ფოტოსურათი გადაიღო მურმან ჩაჩუამ. დიდი ნაწილი ჟურნალ „ომეგაში“ გამოაქვეყნა...

შემდეგ იყო კიდევ ოქტომბერი. 2004 წელი. თამაზ ჩხენკელის წყალობით აღმოვჩნდი წერაქვში. ლიტერატურის მუზეუმიდან გავედით კომფორტული, მშვიდი, თითქმის ცარიელი ავტობუსით, რომელსაც მხოლოდ იზა ორჯონიკიძის ხმა ავსებდა.

წერაქვში დაგვხვდა ჯავახიშვილის მუზეუმის დირექტორი ირმა წულეისკირი. ახლახან გავიგე, გარდაცვლილა ეს სათნო ქალბატონი. ციხის კადრების ყურებისას გული გასკდომია.

ლამაზი დღეები იყო, თბილი, უშფოთველი, ცოტა სევდიანიც. დამრჩა ვალად, ვალდებულებად, განუხორციელებელ ჩანაფიქრად — დიდი ჯიხაიში და წერაქვი. ამ ზაფხულს მივუბრუნდი და გავაცოცხლე ჩანაწერები.

დაბოლოს, რაღა თქმა უნდა, ნარკვევები ეძღვნება თამაზ ჩხენკელის, იზა ორჯონიკიძის, მურმან ჩაჩუას და ირმა წულეისკირის ხსოვნას.

საქციელის კაცი

დიდი ჯიხაიშის სახლ-მუზეუმის მეორე სართულზე, ერთ-ერთ ვიტრინაში გამოფენილია ნიკო ნიკოლაძის ფრაკი, ჟილეტი და შარვალი. ევროპული კოსტიუმის ქსოვილის სიმტკიცე, მკაცრი, შავი ფერი და შთამბეჭდავი ზომები ატარებს თვალშისაცემ რაღაც ნიშანს, რომელშიც იგრძნობა ნებელობის ძლიერი, ენერგიული, მრავლისმეტყველი აურა.

იქვე კიდია ჩოხა-ახალუხი, რომელიც, როგორც ეტყობა, ნიკოს ვაჟის, გიორგი ნიკოლაძისაა. ქართული სამოსელის რაინდული უშუალობისა და ევროპული კოსტიუმის მკაცრი რაციონალიზმის შეერთება სრულიად ეკლექტიკურად წარმოგვიდგებოდა, რომ არ გვცოდნოდა ამ დიდი ოჯახის ისტორიის ვერტიკალები.

აქ არის შემხვედრი მოძრაობა საგნებისა და დროისა: მემორიალური ნივთი როგორც სიტყვა, ვიტრინა — მეხსიერების სარკე.

მუზეუმის დაგეგმარებაშიც შეიმჩნევა ტრადიციისა და სიახლის შერწყმის ტენდენცია. პალმებისა და მარადმწვანე მცენარეების გრძელი ხეივანი თავისი ლამაზი პერსპექტივით წარმოადგენს იმერული ყაიდისა და ევროპული გემოვნების შერწყმას.

ერთი მხრივ, მოგზაურობა დროში. გზა აწმყოდან წარსულისაკენ, სადაც მომავლის იდეური ხატიც ილანდება; მეორე მხრივ, სვლა მშობლიური წიაღისაკენ, დედაშვილური გრძნობის გასაგნება (დიდი ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძის დედულეთია). ეს ორსართულიანი თეთრი სახლი ნიკომ ააშენა 1886 წელს. შემდეგ არაერთხელ გადააკეთა, მიაშენა ოთახები, აივნები, სათავსოები. ხის სახლი თანდათან ქვითკირის ნაგებობად გადაიქცა.

1921 წელს, ვიდრე ჩამოართმევდნენ, თვითონ გადასცა სახელმწიფოს. 1926 წელს აქ სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა, რომელიც 1930 წელს ტექნიკუმად გადაკეთდა.

მუზეუმი 1948 წელს დაარსდა. 1951 წლის 1 ივლისს საზეიმოდ გაიხსნა ნიკო ნიკოლაძის მუზეუმიც და მისი ბიუსტიც, რომლის ავტორია მოქანდაკე ვლადიმერ ჩხეიძე.

პირველი ექსპოზიცია ბიბლიოგრაფმა თამარ მაჭავარიანმა მოაწყო.

პირველი სართული. სამუშაო კაბინეტი. ლოზანიდან ჩამოტანილი სავარძელი, ვენური სკამები, ჭადრაკის მაგიდა, მზის საათი. ნიკოს ნაყიდი წიგნების კარადა. „კოდაკის“ ფირმის ფოტოაპარატი. შანდლებიანი ფორტეპიანო. წმინდა გიორგის ხატი, ფელიქს ხოდოროვიჩის მიერ დამზადებული, რომელიც უწინ ჭიშკარზე იყო დავანებული.

ექსპოზიციები — ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა ფოთში, პრაქტიკულ-საზოგადოებრივი საქმიანობა, ურთიერთობა რევოლუციურ-დემოკრატებთან,

თერგდალეულებთან, ფრანგ კომუნისტებთან — მეტყველი სურათი მოღვაწის ცხოვრების, აზროვნებისა და საქმის მასშტაბებისა.

„ულმობელი საქმის კაცი“ — ასე უწოდა მას არჩილ ჯორჯაძემ. მართლაც, არ განხორციელებულა საქართველოში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პროექტი, ნიკოს რომ არ მიეღოს მონაწილეობა: ქვანახშირი და მარგანეცი, რკინიგზა და ბანკი, გამომცემლობა და პოლიგრაფია, ქალაქმშენებლობა და თვითმმართველობა.

ფოთს დღესაც ეტყობა მისი ინტელექტისა და ნებისყოფის კვალი. არქიტექტურული დაგეგმარება, უნიკალური მოვლენა ქართულ სინამდვილეში! მერე რა, რომ პარიზის ანალოგიაა, სამაგიეროდ, ზუსტია, ქართულ-ქრისტიანულ მრწამსს მორგებული.

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება რაღაცნაირად ასოცირებულია სიუჟეტთან, დრო-სივრცით სტრუქტურასთან, რომელიც გარკვეული სახით დღესაც არსებობს, დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. მისი ცხოვრება ისტორიულობის ის მომენტია, სადაც თავს იყრის დროის სამივე განზომილება.

მან საგანთა რიგი შეცვალა პროგრესის სასარგებლოდ.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამდენ რამეს თავისთვის კი არა, ქვეყნისთვის აკეთებდა.

ნიჭითა და პრაქტიკული უნარით ილია ჭავჭავაძეს ადარებდნენ. ეს არც იყო შემთხვევითი. საზოგადოებრივ ღირებულებათა იერარქიულ წყობაში ილიასაც და ნიკოსაც თავთავიანთი ცვლილებები შეჰქონდათ, თითოეულს თავისი მრწამსის, თავის შეხედულებათა მიხედვით.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი დიდ ჯიხაიშში
მურმან ჩაჩუას ფოტოკოლექციიდან

მართალი იყო ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელიც წერდა: „ერთ მხარეს ილია ჭავჭავაძე, თავისი სატირით და სიმტკიცით, მეორე მხარეს ნიკო ნიკოლაძე, მოურიდებელი სიახლით და გრანდიოზული პრაქტიკული გეგმებით. ესენი იყვნენ, რომ დედაბოძებად შეუდგნენ ჩვენს ცხოვრებას და გაამაგრეს კიდეც ჩვენი არსებობის შერყეული კედლები“.

ისინი ირჩევდნენ ბედს და ბედი ირჩევდა მათ, ოღონდ სხვადასხვა გზით მიდიოდნენ ერთი მიზნისკენ.

ილია ქართველების გულს აღელვებდა, ნიკო — გონებას, თუმცა მათი „სიცოცხლის პაროლი“ ერთი იყო: დაუდგრომლობა, ბრძოლა, თავგანწირვა.

ბუნებით ილია ინდივიდუალისტი იყო, ნიკო — კოლექტივისტი. მიუხედავად ამისა, ვერც ერთს გაუგეს და ვერც მეორეს. საბოლოოდ ორივე საზოგადოებისგან გარიყული აღმოჩნდა.

იქ, სადაც ნიკო სკეპტიკოსი იყო, ილია ოპტიმიზმს იჩენდა და პირიქით, სადაც ნიკო იმედიანად იყო, ილია სკეპტიკოსობდა.

ილიამ ნიკო ნიკოლაძეში დაინახა თავისი მეორე მე, რომელსაც დიდხანს ებრძოდა.

ილია თავისი შინაგანი განვითარებით ვერტიკალს მიჰყვებოდა, ნიკო – ჰორიზონტალს; ილიას თვალსაწიერს ჰქონდა სიმაღლე, ნიკოსას — სიფართოვე.

ილიას მაღალი, ყოვლისმომცველი აზროვნება ეროვნულ საზღვრებშია მოქცეული, უიმისოდ საგნები და მოვლენებიც ქართულ პრობლემატიკაში შემოაქვს. მხოლოდ ქართველ კაცთან აქვს საქმე, თავის სისხლსა და ხორცს ესაუბრება.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული მასშტაბების პირველი ქართველი ჟურნალისტია, რომელიც 40-ზე მეტ გამოცემაში იბეჭდება. ურთიერთობა აქვს ისეთ მოაზროვნეებთან, რომლებიც განსაზღვრავენ ეპოქის ლიტერატურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დონეს. კერძოდ, ესენი არიან ვიქტორ ჰიუგო, ალფონს დოდე, ემილ ზოლა, კარლ მარქსი, ლუი ბლანი, პოლ ლაფორგი, გერცენი, ჩერნიშევსკი, სალტიკოვ-შჩედრინი და სხვები.

ილიამ და ნიკომ კარგად იცოდნენ ერთმანეთის ფასი. კარგად ხედავდნენ ერთმანეთის ადგილს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნიკოლაძის ინიციატივა იყო ჩამოეყვანათ ილია ჭავჭავაძე დუშეთიდან და დაენიშნათ საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელად; ილია ჭავჭავაძე იყო ის, ვინც 1873 წელს პეტერბურგიდან სწერდა ნიკოს, არ დაეტოვებინა სამშობლო და განეგრძო საქვეყნო საქმე.

ილიასი არ იყოს, ნიკოსაც ხშირად სწამებდნენ ცილს, აბრალებდნენ ერის მტრობას, ღალატს, გამცემლობას.

ესეც ბუნებრივი იყო და ბუნებრივი იყო ისიც, რომ ერთმანეთი დუელში გაიწვიეს. თითოეული მათგანის მხრიდან ფაქტობრივად ეს იყო დუელი საკუთარ თავთან, უფრო სწორად, ბრძოლა მეორე მე-ს წინააღმდეგ. ღმერთმა აცხონოს ივან სიმბორსკის, პოლონური წარმოშობის რუსი პოეტის სული. მისი დამსახურებაა, რომ დუელი შერიგებით დამთავრდა.

ადამიანი, პიროვნება, ინდივიდი, უპირველეს ყოვლისა, საქციელია.

საქციელის კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე, მებრძოლი, უკომპრომისო, თავისუფალი.

უდოგმატო კაცი და ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე სკეპტიკოსი უწოდა გერონტი ქიქოძემ. შესანიშნავი დახასიათებაა, ზუსტი, ლაკონიური, არსებითი.

ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა მორალური უფლებაც და გამბედაობაც, სამშობლოსათვის მიემართა ისე უშუალოდ, როგორც ერთ-ერთ ჩანაწერში მიმართავს: „მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა“.

მის ცხოვრებაში არის ერთი უჩვეულო ამბავი, რომელმაც შეიძლება მიგვახვედროს, თუ რაოდენ ბუნებრივად შემოვიდა მასში მშობლიური მიწის შეგრძნება.

ექვსი თუ შვიდი წლისა იქნებოდა, ბაბუა მამუკა გახდა ავად, ლოგინად ჩავარდა, ვერანაირი წამალი ვერ შველოდა. „ეს იმის ბრალია, რომ სალოცავები დავივიწყეთ“,- თქვა მამამ, იქირავა კამეჩის ურემი, ჩააწვინა შიგ მომაკვდავი მოხუცი, დასვა კოფოზე თავისი და სალომე, მოუსვა გვერდით პატარა ნიკო და გზას გაუყენა.

ნიკოლაძეებს სამი სალოცავი ჰქონდათ: ჩხარის წმინდა გიორგი, სკანდეს ეკლესია — იმერეთში და გორიჯვარი — ქართლში. სამივე ტაძარი მოიხილეს, მოილოცეს, შემწეობა სთხოვეს და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ, მაგრამ ბაბუას მაინც არ ეშველა...

რამდენი ხანი იარეს, ერთი თვე, ორი თვე თუ მეტი, ნიკოს არ ახსოვდა, მაგრამ გონებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა იმერეთისა და ქართლის გზები, ლამაზი წყალ-ჭალები, ჭრელი მინ-

დორ-ველები, დევისხელა მთები, დაბურული ტყეები და შეხვედრები უცნობ ადამიანებთან, რომლებიც უშურველად უნაწილებდნენ თავიანთი კერის სითბოს.

მთელი ცხოვრება ვერ ივიწყებდა, თვითონაც უკვირდა, როგორ იარა ამხელა გზებზე. თუმცა რა იყო მისი ცხოვრება, თუ არა გზა, ერთი გრძელი, უსასრულო გზა.

მწარე და ძვირფასი

2004 წლის 30 ოქტომბერი. სოფელი წერაქვი, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 124-ე წელი.

ქვემო ქართლში ეს ის დროა, როდესაც თრიმლებს „ცეცხლი უკიდიათ“, ტყისპირები კი ჟირაფივით არის აჭრელებული.

ღრუბლიანი, მაგრამ თბილი დღე იყო. ერთი-ორჯერ თქორი წამოუშინა, მაგრამ მალევე გადაიღო.

თავაზიანად დაგვხვდა მუზეუმის დირექტორი ირმა წულეისკირი, მწერალ ნოდარ წულეისკირის ქალიშვილი. მის თავაზიანობაში იგრძნობოდა შეფარული რიდი, მოკრძალება, სიფრთხილე.

აქტიურობდა იზა ორჯონიკიძე, პოეტი, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი. მგონი მასპინძლადაც თვლიდა თავს. ეს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, ვინაიდან სწორედ მან დასვა საკითხი საქართველოს მთავრობისა და მარნეულის რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა გახსნილიყო ჯავახიშვილის მუზეუმი. ეს მოხდა მწერლის დაბადების მე-100 წლისთავზე, 1980 წელს. თუმცა ხუთი წელი დასჭირდა იმას, რომ საქმე ადგილიდან დაძრულიყო.

1985 წლის 26 ივნისს საძირკველი გაიჭრა. პროექტის ავტორი — არქიტექტორი იოსებ ჩხეიძე; სამუშაოების მწარმოებელი 6 სამშენებლო ტრესტი. მმართველი როლანდ იოსელიანი. მშენებლობა ორ წელიწადში დასრულდა. 1987 წელს მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა.

ოფიციალურად კი გაიხსნა, მაგრამ რეალურად ვერ იმუშავა. დაიხურა და 1998 წელს ხელმეორედ გაიხსნა. მანამდე, ერთი წლით ადრე, ეზოში დაიდგა მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი (მოქანდაკე გოგი წულაძე).

ექსპოზიცია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებმა თეა თვალავაძემ და ნინო ხოფერიამ მოაწყვეს. ცალკე ოთახი დაეთმო რეპრესიების თემას: „სისხლიანი საქართველო“. გამოიფინა ფოტომასალა, რომლის შინაარსი ისეთივე მძიმეა, როგორიც იყო მწერლის ცხოვრება. ნაცრისფერი და შავ-თეთრი ტონები. ერთ მხარეს ლენინი, სტალინი, ბერია და მისთანანი. მეორე მხარეს — ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი. ნივთები არ ჩანს. ერთადერთი მემორიალური ნივთი ტანსაცმლის საკიდია, რომელიც წერაქვის სკოლის დირექტორს უჩუქებია მუზეუმისთვის.

ცხადია, იმ დღესაც გაიმართა საზეიმო კონცერტი. ამფითეატრზე წარმოითქვა სიტყვები, გამოვიდნენ რაიონის ვოკალური, ქორეოგრაფიული და დრამატული გუნდები. იმღერეს, იცეკვეს, ილექსეს. მაგრამ ჩვენი ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო. თამაზ ჩხენკელმა შემთხვევით აღმოაჩინა და შემდეგ ჩვენც გაგვაცნო წერაქველი კაცი, მიხეილ ჯავახიშვილის დედის ძმის შვილიშვილი ფრიდონ ბურნაძე, რომელსაც ახსოვდა მიხეილისა და მისი ძმის ფიდოს ჩამოსვლა წერაქვში.

არადა, მიხეილ ჯავახიშვილი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში წერს, 1902 წლის შემდეგ სოფელს თავი მივანებე და იქ ერთხელაც აღარ ჩავსულვარო.

ფრიდონ ბურნაძე კი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ 1936 წელს, როდესაც 7-8 წლის იყო, წერაქვში ნახა მიხეილი და ფიდო. მიხეილმა ხელშიც ამიყვანაო, — ამბობდა, — მისი მოკლე წვერი და ფიდოს აკვარწნილი ულვაშები მახსოვსო.

— რად გინდა ამდენი მტკიცება, მჯერა, — ეუბნებოდა თამაზ ჩხენკელი.

სიხარულისგან სახე გაუნათდა ფრიდონ ბურნაძეს. ეტყობოდა, გულწრფელი იყო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, კაცი ბურნაძეობით ამაყობდა, მეც იმათი ვარ, იმათი სულის ნატეხიო.

ამ კაცის სიმართლეს დოკუმენტიც ადასტურებს. ქეთევან ჯავახიშვილის წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ მოყვანილია 1937 წლის 3 აგვისტოთი დათარიღებული წერილი. მიხეილი მიმართავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გოგლიძეს და სთხოვს ობიექტურად გამოიძიონ მისი ძმის ფიდოს საქმე. იქვე, სხვათა შორის, წერს, რომ 34 წლის მანძილზე არ ყოფილა მშობლიურ სოფელში და პირველად ერთი წლის წინათ, 1936 წელს ჩასულა.

ეს ისე, ლიტერატურის მეისტორიეებისთვის და მათთვისაც, ვისაც ისტორიის შეცვლა სურთ. მაგრამ მომხდარს ვინღა შეცვლის. ისტორია არ შეიცვლება. ისტორიამ შეიძლება შეგვცვალოს...

„მე ბორჩალოში დავიბადე, — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, — თრიალეთ-საბარათიანო ყრმობაშივე დავიარე და იქაურ თავად-აზნაურთა ოჯახებში ვტრიალებდი, რომელთაც უწინდელი ცხოვრების დაღი ჯერ კიდევ მკაფიოდ ემჩნეოდათ. ჩემი სოფელი წერაქვი ბარათაშვილს ეკუთვნოდა და ისეთ მივარდნილ ალაგას იყო გაშენებული, რომ აქაურებს ჯერ არც კი ენახათ რკინის გზა, რუსული ფარაჯა, ნავთის ლამპა, ჩაი, შაქარი, სალდათი და მოსამართლე (ყოველივე ეს ჩემ თვალწინ შემოდიოდა). ჩემი ბავშვობის დროინდელი და იქაური ერთი წელიწადი ქალაქურ ათ წელიწადს უდრიდა.“

ერთი წელიწადი, როგორც ათი, ათზე გადამრავლებული, გავრცობილი, გაწეწილი დრო, რომელსაც ქმნის სივრცე და საგანთა უძრაობა.

უძრაობა წარმოშობს მოძრაობას, როგორც უსამართლობა პროტესტს. თანმიმდევრული „პროტესტანტი“ იყო საჭირო და ის აქედან, ბორჩალოდან მოევლინა ქართულ ლიტერატურას 1880 წლის 8 ნოემბერს.

მწერლებად იბადებიან, წერას კი ცხოვრება ასწავლით. ცხოვრება უბიძგებთ, ავალებთ, აიძულებთ. მწერალს შთაგონებისთვის სჭირდება გაღიზიანება, გაბრაზება, აღშფოთება. ეს მხოლოდ ცხოვრებას შეუძლია. ცხოვრება სთავაზობს ზღვრულ სიტუაციებს, მწერალი გამოწვევებს ტექსტებად გარდაქმნის. მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლო პოტენციალს მამოძრავებელი ძალა მისცა ადგილის კოლორიტმა და ცხოვრებისეულმა მიზეზებმა, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ: მამა, დედა, პაპა, ბავშვობისდროინდელი ფათერაკები და ოჯახის სისხლიანი ტრაგედია.

მამა — საბა ტოკლიკიშვილი. თხუთმეტი წლისა იყო, შინიდან რომ გაიპარა. მამის უჯიათობას ვერ გაუძლო. თავისუფლება ყველაფერს ერჩია. ზემო მაჩხაანიდან თბილისში ჩავიდა, იქიდან შულავერში გადავიდა, შულავერიდან სადახლოში. მოჯამაგირეობდა, მუშაობდა მებაღედ, მევენახედ, მოურავად. გვარიც გამოიცვალა, ადამაშვილი გახდა, მამის სახელის მიხედვით. ათი წელი გაატარა ბორგვა-ხეტიალში. ბოლოს წერაქვში დაფუძნდა. ანდრო ბურნაძეს ჩაესიძა. ცოლად შეირთო მისი თექვსმეტი წლის ასული.

მთელი ცხოვრება ეძებდა ადამ ტოკლიკიშვილი დაკარგულ შვილს და მაინც მიაგნო. საბამ პატივით მიიღო მოხუცი მამა, თავისთან დაიტოვა, უპატრონა, ანუგეშა. როცა ამქვეყნიდან გავიდა, იქვე, შულავერში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი.

დავით კასრაძის ჩანაწერებში არის ერთი ასეთი ადგილი. მიხეილ ჯავახიშვილი ეუბნება დავითს:

— წერაქვი ერთადერთი ქართული სოფელია გაღმა ბორჩალოში. მეორე სოფელი მამაჩემმა გააშენა წერაქვის მახლობლად და სიონი დაარქვა.

— სიონი? — კვირობს დავითი, — ალბათ დიდი მორწმუნე იყო, რომ ბიბლიური სახელი ამოურჩევია.

— პირიქით, დიდი ათეისტი იყო, ხელმოჭერილი ქიზიყელი, საკმაოდ მკლავმაგარი და იმდროინდელ კვალობაზე კარგა შეძლებული გლეხი, — ამბობს მიხეილი.

შეიძლება საბა მართლაც ათეისტი იყო, მაგრამ თეისტებზე ნაკლებ პატივს არ მიაგებდა საკულტო ტრადიციას. იცოდა, რასაც არქმევდა სოფელს. აქაურობაში ბოლნისის სიონის მადლს აცოცხლებდა. აქ ახლაც არსებობს საყდარი, რომელსაც „ბოლნისის ძმას“ ეძახიან.

სოფელ სიონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში ასვენია მარმარილოს ფილა, რომელზეც ვკითხულობთ: „ამავე სოფლისა მიზეზი აშენებისა აქა მდებარე გვამი ჩემი საბა ადამაშვილი. წამკითხველნო და მხილველნო, გთხოვთ შენდობა გვიბრძანოთ. დავიბადე 1842 წ. თებერვლის 2. გარდავიცვალე 19...“ (თარიღი არ წერია, რადგან სიცოცხლეში, თავისი ხელით გაუმზადებია ეპიტაფია. უნდა ეწეროს „1901 წ. იანვრის 18.“)

დედა — ელენე ბურნაძე. საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, ეშხიანი, მედიდური იერის ქალი, რომელიც სადაც უნდა მისულიყო, ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

შვილების აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ზნეობას მაგალითებით ასწავლიდა. თხრობის ოსტატი იყო. ზღაპრის ან ამბის მოყოლას რომ დაიწყებდა, ყველა სულგანაბული უსმენდა. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ საღამოს დადგომას, რომ დედისგან მოესმინათ ფერადოვანი ამბები, რომელთა შორის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო არსენა ოძელაშვილის გმირობანი.

პაპა — ანდრო ბურნაძე. დედის მამა. შფოთიანი კაცი. ახოვანი, ჯანღონით სავსე. ნამდვილი ქვაკაცი. ამავე დროს, გულკეთილი, სამართლიანი, მიმტევებელი.

ერთხელ, ახტალობა დღეს, ეკლესიაში სალოცავად მიმავალთ ყაჩაღები დაესხნენ თავს. ყველა შეშინდა და გაიტრუნა. მარტო ანდრო შეებრძოლა შიშველი ხელებით, უიარაღოდ. თავპირდამტვრეული გაუშვა ავაზაკები;

მეორედ კაცი დაჭრა ჩხუბის დროს; შემდეგ კოლა ბარათაშვილს სცემა სახრით. სამი თვე ციხეში იჯდა.

ამ კაცის გვერდით იზრდებოდა პატარა მიხა. პაპა გვერდიდან არ იშორებდა შვილიშვილს, ყველა სურვილს უსრულებდა, ანებივრებდა. კვიცი გვარზე ხტისო. მიხეილი ხასიათით ანდროს დაემსგავსა. 30-იან წლებში ბედისწერასთან მოთამაშე მწერალი ალიკვალი პაპაა, პაპის ქცევას იმეორებს.

ამ უცნაური ვაჟკაცის სახე „არსენა მარაბდელშია“ უკვდავყოფილი. ღვთისავარი ეს იგივე ანდრო ბურნაძეა, შესაძლოა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. რატომაც არა.

ფათერაკები.

მშობლები დაჰკანკალებდნენ, თავს ევლებოდნენ, ანებივრებდნენ. მგრძნობიარე და გულჩვილი, ცელქი და დაუდეგარი ბავშვი იყო. შეზღუდვებს ვერ იტანდა. კერპობითა და ანჩხლობით თავისი გაჰქონდა. გაჯიუტებულს ცხრა უღელი ხარკამეჩი ვერ აკავებდა. თავის გაფრთხილება არ იცოდა. ხიფათს არაფრად აგდებდა. პატარაობაშივე არაერთხელ დამდგარა სიკვდილის პირისპირ.

„ბევრჯერ შემებრძოლა სიკვდილი, ბევრჯერ თვითონ მე გამოვიყვანე საფალავნოდ,“ — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი.

ექვსი-შვიდი წლისა იქნებოდა, ცხვრის ფარას გაჰყვა მთაში. მწყემსებმა მაშინღა შენიშნეს, როცა სოფელს კარგა მანძილზე გასცდნენ. დატუქსეს და უკან გამოისტუმრეს. გზაში შემოაღამდა. გულს სტვენითა და სიმღერით იმაგრებდა. გზა აებნა. აღარ იცოდა, საით წასულიყო. გადაწყვიტა ტყეში გაეთენებინა. ძველი, დანგრეული საწნახელი დაინახა და შიგ მოკალათდა. უცებ მგლის ყმუილი შემოესმა. სასწრაფოდ ხეზე აძვრა. დილით, რიჟრაჟზე, მუხის ტოტზე მძინარეს ვიღაც გლეხი გადაეყარა, ჩამოიყვანა და მშობლებს მიჰგვარა.

ერთხელ ხიდიდან ადიდებულ მდინარეში გადავარდა. დახრჩობას მეურმეებმა გადაარჩინეს.

სიფრთხილე არც ცხენთან იცოდა. ბევრჯერ გადმოვარდნილა ჭენების დროს. ერთხელ თავი ისე ძლიერად დაარტყა, რამდენიმე დღის განმავლობაში უგონოდ იწვა.

მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი წერაქვში
მირიან კილაძის ფოტოკოლექციიდან

ნადირობისას გარეული ღორი გამოეკიდა, ის იყო, პირი უნდა ეტაცა, რომ ბიძამისმა მიუსწრო და გადაარჩინა.

შულავერზე თევზაობისას კინაღამ დინამიტი აუფეთქდა. ცეცხლწაკიდებული პატრუქი და ანკესის ბაწარი ერთმანეთში აებლანდა და ბოლო წამსღა შეძლო დინამიტის გადაგდება. აფეთქების ტალღამ წააქცია და გონება დააკარგვინა.

ერთხელ რაღაც შეეყარა. ისე დაავადდა, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ექიმებმა მკურნალობაზე ხელი აიღეს. პაპა ადამამ ზემო მაჩხაანში ნასწავლი მჩხიბაობა გაიხსენა: შავი ქათამი დაკლა, შეულოცა და ნაღველა ბავშვს თავზე დაადო. ამან უშველა თუ სხვა რამემ, მოიკეთა და სრულიად გამოჯანმრთელდა.

ყველაზე მძიმე წამი: ყირიმი. იალტის საბაღოსნო და მეღვინეობის სასწავლებელი. 1901 წლის ზამთრის საღამო. ვიღაცამ მშობლებისაგან ამანათი მიიღო. გაიმართა სმა-ჭამა. მიხეილმა აიღო გაზეთის ნაგლეჯი, რომელშიც ხილი იყო გახვეული. კითხულობს: „დეკემბრის ბოლოს, ბორჩალოს მაზრაში საზარელი მკვლელობა მოხდა. ავაზაკმა დახოცა დედა-შვილი...“ ეს ნამდვილი ღვთის რისხვა იყო. მერე უკვირდა, გული როგორ არ გაუსკდა. გაზეთი მისი დისა და დედის მკვლელობას იუწყებოდა...

მას შემდეგ სამუდამოდ მიატოვა მშობლიური კუთხე. აღარ უნახავს ალგეთი, ხრამი, დებედა, ლელვარის თოვლიანი მთა, გოლგოთის ქედი, კვირაცხოვლის წყარო, სიონის საყდარი. როგორც ითქვა, ერთადერთხელ, ერთადერთი დღით ესტუმრა სიონსა და წერაქვს, მაგრამ მის შემოქმედებით წარმოსახვას არასოდეს დაუტოვებია აქაურობა, მშობელ მიწაში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, ადგილის დედა კვებავდა მის მდიდარ ფანტაზიას, აქედან იღებდა ცხოვრებისეულ მასალას, აქაურია მისი აბდულ ქერიმი („მართალი აბდულაჰ“) და მაშადი ჰასანი („ლამბალო და ყაშა“), სოფელი ლამბალო სადახლოს გადაღმაა; აქაურია პავლეც („ტყის კაცი“) და, რაღა თქმა უნდა, არსენაც აქვეა, სადმე გორულის კოშკის სიახლოვეს...

ლამაზია წერაქვი შემოდგომაზე. უხილავი მხატვარი ფერებს არ იშურებს იმის გამოსახატავად, რაც თვალსაც ახარებს და გულსაც.

მწერლის სულიც აქ ტრიალებს, ეს არის მისი სამშობლოც და მისი პარნასიც, სიკვდილივით მწარე და სიცოცხლესავით ძვირფასი.

2004-2013

ნინო ხომასურიძე

„ბედნიერებაა, როდესაც ცხოვრობ და გიხარია...“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ისეთი გაჭირვებული ხარ, რომ სხვა გაჭირვებულს ვერ ეხმარები...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერებაა, როდესაც ცხოვრობ და გიხარია...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— სწორება არცერთ ლიტერატურულ გმირზე არა მაქვს, ისე კი მომწონს აიეტი და ილარიონი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— გაბაშვილი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვივალდი.

— რომელ თვისებას აფასებთ, ყველაზე მეტად მამაკაცში?

— თვისება არის ის, რაც არ იცვლება არა? მაშინ თუ ასეა, — სიცოცხლის სიყვარულს...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სილამაზეს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— ალტრუიზმი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ახალ-ახალი იდეების ანალიზი

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არცერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ოპტიმიზმი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ადამიანურობას და თქვენ იგულისხმეთ, რაც გსურთ...

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— თითქმის ვერასდროს ვახორციელებ იმ იდეებს, რაც მსურს.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერებაა, როცა შენი გაკეთებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. ბედნიერებაა, როდესაც დათესავ და მიიღებ.. თუმცა, არც ეს მოიცავს სრულად ბედნიერების განსაზღვრებას...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ომი, ნგრევა და ყველაფერი, რაც მას მოჰყვება.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო წარმატებული.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— წითელი.... (თუკი არსებობს)

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ხოხობი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ბულგაკოვი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ბულგაკოვის მარგარიტა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— რეალურ ცხოვრებაში გმირები არა მყავს...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— არა მაქვს.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— შეურაცხყოფას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ლენინი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— სამასი არაგველის გმირობა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— „პერესტროიკა“.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა ვმღეროდე.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ჯანმრთელი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მშვიდი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ნარკომანობა, მრუშობა.

— თქვენი დევიზი?

— არა მაქვს.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის თქვა?

— არ ვიცი...

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

საზღვრის დამრღვევი



რა გინდა, ბიჭო, მიტია, საით მიმაძუგძუგებ... შე ღმერთგამწყრალო, შენა. შენ პატრონებს აღარა აქვთ ჭკუა და ამ უგონო დეკეულს რა მოვთხოვო. დაადო თავი და გადმოვიდა... რათა? რა ვიცი, „თავი რო ექცეს ქვათა," რათა, თქვენა ჰკითხეთ, იქნება პირუტყვებმა პირუტყვს უკეთესად გაუგოთ!.. ნუ მიღერებ მაგ „კალაშნიკოვს," შვილო, შენი ხსენებაც არ იყო, მაგნაირი ხელში რო მეჭირა და ჩიტის ოლქში, ჩინეთის საზღვართან ვიდექი... აი, მაშინ, შენსავით პირტიტველა რო ვიყავი, რა მომაფიქრებდა მტრად თუ მომიხტებოდი, ზედ ჩემ სათიბთან საზღვარს გამიტარებდით და მერე ამ საზღვრის დარღვევისათვის კიდეც დამიჭერდით... დაფიქრდი, მიტია... რაო, ვანია გქვია! ჰო, რა მნიშვნელობა აქვს, ან ერთი იქნები, ან მეორე, პაპაჩემ იორამას სახელს ხო არ დაგარქმევდნენ — ყველაზე პატარა კაცი კი ხარ, მაგრამ მაინც დაფიქრდი, ბიჭო, ტყეები წაიღეთ და საძოვარი შუაზე გამიყავით... ან შეშა ან თივა არ მინდა, ანდა თონის ასაპრიალებელი სათონე ფიჩხი? ისიც მაგარი გყოლიათ, რო უფროსობდა, ხელები გაუკარითო! თქვე უღმერთოებო, თქვენა, ამ ჩემ ხელებს კიდევ გაკვრა და გადაგრეხვა უნდათ — აქედან თქვენ მომადექით და იქიდან ჩემი უვარგისი მთავრობა! გამსრისეთ და ეგ არის, მეტი რაღა გინდათ!

ქრისტიანები არა ხართ? ესეთი ცოდვებით დამძიმებულებმა როგორ უნდა იაროთ, ვის მოხნულში დააბოტებთ, ვის ღობეებსა ჰქელავთ, წადით, რა, იმხელა მთა-ველი გაოხრიათ, ჩემი სოფელი კი არა, მთელი საქართველო ხელისგულზე რო დაისვათ, ჭიამიად არ გამოჩნდება, სირცხვილი აღარა გაქვთ?

მოიცა, ბიჭო, ერთხელ მაინც შებრუნდი, აქ მავთულხლართს რა უნდა, გადახედე, რა სილამაზეა, ერთიანი, მთლიანი, ვინ მოგცათ ამ სილამაზის გაყოფის უფლება, განა შეიძლება მშვენიერება დააქუცმაცო, გადათხარო, მიურ-მოურიო?..

ის დალოცვილი მახარაშვილი ცოცხალი რო ყოფილიყო, არ გეტყოდათ, „ნი პახალ, ნი საჟალ," ვის მამულში მოეთრევითო?.. ისე კი მაგრად დააკერა იმ შენს წინაპარს და ვაზებში გააგორა! ღირსი არ იყო? ჩვენებური კაცის გარდა, სხვამ ვინ გაბედა, რუსულ ტანკებს უკან ვინ დაახევინა?..

მაღალმა ღმერთმა დააბრმავოს ვინც ჩვენი სიკეთე ვერ დაინახოს!

მოიღუშე, მოიღუშე...

დედა ვაცხონე იმისი და — მამა!..

მომისმინე, ვანია, ჩვენებურებს მეტსახელად ნიბლიებს გვეძახდნენ:

დაკრძალვაზე არიან თურმე ესენი, ჩვენებურები, კახეთისკენ, რომელიღაც სოფელში. იქაურებს სასაფლაო შორს ჰქონიათ. გაიწელა გზა და მოუწიათ ამათაც კუბოს აწევა. იქაურებს შეეხიდნენ სტუმარი ჩვენებურები, შეუდგეს მხარი საკაცეს და მიაქვთ. ეს დროა, გაზაფხულის მიწურული, ყვავის ბუნება, იფურჩქნება გასაფურჩქნი და იკოკრება დასაკოკრი.

გაიარეს მინდორი, შეუდგნენ აღმართს.

უცებ, გზისპირზე ჩაყოლებული ნარეკალიდან, ბოლოქანქარა ჩიტი ამოუფრთხიალდათ და აედევნათ ფრენა-ფრენით, თანაც სულ ხელის აწვდენაზე, თავზემოთ დასტრიალებთ.

არიქა, ბიჭო, ნიბლიაო, წამოიძახა თურმე ერთმა ჩვენებურმა.

„ნიბლიაო", ამის თქმა იყო, შეთანხმებულებივით, მაშინვე დადგეს კუბო და ოთხივე ჩიტს გაეკიდა.

ნიბლიაც ხო არ გაუჩერდებოდათ, ხან ერთ ნარეკალზე შემოჯდა, ხან მეორეზე, მერე ახლადამოწვერილი ყანისკენ გადაინაცვლა და ესენიც ჟივილ-ხივილით მიჰყვნენ. ის მამაძაღლი ჩიტიც მაღლა-მაღლა კი არ წავიდა, ცხვირწინ, ლამის ხელებში ჩაუფრინდათ, ლაღობს, ეთამაშებათ... ამათაც აიკეცეს შარვლის ტოტები და მისდევენ, მისდევენ... სახტად დარჩა დიდ-პატარა. ვიღას ახსოვს მიცვალებული, გასაკვირს არის ქალი და კაცი, ჭირისუფალი.

„ნიბლიაო და ნიბლიაო," ჯერ თავშეკავებულად გაეცინათ, მერე ყანის პირას მომდგარი ჯამაათი თანდათან ხმამაღლა აფხუკუნდა.

თან ინტერესით მისჩერებიან ოთხ დამთხვეულს, კითხულობენ ვინ არიან და სადაურებიო.

უყურეს, უყურეს და, მკვდარს დაუმარხავს ხო არ დატოვებდნენ, გაახსენდათ ჭირისუფლებსაც გლოვა რო უფრო შეჰფეროდათ — ისევ ჩამოიშალეს შავი პირბადეები, ამოუშვეს ზარი, მაგრამ გზა და გზა, ისეთი ხმები გაერეოდათ, სიცილისაგან ვერ გამოარჩევდი...

ამის მერე, ჩვენებურებს, ნიბლიები შეგვერქვა... რაო? ჩიტი რა იქნა? აგე, დაარღვია საზღვარი და თუ ბიჭი ხარ, მიდი, გაკოჭე! ჩიტი სილაღეა, სილაღე კი, ცარიელი ხელით, ვის დაუჭერია?.. ეგ ავტომატი რო არ გეოხროს, ძალა არა გქონდეს, ჩემი დამტყვევებელი ან მამულის გამყოფი იყავი?.. იმათაც გაუსხლტათ, ნიბლია წავიდა მაღლა-მაღლა, გაქრა ცაში...

განა ეს ჩვენი სიცოცხლეც ეგრე არ გვეთამაშება? იფრთხიალებს, იფრენს და... ადრე თუ გვიან თავის ნაჩუქარს ისევ უფალი დაიბრუნებს... ტყუილად არ მეძალავები? რა გინდათ, სად მიგყევართ, თქვენი მკვდარი იტირეთ, თქვენი!.. რამდენ ხანს, ან სადამდე მატარებ, ჩვენა ნიბლიები ვართ, გითხარი, სილაღე ვის დაუჭერია-მეთქი...

ეჰ, ბიჭო, მიტია, სად მიმაძუგძუგებ, შე ჩემი ცოდვით სავსევ...

სიმინდის მონატრება

სიმინდი როგორც კი ამოიწვერებოდა, შემოვუთოხნიდით, ძირზე მოდებულ ღიჭა ბალახის ტყვეობიდან დავიხსნიდით, მიწას შემოუფხვიერებდით, მერე რუს წყალს მივუგდებდით, ისიც დაუვლიდა მოაღონიერებდა, დაავაჟკაცებდა, სიმინდიც ყლორტებს გაიტანდა, წელზე ტარო გამოენასკვებოდა, ჩვილივით გაახვევდა მწვანე ფურცლებში. მზეზე თანდათან ფერს შეიცვლიდა, გაიზრდებოდა, თავზე ოქროსფერ, სურნელოვან „ქოჩორს" გადაიყრიდა და ამ ქოჩორზე რომ მოეფერებოდი, ხელისგულს დილის ნამის სიგრილე აჰყვებოდა...

ზაფხულის მიწურულს, ყვითლად შემჭკნარს, ფრჩხილის სიმსხო მარცვალში ჩამდგარი რძე გაუმკვრივდებოდა, გაფშეკილი ულვაში აქეთ-იქით დაეკიდებოდა...

რამდენჯერ, ღამით, უქარო ამინდში, ფიქრებში გართულს, ხმელი, აუჩალავი ღერების შეშრიალება შეგვაკრთობდა ხოლმე...

რა უნდოდათ, რას ჩურჩულებდნენ, რაზე ბაასობდნენ ღამის მდუმარებაში გასუსულები... ეგებ ავსულები დაშლიგინებდნენ და ვაი იმას, ვისაც გადაეყრებოდნენ...

არსებობისათვის ბრძოლა, კაცისა და მიწის ჭიდილი შობს იმ სიყვარულს, რომლის გარეშეც კაცს ჯიგარი როგორ დაეწვის, ოჯახზე, სამშობლოზე, ან აიმ გადავლილ ღრუბელზე, ხელისგულივით რომ დაეფინება ხოლმე პიტალო, გახურებულ კლდეებს, თითქოს შვილს შუბლზე სიცხეს უსინჯავსო.

რა ვქნა, მე ჩემი მახსოვს და მენატრება:

ახლად ფუჩეჩგაცლილ ტაროს გაშლილ ჭილოფზე რომ დავახორავებდით, თითო-ოროლა, შემორჩენილ ჭყინტებს ცეცხლს მივუფიცხებდით, დანარჩენს კი მზეზე გავშლიდით, გავანიავებდით და წყლის წისქვილში ჩამოვფქვავდით.

მახსოვს, იმ დოლაბის ნებიერი ღუღუნი, ხვიმირიდან კისრისტეხით გადმომხტარი მარცვლები და ქვედა დოლაბის პირთან მიდგმული ხის ამბარი ფქვილის თეთრი, თბილი ნამქერით როგორ ივსებოდა. ბოლო მარცვალიც რომ ისკუპებდა, ხის ბრტყელი ასაკრეფით „ამოვხაპავდით," დავაცარიელებდით ამბარს. შინ მიტანილ ფქვილს გაცრიდნენ, ნელთბილ წყალში მოზელდნენ. ჩააკრავდა თონეში ბებიაჩემი, წაფარებდა ფიცრებს და რამდენიმე წუთში ამოყრიდა ყუადაბრაწულ, თავისი ნათითურებით დამშვენებულ ჭადებს.

ფაფაც როგორი გემრიელი იცოდა ჩვენი ურწყავის სიმინდმა — თუჯის ქვაბში ჩახარშული ღერღილი, გაბუტულივით რომ ბუშტავდა ტუჩებს, ამოიფშვენდა, ამოიხვნეშებდა, ერთხანს ითუთუხებდა და გადმოდგამდნენ მაგიდაზე.

ვიდრე ჩამოარიგებდნენ, თეფშის შუაგულში ფაფას მისწევ-მოსწევდნენ, „ჩაჩვრეტდნენ" და ერბოს ან კარაქს ჩადებდნენ...

კიდევ რა მახსენდება?

გახურებულ ნაწვერალში გაბრაზებული ყვავი ჩამოჰყრის ყრანტალს, მწყერს წამოაფრენს ჩვენი ყიჟინა. გასროლილი „ყურშმანგი" თავზემოთ გაიელვებს, შეაჟღარუნებს ერთმანეთს დაჯახებულ ფოლადის მავთულებს...

კიდევ, ცაზე მოდგება, პირდაბანილი, გაცინებული მნათობი, პირველი სხივი სარკმელზე აელვარდება, თვალებში შემოგიჭყიტინებს, ძილს დაგიფრთხობს, ქანდარაზე აფართხალებულ მამალს დასაყივლებლად წააქეზებს, სანახიროსაკენ დაფუზარავებულ ძროხას ჩვილი ხბო აედევნება, დვრილებზე დაექიჩმაჩება და თბილი, მოწველის მერე ცურში დარჩენილი რძით ყელს ჩაიკოკლოზინებს...

ან...

ტროტუარზე ამობღოტებული, მანქანის საჭეზე მორგვივით თავჩამოდებული, „ახალი ქართველი" გაბოროტებული მიყურებს, თითქოს ის კი არა, მე ვიჯდე კონდიციონერით გაგრილებულ, უკანასკნელი (ჰა-ჰა, უკანასკნელისწინა) მოდელის „ჯიპში."

თუმცა, რა გასაკვირია, აღრენილი რომ მიყურებდეს, ამ ბღენძს ახლა თოხის, სიმინდის და მიწის აპოლოგია უნდა? განა არ იცის, რომ არც მე მისკდება გული მისი სიყვარულით?

რა ვქნა, მიყუროს, ემანდ თვალი არ მცეს!

ქალაქის გუგუნში, აქედან შორს, ლეხურას გაყოლებულ ციცქნა ნაკვეთებში ამოწვერილი სიმინდი რატომ მომაგონდა:

დედაქალაქში ჩამოსვლამდე, მთელი გზა, გაპარტახებულ ქართლის მინდვრებს ვუყურებდი.

ერთ დროს აქაურობა იყო ხილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის ბეღელი.

ამ მინდვრებს ახლა მთის ხეობებიდან, ფესვებიდან მოგლეჯილი მუხის კორომებივით მომზღვლეული ლტოლვილთა უსახური ბანაკები შეუხიზნავთ...

მძიმე დრო შემოგვაპარეს — ვიღას აქვს ჩემი წუწუნის მოსმენის გულისადგილი — რაც იყო, იყო!

თუმცა იქნებ არაფერი არც ყოფილა, „იდილიური" წარსული სიზმარში ვნახეთ, მოგვალანდა ჩვენმა წამიერმა, თითებში ლამივით გაპარულმა ცხოვრებამ?

ვინ იცის... ვინ იცის!..

სარეცხი

დაუბერავს ფიფქგარეული დეკემბრის ქარი, აჭრიალდება აივანი და აქანავდებიან სარეცხით დამძიმებული თოკები. ჯერ ნელა, მძიმე-მძიმედ შეტოკდებიან, მერე თანდათან აუჩქარებენ და გარბიან ყინვით გაფხუკული შარვლები, ხალათები, პერანგები, მუხლებთან დაბერილი სპორტული პიჟამოები, ღამის პერანგები, ქარით აცეკვებული წინდები. გარბის ყველა, დიდები, პატარები, ბერიკაცის საცვლები და ფეხაუდგმელი ჩვილების მკლავებგაშლილი ფლანელის ხალათები... გარბიან, გარბიან, თვითონ ჰგონიათ რომ გარბიან, თორემ ადგილზე ტრიალებენ, კისრებში ჩაფრენილ სარჭებიდან თავის დაღწევას ამაოდ ლამობენ. ერთმანეთს ფეხებში ედებიან, უსწრებენ, ჩამორჩებიან, ისევ უსწრებენ... დეკემბრის ქარი კი სიამოვნებისაგან ღმუის, ამხელა ჯამაათს თავის ჭკუაზე ათამაშებს და რა გასაკვირია, რომ უხარია, აზარტს აყოლილი გულშემატკივარივით აქეზებს, გვერდებიდან თუ ზურგიდან მუჯლუგუნებით მიერეკება მარათონელებს...

აივანზე როდის-როდის გამოვა შალმოხვეული დედაკაცი. იატაკის ჯოხით თავისკენ სათითაოდ მოიწევს თოკებს.

გათოშილი თითები ჩქარ-ჩქარა ჩამოხსნიან, ჩაკეცავენ სარეცხს პლასტმასის კალათში.

გაფხუკული სარეცხი ახლა თბილ ლოჯიაში, მაგიდაზე დახვავდება. ტალღებივით აფოფრილი თეთრეული თანდათან ჩაცხრება, დარბილდება, დაიჩუტება, მწარე ნაჩქმეტივით მალე დაუამდება სარჭების ნაკბილარები. შარვლის ტოტებში გაყურსული ქარი დროს იხელთებს და უჩუმრად ისევ გარეთ გაიპარება.

ფიფქების ბოლო გაბრწყინება თვალს მოსჭრის დიასახლისს.

თეთრეულზე უთოს ცხელი, ტკიცინა კვალი გაივლის და ცხელი ორთქლი მაჯას მოელამუნება.

გარეთ, თოკებზე გამობმული ქარი, კიდევ კარგა ხანს ისევ აღმა-დაღმა ირბენს, იყეფებს, ვიდრე ძალა გამოცლილი არ მიყუჩდება.

ფოთლის დაწვა

ტკაცუნობენ გამხმარ ნარეკალზე თუ სიმინდა ბალახზე შემორჩენილი ნაზამთრალი ნიჟარები. ცარიელები, გამოფშუტულები. ლოკოკინები აღარ გამოდიან ნიჟარის ციხე-დარბაზებიდან ლორწოვანი, თიმთიმა ტანის რხევით.

ხრჩოლავს ფოთოლი, პატარა ბულულად აგროვებული ბალახი, იწვიან ზამთრის ქარებით ჩამოყრილი, ხეებს ჩამოტეხილი ხმელი ტოტები. შავი კვამლი, დუქარდით ახლად გადაპარსული მატყლივით ჭუჭყიანი, მძიმე, დაბურულ ხვეულებად იგრაგნება და მაღლა-მაღლა მიიწევს.

ბევრს აღარ ეხახვება ახლა ბუნების აღწერა, მაგრამ რაც თვალს მოსწონს და ახარებს, როგორ შეიძლება ფურცლებსაც არ გაანდო.

სადაც უხეირო, მეჩხერი ხეივანი მთავრდება, კაკლის ქვემოთ, ერთ ბარისპირა შემაღლებაზე, ფურისულები ბღუჯაბღუჯად ჩაქცეულან — მწვანე და ლურჯი, თითქოს შენსკენ ხელჩაკიდებული დედა-შვილი მოიჩქაროდნენ!

გაჭიანურებული ზამთრის შემდეგ პირველი დღეა, გაზაფხულმა რომ დაათბო.

შინდს ხომ ვერაფერი დაასწრებს — უკვე ყვითლად დაყვავილებული გადმოეკიდა მავთულის ღობეს.

გუშინ მამაჩემი გარდაიცვალა.

თვითონ ამბობდა, ოცდაექვსიანი ვარო.

საბუთებით ორი რვიანი მოხაზა და... პირველ მარტს დაიბადა, ოცდათერთმეტში გარდაიცვალა.

ყველაფერში იდუმალ სიმბოლოთა ლოგიკას ვეძებთ, რაღაც ჩაუწვდომელის ნასკვის გახსნას ვცდილობთ.

ვისაც ვუთხარი, გაუკვირდა:

„უყურე შენ?“

დადექი და უყურე!

ალბათ მე რომ მასიამოვნონ, იმიტომ იკვირვებენ.

გასაოცარი რა არის? არც არაფერი — თვის დასაწყისში დაიბადა, ბოლოში აღესრულა, მორჩა და გათავდა.

დავიცუცქე.

საჩვენებელი თითით, მამაჩემი ღილშეკრულ პერანგის საყელოს რომ მოიხალვათებდა ხოლმე, ფურისულას ბღუჯას ძირი ეგრე შემოვუთხარე, „მოვუხალვათე“ მიწა, ფესვებიანად წყლიან ჯამში ჩავდებ და მიცვალებულს თავთით დავუდგამ-მეთქი.

მიწის კაცი იყო, ნამდვილი ბუნების შვილი, რამდენჯერ მინახავს ნაბარში ჩამდგარი, ჩაფიქრებული, გარინდებული, თითებში ბელტის ნატეხს რომ დაჰყურებდა და აფხვიერებდა.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

იქნებ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს?

სათქმელი კი რამდენი ჰქონდათ!

ახლა, რომ შეეძლოს, ვიცი, იყვირებდა, ეს უმსგავსი, საყვავილეების გვირგვინები და ხელოვნური, სათბურის „ნაბუშრები“ მომაცილეთო, რადგან სძაგდა ყველაფერი არაბუნებრივი, მოგონილი.

მაგრამ მაინც ჩემი გადაწყვეტილება უცებ შევცვალე და ფურისულას ფესვებს ისევ მიწა მივაყარე:

ყვავილი ისეთი გულუბრყვილო, კამკამა თვალებით მიყურებდა, რომ შემეცოდა, ვაითუ არ ესიამოვნოს და მიცვალებულმა დააფრთხოს-მეთქი.

მეც ხომ ასეთი ვარ — როცა მოვკვდები, მჯერა საკუთარი თავისაც შემეშინდება...

ღობის ძირებში, ზემოდან დაფენილი ხმელი, მშრალი ფოთლის ქვეშ, ვიცი შავად ლაპლაპებს ძველი, ნესტით დამძიმებული, სველი, ლიფლიფა ნეშომპალა.

ესეც ხომ მიცვალებულია, რატომ მისი არ მეშინია?

ოხერი ცეცხლი, ხმელი რომ ააპრიალა, მერე დანარჩენსაც აუტეხა ტკაცუნი, შემპარავად შეენთო, შემოურბინა, გააფიცხა და ყველა მხრიდან მოედო.

ღმერთო, როგორი გაზაფხულის დღეა!

ნეტავი მამაჩემი თუ გრძნობს!

როგორც ახლა უყვართ თქმა, ამ „ტექსტს“ ბალახში ნაპოვნ სქელი ფურცლის ნაგლეჯზე ვწერ.

ასეთ ქაღალდს ხილის ჩასაწყობ ყუთებში ჩასაფენად იყენებდნენ.

მამაჩემი, ყუთის ძირის ზომაზე, „რულონს“ ქაღალდს ჩამოახევდა ხოლმე, კოხტად ჩაკეცავდა, დადგამდა ვაშლის ხროვასთან, არჩევდა, აწყობდა საღ ნაყოფს და ხილის ყუთში წითლად ჩაგუბდებოდა ხოლმე გამძლე, ყინვის ამტანი კეხურა.

ხილის მწკრივები ყუთს რომ ამოავსებდნენ, ზევიდანაც ქაღალდს დააფენდა, თხელ ფიცრებს, თავსა და ბოლოში, „საიაშიკე“ ორ-ორ ლურსმანს დაჰკრავდა, დააჭედებდა...

ეს ქაღალდი მაშინდელი შემორჩენილი იქნება.

მიკვირს, აქამდე დაწვას როგორ გადაურჩა.

მას, ახლა უკვე გაციებული მამაჩემის ხელების სითბო აქვს.

ვაშლი

რამდენი ხანია გულაღმა დაწოლილს ცისთვის არ ამიხედავს. არა, ფეხზე მდგომი ხშირად ვყოფილვარ ზეცის „სტუმარი,“ მაგრამ თავქვეშ ხელებამოდებული, პატარ-პატარა ღრუბლების ქულებით ამოძრავებულ ცას რომ შეჰყურებ, მაინც სულ სხვაა. თითქოს ამხელა ზეცა სულ შენს მკერდზე გადადის, მჩატე, სიფრიფანა, თვალშეუდგამ უსასრულობაში გარჩენილი ნავივით წყნარად მიირწევი ისე, რომ ხოფების მოსმაც არ გჭირდება.

სიონში, მინი-ზღვად დაგუბებულ იორს, მთებშორის მოქცეული სოფლები, ხევები და ღრმულები, რომ დაუფარავს, ამოუვსია, მეგობრის კარ-მიდამოდან გადავყურებ — ეს წყალი, მზე, სხივების ციმციმი, სანაპიროზე მოთევზავე, მიმწუხრის მზეს მიფიცხებული დამსვენებლების ხილვა მიცხრობს ზღვის მონატრების ოცწლიან წყურვილს.

ჩვენ აღარ გვეკუთვნის „ზღვა რომელიც შორია“, არც ის — რომელიც წაგვართვეს და არც ის — რომელიც ვითომ ჩვენია, მაგრამ ქართველების დიდი ნაწილისათვის, მათი ჯიბის შესაძლებლობების გამო ისიც დაკარგულია.

თუმცა, რა დროს ეს არის, ეს გასაოცარი ცა ჩემში და მე — ზეცაში. მხრებით ვგრძნობ გამთბარი ბალახის მოფერებას. ჩემი გონებიდან ნელ-ნელა იბერტყება ჟანგი და ჭვარტლი, რაღაც უჩვეულო, ლამის გადავიწყებულ სიანკარეს გრძნობენ ფილტვები.

ბაღჩიდან მზესუმზირები მიღიმიან.

შეუწამლავი ვაშლის ლოყაწითელი ნაყოფი ხმაურით წყდება, ფერდობზე მოგორავს და ჩემს ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე ჩერდება.

ნესტოები გრძნობენ მის სურნელს.

კბილები — მომჟავო-მოტკბო წვენის ჩუხჩუხს.

თითებს ბალახში მივაცოცებ, ვეპარები და სადაცაა ვაშლს წავწვდები.

მეორე დღეა, მეზობელი სახლის აივანზე, ვიღაც „დაჩნიკი“ ევა გადმოდგება ხოლმე და ჩემზე არანაკლები ინტერესით, აქეთკენ იყურება.

— ოჰ, ევა, დამაცა, ჯერ ეს ვაშლი ჩავკბიჩო და მერე შენი დღე ნახე!

ცოტაც და, ხელისგულით გაკრიალებული, ბიბლიური „შაფრანი“ პირთან მიმაქვს.

რა იცის ევამ, ტყუილი მუქარა რომ არ მიყვარს!

სარწყავში

კიტრის კვალში წყალი მივუშვი. რეზინის მილიდან გადმოჩქეფილმა ნაკადმა უცებ მიაგნო წინასწარ მონიშნულ გზას, ფხვიერი მიწა ჩაალბო, ცხელ შეჭამანდში ჩაფშვნილ, ხმელი თონის პურივით ჩაფაშრა, გაანედლა ყვითელი ყვავილით დაწინწკლული კიტრის ღერები, თანდათან უფრო ქვემოთ ჩაინაცვლა და ტკბილად ალიკლიკდა.

ჩემთან ერთად დაცუცქული კატა აფარფატებულ ფოთოლს ეთამაშება.

ჩემი მასპინძლის, ვაჟას ოთახიდან ხმააწეული ტელევიზორი ბობოქრობს.

როგორც ცარიელ ქვასანაყში ფილთაქვა უხათქუნო, ეგრე ისმის დიქტორის და მოწვეული ექსპერტების გაბმული, მონოტონური ყბედობა.

ამდენი ბრძენი და ჭკუის დამრიგებელი კაცობრიობას ჯერ არ ჰყოლია.

საერთო ჩარბუზანას ჩვენც ხომ არ ჩამოვრჩებით...

ლაპარაკობენ მსოფლიო წესრიგზე და რა არის ეს „წესრიგი,“ თუ არა ის დომხალი, რომლის აბლაბუდაშიც გაბოჭეს, გაახვიეს დედამიწა. სიყვარულზე ლაპარაკობენ და სინამდვილეში ზიზღს, უნდობლობას, უპატივცემულობას თესავენ, აღვივებენ. უფლის მიერ გამოძერწილი ადამიანის კლასიკური მოდელი, აღნაგობის თანამიმდევრობა — გონი (თავი), გული, კუჭი, — რიგითობა აურიეს და სათავეში კუჭი მოაქციეს.

მახსოვს, ბუშმა, განცვიფრება იმით კი არ გამოხატა უნიკალური, გამორჩეული ხალასი კულტურა, ქვეყანა რომ ნახა, მუცელზე დაირტყა ხელი, ხინკლით კმაყოფილი კუჭს მოეფერა.

დაირღვა ღვთით ბოძებული წესრიგი. ჭკუიდან გადაიყვანეს მსოფლიო, ქვეყანა ქვეყანას, შვილი მშობელს, მეზობელი მეზობელს გადაჰკიდეს... ყალბისმქნელები, ქილერები, დაქირავებული ბანდები ურღვევენ ადამიანებს მონატრებულ სიმშვიდეს. გასული საუკუნეების მხატვრების, მწერლების, მუსიკის ტონებში, სიტყვებში, ბგერებში ჩარჩა იდილიური ყოფა, აუმღვრევლობა კაცთა სულისა.

რომელ მსოფლიო წესრიგზე, კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ, მხოლოდ ერთეულებს რომ ერგოთ მილიონების უბედურების ხარჯზე? სულ ეს არის კაპიტალისტური დემოკრატიის მონაპოვარი? „რკინის ფარდის“ ჩამოგლეჯის მომლოდინეს, დანარჩენი სამყარო უფრო მეტად საინტერესო და კეთილშობილი მეგონა.

თხილამურებზე შემდგარი „პირველი პირი“ ბაკურიანის სიკეთეზე ლაპარაკობს და გვპირდება, ისეთი კარგი და სასარგებლოა ჯანრთელობისათვის, შვილები სულ აქ უნდა ვატაროო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ამ უხეიროდ აწყობილმა ახმახმა, თავის გუნდთან ერთად, „დანაელთა საჩუქარივით“ რომ შემოგვატყუეს უცხოელმა კეთილისმყოფელებმა, კი უნდა იცოდეს, რომ ბაკურიანი ჯანმრთელობას აკაჟებს, მაგრამ გაუმადურებულ, გაქსუებულ, ფორმა და შინაარს დაკარგულ სულს ვერაფერს შველის! — დანარჩენებმა რა ვქნათ, სხვებს შვილები არ გვყავს?

ბავშვობაში, სოფელში, ქალაქიდან ჩამოსულ ერთი შეძლებული ოჯახის შვილიშვილს, სულ ეჭირა ხოლმე ჯოხზე წამოცმული, წითელი, კარამელის „მამალო“.

აუსვამდა ენას, ატლეკავდა კანფეტს და ფანჯრიდან გვანანიებდა ნერწყვმორეულ ბავშვებს.

ესეც ასე, თავისი წყალობით ქვეყნის გაღატაკებულ, დაჩლუნგებულ გასაცოდავებულ საზოგადოებას წითელ „მამალოს“ ცხვირწინ უტრიალებს...

ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება — როგორც იქნა გაბედა, ამოხეთქა უკმაყოფილო ხალხის რისხვამ, ყვარყვარეს გადატენილი საკნების შიშმა უკან დაიხია და ლამის გამოანგრიოს ტელევიზორი.

ჩემი მასპინძელი, რომლის შვილიც საერთო გაუგებრობის მსხვერპლი გახდა, გინებით გულს იოხებს და სიგარეტის ღერი ყუამდე დაჰყავს...

მეძახის, მაგრამ ამ მონატრებულ სიმშვიდეს, პატარა ბოსტანმა რომ მაჩუქა, როგორ მივატოვებ — წყალი ისევ მილიკლიკებს, მესაუბრება, თითებზე მეფერება, რაღაცას მიამბობს, მიყვება, ძალიან ძველს და ძალიან ახალს.

მისი გულისნადების წაკითხვა რომ შემეძლოს, გავიგებდი ფშავის მთებში, უღრანების ნოტიო სიმყუდროვეში დაბადებულმა წყაროსთვალმა, რა გზა გამოიარა, როგორ ჩამოივაკა, ვიდრე ლეკვივით ხელისგულზე ენას ამისვამდა, ჭკნობაშეპარულ ჩითილებს გამოაცოცხლებდა...

ჩვენი ენერგიაც ასე უნდა აპოხიერებდეს მარჩენალ მიწას. მაგრამ რა ვქნათ, როცა უგზო-უკვლოდ მიგვაქანებს ფარას გაძღოლილი „ჯიხვების“ გულცივობა, გულდედლობა, ვითომ ქართველებისა, რომელთაც, გარდა ძალაუფლებისა და გვარ-სახელებისა, არაფერი საერთო არა აქვთ თავიანთ უბედურ სამშობლოსთან.

ჩემს წინაპარს ესმოდა ამ წყლის, ბალახის, გაზაფხულის მზის პირველ სხივებზე გაღვიძებული კვირტების და, რაც მთავარია, თავისი შემნახავი მიწის, რომელიც ნერგივით თვითონაც ასაზრდოებდა, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით ახარებდა, ინახავდა, რომ ბოლოს, კენწეროდან მოწყვეტილი ფოთოლივით თავისთან დაებრუნებინა, ვალმოხდილი ჩაეხუტებინა.

კიტრის გვერდით პომიდვრის კვლებია, უფრო ქვემოთ — წიწაკის, ახალწამოქოჩრილი მწვანილეულის პატარ-პატარა, მწვანე კუნძულები...

ყოველი მათგანი თავის რიგს ელოდება.

ცოტა ხანში რეზინის მილს ადგილს მოვუნაცვლებ, წინ წავწევ, დავაწინაურებ.

ლეკვივით მოუსვენარი ნაკადი ახლა პომიდვრებს მიუხტება, ჩაუვლის, ჩაეხვევა მოწყურებულ ფესვებს.

კიდევ კარგი აქ მაინც არის წესრიგი, თანხმობა, ერთმანეთის გასაჭირის გაგება-თანადგომა, არ ირღვევა უფლის მიერ აწყობილი სინქრონი.

ყველაფერი ნელა, მაგრამ ბეჯითი მონდომებით მიიწევს მთავარი მიზნისკენ — ადამიანმა უნ და მიიღოს თავისი შრომის ნაყოფი.

ბუნების კეთილი განზრახვა მარტივია და ადვილად გასაგები.

მთავარია მის ასრულებაში ხელი არ შევუშალოთ...

რეზინის მილი გრილი ოფლით იცვარება.

დროებით გაჭირვებული

ჭავჭავაძეზე, უნივერსიტეტის სიახლოვეს, რომელიღაც მდარე,სულელური კონცერტის მაუწყებელი აფიშის ფონზე დგას, მაღალი, ხმელი, შავი სათვალით და ნიკაპით ხელს დაყრდნობილი, თუ არ შეირხა, შეიძლება ქანდაკებაც კი გეგონოს.

რაღაცნაირი „დგომი“ აქვს, თბილისურ-ძველბიჭურ-ინტელიგენტური, იქნებ თავადურიც, მთელი მამულები ორთაჭალის ბაღებში რომ შემოეჭამა და ეს გაფუყული, ამპარტავნული გარეგნობაღა შერჩა. იცოცხლე, ამასაც გაყიდდა, დაადგირავებდა მუშტარი რომ ეშოვა, მაგრამ მეჯღანუაშვილებს და მანთაშოვებს, რა თავში სახლელად უნდოდათ.

კაცის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, გაზეთის ნაგლეჯამოდებული, იტალიური თუ ესპანური ლურჯი ბერეტიც, სამათხოვროდ რომ ამოპირქვავებულა, ვითომ მას არ ეკუთვნის, ვითომ თვალებით ერთხელაც არ გადაუთვლია ქუდის ძირზე ცრემლებივით მბზინავი, ახალმოჭრილი მონეტები.

თან ისეთი ტიპია, მხოლოდ „ქველმოქმედებას“ კი არა, გამოლაპარაკებასაც რომ მოგანდომებს.

ვინ იცის, იქნებ პირველად არ ვხვდებით, იქნებ სტუდენტობისდროინდელ, ჩვენი შესაძლებლობებისათვის ხელმისაწვდომ სასადილო-სასაუზმეებში, იაფფასიანი „გარეჯით“ გაბრუებულებს ერთმანეთი გადაგვიპატიჟებია კიდეც.

უფალმა ხომ ღარიბი, მაგრამ ლამაზი ახალგაზრდობით „დაგვაფინანსა,“ ღვთის წყალობას თავგანწირვით დავეწაფეთ და ისე ვხარჯეთ, გულის მოსაოხებლად „გროშიც“ კი არ დავიტოვეთ.

რომ დამეტოვა ხომ, დღეს, ეს კარგი კაცი რომ განვიკითხო, ჯიბის საგულდაგულოდ მოჩხრეკვა არ დამჭირდებოდა (ისე, ბევრმა არ იცის — მოჩხრეკვა პურის მცხობელთა ან იმათი ტერმინია, ვისაც ცეცხლთან აქვს საქმე: — „ღუმელს გამოუჩხრიკე, ცეცხლი არ ჩაქრეს,“ „ნაკვერჩხალი მოჩხრიკე, თონე არ განელდეს.“).

ქუდისკენ დავიხარე და ნახევრადყრუც გაიგონებდა, ისე ჩავილაპარაკე:

— ეჰ, იყო ბედნიერი დრო, როდესაც თბილისს ქართველი მათხოვარი არ ჰყავდა-მეთქი.

— მერე, რა იცი რომ ქართველი ვარ!

— ეგრე დარდიმანდულად, სხვა ერის კაცი ვერ დადგება.

— ე. ი. პოზა მყიდის?

— რა ვიცი, პოზას დაარქმევ თუ ცუდმედიდურობას...

— ყვავი ნეხვზე რომ იჯდა და ზედ ბოლოს არ დებდა, მაგას გულისხმობთ?

— ჰო, ეგებ მაგასაც.

— რა ვქნა, ქართველი ვარ, თანაც ისეთი გვარის, ბარე ორს შეშურდება.

— თუნდაც ამ მდგომარეობაში რომ გნახოს?

— თუნდაც... — მერე მოკაუჭებული საჩვენებელი თითი დამიქნია, — ეგეთი რა მდგომარეობა შემამჩნიე?

— ხელი რომ გაქვს გაშვერილი!

— ეე, ძალიან ცდები ძმაო, მე? ხელგაშვერილი? ეგეთი რამე ჩემთვის არავის უკადრებია! ყველაფერი გამოიცანი, გარდა მთავარისა...

— მიბრძანე, რაში შევცდი?

— მე მათხოვარი არა ვარ!

— აბა?

— დროებით გაჭირვებული და დახმარება მესაჭიროება... როგორც წინა ღამის გამყოლილ „ბუხოის“ ჭიქა არაყი მიაწოდო, ეგრე, რა... განა იმას ერთ სირჩას დააყვედრი, „ველიამინოვის“ სახინკლეში, სასადილო „ყაზბეგში“ ან ობლების „ზაბეგალოვკაში“ ყელგამშრალი, ყანყრატოათრთოლებული მუდარის თვალებით რომ მოგაჩერდება?.. ჰოდა, ეგრე, ტერმინებს ფრთხილად მოხმარება უნდა, გარჩევა უნდა ისწავლო, ვის როგორ მიმართო! დაიხსომე, დროებით გაჭირვებული ვარ-მეთქი! — დამიმარცვლა და ხელმეორედ დამიქნია ის კაუჭა, არისტოკრატული თითი.

— რა სახელს დავარქმევთ, რა მნიშვნელობა აქვს, ისტორიული ძეგლის რესტავრაციაზე რომ არ მუშაობ, ყველა ხედავს... იქნებ შეყვარებული გოგო-ბიჭი, შენ სიახლოვეს, პაემანსაც უნიშნავენ ერთმანეთს, აი, იქაო, აფიშასთან მათხოვარი რომ დგასო და არა დროებით გაჭირვებულიო...

— რა ვქნა, ამ გაბოროტებულ ქვეყანაში, ოღონდ ვინმეს ვინმე უყვარდეს და ჯანდაბას ჩემი თავი, მიწოდონ რაც უნდათ, მითუმეტეს ახალგაზრდობისაგან ავიტან... შენ ნუ იტყვი, შენ ნუ გადამივლი, გამიგე, ძმაო? შენ არ იფიქრო, ეგრე... სახელს რას დავარქმევთ, ძალიანაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც გულისტკივილით აღნიშნე, მათხოვრობის გზაზე დამდგარი ქართველი კაცისათვის...

— ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად, „პილიგრიმობის“ ეს სახეობაც ამ საუკუნის მონაპოვარია...

— ჰო, საშოვარზე, ცხრა მთას იქით წასული ცოლი და ქუჩა-ქუჩახელგაშვერილი ქართველი კაცი... „ლომო შე ლომის მოკლულო...“ ეხლა მაინც გაიგებს გამოსირებული ქმარი, ვის მხარბეჭს დასტირის გაგარეულებული ცოლი? ამ ნაბიჭვრების ხელში კიდევ ბევრი საოცრების მოწმე გავხდებით.

— აბა, აბა, პოლიტიკურ დომხალში არ გამრიო!.. მოკლედ, გამოდის რომ ქართველ მათხოვრებს სახელიც გინდათ და სახრავიც.

— ეგრე, კომფორტისთვის დაბადებული ერი ვართ. იმიტომ დაგვითმო, სამუდამო მფლობელობაში, უფალმა, თავისი აგარაკი.

— დაგვითმო, თორემ აგვისტოში არ გაანიავე.

— მე გავანიავე? — მკერდი ჩაიმჯიღა და გაოცებულმა სათვალე ასწია, დაბინდულ, ამღვრეულ თვალებში ჩამახედა, — მაგის გამნიავებლისაც და დამბრალებლისაც... არ მათქმევინო, გაიგე?.. არ გადამაყოლე ამ ორმოცდაათთეთრიანს? კიდევ კარგი პროკურორი არ ხარ თორემ ამ ბოზიშვილების ცოდვებს სულ საცოდავ ხალხს არ წამოჰკიდებდი?.. მალადეც, რა!.. — გაბუტული გვერდზე შებრუნდა, სიგარეტს მოუკიდა და აფიშას მიაბოლა, — ერთი ეს პადოფილებია, რა! — ისევ ჩემკენ შემობრუნება არჩია, — მოკლედ, ასეა, ძმაო, დადგება დრო და ვალს ყველას დავუბრუნებ, — გაპარჭყა საჩვენებელ და შუა თითს შორის გარჭობილი სიგარეტიანი ხელი, — იმათაც კი, ვისაც თეთრიანიც არ ჩაუგდია ამ ჩემს ყულაბაში, — მსუბუქად წაჰკრა ფეხსაცმლის წვერი ბერეტს.

— მაშ დააბრუნებ?

— უეჭველად!

— ამ ჩემს სიმწრით ნაშოვნ ორმოცდაათ თეთრიანსაც?

— ათმაგად, ძმაო, ათმაგად.

— მერე, სად უნდა მოგნახო?

— მუხათგვერდში, კუკიაზე ან სადმე, „სწრაფი კვების“ ობიექტის სიახლოვეს... აბა პანთეონში ხომ არ მომძებნი?.. სადღაც ამ მიდამოებში... თუ არ მოვკვდი, არსადაც არ მივდივარ, ამ ქალაქის ჩიტი ვარ და გადამფრენ ფრინველებს არ ვეკუთვნი ასე, რომ ამის ჯავრი არა გქონდეს, საიმედო ხელშია, — მანიშნა ბერეტში, „არიოლზე“ დამჯდარ ვერცხლისფერ მონეტაზე.

— კარგი, არ მექნება! — წასვლა დავაპირე.

— კიდევ როდის გამოივლი?

— ფულს როგორც კი ვიშოვნი.

— ორმოცდაათიანის შოვნას რა უნდა, — გაეცინა.

— შენთვის — არაფერი, აეყუდე მაგ კედელს მხატვრის „ნატურასავით“ და...

— მაგარი ენამწარე იქნები, სახლში როგორ გიძლებენ.

— მეტი რა გზა აქვთ, ორმოცდაათთეთრიანი თუ უნდათ, უნდა გამიძლონ.

— შენც ხელისუფლება ხომ არა ხარ, სხვა არჩევანის უფლებას რომ აღარ გვაძლევ...

— არა ხართ ღირსები!

— ისიც ზუსტად ასე ფიქრობს, აი! — თითი აიშვირა ცისკენ.

დასავლეთისკენ გეზაღებული ვერტმფრენის მოტორის ხმამ თითქოს ცა გახერხა და გაიარა ყურებში.

— იმ საწვავის საფასური მაინც რომ მოგვცა, ბათუმში „საგულაოდ“ მიმავალი, ერთ წასვლა-წამოსვლაზე რომ ხარჯავს, დროებით ორივეს გვეშველებოდა...

— ჩვენ გვეშველებოდა, მაგრამ იმათ რა ვუყოთ, მთელ ქალაქში ასობით შენნაირი რომ დგას.

— ისინიც ჩემი სადარდებელია? — გამიბრაზდა, — ხელისუფლებას რეისების მეტი რა აქვს, იმათ თავისი ინატრონ!.. ვაჰ, მიდიხარ? ჩვენი ესე დაშორება შეიძლება, ჰა?..

— მეჩქარება, სხვა დროს...

— რა ვიცით, სხვა დრო მოვა კი? — სახე მოუნაღვლიანდა.

— მოვა, მაშ სად ჯანდაბაში წავა.

— მერე ჩვენ აქ დავხვდებით?...

— ვიღაც ხომ დახვდება.

— „ვიღაც“ არა, ღირსების დამფასებელი ადამიანი მინდა რომ დახვდეს... იცი, ბალზაკს, რა უწერია?.. კაცი იმდენი ღირს, რამდენიც თავისი ჰალსტუხიო...

— ეტყობა, იმ დროს, ჰალსტუხის ღეჭვა არ იყო მოდაში.

— ეტყობა! — ხელი ისევ ნიკაპთან ამოიდო, ჩვეული პოზა მიიღო და მიმახვედრა, რომ აუდიენცია დამთავრდა.

ვერტმფრენის ხმა ახლა უკვე ძალიან სუსტად ისმოდა. რკინის ფრინველის ჩრდილი სადღაც მცხეთის სანახების გასწვრივ, თრიალეთის მთებზე მიფრინავდა და გვეგონა, რომ გზა და გზა, ფეტვის მარცვალივით, ორმოცდაათთეთრიანებს კენკავდა.

იცნობს!

ერთი დედაქალაქელი ძველი ნაცნობი მელაპარაკა, ტელევიზიით გიყურე, ბ-ს მხარდამჭერ შეხვედრაზე სიტყვით რომ გამოხვედი, გაგიმართლა, თორემ ძველებს რომ გაემარჯვათ თავზე ხელს არ გადაგისვამდნენ... ისე, რომ იცოდე, ბ. მეც კარგად მიცნობსო (ვითომ მე „ნაცნობობის“ გამო გამოვედი).

თუ კარგად „გიცნობს,“ მაშ ვერ იქნება შენი საქმე კარგადმეთქი.

გამეფხორა, არ ესიამოვნა!

რა ვქნა, ღირსი არ იყო?

შემოქმედი უფრო გამომსარჩლებელი, გონიერი შუამავალი უნდა იყოს, ვიდრე ბრალმდებელი, მაგრამ ერის ცხოვრებაში დგება წუთები, როდესაც სასულიერო პირიც კი განიძარცვება ანაფორისაგან და მახვილს იღებს ხელში, არღვევს ერთ-ერთ უმთავრეს მცნებას: „არა კაც ჰკლა!“

ასე, რომ ერთი ხელი ჯაჭვის პერანგი ყველას უნდა გვქონდეს გადანახული, რა ვიცით რა ხდება.

მე მწერალი ვარ და ყველანაირ ხელისუფლებას ვჭირდები, მაგრამ მე არ მჭირდება ყველანაირი ხელისუფლება.

გუშინ, თბილისში, ნაძალადევში, ხმის მისაცემად ადრიანად ჩავედი. საარჩევნო უბანზე, ჩემს წინ, ხელებაკანკალებული, ჯოხს დაყრდნობილი დედაბერი იდგა.

საარჩევნო, ხელმოსაწერი ფურცლები და კალამი რომ მიაწოდეს, ფურცლები გამოართვა, მაგრამ „პასტა“ თავისი დააძრო.

მაგიდასთან მჯდომ ქალბატონს ეწყინა, რაო, დეიდა, კალამი რატომ არ გამომართვით, არ გვენდობიო.

არაო! — უპასუხა ხაზგასმული უკმეხობით მოხუცებულმა და ხელის ცახცახით გამოიყვანა თავისი გვარის გასწვრივ ასოები.

მაშინ კიდევ უფრო მტკიცედ ვირწმუნე, რომ ჩვენი საერთო უბედურების „ავტორები“, ამ უილაჯო, მაგრამ კერპ დედაკაცს მკლავს ვერ გადაულუნავდნენ.

მართლაც, წუხელის, ჩვენი ერის ცხოვრებაში ერთი დიდი, მზიანი ღამე გათენდა.

კელაპტარივით აენთო ოქტომბრის პირველი.

დღეს კი, უთენია, გორის ციხისკენ მივიჩქარი, აღმოსავლეთის გოდოლიდან უნდა შევეგებო მზის ამობრძანებას.

მოენატრა ჩემს სამშობლოს ასეთი მზის ამობრწყინება.

ამ ამობრწყინებას თავისი ავტორები — ქართველი ერი და შეუპოვარი ჩუქურთმის მჭრელი ჰყავს.

ღმერთო, ორივეს გაუმარჯვე!

ეს კიდევ, თავზე ხელს არ გადაგისვამდნენო!

მერე, ვინ ელოდებოდა:

წინა ხანებში ფარულად, თუ აშკარად, სატელეფონო „მესიჯებით“ არც მალავდნენ, ჩემს მოფერებას რომ არ აპირებდნენ.

სულელები! კითხვასთან მწყრალად რომ არ ყოფილიყვნენ, ერთ საკანს, აქამდე, არც მე დამამადლიდნენ.

კომბლებს იმიტომ თლის მწერალი, რომ ჭერიდან დროულად ჩამოიღოს...

თუ დააგვიანა, რაღა ფასი ექნება!..

ეჰ, მაგრად გავუტიე, ტრაბახის ტუსის სუნი ცხვირში მეცა.

სულ ჩემი ნაცნობის ბრალია.

გორის ციხის მისადგომებთან მობორიალე მაწანწალები უხალისო ღაღავით მიმაცილებენ.

ვჩქარობ, არ მინდა იმ დროს იქ არ ვიდგე, როცა მზის პირველი სხივი, დრო-ჟამით ჩაყვითლებულ ქონგურს აკოცებს.

მრიცხველი

„სოჩიკმა“ გარეკა.

ციფრები რომ ამოვწერე, ისეთი თანხა იყო, მეც ლამის „გავრეკე.“

თანაც როდის, შინ მარტო რომ ვარ, დანარჩენები დედაქალაქში რომ არიან და მუდმივად მხოლოდ მაცივარია ჩართული.

სავარაუდო ხუთი—ექვსი ლარის ნაცვლად, ოცდაცამეტი და „სჩემტა“.

ზღაპრულად დაფინანსებულ „სმკს“ ხომ საქმე გადასარევად აქვს აწყობილი — კი ბატონო, შეიძლება მრიცხველიც ტყუოდეს, ვნახავთ, შევაკეთებთ, მაგრამ რაც დაწერა უნდა გადაიხადოთო, ხელებს მიშლის უბნის ინკასატორი.

რათა, კაცო?

ეგრეა!

რაც არ დამიხარჯავს, იმის რად უნდა გადავიხადო, მითუმეტეს თუ მრიცხველი სცოდავს.

რა ვქნა, იმათა ჰკითხე.

ეს — „იმათა“ ერთი ენერგოკომპანიის კანტორა კი არ არის, სადაც სიმართლეს იპოვნი, მძიმე, ქვეყანაზე ჩამოწოლილი შავი ღრუბელის ნაწილია, ლაბირინთი, სადაც თავი თუ შერგე, სამუდამოდ დაიკარგები — აქ მიხვდები, რა დონეზე აქვთ ჩვენი ნერვების დაწყვეტის საქმე დამხეცებული — ადგილზე განცხადებასაც არ დაიტოვებენ, რკინის ქალამანი უნდა ჩაიცვა და დედაქალაქს ეახლო.

ან იქ რისთვის — გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა.

შემოწმების შემდეგ, როცა გაირკვა, რომ მართლაც მრიცხველი სცოდავდა, ვცადე ბედი — ახლა ინკასატორების უფროსთან მივედი.

მერე იმის ზემდგომთან.

გაგიგონია? რას ეძებ, რა დაგკარგვია.

ხალხო, გამაგებინეთ, რა შეხება მაქვს შუშებიან ყუთში ჩაკეტილ მრიცხველთან-მეთქი.

— რა ვქნათ, ეგრეა!

ჩვენთვის წარმოუდგენელი ხელფასების პატრონებს, მეტი პასუხი არა აქვთ!

სამაგიეროდ აქვთ თავთავისი, პერსონალური კომპიუტერები, სამუშაო დღის დამთავრებამდე თავი რომ შეიქციონ.

ხომ ხედავთ, გაგიჟდა, გადაირია მრიცხველი, მოიშალა მექანიზმი, მთავრობამ ადამიანები გადაიყვანა ჭკუიდან და მრიცხველს რომ რამე დამართვოდა, გასაკვირია? — ხმასაც ავუმაღლებ, მაგრამ აქეთ შემომიტევენ:

ეგეთ თემებზე ხმადაბლა.

არა.

ჰო.

ჰო.

არა...

გული რომ გაგისკდეს და ფეხი გაჭიმო, მიქელგაბრიელს დააბრალებენ.

თანაც, რის გამო —

„მრიცხველმა“ დაუსტვინა!

ომარას განაჩენი

გორის ციხის კიბეზე ვხვდებით.

ის ამოდის, ჩვენ, უკვე ნავარჯიშევები, ქვემოთ ჩავდივართ.

ზემოდან ვხედავდით, ასაკის მიუხედავად ყოჩაღად მოუყვებოდა ჯერ ქვაფენილს, მერე, ჩვენ რომ შეგვნიშნა, უფრო ცქვიტად შემოუდგა დაცერავებულ საფეხურებს.

თავზე ნაქსოვი, სპორტული ქუდი ახურავს და ორი წარბი, აბალახებული მიჯნასავით, ქუდის კიკირტოს ჩრდილში ღაღანებენ.

ძველ, ყოფილ მოკრივეს ცხვირიც შესაფერისი აქვს, ახლადჩაჩინჩლული დედალის ბიბილოსავით მოშვებული და წითლად დაღუდუდებული..

— ეს საქმე ეგრეა! — ვითომ დაწყებულ საუბარს ვაგრძელებდეთ, — ბევრი ვიფიქრე და, მაგის სახსენებელი კი არა, სახელიც უნდა გავაუქმოთ.

არ ვეკითხებით, ვისზეა საუბარი, ტონზე ვხვდებით, ვინც შემოაგდო ჩვენი საერთო განსჯის „საგნად“.

— მგონი, ასეთი უკიდურესობა მეტისმეტია... რამდენი კარგი მიშაა ამ ქვეყანაზე, იმათ რაღას ვერჩით.

— არა, ვთქვი და გავათავე, — ხელი ხელს დაჰკრა, — ეგრე უნდა იყოს!

ჩემი თანამგზავრები ახმაურდნენ, ზოგი ომარას უჭერს მხარს, ზოგი — არა.

— კაცო, ან გამოკითხვა, ან რეფერენდუმი... აგე, ევროპა, დემოკრატია... ლეზბიანკებსა და მამათმავლებს კოჭს უგო-

რებენ, ერთსქესიანებს ქორწინების უფლებას უკანონებენ და სახელის გაუქმებას ვინ გვაპატიებს.

— რა რეფერენდუმი, რის დემოკრატია, მთელი ღამე თეთრად გავათენე მაგაზე ფიქრში...

ახლა სხვა გზა ვცადე:

— აბა, მიიხედ-მოიხედე, ხომ ვიცი არ გესწავლება, ამ კედლებს რამდენი სისხლისღვრა უნახავთ...

— მერე? — თვალმოჭუტულმა ქვემოდან უნდობლად ამომხედა.

— მერე ის, რომ იმათ შორის, ვინც ამ ციხის წასართმევად გვებრძოდნენ, ვინ მოთვლის რამდენი მომხდური ომარი იქნებოდა! მაშ შენი სახელიც უნდა გავაუქმოთ, განაჩენი გამოვუტანოთ და ანათემას გადავცეთ...

ჩაფიქრდა, დაადუმა ჩემმა არგუმენტმა და, რომ მეგონა გამარჯვება უნდა ვიზეიმოთ-მეთქი, თავი ისევ მაღლა, ყინჩად შეაგდო.

— არა, ისინი ათი იმდენიც რომ ყოფილიყვნენ და იმაზე მეტი დანაშაულიც ჩაედინათ, რაც ჩვენს წინაპრებს თავს დაატეხეს, ამის ცოდვებს მაინც ვერ გადასწონიდნენ... კაცო, ტარანი თვლით არ არის? — მოიმარჯვა თითები ჩამოსათვლელად, — კოდორი და ახალგორი ძალით შეტენა რუსებს? შეტენა!.. ოცი წელიწადი, გმირულად რომ იდგნენ ცხინვალიდან როკამდე, ის ხალხი, ის სოფლები ორ-სამ დღეში ააყრევინა, ამოძირკვა ქართველი და ქართველის სახსენებელი და ყველანი ლტოლვილებად აქცია? აქცია! ახლა დაჭერები, ძელზე გასმა გამიგონია, მაგრამ ცოცხზე გასმა? შიშით ლოგინში ცოლს ვერ დაელაპარაკებოდი!..

— ეე, აბა შენცა ხარ... ლოგინში ცოლი სალაპარაკოდ გინდა?

— რა ვქნა, ჩემს ასაკში ეგრეა.

— აა, გამოტყდი, ბებერო, შენ იმდენს ვარჯიშობ, ჯერ კიდევ ისეთი ენერგიის პატრონი ხარ, არც იმ საწყალ ქალს მოასვენებ! — ექილიკება ერთი ჩემი თანამგზავრი.

— მერე, მერამდენე ცოლი ჰყავს თუ იცით, მესამე თუ მეოთხე, იქნებ მეხუთეც, სათვალავი ამერია, — მხარი აუბა მეორემ.

— აბა რა ომარა იქნება, ჰარემი თუ არ ეყოლება!

— მე საქვეყნო საქმეს ვჩივი, თქვენა კიდევ... — ხელს ჩაიქნევს და ასაკთან შეუფერებელი სისხარტით კიბეზე აკუნტრუშდება...

*

— არა, ეგ საქმე უკვე ცაშია გადაწყვეტილი! — იგივე დროს, იმავე ადგილზე, მეორე დღეს უკვე მარტოს მხვდება.

— რა საქმე?

— უნდა ამოვიღოთ ლექსიკონიდან!

— მაშინ, რაც აქ ჩალმიანი ომარას თავი გაგორებულა...

— ომარას თავი დაანებე, გეუბნები...

ისე ვშორდებით ერთმანეთს, კონსენსუსამდე ვერ მივაღწიეთ, ის ზემოთ გარბის, მე — ქვემოთ...

გადამრევს ამ კაცის ახირება, არა და არაო, ჩვენ თუ არ ვქენით, მომავლის საქართველო მაინც იზამსო.

ჩვენ შორის დარჩეს და, მართლაც ისე როგორ უნდა იცხოვრო, რომ ვიღაც ჭკუათმყოფელმა შენი სახელის გაუქმებაც კი მოინდომოს, ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ ომარასთან ხმამაღლა როგორ ვიტყვი...

ამაყობს

მახსოვს, ქუჩაში მივდიოდით. ვანიკომ უცებ ხელზე ჩამომქაჩა, შემაჩერა და სერიოზულად მითხრა, მამა, მე შენით ვამაყობ(?!)

პირველკლასელი შვილის ნათქვამმა გამაკვირვა, დამაბნია, ამაღელვა და მგონი გამაწითლა კიდეც.

ვერ გავიგე, ასე უცებ, მოულოდნელად რა „სიამაყეობა“ აუტყდა, რამ უბიძგა ამ დითირამბის აღსავლენად და ხოტბის შესასხმელად.

მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ გაიგონა-მეთქი.

„ეცადე, ისეთი კაცი დადგე, ისე იცხოვრო, რომ შენითაც მხოლოდ მე კი არა, მთელმა ქვეყანამ იამაყოს!“ — ესღა ჩავილუღლუღე და აბრეშუმივით რბილ, დამყოლ თმაზე მოვეფერე.

„ნეტავი, როგორ ამაყობს, ანდა მომავალშიც, როცა გაიზრდება, მაშინაც თუ იამაყებს“, — სუფთა, გულწრფელ თვალებში ჩავყურებდი, რომელთა სიკამკამეში იდუმალი, შეუცნობელი სევდის სიმიც ირხეოდა.

13.08.2008

დაპყრობილი ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა ატენის ხეობაში, ტანას გასწვრივ, სათავისაკენ აიხვეწა, ნაცნობებს თუ უცნობებს შეეფარნენ, თავი გადაირჩინეს, სამაგიეროდ, მათი ყოფნა უცებ დაეტყო აქაურობას —ორიოდ დღეში, ამ პატარა, კრიალა, ცოცხალ და მხიარულ მდინარეს ამოხადეს სული, უცებ დააბინძურეს, ჩვეული დაუდევრობით გაავსეს საკვების ნარჩენებით, ორივე ნაპირს დაატყვეს თავიანთი დროსტარების მსახვრალი ხელი.

წყალს ზემოდან ყოველგვარი სისაძაგლე მოაქვს, რისი ზიდვაც კი ტანას დინებას შეუძლია – დაკლული ცხვრისა თუ ციკნის თავ-ფეხი, ცელოფნებში გამოკრული საჭმლის ნახორხმალი, ფაშვები, ნაწლავები, პამპერსები... გაქსუებული, სინდისდაკარგული ადამიანების სახედაკარგული კოლტი, ომს რომ გამოექცა, სიკვდილის შიშს რომ გამოერიდა, თავად სიკვდილს თესავს, შხამავს, აბინძურებს. ვერ ხვდება, რომ ესეც თავდასხმაა, ძალადობაა ბუნებაზე, ხეზე, ყვავილზე, ბალახზე, ნაკადულზე, წყაროზე, ფოთოლზე, ღვთის ნაბოძებ თავშესაფარზე, მოპიკირე თვიმფრინავებს რომ დაუმალა, შეუნიღბა მათი თუ გამოქცეული რეზერვისტების სამყოფელი, ბევრი მათგანი ოჯახებში სამოქალაქო ტანსაცმელს რომ თხოულობდნენ, რუსებმა სამხედრო ფორმაში თუ გვნახეს, დაგვხოცავენო.

მართლაც აღარ ვიცოდი, უნდა გვეტირა თუ გვეცინა, გვწყენოდა თუ გაგვხარებოდა ჯარის ამგვარი სულისკვეთება, ყველაფერზე წამსვლელი, გადარჩენის ინსტინქტი.

თუმცა, სახელდახელოდ შეკრებილ რეზერვისტებს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა ამათ უფროსებმა ჯარისკაცებს გამოასწრეს და დედაქალაქს შეეფარნენ, აღარაფერს ვამბობ გაურკვეველი მისიით დანიშნულ თავდაცვის მინისტრზე, რომელიც თავისი ჰაბიტუსითა და გაქანებიდან გამომდინარე, საავჭრო ქარავნის მენეჯერობას უფრო იმსახურებდა.

გაწიე და გაფხრიწე — მცირე გამონაკლისის გარდა, ეს არის ჩვენი საზოგადოება და შედეგიც ადეკვატური — იმის მაგივრად, რომ სინდისმა შეაწუხოთ, ამ თავზარდამცემ დღეებშიც კი არ ღალატობენ თავიანთ ბუნებას, ხასიათს...

ომი, მიუხედავად თავისი საშინელი შედეგებისა, ხშირად განსაწმენდელად იქცევა ხოლმე.

ამათთვის არა!

ა — რა!

კერკეტი კაკლები არიან და იმიტომ!

უცებ დაავიწყდათ, სასწრაფოდ, მანქანის სათავსოებში ჩატენილი განძეულით ჩასვრილები რომ გამორბოდნენ.

ოხრად ნაშოვნი ფული აქაც გამოადგათ — კიდევ ერთხელ განათდა მათი სულის ჯოჯოხეთი:

შორიახლო ყარს მწვანე ბუზდახვეული ფაშვი და მიტოვებული ნასუფრალი.

ტანას ნაპირებთან დაჩქაფუნებული, სიპზე შემომხტარი ტალღა, შემომცინებს, ჩამავალი მზის სხივებზე ასხმარტალდება და წავა, სამუდამოდ თვალს მიეფარება.

ალბათ, ერთმანეთს ვეღარასოდეს შევხვდებით.

ანდა ვინ იცის, იქნებ ოდესმე წვიმად მოსულმა, „გულმკერდზე ია-ვარდიც ამიყოვოს“ და ეს დღე გამახსენოს...

რა არის მანანა ჩიტიშვილის ლექსის საიდუმლო? აშკარად რიტორიკული კითხვაა, მაგრამ იძულებული ხარ მაინც დასვა ეს შეკითხვა, ვინაიდან გინდა და თან ვალდებულიც ხარ რაღაცნაირად შეეხო სრულყოფილების იმ განცდას, რომელსაც მისი ლექსების წაკითხვა ბადებს.

სტაბილურობა და თანაბრობა ახასიათებს მის ლექსს. იშვიათია პოეტი, ესოდენ დიდხანს და მტკიცედ იცავდეს ლიტერატურულ ხარისხსა და სიმაღლეს.

უეჭველია, თანაბრობა ნიჭის ნიშანია, სიმაღლის შენარჩუნების უნარი კი — სიდიდისა.

დიდმა ფრინველებმა იციან ბოინი — ფრთებს გაშლიან და ლივლივებენ ნებისად ერთ სიმაღლეზე.

რაღაც მსგავსი პოეტური „სიურპლასის“ მოწმენი ვართ ბოლო წლებში მანანა ჩიტიშვილის მკითხველები. მან იცის თავისი სიმაღლე და შეუძლია თავი შეიმაგროს ამ სიმაღლეზე.

მას აქვს ყველაზე ძნელად მისაღწევი რამ — ინდივიდუალური სტილი.

მანანა ჩიტიშვილის ლექსი ალმასივით არის დამუშავებული. აქ ზედმეტი არაფერია. ყოველი ბგერა, სიტყვა, ინტონაცია, ფრაზა, აზრი ჩნდება იქ, სადაც საჭიროა. ელემენტთა თანხმობა და თანხმიერება ქმნის ტექსტს. ურთიერთსაჭიროების სულისკვეთება აკავშირებს მათ ერთმანეთთან.

რიტმი და რითმა აყალიბებს ბგერისმიერ, ხმოვან აზრს.

არის იდეა, იდეალი, აზრი და არის მათი გამოხატულება.

უჩვეულო ძალა განაგებს სამეტყველო კომპონენტების დალაგებასა თუ განლაგებას.

ლამის ფიზიკურად გრძნობ ტკივილს, რასაც პოეტი განიცდის და სულის თრთოლით გადმოსცემს.

შენ თვალწინ ხდება პოეტური სასწაული — ფონეტიკა, ბგერის სიმაღლე, რომელიც ბადებს აზრს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტური აზრი არ ნიშნავს განსჯას, აღწერას, განხილვას, არამედ ეს არის ემოციათა გადმოცემის ფორმა, ჯანსაღი პათეტიკა, რომელსაც სიყალბესთან გამავალი საზღვრები მტკიცედ აქვს ჩაკეტილი.

ერთი სიტყვით, საიდუმლო თუ გნებავთ, აქ არის, სიმაღლესა და ინდივიდუალობაში.

მანანა ჩიტიშვილი

ჩემი ლოცვა

მე ისეთი რა უნდა ვთქვა,
არსად არვის არ გაეგოს,
რას შევწვდები ყივჩაღის ლექსს,
„ვეფხვს და მოყმეს“ ან „შავლეგოს“,
ვინაც თავი გაუტოლა,
სულწაწყმედით გარდაეგო,
მიწაზე ხომ გარდაქარდა,
ცაშიც ჯოჯოხეთი ერგო.

ვინა ვართ და საით მოველთ
ან სად მივალთ სადაური,
ზოგისა თუ ლექსი ამბობს,
ზოგის — მხოლოდ სათაური.
გმადლობთ, ღმერთო, შენ მიბოძე
ეს სიმდიდრე, — სულის პური,
თუმც არც დიდებული ვიყავ
და არც ტახტის აზნაური.

ღარიბ ქოხში დაბადებულს
ქარი მიმღეროდა ნანას,
სულ მეგონა, ეს საწუთრო
ჩემთვის აფხავებდა დანას,
ქართულ სიტყვამ მიპატრონა,
დამითესა ლექსის ყანა,
ფიცრულიდან ზეცისმიერ
სასახლეში ამიყვანა.

ხელისგულზე ლექსი მიზის,
როგორც ღვთაებრივი ბარტყი,
აღარც ქარის მეშინია,
აღარც — ელვა-მეხის დარტყმის,
უცხო სხივით კოშკი ვაგე,
ვზომე მზის და მთვარის ლარტყით,
ღვთის და ქვეყნის სიყვარული
გარს ქვიტკირად შემოვარტყი.

აჰა, ჩემი გულის დარდი,
სულის ჩემის ამოკვნესა,
ჩვენ გადავრჩით, ჟამმა ბევრი
უმჯობესი ამოფესვა,
ღმერთო, ღმერთო, ვინც განაგებ
ქვეყანას და ზესთა-ზესა,
ერს და მამულს მიმფარველე,
სხვას არა გთხოვ არაფერსა.

არ შემიტყვია

მეზობლად
ქალი ჩასცქერის ყავას,
თითქოს შემდორდა
დროის დინება,
რა საწყენია,
მე როცა წავალ,
შენ არაფერი
გეცოდინება.

ქარს ჩავკითხე და
არ მიპასუხა,
ქარისთვის დარდი
ბევრჯერ მითქვია...
ძალიან ვწუხვარ,
ისე წასულხარ,
მე არაფერი
არ შემიტყვია.

ნამცვრევი

*

გავიდა ზაფხული
და შენც შეწყვიტე სიმღერა.
ან ვიღასთვის
უნდა გემღერა, —
ჩიტები და ყვავილები
გადახვეწილიყვნენ.

*

ჩემი სიმაღლე უხილავია,
შენი — ხილული,
ერთმანეთს
როგორ შევეტოლებით?!

*

სამკვიდრო წამართვეს,
კერა დამიქციეს,
დაინგრა ჩემი სალოცავი
და ჩემს საფლავებს
ნარ-ეკალმა გადაუარა.
ზოგ-ზოგნი კი მსაყვედურობენ:
„შენს ლექსებში სევდამ იმატაო“.

*

მზეო,
  დედასთან მიმავალო,
ვიცი, გეჩქარება,
გემუდარები,
ერთ ხანს შეიცადე,
მეც დედა ვარ და
ჩემს შვილს ველოდები.

*

მთვარე —
ბებოჩემის ყვითელი კრუხი,
მთელი ღამე
ვარსკვლავებს ჩეკავს.

*

მოდგა სიბერე —
ჩემი ზამთარი
და უნებურად
უცხო მხარეში გასაფრენად
გავშალე ფრთები.

*

როცა ჩემი შვილი
სახლიდან მიდის,
მის მოსვლამდე
ამგვარად ვრჩები —
მუშტისოდენად მოკუმშული

და ჩუმ ვედრებით
ღვთისმშობლის კაბის
თბილ კალთაზე
თავმიდებული.

*
ნუ შეგეშინდება,
რომ სიყვარული წავა
და მარტო დარჩები,
აბა შეხედე მინდვრის კიდიდან
მაყვლის ის ბუჩქი
რა მოელვარე,
მუგუზალის თვალით გიცქერის.

*
მამაჩემი რომ
გარდაიცვალა,
იმ გაზაფხულზე
ჩვენი სახლის
კუნჭულ-კუთხეში
მერცხლებმა აღარ დაიბუდეს.

*
როცა სიკვდილის
პირისპირ დავრჩი,
მაშინღა მივხვდი,
რანაირად მარტო ვყოფილვარ.
თვალსაწიერზე
ჩემი შვილის ჯერ ისევ ნედლი,
გამოუცდელი მხრების გარდა
არც არა ჩანდა,
არავინ იყო,
თუნდა წუთით
რომ მივყრდნობოდი.

*
რას მელაპარაკება
ნეტავ ეს შაშვი, —
მუდამ თალხებით შემოსილი
ბებიაჩემი?!
რას შემომჩივის
გონთგადასული,
რა ტკივილზე მესაუბრება?!
არაფერი მესმის,
თვალებზე კი
ცრემლი მომადგა.

ისევ მოვა მალე მარტი

უამური, ცივზე ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი — ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

არ ვიცოდი, ვინ იყავი, სადაური,
არ მიკითხავს სალოცავი ანდა რჯული,
გიხდებოდა პენჯაბური ხატაური
და თვალები, ვეფხვის მზერით დახანჯლული.

მთვარის გზებით მოდიოდა მთებში ღამე,
ძლივს მოგაგენ, შემეცვალა ალბათ მხარი,
აღსარების ცრემლით კალთა დაგინამე
და შენ მაინც ერთი სიტყვაც არ მითხარი.

დრო გავიდა.
ყანა უკვე სამკელია,
ზოგჯერ მაკრთობს მოლოდინი ავი სეტყვის,
ნუთუ ჩემთვის საამბობი დაგელია,
ნუთუ დღესაც აღარაფერს აღარ მეტყვი.

შენთან მოსვლა არ მქონია განზრახული,
იცის ღმერთმა, უნებურად მოვყევ ბადეს,
დამიწოდე დროის რტოდან გაზაფხული,
რომ მწყურვალი იმედები ამიყვავდეს.

გახსოვს ის დრო, როცა ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი — ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

ატენთან

ვუსმენ ატენთან
ყაყაჩოს სიცილს,
იდუმალ ჩურჩულს
ქართლის მინდორთა,
შენ ხომ არ იცი,
შენ ხომ არ იცი,
მე დაბრუნება
როგორ მინდოდა.

თუმც ცრემლში ვაწე
სუყველა ლუკმა
და გულსაც შენზე
ოცნებით ვღლიდი,
იმ მდინარეზე,
რაც დამრჩა უკან,
აღარ მოჩანდა
არც ერთი ხიდი.

ლარგვისის მონატრება

ტყისპირს ვერცხლის წყარო ცივი,
დედის ცრემლებივით წმინდა,
გზად გულთეთრა მერცხალივით
მონასტერი ამიფრინდა.

დალეწილი ციხის კარი,
გაწყვეტილი დროის ბანდი,
ვაი, რომ ვერ მოგისწარი,
ვაი, რა დროს დავგვიანდი.

უცხო მზერას ვემალები,
ჩუმი მონატრებით ვთბები,
ჩამომსხდარან მწვერვალები,
როგორც პაპიჩემის ძმები.

აქ მასწავლეს, ვინ და რა ვარ,
მზე თვალს როგორ უხელს ვარდებს,
ღმერთო, ოღონდ დაღმა მავალს
საწუთრო არ გამიმწარდეს.

ვიდრე ძარღვში ფეთქავს სისხლი,
სხვა სატკივარს აღარ ვჩივი, —
ამიფრინეთ კვლავ ლარგვისი
ცად გულთეთრა მერცხალივით.

კორიდა

რა მშვენიერი ჩანდა შორიდან
ცხოვრება, მძიმე დროით ნატორი,
ჩვენი სიცოცხლე ჰგავდა კორიდას —
შენ — წიქარა, მე — ტორეადორი.

რომ დამტკბარიყო შენი დაცემით
და სულს ებრუნა ვნების მორევთან,
„ოლეე!“ — გრგვინავდა ბრბო აღტაცებით
და შენს საკლავად სისხლს მიჩქროლებდა.

ნუთუ ყველა გზა აქ მოგილიეს,
მაკრთობდა შენი მზერა გამჭოლი
და სიტყვებს, როგორც ბანდერილიებს,
სისხლით დაწრეტილ გულთან გარჭობდი.

ამგვარად სჯიდა არსთაგამრიგე —
ვის სულის ხდომა,
ვისთვის — კორიდა,
მე ვთამაშობდი და ვერც გავიგე
სიკვდილი შენთან როგორ მოვიდა.

უამინდობა

შორით მოისმის ურმის ღრიჭინი,
სულ სხვაა ზეცა, ვიდრემდე დილით
და წნულ ღობეზე ანცი ბიჭივით
გადმოდის ალვის თამამი ჩრდილი.

ფრიალებს მთაზე ნისლის მარმაში,
თითქოს ქალწული გვიხმობდეს გაღმით
და ოქროსფერად მბრწყინავ ყანაში
ფეთქდება უცებ ჩიტების ნაღმი.

ამ წელს ვერ ვნახე ქართლის ბაღები
ვაშლებმა თეთრად როგორ დათოვეს,
ასე იოლად და ხელაღებით
სიკვდილს პირისპირ ვით შემატოვეთ.

ჩაიზრიალეს ზამთრის ზარებმა,
წვიმა ასველებს ერდოზე ყავარს,
მე ველოდები გამოდარებას,
იამინდებს და ჩემი გზით წავალ.

თებრონე

იმგვარი ჰქონდა სურნელი თივას,
მთელი ცარგვალი თავზე დამემხო,
მე თებრონე ვარ და წყალზე მივალ,
რომ შემომხვდე და კოკა გავტეხო.

განფენილია მწვანე მაუდად
მიწა და მარტში თეთრად ენძელობს,
თებრონეს აბა ქალაქს რა უნდა,
მე სოფელ-სოფელ უნდა მეძებო.
უწინ ზღაპრების მკვიდრი მეგონე,
ამკრა ალმურმა შენი დანახვით,
„ხევ-ხევ თებრონე!”
„ხევ-ხევ თებრონე!” —
ერთად მომძახის ყველა ბალახი.

მოჰქუხს მდინარე და კლდეებს ლოკავს,
დღე იმნაირი სხივით ნათელობს,
წავალ წყალზე და
გავტეხავ კოკას,
ეგ შენი გული რომ გავამთელო.

სამთავისთან

ვერც მარილისთვის წაველ აღზევანს,
არც ბრძოლის ჟინი მქონდა ერკემლის,
სიზმრებში ახლაც ისევ ქსანზე ვარ
და ფეხშიშველი ცხვარს ვერეკები.

ვის დარჩა ჩემი სამკვიდრო მიწა —
ჩემი ყრმობის და ლექსის სათავე,
უცხო ჯიში და გვარტომი ბილწავს
ჩემი შვილის და მამის საფლავებს.

დაფარა თოვლმა კუთხე-კუნჭული,
შრიალით ცვივა დაბლა წიწვები...
მე გეფერები ჩუმად, ჩურჩულით,
დიდი სინაზით და მოწიწებით.

დრო მოვა, ისევ უნაღვლოდ გნახავ,
არ მომწყინდება შენი ფერება,
მშვენივრად ვიცი, ვიდრე შენ მყავხარ,
მე არაფერი არ მომერევა...

ჟამს გადაურჩა საუფლო ნებით
და ქართლის მაღალ მთებში მომზევდა,
ღამით კი ტაძარს ეზრდება ფრთები
და ცად მიფრინავს ანგელოზებთან.

სამშაბათს, 22 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

ნუციკო დეკანოზიშვილის
პოეტური კრებულისა

„ნამსხვრევები“

მომხსენებელი
სალომე კაპანაძე

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერი

იტალიური დღიურები

ვინა ვარ?

ვცდილობ გავიხსენო, ვინ ვარ.

ცხოვრების მოგზაური ვარ, მეტი არავინ... ამჯერად გზებმა მოგზაურის გუდა ამკიდა და იტალიის დასაპყრობად გამიყენა გზას. იტალია ხომ ჩემს ბავშვობაში უფრო აუხდენელ ოცნებას ჰგავდა, ვიდრე ადგილს, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ მოვინახულებდი. ის ხომ მიუღწევლად და მიუწვდომლად უფრო გვესახებოდა. იტალია — ხელოვნების ზენიტი, შადრევნების შხაფუნი, საოცარი ჰაეროვანი ქანდაკებები, ლამის ციდან რომ დაგვყურებენ, რომანტიკული რომაული არდადეგები, ვენეციური გონდოლები, შეყვარებული წყვილებით წყალზე მონარნარენი, და გონდოლიერთა მიერ ნამღერი ლირიკული სიმღერები... ეს ყველაფერი ბავშვობისდროინდელი წარმოდგენებიდანაა, ილუსტრირებული ალბომებიდან და ფილმებიდან...

დღეს კი ეს ოცნება რეალურად, რეალობად გადამქცევია და ისე დავიარები ვენეციის, რომის, ფლორენციის ქუჩებში, თითქოს ჭიპი აქ მომეჭრას, თითქოს ეს ადგილები სულ ზეპირად ვიცოდე... თუმცა აღფრთოვანებული ღიმილი სახიდან რომ არ მცილდება და სულს ფრენა უნდა, ეს მყიდის, რომ ახალბედა ვარ იტალიაში.

მერე... მერე ყველაფერი ბუნდოვანებაში გადადის...ვკარგავ დროის, რეალობის შეგრძნებას და მხოლოდ თვალს ვაყოლებ მზეზე მოლიცლიცე ოცნების ბუშტებს.

თითქოს საუკუნე გავიდა , რაც სახლიდან წამოვედით. ჰელიუმით გაბერილი ბუშტებივით მთელი ფიქრები ცაში მეფანტებიან. იმისი დროც არ მაქვს გავეკიდო, მოვქაჩო ჩემსკენ, რომ არ დამეკარგონ. ვეპოტინები ფიქრებს... მეთევზესავით ბადეს ვაგდებ და ვცდილობ დავიჭირო ოქროს თევზებივით.

სადღაც ვარ. ფიზიკური მე აღფრთოვანებულია იმ ყველაფრის ნახვით, სადაცაა. მერე გადადის ერთი ადგილიდან მეორეში და კიდევ სხვა სიახლეებს ნახულობს, სული კი მხოლოდ ერთს კივის „თბილისი, თბილისი, თბილისი" — ეს ერთი სიტყვა კი მოიცავს სიმშვიდეს, ფესვების ძახილის დროებით შეჩერებას, სულის ბედნიერებას.

ეს ბუნდოვანება ნეტა ისეთი თუა, ადამიანები რამეს რომ მოწევენ და სადღაც სხვაგან დაფრინავენ ფიქრებით? მე არასდროს არაფერი მომიწევია, მაგრამ მგონი მაგ სტადიაში ვარ. სადაც ვარ, ყველაფერი თბილისს მაგონებს და მხოლოდ ერთი ფიქრი კივის... კბილის ყრუ ტკივილივით მუდამ აქაა:

„მე დამაბრუნეთ, მე დამაბრუნეთ"
სულის კივილი უხმოდ გრძელდება,
ფესვებიც უხმოდ ექაჩებიან
და უთქმელ ტკივილს სევდა ერწყმება.
ამ უჰაერო სივრცეში სულმა
როდემდე გაძლოს, ღმერთო უშველე
და სიყვარულის ძებნაში დაღლილს,
ვარდდაფენილი შენ გზა უჩვენე.

ლოცვად ვფიქრობ მხოლოდ. ესღა მახსოვს. მერე ვენეციური ნიღბის უკან ვიმალები და ჩუმად ვაგრძელებ ლოცვას.

მერე ნელ-ნელა ვიხსენებ მოგზაურობის დასაწყისს.

7-9 ივნისი, 2013 ციურიხი, შვეიცარია

ჩიკაგო-ციურიხი. ვეშვებით ციურიხის აეროპორტში. აქ თიკა გვხვდება, თიკა მეგობარია, რომელთან კავშირი უცბადვე დამყარდა ჩიკაგოში სამი წლის წინათ, სატელეფონო საუბრის პირველივე წამებიდან. უცხოეთში მყოფი ადამიანის მიერ მონატრებული საქართველოს სიყვარული და ეს სიყვარული — განხორციელებული სამშობლოს საუკეთესო მხარეთა წარმოჩენაში — მუდმივი ფიქრია ორივესთვის და ეს იყო მაგნიტი ჩვენი მეგობრობისაც. ეს , სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქართველი ხომ თავისი „თიკატურის" მეშვეობით მსოფლოს უამრავი კუთხიდან ჩამოყვანილ სტუმრებსა და მეგობრებს აცნობს და მერე სამუდამოდ აყვარებს საქართველოს, ისე, რომ უკან დაბრუნებულებს ქართული სამზარეულოს ან ქართული ხელოვნების (ცეკვა-სიმღერა, მინანქარი თუ ხეზე კვეთა) შესწავლის სურვილიც კი გასჩენიათ ბევრჯერ...

ახლა კი ის, მისი ამერიკელი მეუღლე რობი, და მათი სამი პატარა ბიჭი გვიმასპინძლებენ. აეროპორტში გადმოვდივართ საზღვარზე და თიკაც აქაა. გადავეხვიეთ ერთმანეთს და მოულოდნელად ისეთი ახლობლური გრძნობა გამიჩნდა, ბავშვობაში ბათუმში დეიდაჩემს რომ ვესტუმრებოდით ხოლმე... მერე ჩავბარგდით მანქანაში და აღფრთოვანებულნი გავუყევით გზას შვეიცარიის დასახატად გამზადებულ პეიზაჟებში. ლუცერნი, სადაც ჩვენი მასპინძლები ცხოვრობენ, ასეთი გაცოცხლებული ნახატია, ღმერთისგან შექმნილი სიმშვენიერე. — ლუცერნის ტბა და შვეიცარული ალპები ამ ორი დღის განმავლობაში ჩემი ხედიცაა, მე ხელებს ვშლი და შევისუნთქავ სილამაზით გაჟღენთილ ჰაერს. იქვე ულამაზესი, ბუთქუნა მუქი ყვითელი ვარდია მზეს მიფიცხებული, რომელსაც საქართველოს სუნი უდის. მმმ... ვხუჭავ თვალებს.

მწვერვალი „პილატუსი" კი ჩვენს მიერ დასაპყრობი მთაა, რომელიც მეორე დღეს სუნთქვას შეგვიკრავს თავისი განუმეორებელი ხედებითა და ფერების სიმკვეთრით, თოვლიანი მთითა და მწველი მზით, ალპური ყვავილების სილამაზითა და თავისუფლების განცდის მოყვარული ადამიანებით, რომლებიც საჰაერო სპორტ „პარაგლაიდინგით" იქნებ არწივივით ფრენის სიამოვნებას შეიგრძნობენ. ამ სიმაღლეზე შავი ყვავები საიდანღა გაჩნდნენ? შვეიცარიელი ყვავებიც კი ლამაზები და კეთილების შთაბეჭდილებას ტოვებენ. უკუნი შავი ბუმბული და მუქი ყვითელი ნისკარტის კონტრასტი ჩვენს გაკვირვებას იწვევს. თანაც ეს შავი ფერი ამ ალპური ჰაერივით კრიალა და სუფთაა. როგორც ჩანს, ლამაზ გარემოში ყველა და ყველაფერი ლამაზდება და კეთილშობილდება.

ვეზიარებით სიმშვენიერეებს და ეს მხოლოდ დასაწყისია

ჩვენი მასპინძლები გვანებივრებენ უგემრიელესი შვეიცარული დელიკატესებით ამომავალი მზისა და თოვლიანი ალპების ფონზე, სანაპიროზე სეირნობებით, საღამოს კი ტრადიციული სიმღერებითა და ცეკვებით და განთქმული შვეიცარული „ფონდუს" დაგემოვნებით. მერე ლუდი, ღვინო და ამერიკელი მეუღლეების მიერ წარმოთქმული ქართული სადღეგრძელოები...

ჩვენი დიდი და პატარა ბიჭები თავისებურად აღიქვამენ ურთიერთობებს, რომელიც ორი ქვეყნის კულტურათა საუკეთესო მხარის გამოვლინებით ლამის უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი... საღამოს ხალხმრავალი სახლი ჟრიამულით ივსება. მერე ძილის დროც მოდის:

„მე ნიკასთან ერთად მინდა დავიძინო"
„მე მინდა სანდრომ ჩემს ოთახში დაიძინოს"
„მე ლევანთან ერთად მინდაااااა"
„ენდისთან მინდااااა"

...საწოლ ოთახებს იყოფენ პატარა ბიჭები. ცოტას კამათობენ, მერე რიგდებიან და ბოლოს პატარები დიდებთან გადანაწილდებიან ოთახებში, იქნებ ვინმემ რაიმე საინტერესო მოუყვეთ ძილის წინ.

ეს ხომ ცხოვრების გაკვეთილია ამ ქართველი თუ ნახევრად ქართველი ბავშვებისათვის, რომლებიც უცხო მიწაზე დაბადებულან ან იზრდებიან და ახლა კი ბედნიერებას განიც-

დიან. ეს ხომ ყველაფერია: პატარებისთვის ესაა — სტუმრები და „დიდი ბიჭებით“ აღფრთოვანება, დიდებისთვის კი — ცხოვრებისეული მოგზაურობა და გამოცდილებებით სულის გამდიდრება.

9 ივნისი, 2013. ლუცერნი, შვეიცარია

ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ მასპინძლებს. ბიჭებს გული წყდებათ, დარჩენას გვთხოვენ. „მე შენ მიყვარხარ“ — მეხუტება 9 წლის გიორგი და გულს მიჩუყებს მისი სიტყვები. ვკოცნით ერთმანეთს და სადგურამდე ისევ თიკას მივყავართ მანქანით.

„არტ გოლდაუს“ სწრაფმავალ ევრომატარებელთა სადგურში ჩვეული სწრაფი ტემპით შევქანდით. ჩვენი, მილანისაკენ მიმავალი მატარებელი ვიპოვეთ და წყნარად მოვკალათდით. ვენეციისაკენ ვიღებთ გეზს.

მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერი (რომი, 2013)

უგემრიელესი პურის ბაგეტები თან გვაქვს და მალე გიახლებით. უცბად:

„თიკა და გიორგი აქ რას აკეთებენ?!“ — რომელიღაცა ბიჭის ხმა გაისმის და ყველანი ფანჯარას მივცვივდებით. თიკა რაღაცას გვანიშნებს. ახლა კარს ვეცით. თურმე ევროპული ელექტროჩამრთველი დაგვრჩენია მათთან სახლში.

იქნებ თიკას ეს წერილი უფრო კარგად გადმოგვცემს იმდღევანდელ განცდებს:

10 ივნისი, 2013 იმეილი ლუცერნიდან

„მაკა, როგორ ენატრებით ბავშვებს! ლევანიკოს კიდევ ვერ მოუნელებია ასე მალე რომ წახვედით. რობმა (როცა ჩამრთველი აღმოაჩინა სახლში) ჯერ ტომს დაურეკა თურმე, გიორგი წამოვიდაო, მაგრამ ტომს გათიშული ჰქონია და მერე მე დამირეკა. მითხრა, გიორგი გზაშია და შეხვდიო. მართლაც, სულ რამდენიმე წუთში დავინახე, ისე ჩქარა მიდიოდა ველოსიპედით, თვალის გაყოლებაც ვერ მოვახერხე. მოვაბრუნე მანქანა და ვიდრე სადგურამდე მოვედი, ის უკვე სადგურში იყო. მე არც ვაციე და არც ვაცხელე, ტაქსის გაჩერებაზე დავაყენე მანქანა და გადმოვხტი ბავშვის და თქვენს სანახავად. საწყალი გიორგი დარბოდა აქეთ-იქით და გეძებდათ, მაგრამ რომელ მატარებელში იყავით, არ იცოდა. მე რომ დავინახე და დავუძახე, ამოისუნთქა და თვალები გაუბრწყინდა. წარწერებს შევხედე, ბაქანი მოვძებნე და სულ ორი წუთით მოგისწარით. უნდა გენახა, რა ბედნიერი იყო გიორგი მაგ დღეს! არასოდეს დამავიწყდება მისი თვალები და ემოცია.

გკოცნით თიკა“

გიორგი — ბავშვი, რომელსაც სიკეთის კეთება ბუნებაში გაჯდომია;

რობი — ამერიკელი მამა, რომელიც მცირედისთვისაც კი წაახალისებს შვილს სიკეთის გასაკეთებლად;

მშობლები, თიკა და რობი — რომლებიც პატარაობიდანვე უნერგავენ შვილებს კარგის კეთების, მეგობრობის, ერთგულების ძალას და, ამავე დროს, ასწავლიან დამოუკიდებლობას, საკუთარ გადაწყვეტილებათა მიღებას. ამ ყველაფერს კი წარმატების მიღწევის განცდის ბედნიერება მოაქვს, სწორედ ისეთი, გიორგის თვალებში რომ ანათებდა...

გულისამაჩუყებელი სცენა იყო.

გიორგიმ სიხარულით და სიამაყით გადმოგვცა დენის გადამყვანი.

მერე დავემშვიდობეთ ჩვენს პატარა გმირს და ადგილებს დავუბრუნდით. მაგრამ შვებით ამოსუნთქვა ადრე ყოფილა თურმე, წინ კიდევ თავგადასავლები გველოდა.

მატარებლის გასვლამ რომ დააგვიანა, თითქოს გულმა მიგრძნო და ვიღაცას ვკითხე საით მიდიოდა.

„ბერნი“ — იყო პასუხი.

„ვაიმეეე... ჩქარა... ეს მატარებელი სხვა ქალაქში მიდის“...

ოპერატიული სისწრაფით წამოვავლეთ ხელი ჩვენს ჩემოდნებს და გამოვცვივდით ბაქანზე. მივრბივართ, განრიგის ეკრანზე ვეძებთ მილანის მატარებლის ინფორმაციას. კონდუქტორი გვამცნობს, რომ ჩვენი მატარებელი უკვე გზაშია, შემდეგი რეისი კი მხოლოდ 45 წუთის მერე იქნება. სხვა რა გზაა — უნდა დაველოდოთ.

10 ივნისი, კვირა, 2013, ვენეცია, იტალია

ვენეცია მოვიარე, გონდოლითაც შემოვუარე ნახევარკუნძულს. მეგობრული და ღიმილიანი ჩვენი გონდოლიერი, რობერტოც, გავაკვირვე ჩემი, სანრემოს ფესტივალის სიმღერებიდან ნასწავლი, იტალიურით, მერე გვიმღერა კიდეც ცოტა...

ღვინო და უგემრიელესი კერძები, ვიწრო ქუჩები და ხალხით სავსე კაფე-რესტორნები აქაურობის მთავარი ატრიბუტია და მეც ვტკბები ამ სიამოვნებით...

სიამოვნება გრძელდება და ამ აღფრთოვანებაში ფიქრის დროც არაა, მაგრამ მოულოდნელად „თბილისი“ კვლავ აგრძელებს ყრუ ძახილს. არ მცილდება, თავს არ მანებებს, ის კი არა, მეტიც, რაც უფრო ვუახლოვდები, რაც უფრო მცირდება მანძილი ჩვენს შორის, უფრო მეტად მექაჩება თავისკენ...

ვენეციური ნიღაბი ხომ შევიძინე?! თან მაქვს და ლოცვას გავაგრძელებ მის უკან ამოფარებული

ვენეცია სავსეა — ხალხით, ნავებით, ფანჯრებსა და აივნებზე ულამაზესი ყვავილებით, მზეზე მოფრიალე სარეცხით, უვიწროესი ქუჩებით, გვირაბს რომ მოგაგონებს, სახლები ისე ახლოსაა ერთმანეთთან; კაფეებით, რესტორნებით, მომღიმარე ვენეციელი გურმანებით, თავიანთი რესტორნის კერძებს გულითადად რომ აღწერენ და ამ გულითადობით გიზიდავენ, სავსეა სუვენირებით, ყველანაირი ყველაფრით... სუვენირებიც ხომ მოგზაურობის ნაწილია, სამახსოვროა იმ წამის გასახსენებლად, გული რომ ბედნიერად გიძგერდა...და ჩვენც თვალები გაგვირბის, მერე ხელიც საფულისკენ მიიწევს და აჰა, მორიგი სამახსოვრო ნივთი, შინ დაბრუნებულს გული რომ არ დაგვწყდეს.

რვანი ვართ... ჩემი უზარმაზარი ოჯახი. ცოტა სიგიჟეს უფრო ჰგავს, ამდენი ბარგი და ამდენი ხალხი. ამერიკისგან განსხვავებით, ევროპაში თურმე არც ისე იოლად ყოფილა საქმე ბარგის ტარების მხრივ. ამას პირველად პარიზში შევეჯახეთ და ჰოი, საოცრებავ, წრიულად დახვეულ კიბეებზე მძიმე ჩემოდნების ხელით თრევა ჯერ გაკვირვება იყო, მერე გაბრაზება, მერე კი სიცილი და კურიოზები. ჰოდა ახლა ვიცით ტემპიც, და კიბეების ხრიკებიც, ტურისტებს რომ უცბად გამოაფხიზლებს, რომელი რეალობიდანაც უნდა მოდიოდნენ, უცბად ჩასვამს აქაურ რეალობაში. ჰოდა ახლაც ასე მოხდა.

აჰა, ისევ კიბეები!

ყველას გვეტყობა გამოწვრთნა, ერთი ტემპით მივდივართ რვა კაცი ერთმანეთის ზურგს უკან. ჯაჭვური რეაქციის პრინციპის მიხედვით, ერთმანეთს ზურგს უკან მიყვებიან. მივადგებით კიბეებს და — წამოავლებენ ხელს ჩემოდანს, მერე ისევ ბორბლებზე, მერე ისევ ხელში ატაცება... მე, როგორც ამხელა ოჯახის დედას, კი მეკუთვნის ცოტა ხელის წაკვრა და ასეც იქცევიან ჩემი ბიჭები — ტომიანად — სულ ხუთნი არიან, ასე რომ, მე ჩემი თეთრი ხელჩანთით ზურგის გამმაგრებელს უფრო ვგავარ.

და ისმის გადაძახილები:

არ ჩამორჩეთ! სწრაფად იარეთ! არ დაიკარგოთ! მოდიხართ?

კულტურა და ტრადიციები? ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისაგან შემდგარი ოჯახი — ოთხი ამერიკელი და ოთხი ქართველი — მესამე ქვეყნის კულტურას ითვისებს. ცდილობენ ახლა ამ ქვეყნის ქუდი დაიხურონ, ეზიარონ აქაურ ღირებულებებს, თვალსაწიერი გაიფართოვონ და გამოცდილებებით გაიმდიდრონ სულიერი სამყარო...

ეს კულტურული განსხვავებანი, თინეიჯერული ტემპერამენტი და გოგონათა ხასიათის სხვაობა, თავისებურ ხიბლს მატებს მთელ მოგზაურობას.

ტომი კარტაიზერი და მაკა კვერენჩხილაძე

11 ივნისი, 2013 ვენეცია, იტალია

ფეხით იმდენს დავდივართ, მგონი, ერთი წელია სულ არ მივლია ამდენი... და ეს სიარული კი ისევ შენს სახელს გაიძახის, ჩემო თბილისო.

„თბილისი, თბილისი, თბილისიიი“... რამდენს დავდიოდი, ფეხით შემოვივლიდი ხოლმე ქუჩებს. მერე იცვლებიან სურათები: ღამის თბილისი, განათებული თბილისი, თბილი საღამოები, ჩემი სტუდენტობა და შინაარსით სავსე ურთიერთობანი...

ჩემი სტიქია ხომ ურთიერთობები და ხალხია...

მიყვარს ადგილები, სადაც სიცოცხლის მჩქეფარება იგრძნობა და მეც ვცოცხლდები, ხელებს ვშლი და ბედნიერებისაგან დავფრინავ..

ჩემი სტიქიაა მზეც და წყალიც... თვალებს დავხუჭავ და სულიც მიღიმის

მიყვარს, კაფეებს ქუჩაში რომ გამოაქვთ მაგიდები და სკამები, და იდეა იქ ჯდომის და სიამოვნების.

დღეს ოცნება ავისრულე. ყველანი ცალ-ცალკე წავიდ-წამოვიდნენ და მე მარტო დავრჩი. დრო ვიხელთე. ვენეციის ბოლოში, ეს მგონი ადრიატიკის ზღვის ნაწილია. სანაპიროზე კაფე იყო ქოლგებიანი მაგიდებითა და ხალხით სავსე... ჰოდა, ავირჩიე სულ წინა მაგიდა, დავჯექი და კაპუჩინო შევუკვეთე. ფეხები მეორე სკამზე ლამაზად დავალაგე და ასე ვეფიცხებოდი მზეს... უცებ ვხედავ, ვიღაც მოფოტოგრაფომ სურათი აშკარად მე გადამიღო და მშვიდად გააგრძელა გზა. უკან ულამაზესი ხედი მქონდა და მეც ლამაზი ვიყავი ამ ფონზე, ალბათ. აუჰჰჰ, ეს სურათი რომ ვიპოვო რომელიმე ჟურნალის ყდაზე დაბეჭდილი, მაგრად ვიცინებ და იქნებ კაი ფულიც გამეკეთებინა?! მეცინება? თუმცა სადღაც გულში ფიქრი ცდილობს თავის წამოყოფას „რატომ გეცინება, ხომ იცი ყველაფერია შესაძლებელიო...“ ჰო, არადა მართალია, ოდესღაც იტალიაც ხომ წარმოუდგენელ და აუხდენელ ოცნებად მეჩვენებოდა?

მერე... მერე რომია.

12 ივნისი, 2013

ყველა გზა რომში მიდისო — და აჰა, მეც აქ ვარ!

რომი — მთელი ცხოვრებაც კი არაა საკმარისი, რომ რომი დაათვალიეროო... ჰოდა, მე აქ ყოფნის ოთხი დღე მაქვს, ამიტომ არც შევეცდები მთელი რომის დათვალიერებას...

ჩვენ ხომ გამოცდილი მოგზაურები ვართ, ეს გამოცდილება ბორბლიანი ჩემოდნებით თითქმის დაძრულ მატარებლებისკენ სირბილითაც ხომ დაგვიხვეწია?! ამიტომ ევროპის სწრაფ მატარებლებ-მეტროსა და ტრამვაი-ავტობუსებში საკმაოდ კარგად ვერკვევით.

ახლაც სწრაფი გადაადგილებისა და გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღების წესების გამოყენებით ჯერ რომის მეტროპოლიტენში გავერკვიეთ და ახლა „პოლიკლინიკოს“ სადგურთან 3 ტრამვაის ველოდებით.

უცნაური გრძნობაა. ახალი ქალაქი და თანაც მისი სახელის უკან მისტერიული სიდიადეა... სული მეხუთება, მიწისქვეშა ამოსასვლელის კიბეს ავუყვები და ერთი სული მაქვს ავიდე. როგორია ეს რომი ნეტა? ვცდილობ ფიქრებს გავასწრო კიბეზე...

ამოვედით. კეთილი იტალიელი ქალის დარიგების მიხედვით ტრამვაის გაჩერება მოვძებნეთ. აღფრთოვანებული აქეთ-იქით ვიხედები, მაგრამ ის განცდა, რაც რამდენიმე წუთში დამეუფლება, სრული წარმოუდგენელია.

წყნარი ხმაურით მოგვადგა ტრამვაი...წამოვავლეთ ჩემოდნებს ხელი და შევლაგდით. გავუყევით გზას. ვიყურები ფანჯრებში, ვაკვირდები სახლებს, ქუჩას. უცბად...

„ვაიმე, ბავშვებო, ეს ქუჩა როგორ ჰგავს თბილისს?! ჭადრის ხეები... ჭავჭავაძის ქუჩას ხომ ჰგავს? ვაკე...ჩვენი ვაკე, გახსოვთ?..“

ტრამვაი მიდის, სახლები ერთმანეთს ენაცვლებიან ნელა მიმავალი ტრამვაის ფანჯრებში და თბილისის გახსენება სულში სითბოს მიღვრის..მონატრებული ჩემი თბილისი...თვალებით ვეფერები რომის ქუჩას, ფიქრებით კი თბილისში გადავსახლდები. ბიჭებსაც იგივე გრძნობა უჩნდებათ.

„დე, ნახე ეს სახლი... როგორ ჰგავს მართლა თბილისს!“ ისმის ფოტოაპარატის ჩხაკუნი... მგონი, ხალხი გაკვირვებულია, ამ სახლებს რატომ უნდა ვუღებდეთ ჩვენ, უცხოელი ტურისტები სურათებს? რომი ხომ სხვა ღირსშესანიშნაობებითაა ცნობილი?! ჰა-ჰა... რა იციან, ჩვენთვის ეს რა გრძნობაა. რა იციან, რა ბედნიერი ვარ მე ამ წუთას?!

და ეს განცდა ჩვენს სასტუმრომდე გრძელდება.

„სასტუმროც ამ ქუჩაზეა?“ — სული ფრენას იწყებს...

16 ივნისი, რომი, იტალია

ფიქრებმა არ დამაძინა...და ავდექი. ღამის ორი საათია. ტომს მშვიდად ძინავს. ფეხაკრეფით ვდგები, ფარდას ვწევ და ჩუმად გავდივარ აივანზე. აივანზე ვზივარ, თბილა მაინც. ჩემი აივანი მესამე სართულზეა და რეჯინა მარგარიტას — ანუ ჩემებურად ბარნოვ-ჭავჭავაძის — ქუჩას გადაჰყურებს. ჭადრის ხის ფოთლები ლამის აივანზე შემომიდიან. სულ გადამრიეს მგონი. დაბლა გაქანებული ცხოვრება ჩქეფს. ტრამვაი მირახრახებს, მანქანები მიჰქრიან აქეთ-იქით. ქუჩა განათებულია ... იქით რესტორანია. ახლაღა აკეცეს სკამები, მაგრამ ვიღაცები ისევ საუბრობენ, იცინიან, მღერიან კიდეც.

ისევ მახსენდება ჩემი ქუჩა, ბარნოვის (ახლა აბაშიძეა)... ფანჯრები რომ ღია გვქონდა ღამღამობით და ღამის სიჩუმეს შემორჩენილ გამვლელ-გამომვლელთა ხმები შემოდიოდა.

უჰ, როგორ მენატრება ეს ყველაფერი, ქუჩაში ფეხით სიარული, სულ ვიღაც ნაცნობს რომ ვხვდებოდით ხოლმე... მზიანი თბილისი მენატრება, უდარდელი, წყნარი.

რა უცნაურია, არა, ცხოვრება? სულ რაღაცით უკმაყოფილონი ვართ. რაც არ გვაქვს, იმას ვაიდეალებთ. გვენატრება და ზოგჯერ ეს გრძნობა ხელს გვიშლის დავტკბეთ ხელთ არსებული მომენტით. მერე მახსენდება წიგნი სათაურით „The Power of Now" , წარსულს ხომ ვერაფერს მოვუხერხებთ, ვერ დავიბრუნებთ და ვერც შევცვლით. არც მომავალზე გვაქვს დიდი გავლენა ადამიანებს. ერთადერთი, რისი შეცვლაც, რისი წარმართვაც შეგვიძლია ჩვენდა სასარგებლოდ, აწმყოა. და ეს „Now" მომენტი ჩვენი მომავლის განმსაზღვრელი იქნება.

ჩემს თავს ვაფხიზლებ, და ვახსენებ რომ ახლა რომშია...

17 ივნისი, 2013, რომი

მოკლედ, ასე იყო დღეს: ავტობუსით უნდა წავსულიყავით რომის (ნამდვილი და არა ჩემეული რომის) დასათვალიერებლად. ველოდეთ, ველოდეთ, და ბოლოს გავარკვიეთ, ტრანსპორტი გაიფიცაო...და გადავსერეთ რომის მანძილები, ფეხით მოვიარეთ, დავიპყარით რომი. ჰო...მერე ხურდა ჩავყარე შადრევანში და ჩემი სურვილები მზემდე ავაყოლე...

ახლა საღამოა. სიმშვიდე ძნელი მოსაპოვებელია. ისევ ჩემი ბარნოვ-ჭავჭავაძის ქუჩა მეძახის... მაინც ერთი სული გვაქვს თბილისში ჩავიდეთ...

მერე ისევ ლამაზი საღამო, ფრიალა კაბა და ქოლგის ქვეშ ქუჩაში გამოტანილი მაგიდები. ერთი ჭიქა იტალიური ღვინო და წყნარი მუსიკა. თუმცა, მუსიკაზე გამახსენდა, ერთი რამ გამიკვირდა, რაც აქ ვარ — მეგონა, ყველგან იტალიური მუსიკა იჟღერებდა, ძველებური თუ ახლებური. არსად გამიგია, მხოლოდ ამ ერთ ღვინის ბარ-მაღაზიაში, სადაც ადგილობრივი იტალიელები, გემოვნებით ჩაცმული საქმიანი იტალიელები, როგორც ჩანს, სამსახურის შემდეგ შემოდიან, ერთ ჭიქა ღვინოს მიირთმევენ და ცოტა განიტვირთებიან საქმიანი დღის მერე...

ფეისბუკური ჩანაწერი

„რაც არ გადამირევია, ბოლომდე გადავრიე ტომი. სამი დღეა დავდივარ რომის ქუჩებში, გახარებული ხელებს ვშლი და დარწმუნებული ვაცხადებ: „ეს ჩემი ვაკეა, ჩემი ბარნოვის და ჭავჭავაძის ქუჩები-მეთქი... (ჩვენი სასტუმროს ქუჩა ზუსტად ეგეთია)"

დღეს 16 ივნისია. შაბათი. გოგონები გავისტუმრეთ ამერიკაში და დავრჩით ისევ ძველი შემადგენლობით — მე, ტომი და ბიჭები.

17 ივნისი, 2013, ფლორენცია, იტალია

მთვრალი ვარ იტალიური ღვინით, ფლორენციული ხელოვნებით და სიყვარულით. ეს ყველაფერი ზენიტია ბედნიერების და მე აღარ ძალმიძს მეტის ატანა.

ფლორენცია მართლაც საოცრება ყოფილა. ღამის სულ დამავიწყა წინანდელი აღფრთოვანებები. არ თავდება ენით აუწერელი, ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის შედევრები. საითაც გაიხედავ ყველგან აღმაფრთოვანებელი ქანდაკება, შენობა, ეკლესია, ფრესკა, ჩუქურთმა, შადრევანი თუ ქუჩებისა და სახლების ორიგინალურობაა...დილაუთენია 420 საფეხური ავიარე სანტა მარია დელ ფიორეს ეკლესიის სამრეკლოსი, და გადავხედე მთელ ფლორენციას. მოწითალო კრამიტიანი სახურავებით გადახურული, ერთმანეთში სასწაულად შეთანხმებულად ჩასმული სახლები, რომელთაც სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები აქვთ და მაინც ზუსტი გეომეტრიული ზომებით ჯდებიან მისხალ-მისხალ ერთმანეთში, განუმეორებელ სიამოვნებას მგვრის... თანაც ეს სახურავები ყვავილნარებითაა მორთული, ზევიდანაც დამხედავს, აქაც რომ სილამაზე შემთავაზონ...

გუმბათები ცას სწვდებიან თითქოს და ადამიანებსაც აზიარებენ ცის სიმაღლის განცდას. მგონი, ამ საოცრებათა ნახვის მერე ყველას სული ერთი მისხალით აუმაღლდეს, ვიდრე რამდენიმე წუთის წინათ ჰქონდათ...

მერე ეს უზარმაზარი ზარები გუგუნს იწყებენ და მე მათ ქვეშ ვზივარ, იმ უზარმაზარ ქვაზე, საუკუნეებს რომ ითვლის და რომლითაც ეს სამრეკლოა ნაშენი. ზარები გუგუნებენ, დროის და ცხოვრების სიძლიერეს გვამცნობენ, გვაფხიზლებენ, რომ შეგვეძლოს დავტკბეთ ამ წუთისოფლის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებით. და ლიმიტი კი მართლაც ცას წვდება ამ შემთხვევაში.

მე თვალებს ვხუჭავ და ვლოცულობ.

მერე ვეშვები დაბლა მიხვეულ-მოხვეული კიბეებით და მივიჩქარი სხვა სრულყოფილების სანახავად. ქალაქი — ჩემი სტიქია, და მე უსწრაფესი ნაბიჯებით მივდივარ. იმედია, უკან მომყვებიან ოჯახის წევრები. მაგრამ აღარაფერი მახსოვს. აქ უკვე სული ზეიმობს და ამ ზეიმს თავის ფიქრებში უზიარებს მეორე სულს, რომელიც ასევე აღფრთოვანდებოდა ამ ყველაფრის ნახვით, იმას, ვინც უსიტყვოდ მიხვდებოდა, რა ბედნიერია ახლა ეს სული.

მერე მუზეუმში შედევრები ვიხილე და უკვე ვატყობ, სული მეღლება.

დავითი!!!

გენიოსის ხელით შექმნილი სრულყოფილების ზენიტი. უკვე ვკივივარ...ისევ უხმოდ. არავის ესმის.

დავითის ნახვა მართლაც გააშეშებს მნახველს, და მეც სუნთქვა მეკვრის...ტურისტული გიდებიც ისე საინტერესოდ და ლამაზად ყვებიან ამ შეუდარებელი გენიოსის, მიქელანჯელოს ტალანტისა და რთული ბუნების დეტალებს, ღამის გადავსახლდი მის საუკუნეში და... ვხედავ ქვასთან შეჭიდებულ გენიას. მგონია, ძალიან კარგად მესმის მისი, რატომ იყო ასე ნიჭიერი და ასე ურთულესი.

მისმა დაუმთავრებელმა ნამუშევრებმა კიდევ უფრო ამაღელვა. როგორ ცდილობს ძლიერი ადამიანი ქვიდან გაითავისუფლოს თავი! გამოგლიჯოს ეს ცივი და უგულო მარმარილო, გაგლიჯოს სივრცე. რაღაც მსგავსი გრძნობა მახსენდება სივრცის გაგლეჯის და ამ საუკუნოვანი ადამიანის. ტკივილს ვგრძნობ, სულის...

მუზეუმები, ხელოვნება, ქუჩის მუსიკოსები, რომლებიც ნიჭს აფრქვევენ მილიონობით ყველა მიმართულებით მიმავალ ადამიანებისთვის. ვჯდები კიბეებზე იქ, სადაც მუსიკა იღვრება. ესაა მოედანი ცნობილი უფიცის გალერეის წინ, რომელშიც ასევე წამლეკავი ძალის მქონე შედევრებია. ვჯდები დაქანცული. მოულოდნელად ვხედავ წითელ კაბაში მოფრიალე ასე 55 წლის ქალს, რომელსაც ეს, იქნებ 60 წლის მამაკაცი მიწას წყვეტს. მგონი უხილავი ძაფია გაბმული მათ შორის და ვგრძნობ, როგორ ეკუთვნიან მათი სულები და სხეულები ერთმანეთს.

თვალს ვერ ვაცილებ მათ ჰაეროვან ცეკვას, ჩელოს, ვიოლინოსა და გიტარის ულამაზესად შერწყმულ მუსიკის ჰანგებს აჰყოლიან...და სევდა მერევა სულში. ამ წუთში მინდა მე ვიყო ეს, წითელ კაბაში მოფრიალე ქალი და ადგილიდან მომწყვიტოს ცეკვით მან, ვისი თუნდაც თითის შეხებაც დამავიწყებდა ამ მილიონ მაცქერალ თვალს, და ამაცეკვებდა თავდავიწყებით... ესენი ხომ სწორედ ასე ცეკვავენ. და ვიცი, უბრალოდ ვიცი, რომ ისინი ერთმანეთს ეკუთვნიან. ვინ იცის, მათი მაყურებელნი გულში იხედებიან, და ვინ რა საიდუმლოს, ვინ რა სიმართლეს, მოგონებას, სურვილს, ნატვრას, ოცნებას აღმოაჩენს იქ...

ვუყურებ ისევ მათ თავდავიწყებას და... ფიქრებით სხვაგან ვარ. მერე რეალობა მაფხიზლებს, ვდგები და მივდივარ,

ვაგრძელებ საოცრებათა ნახვას, მაგრამ ვატყობ, მეტის ატანა აღარ შემიძლია. მეტის დატევა აღარ შეუძლია სულს. სადაც ვჯდები, კალამს და ფურცელს ვეძებ სასწრაფოდ და ვცდილობ მოვასწრო მოზღვავებული გრძნობის გადმონთხევა, მაგრამ დრო არ მაქვს, წუთები დათვლილია

„ჩქარა წამოდი კიდე ვნახოთ რამე" .

ფეხებს მივათრევ, სული კი მეტანჯება.

„აღარ მინდაااااა".

მდინარის მეორე სანაპიროზე გადავედით. საღამოვდება. უთუოდ რაღაცაა მოსაღამოებული ფლორენციის ცის საიდუმლო. სინათლე უცნაურად ეფინება აქაურობას და მისტიკურ განცდას აძლიერებს. ახლა ჯერ კიდევ მზე ანათებს, მაგრამ ეს მისტიკურობა ბინდბუნდი ნელ-ნელა შემოიპარება. უცბად ჩემს წინ იშლება მორიგი საოცარი ხედი...გზის მარცხნივ ოდნავ ამაღლებული ფილაქნებიანი გორაა და ამ გორის თავში წამოჭიმულია და ლამის თავზე მადგას უზარმაზარი შენობა. მზე ურტყამს ამ ლოდებს და აბრწყინებს. თვალებს მჭრის ეს სინათლე, მე ჩრდილში ვდგავარ.

იქით ბაღია, ისევ შედევრებით სავსე... „წამოდი ვნახოთ, ვნახოთ..." არადა ვგრძნობ, მეტის ნახვას ველარ ავიტან, ახლა მინდა დავიცალო ემოციისაგან. ფეხებს ძლივს მივათრევ

„ბაღი დაკეტილია!"

„მადლობა ღმერთს". შვებით ამოვისუნთქე. უკან დაუფიქრებლად ვბრუნდები, ერთი სული მაქვს, როდის გავეცლები ამ ნიჭიერების ადგილებს...

ვუხვევ. უზარმაზარი ლოდების გალავანს ვხედავ... ხელებს ვადებ და ვეფერები, მინდა შევიგრძნო დედამიწა...

17 ივნისი, 2013, მატარებელში ფლორენციიდან ციურიხისკენ

ჩემი ცხოვრება მარათონს უფრო ჰგავს — სულ სადღაც გავრბივართ გაუთავებლად. ამ 12 დღის განმავლობაში იმდენი აღსაფრთოვანებელი ხედი, სურათი გამოიცვალა ჩემს თვალწინ, მართლა შოკში ვარ. მეტის ატანა აღარ შემიძლია! არც შვეიცარიულ ჩანჩქერთა დანახვა მსურს, უზარმაზარი მთებიდან რომ მოექანებიან და რომელთა სანახავად ტომი მექაჩება. „აღარაფრის დანახვა აღარ მინდა, აღარ მინდა..." ვკივივარ უხმოდ.

ახლა მინდა სიმშვიდე, სიწყნარე და...ჩემი სამშობლო. ხვალ საქართველოს ჩავეხუტებით. ჩვენს ჰაერს ჩავისუნთქავთ. ბიჭებსაც მხოლოდ ერთი რამ სურთ — სახლში ბებია-ბაბუასთან გაატარონ შემდეგი ორი დღე. მეტი არაფერი!

18 ივნისი, თვითმფრინავში ციურიხიდან სტამბოლის მიმართულებით, თბილისისაკენ

სული სავსეა ბედნიერებით,
მე საქართველოს ვუახლოვდები,
ყოველი დაღლა სადღაც გამქრალა,
სული ქართული ცეცხლით გამთბარა.
ჩემო ქვეყანავ, მე შენთან მომყავს, —
ჩემს ვაჟკაცებში შენი სისხლი ჩქეფს,
ქართულ ფესვებით მოამაყეებს
სიყვარული და სითბო აჩუქე.

იტალიური თავგადასავლები ახლა უკვე ტკბილ მოგონებებად გადაქცეულან.

ჩაო, იტალია! არივედერჩი!

დე ჟა ვუ

თბილისი, საქართველო, 18 ივნისი, 2013 წელი

ღამეა... მანქანების ყრუ ხმაურსა და ფოთლების შრიალში ღია აივნის კარიდან აღწევს ქართული სიმღერის ჰანგები... მიყვარს. ამავე დროს რომელიღაც ქალაქს მაგონებს, ქალაქს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ ჩემი ქალაქი მომაგონა. როგორი დამთხვევაა: ღამე, აივანის ღია კარი, მე — ქუჩის ნათურებით განათებულ აივანზე სავარძელში, ჩემს ლეპტოპში თავჩარგული, მანქანებისა და ჭადრის ხეთა ფოთლების შრიალი და ღამეს შემორჩენილი ნაბახუსევი ხალხის საუბრები და სიმღერები...

მიხვდი? თბილისი-რომი.

1974 წელს კონსტანტინე გამსახურდია მოვიწვიეთ ტექნიკურ უნივერსიტეტში. ღონემიხდილი, საოცრად გამხდარი, ხმადაბლად მოლაპარაკე მწერალი სავარძელში ჩაბრძანებული მესამე სართულზე ხელით ავიყვანეთ. მაშინ უბედნიერესად ვრაცხდი თავს, მეგონა ქართული მწერლობა მხარზე აზიდული მიმყავდა. „დიონისეს ღიმილისა" და „დიდოსტატის მარჯვენას" ავტორს გვერდს უმშვენებდა საქართველოს მომავალი პირველი ლედი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. შეხვედრის შემდეგ მწერალს ბინაზე ვესტუმრე. დამშვიდობებისას ბრძანებითი კილოთი მითხრა: „შენ, უცხო ენის სპეციალისტო, გოეთე უნდა თარგმნო! გაიგე, გოეთე!" სიტყვის დიდოსტატის ეს შთაგონება დღესაც ჩამესმის თითქოს.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ველზე ვარდი

დაინახა ბიჭმა ველზე,
ნორჩი ვარდი, ეული.
მიირბინა, შედგა ყალყზე,
გახდა ჟინმორეული.
ცისკრის დარი, მარტოსული,
იდგა, ობლად წვეული.

ვარდი, ვარდი, მარტოსული,
ველზე წითლად ამოსული.

ბიჭმა უთხრა, — მარტოსულო,
მოგწყვეტ! ველზე ამოსულო!
— გიჩხვლეტ ბიჭო! — ეტყვის ვარდი.
— ეგზომ რატომ შეგიყვარდი?
ისე მტანჯავს შენი დარდი,
დიდ მწუხრშია მეც ჩავვარდი.

ვარდი, ვარდი, მარტოსული,
ველზე წითლად ამოსული.

და მოწყვიტა მარტოსული
ბიჭმა ველზე ამოსული;
ვარდი უხმობს ეკლებს შველად,
ბიჭს რომ ჩხვლიტონ უზოგველად;
ვარდს წუხილმა ვერ უშველა,
ის ეული დარჩა ველად.

ვარდი, ვარდი, მარტოსული,
ველზე წითლად ამოსული.

გერმანულიდან თარგმნა
ავთანდილ წილოსანმა

გურამ ბენაშვილი

ლიტერატურული ვიტრაჟები

გერონტი ქიქოძე

ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც სხვა კლასიკური მეცნიერებანი, პარადიგმათა პერმანენტული ცვალებადობითაა აღბეჭდილი...

ამ კონტექსტითაც უნიკალურია XX საუკუნე... ეს იყო ეპოქა, როცა იქმნებოდა მხატვრული ტექსტის აღქმისა და სემანტიკურ-აქსიოლოგიური ინტერპრეტაციის განსხვავებული მეთოდოლოგიები... მიმდინარეობდა ახალ შეხედულებათა და კონცეფციათა ინსტიტუციონალიზაციის პროცესი...

გერონტი ქიქოძის შემოქმედებითი ბიოგრაფია ამ ინტელექტუალური ალტერნატივებიდან იღებდა დასაბამს...

ერუდიტი და უზადო ლიტერატორი, უნივერსალურ ღირებულებებზე ორიენტირებული ინტელიგენტი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, იგი, ერთი იმათთაგანი იყო, ვინც დაამკვიდრა და ტრადიციად აქცია ფილოლოგიური აზროვნების ახალი კულტურა, გააფართოვა და გააღრმავა ჰუმანიტარულ კვლევათა არეალი...

მის სახელსაც უკავშირდება ლიტერატურული ნარატივის კომპარატივისტული კვლევის ტრადიცია და ტექსტის ტიპოლოგიური განსჯა-ანალიზის დამკვიდრება...

მხატვრული ლიტერატურა, როგორც არა მხოლოდ ფორმა, არა მხოლოდ სტილის იერარქია, არამედ უნივერსალური კულტურის ფოკუსი, სამყაროს ისტორიული მრავალფეროვნების ინგრედიენტი, კონკრეტული ერის სულიერი ხატის მეგასიმბოლო... ეპოქალური ეროვნული იდენტობის გენერატორი — მისი კონცეფციის ჰიპოსტასებია...

გერონტი ქიქოძის ფილოლოგიურ კვლევებში ერთმანეთს ერწყმოდა ლიტერატორისა და სოციოლოგის, ფსიქოლოგისა და ისტორიოგრაფის, კულტუროლოგისა და ფილოსოფოსის რეფლექსიები...

მისთვის, როგორც ანალიტიკოსისათვის, ნონსენსი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების ამოვარდნა ზოგადისტორიული კონტექსტიდან ანუ მათი ავტონომიზაცია... ასევე, სამყაროს ოდენ პოლიტიკური ისტორიების ასპარეზად წარმოდგენა და გადავიწყება იმისა, რომ იგი ფიქრთა და რწმენათა, ანუ აზროვნების უსაზღვრო სისტემათა ისტორიაცაა... და, რომ ყველა ეს „ისტორიები“ ფუჭი და ამოუცნობია ურთიერთკავშირებისა და ადამიანთა კულტურული კონტექსტების გარეშე...

თანამედროვეა გერონტი ქიქოძის „ისტორიზმი“... ის არც გარდასულის „ანტიკვარია“ და არც ბიოგრაფიულ დისკურსთა უპირობო აპოლოგეტი...

ის უფრო უღრმესი სულიერი დიაპაზონითა და უფაქიზესი გემოვნებით აღბეჭდილი მოაზროვნეა, რომელსაც ძალუძს თამამად „ესროლოს ხელთათმანი“ და საპაექროდ „გამოიწვიოს“ თვით გენიალური შემოქმედიც კი...

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №20

განუმეორებელი მოქართულე, ერის განმანათლებლის უფლებით მოსილი, მისი მორალური და ინტელექტუალური სიმბოლო, იგი ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, რომლის ცხოვრება და ღვაწლი „სუვერენული ინდივიდის“ კლასიკურ ტიპს განასახიერებდა...

აკაკი გაწერელია

ჭეშმარიტად ევროპული ინტელექტუალიზმის განსახიერება იყო აკაკი გაწერელია... მასში მძლავრად ფეთქავდა ზედროული თუ ზესივრცული სულიერების ისტორია — მისი ფილოსოფიური ჰიპოთეზებითა თუ მხატვრული სახეებითა და მეტაფორებით, რწმენის სიმბოლოებითა თუ საუკუნეთა სიბრძნით... ეს ყოველივე მისთვის ისეთივე „ხელშესახები“ და რეალური იყო, როგორც ადამიანებითა და საგნებით წარმოდგენილი სამყარო, ანუ როგორც ყოველდღიურობის ფენომენოლოგია...

დიდი ეკზისტენციური კატაკლიზმების მომსწრე იყო იგი... ნგრევა ცხოვრების ადამიანური წესისა, სისხლიანი რეპრესიები და უახლოეს მეგობართა წამებანი, თანამოკალმეთა ღალატი და თვითგადარჩენის კონვულსიები... მსოფლიო ომის კოშმარი... აი, ის ბესტიარული „პარტიტურა“, რომლის ტრაგიკულმა იმპულსებმა, სრულიად „ალოგიკურად“, შვა უნიკალურ ტალანტთა ვრცელი გალერეა...

მათ შორის იყო ქართული ფილოლოგიური მეცნიერების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ლიტერატურული აზროვნების ჭეშმარიტი ვირტუოზი აკაკი გაწერელია...

შეუძლებელია ანალიტიკური განსჯის მწვერვალებს არ გაზიაროს მისმა ელეგანტურმა ლიტერატურულმა მედიტაციებმა...

და მაინც, სრულიად უნიკალურია მისი პოეზიით „გატაცება“...

ეს არის ლექსის ალქიმიაში განდობილის, მისი მშვენიერებით შთაგონებული ესთეტისა და ვიზიონერის ზღვრული თვითრეალიზაციის გამოსხივება...

მისი, როგორც პოეზიის დიდი მკვლევარის ანალიტიკა, აშკარად განირჩევა სხვათა რეფლექსიებისაგან, მათი მეთოდოლოგიისაგან... თუნდაც იმით, რომ მისთვის პოეზია წმინდა იერატიული ფენომენის განსახიერებაა, ანუ ნაყოფია უცაბედი ღვთაებრივი ემანაციისა, შთაგონებისა და გამოსხივებისა... რომ მხოლოდ პოეზიაა ადამიანური ნათელხილვების ერთადერთი „ველი“ და რომ მას არამიწიერი ინსტინქტებით მოდელირებული სიმბოლოები განასახიერებენ...

ეს, და მრავალი ამგვარი მოსაზრებანი, აკაკი გაწერელიას ოდენ რომანტიკულ „ინიციაციებად“ არ უნდა წარმოვიდგინოთ... პოეზიის „ცხადი“ იდუმალება, ამგვარი „მეტაფიზიკური“ განსჯისაკენ მიმართავს არა მხოლოდ მას...

რუსთველოლოგია, არეოპაგეტიკა, ლიტერატურულ-ესთეტიკური ძიებანი, ქართველ კლასიკოსთა თუ თანამედროვეთა სილუეტები, მრავალრიცხოვანი ოპუსები პოეტიკის სფეროში — აი, მიახლოებით, იმ პრობლემათა სივრცე, რომელსაც საოცარი შთაგონებით დასტრიალებდა ამ დიდი ლიტერატორის სული და გონება...

ისიც ფრიად საგულისხმოა, რომ მისმა უღრმესმა ისტორიულმა ცნობიერებამ და მოვლენათა მხატვრული წარმოსახვის შინაგანმა იმპულსებმა, XX საუკუნის ქართულ ბელეტ-

რისტიკას შესძინა რამდენიმე ქმნილება, რომელთა შორის განსაკუთრებულია ფსიქოლოგიური რომან-ეტიუდი — „ფაიდას გამოცხადება“... მასში თვალსაჩინოვდება აკაკი გაწერელიას უფართოესი ერუდიცია... ხელეწიფება შთამბეჭდავი კონოტაციებით წარმოსახოს უძველესი კულტურის ფილოსოფიური ტექსტი და ისტორიული სიმბოლოებით აღბეჭდოს იგი... და ეს ყოველივე წარმოადგინოს იმგვარად, რომ არ მოახდინოს თანამედროვე მკითხველის გემოვნებისა და წარმოსახვის ზონდირება...

ამ ქმნილებაში მაღალი ხელოვნებით „იძერწება“ დიდი თეოლოგის, რიტორისა და ფილოსოფოსის — ნეტარი ავგუსტინეს ფსიქოლოგიური პორტრეტი... მისი სულიერი გრადაციების, ინტროსპექციისა თუ მონანიების ემოციური ფრაგმენტები...

საუკუნის კურიოზია ალბათ ქართული ფილოლოგიის ამ ჭეშმარიტი მეტრის ქართველ სწავლულთაგან იგნორირების „მისტერია“...

ე.წ. რჩეულთაგან უარყოფილი, იგი ვერ „ამაღლდა“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად...

ესეც მისი ბედისწერა იყო...

მისი ეპოქის გამორჩეულ ადამიანთა მსგავსად, ისიც სწუხდა მწარე იმედგაცრუებათა თუ ირგვლივ მომძლავრებულ, ავადჩამომდგარ უმეცრებათა გამო...

გრძნობდა და განიცდიდა ბარბაროსული ჟამის, ჭეშმარიტი კულტურული ფასეულობების მსხვრევისა და ადამიანთა მუტაციის საბედისწერო მოახლოებას...

ქვეყნის — სისასტიკისა და სიმულაციების „თეატრად“ გარდასახვის კოშმარს...

აკაკი ბაქრაძე

იყო ჟამი, როცა მისი ეროვნული ობერტონებით გაჯერებული მედიტაციები სულიერ საზრდოდ ეფინებოდა ქართველ ახალგაზრდობას... ადამიანები მისკენ ილტვოდნენ, რათა სიმართლის მშვენიერებით დამტკბარიყვნენ და საკუთარ თავში აღმოეჩინათ, თუ გაეღვიძებინათ თავისუფალი ადამიანის განცდა...

საოცარი ის არის, რომ ერში „გადასროლილ“ სიტყვას ნიადაგიც ნოყიერი ხვდებოდა... ასე აკავშირებდა იგი — სიტყვა ადამიანებს... ასე აკვალიანებდა იგი მარად დაბნეულ-მერყევთაც კი...

რასაკვირველია იყო შიშიც, რომელიც თავის მხრივ, აიძულებდა ადამიანებს ერთ მუშტად შეკრულიყვნენ და საერთო გაურკვევლობის ძრწოლაში გაერთიანებულიყვნენ...

ადამიანის ღირსების საკრალიზაცია — აი, უპირველესი პოსტულატი აკაკი ბაქრაძის მოღვაწეობისა და, თუნდაც ბრძოლისა...

იგი ყველგან და ყოველთვის ცდილობდა მისთვის ფუძემდებლური მცნებების დამკვიდრებას, ვინაიდან მშვენივრად იცოდა, რომ უღირსებო ადამიანთა იმედად, ვერაფრით შეიქმნებოდა ვერც პოლიტიკური, ვერც ეკონომიკური და ვერც სოციალური კეთილდღეობა...

აკაკი ბაქრაძე ძალზე ფრთხილად და დელიკატურად საუბრობდა მასაზე ანუ ლიანგზე... მან იცოდა მისი ავიც და ზოგ შემთხვევაში, კარგიც... იგი წერდა XX საუკუნის პირველი ათწლეულების ბრბოდქცეულ საქართველოზე და ამას აკეთებდა იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შემზარავი უბედურების მაცნეა მახინჯი კერპებითა და მათივე ოდიოზური იდეოლოგიებით აღტყინებული ხალხი...

თუმც, მიუხედავად ყველაფრისა, როგორც „პატარა უფლისწულის“ ავტორი იტყოდა — დაბნეული ბრბო, თუ მასში არის თუნდაც ერთი ადამიანი, ვის შეგნებაშიც ეს ბრბო შეკავშირებულია, უკვე აღარ არის დაბნეული ბრბო...



ის „ერთი ადამიანი“, სხვა რამდენიმესთან ერთად, აკაკი ბაქრაძე იყო...

იგი მთელი არსებით ცდილობდა იმას, რომ მის ქვეყანას „გათენებამდე გაეძლო“ ისე, რომ ბოლომდე არ გარყვნილიყო ერის სული და გონება... მისი საზოგადოებრივი აზროვნების სტრატეგია იმასაც მკაფიოდ ითვალისწინებდა, რომ ლიანგის ერად ქცევა, დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად შეიგრძნობს ერთიანობის გამაკეთილშობილებელ ძალას...

იყო სიყვარული, იყო ტანჯვა, იყო ბედნიერებაც, მაგრამ ეს ყოველივე უფრო ხშირად სასტიკი დრო-ჟამის მიერ „გენიალურად დადგმულ სიმულაციებს“ წარმოადგენდა...

საგულისხმოა, რომ აკაკი ბაქრაძე გონითა და ენით, ანუ ჭეშმარიტი საქმით მეტყველებდა მაშინ (და სწორედ მაშინ!), როდესაც ადამიანებში ყოვლისმომცველი შიში საოცრად ბუნებრივი იყო... მისი საჯარო გამოსვლა თუ პუბლიკაცია, გაბოროტებულ ქარიშხალსა და ქაოსს კი არ აძლევდა დასაბამს, არამედ აღვიძებდა და აღორძინებდა დაკარგულ ეროვნულ თვითშემეცნებას, პიროვნულ თვითგანცდასა და სამყაროს სულიერ ფასეულობათა წინაშე თაყვანისცემას...

კიდევ უფრო ღრმადმნიშვნელოვანი კი ის არის, რომ აკაკი ბაქრაძე დუმდა მაშინ, როდესაც ადამიანებს უახლოესი წარსულის გმობისათვის არათუ სჯიდნენ, აჯილდოებდნენ და აღმერთებდნენ კიდეც...

თუმც, მისი მჭევრმეტყველური დუმილი შესაძლოა უფრო არსებითი და ღრმა ქვეტექსტებითაც კი იყო დატვირთული...

თუ გავითვალისწინებთ, რომ დუმილი, საზოგადოდ, სულიერების სიღრმისეული პლასტია და, ამდენად, იგი ართქმა კი არაა მხოლოდ, არამედ დამოუკიდებელ სიტყვად დალექილი დისკურსი, ანუ ადამიანის სხეულში ღრმად ჩანერგილი შინაგანი მეტყველებაა...

აკაკი ბაქრაძის ლექციები მაღალი ეროვნული ღირსების გრძნობებს აღვივებდა, რაც ასე აუცილებელი იყო იმ პერიოდის ქართული ცნობიერებისათვის, ვინაიდან, როგორც, თუნდაც თვით რიჩარდ რორტი აღნიშნავს — „ეროვნული სიამაყის გრძნობა ქვეყნისათვის იგივეა, რაც ღირსების გრძნობა ინდივიდისათვის“... თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსის პერსონაც იმიტომ „შევაწუხე“, რომ დასავლეთის ფსევდოფასეულობებზე ორიენტირებულ „ვუნდერკინდებს“, ასე რომ მობეზრებიათ ყოველივე ეროვნული, კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ მათთვის სათაყვანებელი და „ულტრათანამედროვე კონტექსტებში“ ხშირად ნახსენები ეს ფიგურა, სულაც არ გახლავთ გულგრილი ეროვნულისადმი... თურმე მასაც კი გულმხურვალედ ჰყვარებია თავისი ქვეყანა და ეროვნული სიამაყის ტონუსი წმინდა და მარადიულ ღირებულებად მიუჩნევია...

გულისამრევი და შემაშფოთებელია „ყავარზე კუდგადებული“ ქართველის ხილვა, სნობიზმის ჭიით გულდაღრღნილ გვამთა, თუ კისერგაწვრილებულ ანდროგინთა წკავწკავი ეროვნულის განსადევნად...

მათ გასაგონად მინდა აღვნიშნო, რომ აკაკი ბაქრაძე, მისთვის მაცოცხლებელ იმპულსებს ილიას ცხოვრებასა და ღვაწლში იძიებდა და ჰპოვებდა...

საერთოდ კი, სრულიად ცალკე თემად მოიაზრება — აკაკი ბაქრაძე, როგორც ილიას უბადლო მკითხველი და ინტერპრეტატორი...

ამ კონტექსტში ნახსენები „მკითხველის“ ცნება, სულ სხვა ვალენტობას იძენს დღევანდელ სააზროვნო სივრცეში, ვინაი-

დან ამ შემთხვევაში გენიალური „ავტორის სიკვდილმა“, თუ შეიძლება ითქვას, გენიალური „მკითხველის გაცოცხლება“ გამოიწვია, ანუ დიდმა შვა თავისი შესაბამისი...

ჩვენი საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების პირუთვნელი სურათი იხატება აკაკი ბაქრაძის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“...

კრიტიკოსისათვის დამახასიათებელი ირონიითაა განსჯილი ხელისუფლების „უერთგულეს“ მოღვაწეთა თუ „ფხიზელ“ კრიტიკოს-ჟანდარმთა ოპუსები... ეს უკანასკნელნი თავისი ოდიოზური როლითა და მამხილებლის ფუნქციით, სრულიად განსაკუთრებული კონფიგურაციით აღიბეჭდებიან ტოტალიტარული „მსოფლხედვით“ გაჯერებული საზოგადოების ცნობიერებაში...

წიგნში დიდი სიმართლით წარმოსახულ ადამიანთა ფსიქოლოგიური პორტრეტები, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, კიდევ ერთხელ ამყარებენ ჩვენს წარმოდგენას სისასტიკის წინაშე მდგარი ადამიანის სრულ უსუსურობასა და ხშირად, არარაობაზეც კი...

საგულისხმოა, რომ აკაკი ბაქრაძეს ქართველი კაცის იდეალურ განსახიერებად ავთანდილი მიაჩნდა და ერთმნიშვნელოვნად თვლიდა, რომ „ქართველი ხალხი ავთანდილის სილაღეს უნდა ეზიაროს, თორემ კვაჭი კვაჭანტირაძის ჩიტირეკიაობა მას კარგს არაფერს მოუტანს“...

სიმპტომურია, რომ მისთვის სწორედ ავთანდილია ქართული სულისა და სხეულის ჭეშმარიტი პარადიგმა... ავთანდილი, რომლისთვისაც მოყვრისათვის თავშეწირვა უმაღლესი ბედნიერებაა, რომლისთვისაც სიყვარულიცა და უსასტიკესი შურისმაძიებლობაც რაინდობის კონტექსტში მოიაზრება... რომელიც გაკერპებული ურჩიცაა და უნაზესი თუ უნატიფესი მორჩილიც... ღვთაებრივი ხმით მგალობელიცა და წუთისოფლის მუხთალი ტრიალით შეძრული ცრემლიანი ფილოსოფოსიც...

იგი იმასაც შეგვახსენებდა, რომ აზრისა და სულის კრეატიულობა სამწუხაროდ გადამდები არ იყო და ეს „თვისება“ ოდენ ავადმყოფობასა და ბოროტებას გააჩნდა უხვად და უშურველად... თუმც, სავარაუდოა, რომ მისი სულის წიაღში საპირისპირო რწმენაც ციმციმებდა და შინაგანი ფარული ხმა სიკეთის ძალმოსილებასაც შთააგონებდა...

იქნებ, სწორედ ეს ჯიუტად მოკარნახე ხმა აქცევდა მას უფრო მებრძოლ, უკომპრომისო და მაინც ზეცისკენ მაყურებელ რომანტიკოსად, ვიდრე ემპირიული სინამდვილის ბოლომდე „ერთგულ“, ანუ ორთოდოქს მიმდევარ-აპოლოგეტად...

ამიტომაც არ შედგა აკაკი ბაქრაძისაგან პოლიტიკოსი...

მართალი იყო იგი, როცა ამბობდა, რომ — ყოველი ადამიანი საკუთარი წარმოდგენით ქმნის იდეალურს და მას ლეგენდის სამოსელში ხვევსო...

ამ კონცეპტუალური მოსაზრების საილუსტრაციოდ, იქვე თვალსაჩინო ქართველი ფილოსოფოსის რომანტიკულ ნარატივს იხსენებდა: „მახსოვს, შალვა ნუცუბიძე გალილეის ცხოვრებას გვიამბობდა. ლექციის დასასრულს მისებურად გაიღიმა და თქვა: — „რა თქმა უნდა, ინკვიზიციის სასამართლოში მას არ უთქვამს „მაინც ბრუნავსო“... ინკვიზიციის დარჯაკში გამოვლილ კაცს იმის თავი აღარ ექნებოდა, რომ „pun si mouve!“ დაეყვირა, მაგრამ იტალიელი ხალხის სინდისმა ინება, რომ გენიალური მეცნიერი სწორუპოვარი ვაჟკაციც ყოფილიყო“...

ხალხს უნდა, ხალხს სწყურია გმირი... ადამიანებს სჭირდებათ ლეგენდა... ქვეყანაზე არსებული ნეგატივის განსადევნად ხალხს სრულქმნილი იდეალი სურს...

„ჩემი მიჯნური როგორადაც მსურდა, ისეთად წარმოვიდგინე... ამაზე ვისაც რა უნდა, ისა სთქვას; უმეცარნი დამძრახავენ, მაგრამ გონიერმა მაინც, იქნებ, სხვაგვარად შეხედოს საქმეს“-ო — ბრძანებდა დონ კიხოტი...

არადა, ის ახირებულ და რეალობასთან მიმართებაში თვალაბმულ გმირად მიაჩნიათ... მისი ხატი და სულისკვეთება, იმიტომაც დგას მედინი დროის მიღმა, რომ ის ხედავს „რეალობას“... და ეს რეალობა მხოლოდ ფხიზელი გონების სახილველია...

საოცრად ძნელია ფხიზლად ყოფნა; ძნელი და აუტანელიც — როგორც ეს გალილეის შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო — ვინაიდან სიფხიზლე ნიადაგ საფრთხის წინაშე აყენებს პიროვნებას, თუმც შტეფან ცვაიგისა არ იყოს — „ყოველი საფრთხე შემოქმედისათვის ცხოველმყოფელ სტიმულად იქცევა, რადგან სულის უცნობ ძალებს აღაგზნებს. ამნაირი აგზნების შემდეგ იწყებს ადამიანი თავისი მეობის ძიებას, და საბოლოოდ, რასაც უნდა აკეთებდეს იგი, საკუთარ ავტოპორტრეტსა ქმნის, საკუთარ თავს აღწერს“...

აკაკი ბაქრაძემ საკუთარი თავის აღწერა დაამთავრა... ამიერიდან მომავალი „ჟამთააღმწერელი“ განასრულებს მას...

გავა დრო, და როდესაც ოცდამეერთე საუკუნის ქართველი მკითხველი ტანჯულ საუკუნეს შემოქმედებითი აზრისა და თავისუფალი ნების გამოვლინებათა მოსაძიებლად მიუბრუნდება, ერთი უპირველესთაგანი, უნიკალური ლიტერატორისა და მოქალაქის — აკაკი ბაქრაძის ხატებაც „შემოეფეთება“, განუმეორებელი ღიმილითა და სამშობლოზე ფიქრის უდიდესი გამოცდილებით...

ჩვენ, XX საუკუნის ადამიანები, მომსწრენი ვართ, ჩვენსავე თვალწინ გათამაშებული დრამატული მისტერიისა...

რატომღაც მეჩვენება, რომ ერთ-ერთი უკანასკნელი, ამგვარი მისტერიის პროტაგონისტი აკაკი ბაქრაძე იყო...

და ბოლოს შემზარავი ნაკლოვანებების მიუხედავად, XX საუკუნის ადამიანებს ჰქონდათ უნარი, იქნებ ღვთაებრივი ნიჭიც კი ყოფილიყვნენ ღირსეულნი და ამაღლებულნი...

რაღაც კოშმარულია და გაუგებარი დოგმატებისა და მკვდრადშობილი იდეოლოგიის სრული მეუფების ატმოსფეროში, მათ შეძლეს თავისიდან აღმოეცენათ და სულის უმშვენიერეს მანიფესტაციებად ექციათ ჭეშმარიტი ლიტერატურული შედევრები...

ამ საუკუნის მოულოდნელი „კაპრიზებიდან“ ერთი აკაკი ბაქრაძე იყო... დრო-ჟამის მშვენიერი ნაყოფი, იგი მთელი არსებით ირეკლავდა ერის ისტორიული გამოცდილების იმ ფუძემდებლურ აქცენტებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თავისუფალ მოაზროვნედ და მოქალაქედ ჩამოყალიბება...

ენციკლოპედიური ცოდნა და სულიერი უნივერსალიზმი აქცევდა მას ინტელექტუალურ „ოაზისად“, რომლის ნეტარ „ჩრდილშიაც“ იბრუნებდნენ სულს ცოდნასა და თავისუფალ ფიქრს მონატრებულნი...

მისი მღელვარე და დინამიური მოღვაწეობის „ფინალი“, ანუ განმარტოებისა და სულის საბოლოო მოთქმის ჟამი, ჩემთვის თითქოს ახლობელი და გასაგები გახადეს მიშელ მონტენის მედიტაციებმა — „გავთავისუფლდეთ წარსული ვნებიანი გატაცებებისაგან, რომელნიც ერთ დროს ასე გვიმონებდნენ და გვაშორებდნენ ჩვენსავე თავს... უნდა გაწყდეს ეს ძლიერი კავშირები... გავეცალოთ საზოგადოებას, რომელსაც აღარ ვჭირდებით, რომლისთვისაც აღარ ვართ სასარგებლონი...

განმარტოება, არსებითად, კიდევ უფრო აფართოებს თვალსაწიერს, გვხდის უფრო თანაზიარსა და გატაცებულს საზოგადოებრივი ინტერესებითა და მსოფლიო მოვლენებით“...

ეს არ იყო ეგოიზმი და არც სულის მომწამლავი სკეპსისი... ამაყი და ღირსებით აღბეჭდილი სუბიექტივიზმი, ანუ სულიერი არისტოკრატიზმია ამ გალანტური მონოლოგის „სათავე“...

პიროვნული თავისუფლება და უცხო, ფუჭად ხმაურიანისაგან განრიდება ყოფილა არაერთი დიდი ადამიანის ნებაყოფლობითი ხვედრი...

მხოლოდ ამგვარად წარმომიდგენია აკაკი ბაქრაძის განმარტოებისა და უფრო მაღალ სულიერ გრადაციებთან ზიარების პროცესი...

ასეთი ყოფილა დრო-ჟამის არაერთი პროტაგონისტის „ეკლიანი“ გზა, აზრისა და მოქმედების ტრიუმფატორიდან, განმარტოებისა და დუმილის ფილოსოფიურ ნეტარებამდე...

„არის რაღაც დამღუპველი მისთვის, ვისაც მისდევენ... დამღუპველი კი ისაა, რომ მდევარი შლის ნაკვალევს“... ჟან ბოდრიარის ამ იმპერატივის სუსხს, იმედია არ გაიზიარებს მიმდევართაგან ერთ დროს ესოდენ „განებივრებული“ სულიერი ლიდერი...



თამაზ ჩხენკელი

ამაოდ არ ჩაუვლია XX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებისა და ღვწის შთამბეჭდავ გაკვეთილებს...

კოლოსალური იყო მათი მაპროვოცირებელი ენერგეტიკის ძალა...

არსებითად, ამანაც განაპირობა მოაზროვნე და მორალური თაობის აღმოცენებისა და დამკვიდრების პოზიტიური დინამიკა...

მათგან რამდენიმემ (გურამ ასათიანი, რევაზ თვარაძე, აკაკი ბაქრაძე...) საუკუნის მოღვაწის მისია იტვირთა და აღასრულა კიდეც...

ბუნებით მაძიებელნი, ანალიტიკური წვდომის ჟინით „ატანილნი“ და ნატიფი გემოვნებით გამორჩეულნი, საოცრად „აშინაარსებდნენ“ იდეოლოგიური არტიკულაციებით დეფორმირებულ დრო-ჟამს...

თამაზ ჩხენკელი ერთი ამ „იერარქთაგანი“ იყო...

მან ძალზედ ბევრი რამ შესძლო აღექვა, განეცადა, საკუთარ სუბსტანციად ექცია და შეეთავაზებინა საზოგადოებისათვის...

მისმა გონებამ თავისში „ატარა“ ეროვნული კულტურული ცნობიერების უფართოესი პლასტები და მათი ანალიტიკური „ლეგიტიმაციის“ პერსპექტივები...

მრავლისმეტყველი კონცეპტუალური „ელემენტებითაა“ დამუხტული და შინაგანი თრთოლვითაა „ნაქსოვი“, მისი ბრწყინვალე ლიტერატურული მედიტაციები...

მის ქმნილებათა „ლაბირინთებში“ ერთობ კონცეპტუალური და ლოგიკური იმპროვიზაციები ქმნიან სააზროვნო სივრცის უნიკალურ შეგრძნებას... ჩნდება გადაულახავი ცდუნება მათი კვლავგემოვნებისა, ლიტერატურული ტექსტის ბოლომდე აღქმისა...

უღრმესი სემანტიკით „დანაღმული“ მისი ენერგეტიკული ველი, რეფლექსური აზროვნების ძალისხმევას ითხოვს... და ინტელექტუალური გამოცდილებით აღბეჭდილ მკითხველზეა უფრო პროეცირებული...

უნივერსალურ, ზედროულ და უსასრულო ღირებულებათა თაყვანისმცემელი და აღმსარებელი იყო იგი...

წარსულისა და თანამედროვეობის ანალიტიკური ჭვრეტის ინდივიდუალური სტრატეგიით „აღჭურვილმა“, მან საოცარი სიღრმით შეიცნო გარდასულ ჟამთა „ანატომია“... მათ წიაღში ჩაკარგულ სიქველეთა თუ ბოროტებათა სიმძაფრეცა და მასშტაბებიც...

ფილოსოფიური კონცეპტებით სტრუქტურირებული მისი ანალიტიკური თუ პოეტური ოპუსები წარმოსახავენ ყოველივე იმას, რაც არსებითი და მონუმენტურია ავტორის კულტურული ცნობიერებისათვის...

მიენდობი და „აჰყვები“ რა მის რეფლექსიებს, იგრძნობ როგორ შემოდის შენში სულიერების ჯერგანუცდელი მნიშვნელობები, ფარული და შთამბეჭდავი ჭეშმარიტებანი...

თითქოს არაფერია სულიერების უკიდეგანო ლაბირინთებში „მოარული“ მისი თვალთახედვისათვის უცხო და შორეული, ფერდაკარგული და უსახური...

იგი კიდევ ერთხელ გარწმუნებს, რომ კრიტიკა, თავისი იდეალური სახით, ყველაზე საინტერესო ლიტერატურაა...

პოეზიის უნივერსალური დისკურსი (ყოფიერებისა და დროის ეკზისტენციური ანალიტიკა) განაპირობებდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის იდეოლოგიას...

მისი პოეზიის ლირიკული არაბესკები „სტრუქტურირებაა“ ღრმად განცდილისა და ყოფიერების სუბსტანციური ილუსტრაციისა... რაფინირებული აზროვნების ნაკადს, მასში ირაციონალური ჰორიზონტების დიალექტიკაც ერთვის, რათა თითქოს კიდევ უფრო ცხადი გახადოს დრო-სივრცესთან მუდმივმოპაექრე ადამიანის მსოფლგანცდა...

უნივერსალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, იგი რითაც არ უნდა ყოფილიყო გატაცებული, ყოველთვის მშვენიერ ვიზიონერად რჩებოდა...

ძალზედ ცოტანი არიან ისინი, ვინაც მასავით ელეგანტურად განვლო ეს პროზაული წუთისოფელი...

ამიტომაც იქცა იგი თანამედროვეთა ერთ სულიერ „ოაზისად“...

„მე არ შემიძლია ცხოვრება სილამაზის გარეშე, — წერდა ერთ დროს ალბერ კამიუ, — სილამაზეა ჩემი მთავარი საზრუნავი, ისევე, როგორც თავისუფლება, რადგან მხოლოდ თავისუფლებაა წყარო სილამაზისა...“

ვფიქრობ, ანალოგიური ეკზისტენციური იმპერატივის „აღმსარებელი“ იყო თამაზ ჩხენკელიც...

პოეზიის სიბრძნისა და მშვენიერების აპოლოგეტი, რომანტიკული იდეალების ერთგული რაინდი, სამყაროს ინტელექტუალურ სივრცეებში ლაღად „მოლივლივე“ და ღრმადშთამაგონებელი ლიტერატურული მემკვიდრეობის შემოქმედი — ასეთია ერთი ღირსეული მეოცესაუკუნელის სულიერი ცხოვრების პარადიგმათა ნუსხა...

მის უახლოეს მეგობართაგან გამიგონია — საშინლად აღიზიანებდა და აკრთობდაო სიბერის მოლოდინი... არ ეპუებოდაო წელთა სიმრავლეს...

საოცარია, რომ სიცოცხლის ბოლომდე, უკვე საკმაოდ ხანდაზმული, ის ისეთივე (ან თითქმის ისეთივე) ელეგანტური და მშვენიერი იყო, როგორც შორს დარჩენილ წარსულში...

გონებით გაბრწყინებული და სულით ნეტარი, უბერებლობის სასწაულითაც დააჯილდოვა თითქოს უფალმა...

ვახტანგ როდონაია

სამწუხაროდ, ღრმა და თავის თავში დასრულებული „თვალსაჩინოებანი“ ხშირად შეუმჩნეველიც კი რჩებათ ადამიანებს...

ისინი გულგრილნი არიან იმ სუბსტანციათა მიმართ, რომელნიც მათ თვალწინაა წარმოდგენილი... ვიზუალური და აკუსტიკური აღქმა ადვილად ეჩვევა იმ პერსონალიებსა თუ საგნებს, რომელნიც „უცხოდ“ თუ „შორეულად“ არ მოიაზრებიან...

აშკარა სიახლოვე ხელს უშლის ფოკუსირებულ მზერას და ღირსსახსოვარ მოცემულობათა სემანტიზაციას.

ეს არის პარადოქსული კონტექსტი, ანუ ე.წ. ფსიქოლოგიური დალტონიზმი, რომლის მიხედვითაც „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“... მაგრამ საკმარისია ერთგვარი დისტანცირება, რომ მკაფიოდ წარმოგვიდგეს შინაგან შესაბამისობათა თუ უხილავ ორმხრივობათა მთელი გამა, ანუ ის, რისი წყალობითაც ხორციელდება ადამიანთა ღრმა ერთობისა და ურთიერთთაყვანისცემის სასწაული...

საკრალური ერთობის ამ დელიკატურ ლაბირინთებშია საძიებელი ეროვნული ცნობიერების ფესვებიცა და მაღალ სულიერ ღირებულებათა აღქმის იმპულსებიც, ურთიერთობათა კულტურაცა და მათი სემანტიკაც...

გასრულდა ღირსეული პიროვნების, მოღვაწისა და ლიტერატორის ვახტანგ როდონაიას სიცოცხლე და უმალ, ჩემს უკვე რედუცირებულ ცნობიერებაში, სულ სხვა კონტექსტით „აღსდგა“ და წარმოისახა სიჭაბუკის მეგობარი... ახალი და ჯერგანუცდელი სადინარი მიეცა მასზე რეფლექსირებას...

ყველასაგან განსხვავებული სააზროვნო პარადიგმები და გენეტიკური დეფინიციები გამოარჩევდა მას...

როგორც ლიტერატორმა და მოღვაწემ, მან მშვენივრად განასახიერა თავისუფალი ადამიანის სულიერი მისწრაფებანი, ანუ ის, რომელთა გარეშეც მხოლოდ ბუტაფორიაა ამქვეყნიური არსებობის საზრისი...

იგი გულწრფელი გატაცებით ემსახურა საქმეს, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა ქვეყანას...

თვით იყო მორალური განსახიერება ამ ეროვნული საქმის საფუძველშივე ნაგულისხმევი წმინდა სულისკვეთებისა...

ვახტანგ როდონაია — კოლოსალური ინტელექტუალური პოტენციის თვალსაჩინო ნიმუში, ჩვეულებრივიცა და არაჩვეულებრივიც, ფიზიკურიცა და მეტაფიზიკურიც...

უნივერსალურ კულტურულ თუ ისტორიულ ფასეულობებზე ორიენტირებულიცა და მათი ონტოლოგირებით გატაცებულიც...

წარსულისა თუ თანამედრვეობის სულიერ ავტორიტეტთა წინაშე მოწიწებული, იგი არასოდეს კარგავდა წონასწორობას... მისი ამაყი და კეთილშობილი სული მათში ეძიებდა და ჰპოვებდა იმ არსებითს, რაიც სხვათა გონებისათვის პრობლემატური იყო...

ცდილობდა მისი სათაყვანებელი ერისათვის აღმოეჩინა და გაემრავლებინა სულიერი საზრდო, დაერწყულებინა მისი ცნობისწადილი...

მისი უჩვეულოდ ერუდირებული გონი მთელი სისავსით ათვალსაჩინოებდა ინდივიდუალური აზროვნების არამარკირებულ სპეციფიკას, მისი კონცეპტუალური თუ დისკურსიული აღქმის მშვენიერებას...

არცთუ იშვიათად „აკვირვებდა“ თანამედროვეთ ორაზროვანი ნახევარტონებით, „ალერსიანი“ ირონიითა და აღიარებულ შემოქმედთა აღქმისა და შეფასების ორიგინალური კრიტერიუმებით...

ახალისებდა საოცარი იუმორითა და იმიტაცია-იმპროვიზაციებით...

უაღრესად თვითმყოფადი, იგი შინაგანად შესისხლხორცებული რწმენის ჭეშმარიტი ენთუზიასტი იყო...

ელეგანტური სისადავითაა გამორჩეული მისი ლიტერატურულ ტექსტთა სტილისტიკა... არის მათში რაღაც ფარული გრაცია, ინტელექტუალური „შარმი“, რომელსაც ყოველგვარი ბიძგებისა და რყევების გარეშე, შეუმჩნეველი „უღელტეხილებით“ აჰყავხარ იმ სიმაღლეზე, საიდანაც საცნაური ხდება შენს წინაშე გადაშლილი სულიერი პეიზაჟები...

რწმუნდები, რომ სახეზეა იმ ტიპის ანალიტიკური განსჯა თუ კრიტიკული დისკურსი, რომელშიც სინთეზი პრევალირებს მშრალი და სქემატური ანალიზის ფორმალიზებულ მეთოდზე...

ისიც ფრიად საგულისხმოა, რომ მისი აზროვნების დიაპაზონი თავისში მოიცავს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მთლიან, ერთიან და განუყოფელ სპექტრს... დროთა კავშირი, ანუ სულიერების ისტორიული უწყვეტელობა წარმოადგენდა მისი აზროვნების ლაიტმოტივს და ამითაც ირჩეოდა იგი...

რაოდენ სიმპტომურია, რომ სწორედ მისი მორალური და ინტელექტუალური ძალისხმევით იმპულსირდებოდა იმ კოლოსალური მნიშვნელობის სულიერი საზრდო, ქართული ლიტერატურის სასკოლო კურსის სახით რომ მიეწოდება ახალგაზრდობას...

მისი მაღალი გემოვნებით შერჩეული ლიტერატურული მასალა ყოველთვის დაარწმუნებს თაობებს მშობლიური ლიტერატურის ორგანული აღქმის აუცილებლობაში, იმ ჭეშმარიტებაში, რომ სწორედ იგია ჩვენი ეროვნული იდენტობის, მისი მონუმენტალიზმისა და არსის დამამკვიდრებელიცა და რეპრეზენტატორიც...

იყო ინტელექტუალური თბილისის თვალსაჩინო აქტორი, შეუმღვრეველი მორალითა და მაღალი ეროვნული თვითცნობიერებით აღბეჭდილი ჭირისუფალი თავისი ქვეყნისა...

ჩემს გულისტკივილს ამძაფრებენ და კიდევ უფრო სევდიანსა ხდიან გარდასულის „ეკზისტენციური“ რემინისცენციები... მასთან ერთად გატარებული უნეტარესი წლების, XX საუკუნის განუმეორებელი სურნელითა და კოლორიტით აღბეჭდილი რეალობის, თბილისური ტკბილ-მწარე თავგადასავლების, დღეებისა და თრობით დაბინდული ღამეების დაუვიწყარი რომანტიკა...

თანდათან გშორდებიან და მაინც თრთიან შენში წარსულის ფერმიხდილი ზმანებანი, საყვედურით რომ გახსენებენ თავს... და შენც, გონის უმწეო ფათურით ცდილობ შეაღწიო მეხსიერების მიმქრალ ლაბირინთებში ისე ღრმად, რომ უკან დასაბრუნებელი ბილიკი ვეღარ იპოვო და დიდხანს, დიდხანს იხეტიალო ნეტარ ხილვათა სამოთხეებში...

ვახტანგ როდონაიაზე ფიქრი მხოლოდ მწარე სინანულით „მოიქსოვება“ ამიერიდან...

ეს იქნება ფიქრი მეგობარზე, რომელიც თავისი ინსტინქტებით, წარმოდგენებითა და რეფლექსიებით ბოლომდე დარჩა სულით უმანკო რომანტიკოსად... სასტიკი, მზაკვარი და ლაჩრული რეალობიდან განრიდებულ მოღვაწედ და პიროვნებად...

ეს იქნება ნათელი ფიქრი იმაზეც, რომ ჩვენი მიწიერი ცხოვრება მწუხარებისა და ტანჯვის გრძლად გაბმული ხეობაა... და, მასში ისაა კარგი — რომ იგი გზაა სხვა ცხოვრებისაკენ...

ჩვენი ფოსტა

ძვირფასო რედაქცია,

გწერთ ამ წერილს და ვფიქრობ დაეჭვებით, იყო კი აუცილებელი თქვენი შეწუხება? არადა „ჩვენი მწერლობის“ იმ ბოლო ნომრებში, მე რომ მათხოვეს წასაკითხად, რამდენ საინტერესო პუბლიკაციას გავეცანი და გულში კი რაღაცნაირი თანაგანცდით ჩამრჩა ჩემთვის მაინც უცნობი **ეკატერინე ტუკვაძის** ჩანახატი **„ალექსანდრიტის ბეჭედი“.** სადად მოყოლილი, სევდიანად გულახდილი ამბით იგი ხატავს ჩვენი დედაქალაქის სურათს — XX საუკუნის 90-იანი წლებიდან — მთვლემარე სიცოცხლის, მძიმე ეპოქის გახანგრძლივებულ დასასრულს.

და ამ ფონზე იკითხება ამოჩემებული სიყვარულის აკაშკაშება უცხოელი ფეხბურთელებისადმი: „ლამფის შუქით გამოღამებული თვალებით აღფრთოვანებული შევყურებდი ფერადი პლაკატებიდან მომზირალ ფეხბურთის ვარსკვლავბიჭუნებსო“.

დიახ, იდეალი შორს და არა შინ და ახლოს. უარესი — აქეთ, უკეთესი — იქით. იმ წლებში რაღაც რომ დაირღვა, რაღაც რომ მოიშალა „ალექსანდრიტის ბეჭედის“ ავტორმა შემაშფოთებლად შეგვახსენა.

და რაც სასურველია. ეკატერინე ტუკვაძემ ბევრი უნდა წეროს. მგონია, იმ მაღლობის ძირას დგას, საიდანაც ნამდვილი პროზა იწყება.

თამარ გავაშელი
ბოლნისი

სოლომონ ბრეგაძე

ნავთობის ნიშნები ტყიბულის რაიონში

დღიურის ფორმის მქონე ეს ჩანაწერები მამაჩემის, ტყიბულელი გეოლოგის, სოლომონ ბრეგაძის (1917-1974) ხელით არის შესრულებული 1960-იანი წლების დამდეგს შავი ფერის მუშამბისყდიან საერთო რვეულში და ჩვენს საოჯახო არქივშია დაცული. იგი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ნავთობისა და გაზის ძიების ისტორიისათვის ტყიბულის რაიონში და, ვფიქრობთ, არც ფართო მკითხველისთვის უნდა იყოს უინტერესო.

სამსახურებრივი დანიშნულების ერთ ავტობიოგრაფიაში მამა წერს:

„ვარ პროფესიით გეოლოგი, 1938 წლიდან მუდმივად ვმუშაობ საქართველოს ქვანახშირის საბადოების გეოლოგიურ შესწავლაზე, მარტო ტყიბულის და შაორის ქვანახშირის საბადოების გეოლოგიურ შესწავლაზე ვიმუშავე ოცი წელი, წლების მანძილზე ვიყავი ტყიბულისა და შაორის გეოლოგიური პარტიების მთავარი გეოლოგი, ჩემ მიერ არის შედგენილი შაორის საბადოს სამრეწველო შეფასება და პირველი გეოლოგიური ანგარიში მარაგის გამოთვლით. ორივე ანგარიში დამტკიცებულია სსრ კავშირის მარაგების სახელმწიფო კომიტეტში მოსკოვში. ჩემ მიერ არის აგრეთვე შედგენილი გეოლოგიური ანგარიშები ტყიბულის ლენინის, სტალინისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის უბნებისათვის... საშახტო გეოლოგიის პირველი ანგარიში საქართველოში მე მეკუთვნის. წლების განმავლობაში მიმყავდა ტყიბულის შახტების გეოლოგია და ვიყავი ამ საქმის ხელმძღვანელიც. მონაწილეობას ვიღებდი ან უშუალოდ ვხელმძღვანელობდი ტყიბულისა და შაორის საბადოებთან დაკავშირებულ სხვადასხვა გეოლოგიურ სამუშაოებს: ჰიდროგეოლოგიას, სავსებო მასალების ძიებას, საინჟინრო გეოლოგიის საკითხებს როგორც ზედაპირზე, ასევე მიწის ქვეშ...“.

მამამ ჯერ ამიერკავკასიის გეოლოგიური ტექნიკუმი დაამთავრა თბილისში 1936 წელს, ხოლო შემდეგ, 1956 წელს, დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტი (ფრიადზე დაიცვა 235-გვერდიანი სადიპლომო ნაშრომი სახელწოდებით „ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გეოლოგიური აგებულება, სამრეწველო შეფასება და აღმოსავლეთ უბნის დაზვერვის პროექტი“).

ადგილობრივი ბუნებრივი აირის პირველი ალი ტყიბულში 1961 წლის მარტი. მარჯვნივ გეოლოგი სოლომონ ბრეგაძე

ლევან ბრეგაძე

1960 წელს №163 ჭაბურღილის ბურღვის დროს ქვედა ქვიშაქვების კერნის ნაპრალებში ემჩნეოდა ნავთობის წვეთები, ხოლო ქანი გამოსცემდა ნავთობის სუნს.

№144 ჭაბურღილის კერნის დამუშავებისას შემჩნეული იყო ნავთობის შავი ლაქების მოზრდილი უბნები მსხვილ მარცვლოვან ქვიშაქვებში, რომლის სიმძლავრე 40 მეტრს აღემატება.

1959 წელს ტრესტ „საქნახშირმადნეულძიებას“ ვთხოვე მოეცა უფლება ერთ-ერთი ჭაბურღილის დაღრმავებისა ბაიოსურ ნალექებამდე შაორის რაიონში, რაც საშუალებას მოგვცემდა ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა ქვედა ქვიშაქვებზე და ფურცვლად ფიქლებზე. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდებოდა გაზისა და ნავთობის საკითხის შემოწმებაც.

ტრესტმა ჩემი განცხადება უპასუხოდ დატოვა.

1960 წლის ბოლოს სტალინის შახტის რაიონში, საავენტილაციო ჭაურის ცენტრში, მიცემული იყო ჭაბურღილი საინჟინრო გეოლოგიის თვალსაზრისით, საპროექციო სიღრმით 500 მეტრი.

ჭაბურღილი მიცემული იყო ნახშირიანი წყების ქვედა ნაწილიდან. ჭაბურღილმა გადაჭრა ნახშირიანი წყების ქვედა ნაწილი, ფიქლების წყება და სანგრევი შევიდა ბაიოსის ზედა ნაწილში. ბურღვა შეწყვეტილ იქნა 504 მეტრზე.

იმ დროს, როცა ჭაბურღილის სალიკვიდაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, 7. III. 61 წ., შემჩნეული იქნა გაზის სუსტი შადრევანი ბურღილის პირიდან. იმავე დღეს ჩემი თხოვნით ტყიბულის სამთომაშველის გასამხედროებული ოცეულის თანამშრომლების მიერ ჭაბურღილიდან აღებულ იქნა ჰაერის სინჯები. ანალიზმა უჩვენა შემდეგი: CO_2 – 0,1%, გაზის რაოდენობა ორ სინჯში 80% თითოეულში და ერთ სინჯში 70%. გაზის შემადგენლობის გამოკვლევა ოცეულის ლაბორატორიამ ვერ შეძლო.

ჭაბურღილიდან გაზის გამოვლინება ეცნობა „ტყიბულნახშირის“ ტრესტის მმართველს, რომელმაც აცნობა სახ. მეურნეობის საბჭოს სამთო სამმართველოს სათანადო ზომების მისაღებად. შაორის პარტიამ აცნობა „საქნახშირმადნეულძიების“ ტრესტს. არც ერთ აღნიშნულ ორგანიზაციას არავითარი ზომები არ მიუღია.

7. III. 61 წ. გაზი დანთებულ იქნა, ის იწვის მკვეთრი ცეცხლის ალით, სიგრძით 1,5 მეტრამდე. აქვს ცოტა ჭვარტლი. ჭაბურღილიდან იგრძნობა ნავთობის სუნი. გაზის გამოვლინება ხდება მცირე პულსაციით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჭაბურღილში დგას წყალი და გაზს უხდება წნევის დაძლევა, რაც იწვევს წყლის საცობების შექმნას (ისმის წყლის ხმაური).

11. III. 61 წ. გამოვიძახეთ საქნავთის გეოლოგები.

12. III. 61 წ. ჩამოვიდა სამი გეოლოგი, რომლებმაც აწარმოეს სინჯების აღება. ამავე დღეს ჩამოვიდა საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სამთო ინსტიტუტის ორი თანამშრომელი სინჯების ასაღებად. მათ განსაზღვრეს გაზის დებიტი, რაც შეადგენს 32 $м^3$ საათში.

გაზის შადრევანი ინახულეს:

7. III. 61 – „ტყიბულნახშირის“ ტრესტის მმართველმა;

12. III. – რაიკომის პირველმა და მეორე მდივნებმა, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ, „ტყიბულნახშირის“ ტრესტის მთ. ინჟინერმა და სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

გაზის გამოვლინება გრძელდება – 16. III. 61 წ.

ჭაბურღილის კოორდინატები:

X = 4695193.30 B⁰ – зона 1942 года.
Y = 8336483.20
H = 799.80

ჭაბურღილის სანგრევის აბსოლუტური ნიშნული = +295 მეტრს.

*

გაზის გამოვლინება ჩემს მიერ შემჩნეული იყო ჯერ კიდევ 1945 წელს, როდესაც ვაწარმოებდი ყოფილი მოლოტოვის შახტის გეოლოგიურ მომსახურებას მისი მშენებლობის პროცესში, რაც შეტანილი მაქვს გეოლოგიურ ანგარიშში 1948 წელს.

ქვემოთ მომყავს ამონაწერი ჩემივე ანგარიშიდან:

«...Нужно отметить, что при прохождении вентиляционной штольни на 574 м. от устоя, 27.X.45 г. в третьей смене проходчиками было замечено, что из забоя штольни происходит выделение газа из шпуров расположенных на забое. При этом из шпура №1 сильной струей била вода. Выделение газа было заметно также и из шпуров №2 и №3, но в меньшем количестве.

Шпуры, из которых наблюдалось внезапное выделение газа, были расположены в мелкозернистых песчаниках, в районе контакта порфиритовой свиты с листоватыми сланцами. Песчаники довольно крепкие, серого цвета, трещиноватые…»

Брегадзе С. П.

«Отчет по шахтной геологии шахты им. Молотова треста «Ткибулуголь», г. Тбилиси, 1948 г.

*

[ჩარჩოშია ჩასმული. შემდგომ ჩანს ჩამატებული]

1967 წლის მარტში სამთო ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გაზომილი იქნა №1 ჭაბურღილიდან მომდინარე გაზის დებიტი, რაც უდრიდა 25 მ3 საათში, ხოლო წნევა 1/2 [0,5] ატმოსფეროს.

*

22. III. 61 წ.

ქ. ტყიბულში მცხოვრებ მოქ. ვახტანგ ფოფხაძის გადმოცემით, მას ძველი ტყიბულის დასახლების ჩრდილო-დასავლეთის ფერდობზე გამომდინარე პატარა წყაროებიდან შეუმჩნევია წყალზე ნავთობის გარსი.

მისივე გადმოცემით: სოფ. ბზიაურის მიდამოებში იმ წყაროს ზედაპირი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა აბაზანების სახით სამკურნალოდ იყენებდა, იფარებოდა შავი ფერის გარსით, რომელსაც ნავთობის ელვარება ჰქონდა.

При строительстве шахты «Западная-2» в главном квершлаге в районе буровой скважины №1К наблюдалось сильное выделение газа (нефтяной газ), сильно мешавши проходку выработки.

1964-65 гг.

На шахтах им. Ленина и им. Сталина на всех горизонтах в полевых штреках из трещин крупнозернистых песчаников часто наблюдалось выделение густой черной массы (нефти). აღნიშნულის გამოვლინება დაკავშირებული უნდა იყოს დიდ სიღრმესთან, ე. ი., ძლიერი წნევის შედეგად სიღრმეში ნავთობი მოედინება ნაპრალებში, რომლებიც აღწევენ ზედაპირამდეც კი (Глубинная миграция нефти).

მეთანის სუფლიარული გამოყოფა ტყიბულის შახტებში დაკავშირებული უნდა იყოს ნავთობის გაზის გამოყოფასთან ნაპრალებში. სიღრმიდან ნაპრალებში მომდინარე გაზი აღწევს ქვანახშირის ფენებში და ამ უკანასკნელთა გადახსნის დროს გამონამუშევარში წარმოებს სუფლიარული გამოყოფა. რომ აღნიშნული გამოყოფა დაკავშირებული იყოს მხოლოდ ქვანახშირის ფენებთან, ის მნიშვნელოვნად მალე უნდა დაიცალოს (Дегазация).

აღნიშნული მოვლენა შესწავლის ღირსია.

1961 წელი

1963 წლის 20 აპრილს ბზიაურში №1 ჭაბურღილზე მოვიდა პროფესორი ჟაბროვი НИГРИ-დან* მეუღლითურთ და სტუდენტ სიდორენკოს თანხლებით.

პროფესორმა გამოთქვა რწმენა, რომ თუკი ლეიასური ნალექები ტყიბულის მიდამოებში წარმოდგენილი იქნება ზემო რაჭის ლეიასური ფაციით (ქვიშაქვები), ნავთობის არსებობა გარდუვალი იქნებაო.

15. VI. 63.

ტყიბულში ჩამოვიდა პროფესორი ალექსი მიხეილის ძე კრავცოვი, რომელიც ამტკიცებს ნავთობის არაორგანულ წარმოშობას ვულკანური პროცესების ხარჯზე და ტყიბულში ბუნებრივი (ნავთობის) გაზის არსებობის მომხრეა.

ლიტერატურა: „Техника – молодежи“, №12, 1961.

ქვედა ბაიოსის პორფირიტული წყების (ვულკანური) ქანების წვრილად დამტვრეული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას ცემენტში შესარევად ბალასტის ნაცვლად, რაც საგრძნობლად უნდა შეამცირებდეს ცემენტის ხარჯს ბეტონში და უნდა იქნას გაცილებით უფრო მკვრივი, ვინემ ჩვეულებრივი ბალასტებით შედგენილი ბეტონი.

* Государственный научно-исследовательский горнорудный институт Криворожского университета.

გურამ ჯავახიშვილი

ფერწერის ტექნიკის თვისებანი

და ფიროსმანის შემოქმედების ატრიბუცია

დღეს ხელოვნებათმცოდნეები იშვიათად აკვირდებიან თვით ნახატს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ იმ სპეციფიკას, რასაც მხატვრის სამზარეულო ეწოდება. ისინი ფერწერული ნაშრომების შესწავლისას ძალზე იშვიათად მოგვითხრობენ იმ შემოქმედებით პროცესებზე, რომლის ცოცხალი მოწმეც თვით ნახატია.

თუ მხატვარი არასოდეს სცილდება შემოქმედების საზღვრებს და არ ვარდება მშრალ ნატურალიზმსა თუ აკადემიზმში, მაშინ მისი მუშაობის შემოქმედებითი მეთოდი თავისთავად კარგი გემოვნების გარანტიაა. ფერწერულობის შვიდი მახასიათებლიდან **მონასმი** — შემოქმედებითობის დამაფიქსირებელი დეტალია, გამომსახველობითი მეტყველების ცოცხალი სიტყვაა და რაც უფრო ცოცხალია, ახალია, ორიგინალურია ეს ენა, მით უფრო ცოცხალია თვით მონათხრობიც.

ფუნჯის მოძრაობა შეიძლება იყოს მსუბუქი და წყვეტილი, მძაფრი, დაწოლითი, სწორხაზოვნად მოსრიალე და წრიული, დაჟინებით განმეორებადი და სხვა. სურათი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფუნჯის მოძრაობათა ერთობლიობის შედეგი, რომლითაც მხატვარი ქმნის ნაწარმოებს. ამიტომ ფერწერულობის ერთ-ერთი მახასიათებელი — მონასმი — მხატვრის ფუნჯით მუშაობის მკაფიო ნაკვალევია. მონასმი თამაშობს საწყისი ელემენტის როლს ფერწერულობაში, სადაც ფერი, ფორმა, სახე, სიუჟეტი და ფაქტურა იძენს თავის პირველად მატერიალიზებულ ხორცშესხმას.

ფიროსმანს — პირდაპირი, გამოკვეთილი, სრულყოფილი მონასმი აქვს. მის ნამუშევართა უმრავლესობა შესრულებულია ფართო, გაანგარიშებული მონასმით, რომლებიც დამაჯერებლად, მტკიცედ და შთამბეჭდავად გადმოსცემენ ნატურას (საერთოდ საგულდაგულოდ რაიმეს ასახვა კარგია, მაგრამ ფერწერულ ნაწარმოებში დეტალიზაცია არ უნდა მოწყდეს ერთიანობის გრძნობას).

„ფერწერის ტექნიკა“ — თავის თავში მოიაზრებს გარკვეული ჩვევების, საშუალებათა და იმ ფერწერული მასალების გამოყენების ხერხთა ერთობლიობას, რომელთაც გარკვეული თვისებები ახასიათებს სასურველი ფერწერული შედეგის მისაღწევად. ანუ ეს გულისხმობს ნაწარმოებზე მუშაობის

მხოლოდ ერთ, თუმცა ძირითად ეტაპს — საღებავით მუშაობას. ფიროსმანთან დაკავშირებით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს „ფიროსმანის ტექნიკა“ ისევე, როგორც ტიციანის, რუბენსის, რემბრანდტის, ვან გოგის, სეზანის, რომლებიც უკვე კლასიკურ ოსტატთა რიცხვში არიან შეყვანილნი.

„ფერწერის ტექნოლოგიასა“ და „ფერწერის ტექნიკას“ შორის დიდი სხვაობა არ არის. ტექნოლოგიის ქვეშ აღინიშნება პროცესი, რომლის შედეგად გამოყენებული სხვადასხვა მასალები გარდაიქმნება და თანდათანობით იქცევა ერთ კონკრეტულ ობიექტად. მაგალითად: ტილო, ზეთი, წებო, პიგმენტი და სხვა. სათანადო იარაღებისა და სპეციალურ ხერხთა გამოყენებით რთული ტექნოლოგიური პროცესი მხატვრის სახელოსნოში ფერწერულ ტილოდ იქცევა, ობიექტურად, სურათს ხომ სრულიად ახალ თვისებათა კომპლექსი ახასიათებს.

სურათის შექმნის პროცესი წარმოუდგენლად რთულია, ზოგიერთ მხატვარს 30-40 სეანსი სჭირდებოდა (სეროვი), მიუხედავად ფუნჯით ვირტუოზული მუშაობისა, ზოგჯერ ნატურმორტს რამდენიმე წელი სჭირდებოდა (სეზანი). რატომ? ამ კითხვაზე ერთნიშნა პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგანაც თითოეულ ნაწარმოებში ვლინდება არა მხოლოდ ეპოქის ესთეტიკური იდეალი, არამარტო ფერწერის ტექნიკის განვითარების საერთო დონე, არამედ მხატვრის ტემპერამენტიც, საღებავით მუშაობის ის მეთოდი, რომელიც უკეთესად მიესადაგება მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენას.

ნიკო ფიროსმანი *შავი ლომი*

ხელოვნების ნიმუშში ყველაფერი იმდენად ურთიერთგანმსაზღვრელია, რომ პრობლემებისაგან განცალკევებულად, ამა თუ იმ ოსტატის მონასმის შესწავლა ნამუშევრის ფაქტურის აგებულების ანალიზის გარეშე, ფერადოვანი აგების ძირითადი პრინციპის გაუთვალისწინებლად, მისი განხილვა შეუძლებელია. ფაქტურის შესწავლისას კი გვერდს ვერ ავუვლით სტილის თავისებურებებს, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ეპოქაზე, მხატვრის ინდივიდუალობასა და ისტორიულ წინაპირობებზე.

ფერწერისას — ფუნჯის მკვეთრად გამოხატული მონასმი, როგორც ამბობენ, ხელწერა ანუ **„ფერწერული კინეტიკა“** ნამუშევარს ინდივიდუალობას ანიჭებს.

ტექნიკის ეს კომპონენტი დროთა განმავლობაში, მონასმის ან ფართო გაგებით ფერწერული ზედაპირის, ფაქტურის — როგორც გამომსახველობის განსაკუთრებული ფორმის — მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. ზეთის ფერწერაში ფუნჯის მოძრაობის კვალი უცვლელი რჩება. ის ინარჩუნებს იმ ფორმას, რომელიც მხატვრის ხელმა მიანიჭა.

რომელი ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს ფერწერულად? თანამედროვე მხატვარი გიპასუხებთ, ძლიერი ფერის თვალსაზრისით და შესრულებული ფართე მონასმით. ამგვარად, გაჯერებული ფერი შედის ფერწერულობის ფორმულაში. თანაბარ ფერწერულ ღირსებათა პირობებში უფრო კაშკაშა ნამუშევარი ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი შეხედვით ტოვებს ფერწერულობის შთაბეჭდილებას. ამიტომაც ფერების სიკაშკაშე ფერწერული ზემოქმედების მხოლოდ ირიბ კოეფიციენტს წარმოადგენს, მაგრამ ეს მოსაზრებაც კორექტივს მოითხოვს. არსებობს სიკაშკაშის საზღვრები, რომლებშიც მოქცეულია ფერწერულობის ოპტიმალური წანამძღვრები.

ამდენად, სიკაშკაშის გადამეტება მავნებელია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მზის უშუალო განათებისას ფერწერულობის შეგრძნება მცირდება.

აუცილებელია აღინიშნოს მჭიდრო კავშირი გამოსახულ მოძრაობასა და ფერწერულ კინეტიკას შორის. ფართე და ზუსტი მონასმი უდავოდ ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა ჟესტის გაცოცხლებისათვის.

ფერწერულობის მასაზრდოებელი ფესვები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. გამარტივებულად და სქემატურად ამ პრობლემის ყველა ურთულესი ნაწილი შეიძლება დაყვანილ იქნას ხუთ თვისებამდე: კომპოზიცია, კოლორიტი, ნახატი, შუქ-ჩრდილი, სივრცობრივ-სიბრტყობრივობა.

კოორდინატთა მთელი ეს სისტემა ერთიანობაში განსაზღვრავს გამოსახულების აგებას. ამ ფაქტორთა ურთიერთკავშირს **სურათის არქიტექტონიკას** უწოდებენ. საბოლოოდ სწორედ ეს განსაზღვრავს ნაწარმოების სტილს, სტრუქტურას, სრულყოფილებას, მაგრამ ცალცალკე ეს ელემენტები, მათი ფართო გაგებით, შეიძლება მიეკუთვნოს ფერწერულ ტექნიკას.

XIX საუკუნის შუა ხანების ფერწერაზე საუბრისას უფრო ნაკლები საფუძველია იმისთვის, რომ ფერწერული არქიტექტონიკა ტექნიკის სფეროს მივაკუთვნოთ. აღნიშნული კატეგორიები ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ ფერწერა კოორდინირებულ პროცესად იქცა, ამ მეთოდით ნახატი და კოლორიტი, ძერწვა და კომპოზიცია, ტონი და ფორმა წარმოიქმნება და ვითარდება ერთდროულად, მაგრამ მათთან სურათის დასრულების მომენტი გარკვეულწილად ყოველთვის პიროვნებითია (იმპრესიონისტები, პოსტიმპრესიონისტები).

ფიროსმანი თავისი ეპოქის შვილია, რადგან გუმანით გრძნობს მსოფლიო ფერწერაში მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ, უნდა ითქვას, სხვა მხატვრებისგან განსხვავებით, მისი ნამუშევრები დასრულებულია. ამდენად, ის ამ მეთოდის განხორციელების კლასიკოსია. ხაზებისა და მასების კომპოზიცია ბუნებრივი და გაწონასწორებულია, დეტალებისა და მთლიანობის წინააღმდეგობა არაჩვეულებრივად სრულყოფილია. მასთან ფერწერის პროცესის ყველა პერიპეტია და სირთულე გამართლებულია, ფიროსმანი წინასწარ არ აკეთებს განსაზღვრულ ნახატს. მან იცის, რომ ეს მუშაობის დროს ხელს შეუშლის და შეზღუდავს სასურველი ფერწერული შედეგის მიღწევაში, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რათა მიიღოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სურათის საბოლოო განუმეორებელი ფაქტურა და კოლორიტული ეფექტი, რასაც ფიროსმანის რეალიზმი ჰქვია. ისევე, როგორი რეალიზმიც აქვს ჯოტოს, ვან გოგს, ამიტომაც და მრავალი სხვა ფაქტორის გამო ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი გადაუჭარბებლად XX საუკუნის უდიდეს ფერმწერად მიმაჩნია.

პირველიდან ბოლო მონასმამდე, ნიკალა იყენებს ერთსა და იმავე ხერხს, რომელიც ერთდროულად ქმნის, როგორც ნახატს, ისე ფორმას, ფერს, განწყობას. ყოველი მონასმის დროს მისი ფუნჯი ერთდროულად წერს და ქმნის. მისი გენიალურობა, განსხვავებით სხვა დიდი მხატვრებისაგან, არის ის, რომ იგი არ იყენებს მონახაზს, ყველაფერს ერთდროულად აკეთებს. მას განსაკუთრებული ხედვა ჰქონდა. მისი თითოეული მონასმი სრულყოფილია. მსგავსი წერის მანერის მიღწევა ძალინ რთულია (შესაძლოა ამ ტექნიკამაც შეუშალა ხელი მიმდევრების გაჩენას).

გამჭოლი მონასმები ხშირია ფიროსმანთან, რადგან მის მიერ შერჩეული და მიგნებული საფუძველი (დერმატინი) იძლევა ამის შესაძლებლობას. ამგვარი რამ გვხვდება იმ სურათებზე, რომელიც შესრულებულია მსხვილმარცვლოვან საფუძველზე (სხვათაშორის ეს დამახასიათებელი იყო ვენეციელი ფერმწერებისათვის (ტიციანი). ფუნჯი მისრიალებს დერმატინის ზედაპირზე და მის წვრილ ბორცვებზე ტოვებს ინტენსიურ ფერადოვან კვალს, ეს კი აძლიერებს გარე განათებით გამოწვეულ ფერადოვან ტონალობებს და სურათის ფერწერულობას. უხეში, ბრტყელი ფუნჯი თანაბრად ძლიერი დაწოლის შემთხვევაში აღნიშნულ ეფექტს იშვიათად იძლევა. ხოლო ბლანტი საღებავებით დატვირთული ფიროსმანის ფუნჯი თავიდან მაგარი დაწოლით მოძრაობს, ხოლო ბოლოში მსუბუქდება, შუქი იფანტება. ამგვარად, საფუძვლის ზედაპირის ფაქტურით, ფუნჯის ხარისხით, საღებავის დოზით, ხელის ვირტუოზული მოძრაობის ერთობლიობით იქმნებოდა ფიროსმანის ხელოვნების განუმეორებელი შედეგრები (სხვათაშორის საეჭვოა ასეთი ტექნიკით ხატვა მთვრალს შეძლებოდა). ამ დროს ხდება არამარტო საღებავის დადება საფუძვლის ზედაპირის უსწორმოსწორობაზე და მისი ხაოიანობის გაზრდა, არამედ უფრო იზრდება ამ უსწორმასწორობის შთაბეჭდილება ოპტიკური ეფექტის წყალობით. მზერა ძალაუნებურად მიიწევს ფერისა და საფუძვლის ფაქტურის სიღრმეში და აღიქვამს ღია საღებავით აქცენტირებულ მის უსწორმასწორო ზედაპირს. ამასთან, ძლიერდება ფაქტურის გამომსახველობა, მატულობს საფუძვლის ფაქტურული ფენის სტრუქტურის (ძირითადად ორგვარია) მატერიალურობის ფიზიკური შეგრძნების თვალსაჩინოება. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ისიც, რომ იგი ბუნებრივად წარმოიქმნება.

აღსანიშნავია, რომ ფიროსმანმა საფუძვლის ამ ფაქტურას (დერმატინს) თვითონ მიაგნო და წარმატებულადაც გამოიყენა.

ფერწერულობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია მოძრაობის გამოსახვა. ფერწერულობის გრძნობისთვის სურათის ფაქტურის მნიშვნელობა, რომელიც გამოხატულია ფერწერული კინეტიკის გზით. მის პარალელურად სურათში ყოველთვის ფიგურირებს მეორე ელემენტი — **მოძრაობა.** პერსონაჟთა ჟესტიკულაციის ენერგია (გასათვალისწინებელია, რომ სიმშვიდის მდგომარეობა მოძრაობის ერთ-ერთი ფორმაა, მეორე მხრივ ყველაზე მკვეთრი მოძრაობის გამოსახვა შეიძლება მხოლოდ პოზას წარმოადგენდეს. ხოლო მოძრაობის ყველაზე ზუსტი გადმოცემა შეიძლება მხოლოდ ჟესტის გადმოცემად, მოძრაობის იეროგლიფად დარჩეს, თუ მას ფერწერული კინეტიკა არ შეესაბამება). ასახული მოძრაობა თუ ფერწერული კინეტიკით — ფუნჯის აქტიური მოძრაობით — არაა გამაგრებული, მოძრაობის პირობით მონახაზად რჩება, და პირიქით — ენერგიული მონასმის დროს მშვიდი პოზებიც კი სურათში შინაგან მოძრაობას იძენს. სიმშვიდე შეფარდებითი ცნებაა. ფილოსოფიური გაგებით, ის საერთოდ არ არსებობს: ბუნებაში ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, ცოცხლობს. საგანი, რომელიც უძრავად წარმოგვიდგება, ყოველთვის შეიცავს თავის თავში შინაგან განვითარებას.

ფიროსმანის სურათებში გამეფებულია ერთგვარი სტატიკურობა, პოზირება: თავმომწონე მოქეიფენი გვხიბლავენ თავიანთი ქეიფით და წარმოსადეგობით. ნიკალას მიერ ასახული ფაუნის წარმომადგენლები თითქოს გაწვრთნილნი, მოშინაურებული ჟირაფი, ლომი, ირემი, დათვი, ტახი, შველი და სხვა — ამაყნი, ძლიერნი და არაჩვეულებრივად სათნონი, მხატვრის მიერ მინიჭებული ბუნებით გვხიბლავენ...

კონფლიქტი სიუჟეტის ფსიქოლოგიურ გახსნასა და ფერწერულობის მოჭარბებულ შეგრძნებას შორის ფერწერული კინეტიკის სფეროში მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ჩვენ წინაშე დგება პორტრეტის პრობლემა. ამ დროს სახის ნაკვთებზე მუშაობისას ფუნჯის მოძრაობა გარკვეულად იზღუდება. როდესაც აუცილებელია მსგავსების გადმოცემა, სურათის მთელ ფართობზე მონასმის პრინციპი ერთნაირი უნდა იყოს. მონასმის ზომის შემცირება და ფუნჯის მოძრაობის შენელება არასასურველია მხატვრულობის გამართლების გარეშე. ამიტომ პორტრეტში ფუნჯის მოძრაობა უფრო თავშეკავებულია, ვიდრე სიუჟეტურ კომპოზიციებში. ეს ეხება არამარტო სახეს, არამედ აქსესუარებსაც, რადგან ტანსაცმლის ან პეიზაჟის თავისუფალი ფერწერის ფონზე სახის გლუვ მონასმთა ზედმეტი თავშეკავებულობა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომ გამოცდილი მხატვარი ჩვეულებრივ უფრო ფართო ზოგად მონასმს ხმარობს შუბლის, ლოყების, თმის წერისას. ამავდროულად ფუნჯით აკონკრეტებს გარემომცველი სამყაროს გამოსახვის დეტალებს. ძნელი არა იმის დანახვა, რომ პორტრეტთა უმრავლესობაში მისი მთლიანობის, ფაქტურისა და მოდელირების ორგანიზებაში მხატვარს ეხმარება ხელების გამოსახვა, ურომლისოდაც სახე იქნებოდა ეული ლაქა, ამოვარდნილი სურათის მთლიანობიდან. მაშინ, როდესაც ბუნებრივი კანონზომიერება მოითხოვს სახისა და ხელების ერთი ფაქტურითა და ერთნაირი მონასმით შესრულებას.

იგივე მომენტი ხდება სიუჟეტურ ფერწერაში, ფსიქოლოგიური დაძაბულობის გამოსახატავად, როგორც ჩანს, სახის გამომეტყველების ზუსტი გამოსახვის მიზნით მხატვარი, რომელიც თავისუფალ და ფართო მანერაში მუშაობს, უნდა გრძნობდეს ფუნჯის მოძრაობას ისე, რომ მონასმი სრულყოფილი იყოს და ასახავდეს იმას, რასაც წერს. არ შეიძლება ერთნაირი მონასმებითა და მოძრაობით ასახო ტანსაცმელი, ტუჩები ან თვალების ფორმა, მითუმეტეს, როცა აუცილებელია კონცენტრირება სახის გარკვეული გამომეტყველების გადმოცემაზე. მსგავსების ან ზუსტი სულიერი განცდის გადმოცემა ორიგინალური ფერწერის ხერხებით, როგორც ეს ხდება ფიროსმანთან, საოცარია. სწორედ ამგვარი მიღწევებია განსაკუთრებული ოსტატობის მაჩვენებელი, ამიტომაც მსგავსი ფენომენი სახვითი ხელოვნების ისტორიაში დიდი იშვიათობაა.

ფიროსმანის შედევრები უფრო კოლორიტულია და არა ფერწერული — გამდიდრებული კოლორიტით, რაც განპირობებულია მაღალი რხევის სიხშირის სპექტრის ფერთა გამოყენებით. ექვსი ფერის: თეთრის, შავის, ყვითლის, მწვანის, წითლისა და ლურჯის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ უზადო გემოვნების კოლორისტს შეუძლია. ფერთა ამგვარი შეხამება, მათი ვარიაციები მხატვარს ფართო შესაძლებლობებს უხსნის. საერთო გამა ხშირად გაწონასწორებულია. ამ ექვსი პიგმენტის მეშვეობით ოსტატს შეუძლია შექმნას სრულყოფილი კომპოზიციური, სივრცობრივი, მოცულობითი გამოსახულებანი. ამ საღებავთა შერჩევა და მათი განლაგება ზედმიწევნით მოითხოვს კოლორიტული ეფექტების ზუსტ გრადაციას. საღებავთა ამ მცირე ნაკრებით მუშაობისას ფიროსმანს შესაძლებლობა ეძლევა ყურადღება გაამახვილოს ფორმისა და ფაქტურის ამოცანებზე. ფუნჯის მოძრაობისა და მონასმის სრულყოფაზე (ფერთა ამგვარი პალიტრა შესაძლოა ნაკლებად განათებულ სივრცეში მუშაობის გამოც იყო შერჩეული).

ფერი — ფერწერაში ეს რაღაც ყოვლის მომცველი და ამდენად ნაწილობრივ განუსაზღვრელია. ფერთან დაკავშირებული პრობლემებია საღებავი, მისი ხარისხი.

ფერი ხომ ფერწერის საფუძველია. ფერთა ელემენტების ჯამი ქმნის ფერწერაში გამოსახულებას. ამასთან, ფერი წარმოადგენს ერთადერთ საწყისს ფერწერაში, რომელსაც პრეტენზია აქვს გარკვეულ დამოუკიდებლობაზე.

მონასმით ტკბობა გამოსახულების გარეშე უაზრობაა. ფაქტურასთან დაკავშირებით კი ამას უკვე გარკვეული აზრი ენიჭება. ფიროსმანთან ფერწერა ფერიცაა და ფაქტურაც, მეტიც, ფორმაცაა, მასთან ფერი და ფერწერულობა ერთიანია და ამ ერთიანობაში მდგომარეობს ის გამაოგნებელი სრულყოფილება და ხიბლი, რაც მსოფლიო ფერწერის ისტორიაში მის განუმეორებელ სავიზიტო ბარათად იქცა.

ეკა ბუჯიაშვილი

მისი პატარა ქალაქი

კათოლიკურ ეკლესიას კი ეძახდნენ, მაგრამ იქაურობა საწყობად გადაექციათ და უშველებელი მანქანები შედი-გადიოდნენ გალავნის ლამაზ ჭიშკარში, რომლის თაღზეც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ჯვარი. მერე მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის დავაც გამართულა, ეს საკითხი სასამართლო განსჯის საგნადაც ქცეულა და გამარჯვება მართლმადიდებლებს დარჩენიათ. ფუნქცია რომ შეუძენია ეკლესიას, იქვე, გადაღმა მცხოვრებ პავლიკა თუმანიშვილს, პროფესიით არქიტექტორს, ორღანი ჩამოუტანია თბილისიდან და თვითონვე უკრავდა მასზე.

და დროდადრო ორღანის იდუმალი ჟღერადობა ავსებდა ტაძარს, მერე ამ კედლებსაც რომ სცდებოდა, უცნაურ მადლად ეფინებოდა იმ არემარეს და რაღაცნაირ, თითქოს ღვთაებრივ განზომილებაში გადაჰყავდა მათი ყოფითობა.

სწორედ ამ ეკლესიის გვერდით ცხოვრობდნენ. იმ ქუჩაზე ბევრი კათოლიკე დამკვიდრებულიყო და ერთ-ერთს ძაღლის ლეკვი უჩუქნია პატარა კარლოსთვის. გახარებია ძალიან, კიდევ უფრო ის გახარებია, შინ მისულს ლეკვიც რომ მიუყვანია და დედასაც არაფერი უთქვამს — ნება მიუცია, დაეტოვებინა.

დედისთვის ვიღაცას უსწავლებია: დიდი რომ არ გაიზარდოს, ერთი ჭიქა არაყი უნდა დაალევინოთო.

დაულევინებიათ და... სამი დღე ტახტის ქვეშიდან არ გამოსულა დაბურბუსალებული და უცნაური მდგომარეობით დამფრთხალი ლეკვი.

ტანისა რა გითხრათ და... ხასიათზე კი დატყობია ზეროს არყის კვალი — ისეთი შფოთისთავი და ავი გაზრდილა, ვინც კი შედიოდა ეზოში — განსაკუთრებით ეზოს ბოლოში მცხოვრები მკერავის კლიენტები — მიახტებოდა და კბენდა თურმე.

ერთხელაც მეზობლის ძმა ჩამოსულა სამეგრელოდან.

ზერო რომ დაუნახავს, სწორედ ასეთი ავი ძაღლი მჭირდებაო, — უთქვამს და წაუყვანია. 6 თვე გაჭიმულ ბაგირზე გამობმული თოკით აჩვევდნენ თურმე იქაურობას, მაგრამ როგორც კი აუშვიათ, გაპარულა, ადიდებული მდინარე გადაულახავს და ერთ დილასაც, გამთენიისას წკმუტუნით დასდგომიათ თავზე.

იმ უბანში კი, კათოლიკეებით დასახლებულ იმ უბანში დებიც ცხოვრობდნენ, გვარად ასლანიშვილები, რომლებთანაც ხშირად სტუმრობდა დისშვილი — ახალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილი. იმ დროს მას არ იცნობდა, მოგვიანებით კი, უკვე თბილისში, დამეგობრდებიან კიდეც და ქართულ ლიტერატურულ სივრცეებსაც გასცდება მისი სახელი — თამაზ ჩხენკელი.

ეს ამბავი კი მკითხველს შესაძლოა როსტომ ჩხეიძის მიერ ნაკვესების რუბრიკით გამოქვეყნებული ციკლიდანაც ახსოვს:

ერთხელ, მძიმე 90-იან წლებში კარლო ფაჩულია თავისთან დაპატიჟებს თამაზს:

— კარგი, ნაღდი ღვინო მაქვს შინო, — ეტყვის.

— ხოოო? — მისთვის უჩვეულო მანერით — რაღაცნაირად გაწელილად ჰკითხავს თამაზი და თითქოს გამომცდელი მზერითაც შეხედავს.

— ხო, — დაუქნევს თავს მასპინძელი.

დასხდებიან. დალევენ. გაიხსენებენ ქუთაისს, ქუთაისელ მეგობრებს, ქუთაისურ ამბებს და დამშვიდობებისას წინა ღამით გათენებამდე რიგში დგომით მოპოვებული სამი პურიდან ერთს გამოუტანს სტუმარს, ცელოფანის პარკში ჩაუდებს და გაუწოდებს:

— ეს შენ.

— ხოოო? — ჰკითხავს ისევ იმ რაღაცნაირად გაწელილი ინტონაციით.

— ხო, — დაუდასტურებს მასპინძელი.

ის კი:

— თითქოს დარახტული ცხენი გეჩუქებინოსო.

...იყო ასეთი დროც.

მაშინ იქნებ ასეთი საშინელიც რომ არ გვეჩვენებოდა, რადგან ჯერ ვერც ვაცნობიერებდით, სად, რა მორევში ვტრიალებდით, მერე კი... რაც შეიძლება ღრმად გადავწიეთ მეხსიერებაში.

თითქოს არც ყოფილა.

თითქოს ეს ყველაფერი ჩვენ არ გადაგვიტანია.

თითქოს ცუდი, ძალიან ცუდი სიზმარი ვნახეთ ყველამ ერთად და ერთნაირად, და თუ არ მოვყვებით, თუ ამაზე აღარ ვისაუბრებთ, არც არასოდეს აგვიხდება.

ოღონდ ამ ავბედით წლებსაც დაჰყვება წუთები, ეს ყველაფერი რომ გადაგვატანინა, ერთმანეთიც რომ გაგვატანინა, უჩვეულო მადლით რომ ავსებდა მეხსიერებაში დაკარგული დროის ტკივილიან შრეებსაც, იმ მელოდიასავით — ორღანზე აჟღერებული მელოდიასავით — რომ სცდებოდა დროისა და სივრცის საზღვრებს... და მაშინდელ მძიმე ყოფით რეალობაში ჰქონდა ამ წუთებსაც რაღაც ისეთი, რასაც ერქვა „სხვა განზომილება“.

* * *

ფიროსმანი სვამდა და... ხატავდაო.

ოღონდ ის ფიროსმანი იყო, თავის დარდსა და საფიქრალს აეყოლიებინა და მილიონი ვარდის სურნელით გაბრუებულ მისტერიაში გამოხვეულიყო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ლეგენდა.

ესენი კი...

აი, ესენი, ქუთაისელი მხატვრები, მომავალში თავის გამორჩეულ კვალსაც რომ დააჩნევენ ქართულ მხატვრობას, იმ პატარა, მაგრამ უჩვეულო ქალაქის რეალობის ნაწილად ქცეულიყვნენ, მის არათანაბარ გულისფეთქვას უსმენდნენ და ისე როგორ იქნებოდა, რამე ორიგინალური თვითონაც არ გაეკეთებინათ, გამორჩეული ხასიათი არ შეექმნათ ქუთაისური ცხოვრების ფერად და ხმაურიან ტილოზე.

აი, მაგალითად, მიდიოდა ქუჩაში ძალიან წესიერი კაცი, ძალიან ნიჭიერი მხატვარი ბერნარდ ნებიერიძე, გაივლიდა ქალაქის ცენტრში, სადაც უამრავი ადამიანი ირეოდა და უცებ, ყველასთვის მოულოდნელად დაიყვირებდა:

— აქში, ქათამოოოოო!

ზოგი იცინოდა, ზოგი მშვიდად აუვლიდა გვერდს, რაკი უკვე იცოდა თვითონ რა „ჩიტიც“ იყო ეს უცნაური კაცი, ზოგიც გაკვირვებული გაერიდებოდა...

რობერტ მნაცაკანიანს ყოველდღე მთელი ქალაქი უნდა მოევლო ფეხით, წრეს დაარტყამდა, ყველა ქუჩას მოისიყვარულებდა და მიდიოდა საღამოს შინ მთელი დღის „საქმიანობით“ დაღლილ-დაქანცული.

ამურ ფხაკაძეს, ბაზარში მიდიოდა თუ სახელოსნოში, სულ წიგნი ეჭირა ხელში...

— თქვენ რას აკეთებდითო? — კარლო ფაჩულიას თუ ჰკითხავთ — მე აწი ვაპირებ რაიმეს მოგონებასო, — გეტყვით ღიმილით, თუმცა... მერე იმავე ღიმილით ამასაც დასძენს:

— მოსწავლეობისას სკოლის სიმღერის გუნდში ვმღეროდი.

განა მარტო ვმღეროდი, გიტარაზეც ვუკრავდი.

დიდი დამკვრელი არ ვიყავი, მაგრამ ორკესტრს დიდი დამკვრელობაც არ სჭირდებოდა, ტაქტი უნდა გცოდნოდა, აყვებოდი მერე ხმით და...

სოლოსაც ვმღეროდი და დუეტსაც.

აი, მაგალითად ასეთებს: „შენი სახე გზას მინათებდა დღე და ღამეეეე“...

ოღონდ ეგ იყო, ცოტა მორიდებაც გჭირდებოდა, რადგან ასეთი სიმღერები მაშინ აკრძალული იყო, საბჭოთა მოსწავლეს სიყვარულსა და ასეთებზე არ უნდა ემღერაო.

ხელმძღვანელი კი ორკესტრისა ოლეგ კაიტმაზოვი გახლდათ.

მერე ის, რაც მეტი, არც ნაკლები, პროკურორი გამხდარა თურმე.

ისე, წიგნი, ამურ ფხაკაძისა არ იყოს, თვითონაც უყვარდა.

მერე, მოგვიანებით, კარგი ბიბლიოთეკაც ჰქონდა. ერთხელ, აკადემიაში სწავლისას ქუთაისში ჩასული ქალაქში სტუმრად მყოფ ნუგზარ ფოფხაძეს შეხვედრია და უხსენებია „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა — მეტად ორიგინალური, ჯიბეშიც რომ ჩაგეტეოდა, ისეთი, და რაკი მაშინ ასეთი რამ იშვიათობა იყო, მაღაზიებში ვერსად ნახავდით. ჩასულა ნუგზარი საწყობში, გამოუტანია წიგნი და უჩუქებია წარწერით:

„სახსოვრად კარლოს დიდი სიყვარულით, ავტორისაგან“.

საჩუქარს ერთხელ ცნობილი რეჟისორი ლიანა ელიავაც შეპირებია:

— ახლა ფინეთში მივდივარ და უკან რომ დავბრუნდები, მინდა საჩუქარი ჩამოგიტანო და რას ისურვებდიო (ქალბატონ ლიანას ასე სჩვევია, ყველას გვანებივრებს ხოლმე პატარ-პატარა საჩუქრებით, თავისი ნიჭისა და მახვილი სიტყვის გარდა, ასეთი გულისხმიერებითაც შეგვაყვარა თავი ადამიანებს)?

— ძალიან დავიბენიო, — ამბობს ბატონი კარლო, — ბოლოს იმის თქმა მოვახერხე, რაკი ასეთი რამ იფიქრეთ, ჩათვალეთ რომ ეს უკვე საჩუქარია ჩემთვის-მეთქი.

აი, ქუთაისს კი სტუმრები არასოდეს მოკლებია.

საიდან აღარ ჩამოდიოდნენ მხატვრები, ერთად მუშაობდნენ, ერთად ატარებდნენ დროს, ერთად მართავდნენ გამოფენებს... ამ პლენერებს ქუთაისის მერია, მისი მაშინდელი ხელმძღვანელი თემურ შაშიაშვილი აფინანსებდა, ორგანიზებას კი ქალაქის მხატვართა კავშირი უწევდა ცნობილი მხატვრის ჯეირან ფაჩუაშვილის თაოსნობით. საღებავები, ფუნჯები და ტილო არ აკლდათ და მათაც მეტი რა დარჩენოდათ, ხატავდნენ და ხატავდნენ...

ფიროსმანი თავის საფიქრალს აეწრიალებინა, ესენი — თავისას, და კიდეც გადაჰქონდათ ტილოზე საკუთარი ცხოვრების მისტერიაში გამოხვეული განცდებიცა და სათქმელიც.

* * *

ჯერ კიდევ აკადემიამდე დედას თბილისში ჩაუყვანია ნათესავებთან.

ეს იყო პირველი ცნობიერი შთაბეჭდილება დიდი ქალაქის შესახებ.

ყველაზე მძაფრად ამ შთაბეჭდილებიდან მაინც მუშთაიდის ბაღი და პატარა, „კუკუშკა“ მატარებელი დაამახსოვრდა.

შინ, ქუთაისში დაბრუნებულს ხისგან ვაგონები გაუკეთებია და მთელი დღე ამით ერთობოდა თურმე.

— მეორე კლასში ვიქნებოდი მაშინ, სხვა სათამაშო, მგონი, არც მახსოვს, ერთი ავტომატი გვქონდა მე და ჩემს ძმას, მამას ჩამოუტანია ირანიდან, და კიდევ ნაძვის ხის სათამაშოები — მაშინ იშვიათობა რომ იყო, ისეთი ლამაზი ბურთები, იმ გაჭირვებულ ყოფას თავისი უჩვეულო სხივით რომ ანათებდა.

გაჭირვება კი მერეც ბევრი უნდა ენახა.

სამხატვრო აკადემიაში სწავლისას, როგორც ყველა სტუდენტს, მასაც არ ჰქონდა ფული. დედა რომ გამოუგზავნიდა ხოლმე კაპიკ-კაპიკ შეგროვილ მთელი თვის სახარჯოს, რამდენიმე დღეში უკვე აღარ ჰქონდა, რადგან გული ერთ კურსელ გოგონაზე შევარდნოდა — მერე მისი ცხოვრების თანამგზავრიც რომ გახდება — ის კი მარტო არსად მიჰყვებოდა, აუცილებლად მეგობრებს იახლებდა ხოლმე თან და უეცრად მოვარდნილი სიყვარულიც, გულის გარდა, ფინანსებზეც დიდი დარტყმა იყო ისედაც ჯიბეცარიელი სტუდენტისათვის.

ფული რომ შემოელეოდა, ნათესავებთან მიდიოდა, რომ ცხელი სადილი ერთხელ მაინც ეჭამა დღეში.

— კალუსიკო მოვიდა, კალუსიკო მოვიდაო, — აჟრიამულდებოდნენ ხოლმე მასპინძელი დები აზიკო და ნათელა ფუთურიძეები, სუფრის გაშლას დაიწყებდნენ, მას კი... ბოლო წუთს მოერიდებოდა და უხერხულობისგან შეშმუშნული და დარცხვენილი ჩაილაპარაკებდა:

— ნუ შეწუხდებით, ვისადილე უკვე.

წასასვლელად გამზადებულს თუ შეაჩერებდნენ: დარჩი ჩვენთან, ლოგინს გაგიშლითო, არაო, — იუარებდა, — შინ, ჩემ ჭერქვეშ მეჩქარებაო.

სად ჰქონდა ჭერი, თორემ კი.

ნათქვამია: ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო.

მაგრამ მისი ჯერ არც კვერი მოზელილიყო და არც ცეცხლი ჩანდა, რომელზეც ის შეიძლებოდა გამომცხვარიყო.

მიდიოდა აკადემიაში, ყარაულს სთხოვდა, კარი გაეღო. ისიც, ძველი ახლობლობით, შეუშვებდა ხოლმე და ხან მაგიდაზე ეძინა, ხანაც სკამებზე.

ერთ დღესაც უფიქრია, ეს ფული რომ მეფლანგება ასე, ავდგები და დავიქირავებ ოთახს, ვიყიდი პროდუქტს, ქირასაც გავისტუმრებ და, რომ აღარ მექნება, რას გამოვხარჯავო.

ასეც მოქცეულა, დაუქირავებია ნახევრადსარდაფი, უყიდია პროდუქტი, დაუბინავებია ოთახში, უცხოვრია ერთხანს მშვიდად და დანაყრებულად, ჭერიც ჰქონია და ლოგინში ძილიც, მაგრამ ერთ დღეს ოთახის პატრონს უთქვამს: უნდა გავყიდოთ და დაგვიცალეო.

წამოსულა და დაუტოვებია მთელი თავისი მარაგი. აბა, ვიდრე ბინას იშოვნიდა, ზურგზე აკიდებულს ხომ არ ატარებდა თან.

მერე ყველაფერი შეიცვლება.

მის ნაზამთრალ ქუჩაზეც დადგება გაზაფხული.

ტელევიზიის შემდეგ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ დაიწყებს მუშაობას, საიდანაც, მიზეზთა გამო, მალე წამოვა, მერე „მერანშიც“, მაგრამ ერთხელაც „მერანის“ დარბაზში გამართული გამოფენიდან მომავალს ვახტანგ ჭელიძე შეხვდება კიბეზე და ეტყვის:

— მინდა, ჩემთან იმუშაო.

— უკვე ვმუშაობ და თავს ხომ არ დავანებებ, — უთქვამს მორიდებით და მადლიერებით...

— მოდი, მოიფიქრე და ერთი კვირის მერე მითხარი, — დაუტოვებია სიტყვა ბატონ ვახტანგს და წასულა.

ერთი კვირის მერე პასუხის სათქმელად მისულს ორნი დახვედრიან ოთახში: ვახტანგ ჭელიძე და თამაზ ბიბილური.

— მოიფიქრე?

— ვერ დავანებებ თავს, მერიდება.

— ნახევარ შტატზე რომ მიგიღოთ? — უკითხავს ისევ ბატონ ვახტანგს, მაგრამ იქვე თამაზ ბიბილურს უთქვამს:

— ნახევარ შტატზე რომ მოვიდეს, იგივე საქმე უნდა გააკეთოს, რაც მთელ შტატზე, და დაგვეჩაგრება, მოდი, მთლიანზე მივიღოთო.

ასე აღმოჩნდა ორ სამსახურში, მერე კი ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს ნოდარ ჯანბერიძეს თავისთანაც გაუფორმებია მხატვრად.

— იქ არც დანიშვნა უკითხავთ ჩემთვის და არც გათავისუფლება, ერთი წელი კი მესამე ადგილზეც ვიღებდი ხელფასს და გვარიანად ამოვისუნთქე, ისეც კი, რომ მე და ჩემმა მეუღლემ, ნინომ, ცოტა თანხასაც მოვუყარეთ თავი და, მართალია, ქამრის მოჭერით, მაგრამ კოოპერატიული ბინაც ავიშენეთ.

უკვე საკუთარი ჰქონდათ ჭერიც, კედლებიცა და კერაც...

საკუთარ კერიაზე დანთებულ ცეცხლზე ცხვებოდა ობლის კვერი.

— შემდეგ კი... როსტომ ჩხეიძემ თავის ჟურნალში დამიძახა და აი, მას შემდეგ თქვენ გვერდით ვარო.

ოღონდ ეგ არის, ხანდახან, როცა თავისი შვილიშვილების, ბარბარესა და ქეთევანის თამაშით ტკბება ხოლმე — ბარბარე სამუშაო ოთახის დახურულ კარს ვერ აღებდა, კარის მეორე მხრიდან სახელურს აწვალებდა, პატარა ხელებით აბრახუნებდა და ემუდარებოდა: გამიღე, შენი შვილიშვილი მოვედიო, ქეთევანი კი საყვარელ ბაბუს კარლიკუნას ეძახის — და მთელ სახლში მოფენილ სათამაშოებსა თუ ათასგვარ გასართობს შესცქერის, გაახსენდება ხოლმე ის პატარა ბიჭი, გაოცებული თვალებით რომ იყურებოდა მუშთაიდის ბაღის გარშემო მოძრავი

„კუკუშკა“ მატარებლიდან, თავისი ხელით გაკეთებული პატარა ვაგონებიც აგონდება, მამის მიერ ირანიდან ჩამოტანილი ავტომატიც, ნაძვის ხის ფერადი, ბრჭყვიალა ბურთებიც და...

— როგორ გითხრათ, ასე მგონია, ისეთი სხივი ახლანდელ სათამაშოებს აღარ აქვთ. აბა, რატომაა, ამდენი ხნის მერეც რომ მახსოვს და რაღაცნაირი სითბოც მეღვრება გულში მათი გახსენებისასო.

* * *

ერთად სწავლობდნენ გრაფიკის ფაკულტეტზე.

— ნინო სწავლობდა, თორემ მე ისე ვიყავი შეყვარებული, მასზე ფიქრის მეტს ვერაფერს ვახერხებდი — 6 წელი ვაბარებდი სამხატვრო აკადემიაში და, ის წლები რომ ვმუშაობდი ყოველდღიურად, ამან მიშველა, თორემ აკადემიაში მე არ მისწავლია.

არადა, მაშინ, ექვსი წელი რომ აბარებდა, დედა ეხვეწებოდა თურმე:

— დარჩი, შვილო, შინ, ქუთაისში, ჩააბარე ისტორიულზე, ნუ წახვალ თბილისში, აქ თბილ საჭმელს მაინც შეჭამ.

მაინც წასულა გამოცდებზე.

კარგი ნიშნები მიუღია სპეციალობაში.

ბოლო გამოცდა ქართული ზეპირი ჰქონდა. უპასუხია სამივე საკითხზე და გამომცდელს უთქვამს:

— მე ოთხიანს გიწერ და თუ პრეტენზია გაქვს, კომისიის თავმჯდომარესთან მიდიო.

— მივალო, — უთქვამს კარლოს.

სიმონიკა სხირტლაძე ყოფილა კომისიის თავმჯდომარე.

გაჰყოლია გამომცდელი.

ფეხზე დგას სიმონიკა.

ფეხზე დგანან ესენიც.

კარლო ფაჩულია და ნინო ზაალიშვილი

გამოურთმევია ბილეთი, პირველ და მეორე საკითხზე არაფერი უთქვამს, პირდაპირ მესამეზე გადასულა — გალაკტიონის „დროშები ჩქარა“.

— იცი ზეპირად?

— კი, — დაუქნევია თავი.

— დაიწყე!

დაუწყია ამასაც: „გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა, დროშები ჩქარა“.

— ხმამაღლა! — უთქვამს ცოტა ხანში სიმონიკას.

აუწევია ამასაც ხმისთვის, ის კი:

— კიდევ უფრო ხმამაღლა!

უკვე მთელი დარბაზის გასაგონად გაჰყვირის შეგულიანებული კარლო: „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა...“

— ხმამაღლა, უფრო ხმამაღლა! — არ ეშვება სიმონიკა.

ყველა ამათ შეჰყურებს, გაოცებულნი უსმენენ აბიტურიენტებიც, გამომცდელებიც... უკვე დასასრულისკენ აჰყვება კიდეც კომისიის თავმჯდომარე და მთელი ხმით ერთად დააგვირგვინებენ:

— „დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!“

მოწონების ნიშნად ბეჭებზე დაარტყამს ხელს, ტაშის ფონზე დაიხრება და ხუთიანს ჩაუწერს საგამოცდო წიგნაკში.

არადა, ექვსი წელი კი აბარებდა და რას წარმოიდგენდა, ასე საზეიმოდ თუ მოიპოვებდა გადამწყვეტ ხუთიანს.

მერე კი...

მერე სამეცადინოდ და სახატავად სად ეცალა, სიყვარული გაეზიარებინა გულისსწორისთვის და დღედაღამ მასზე ფიქრობდა.

— მას მერე სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით...

ახლაც ერთად ვართ...

არაერთხელ უთქვამს: შენ რომ არ მყოლოდი, რა მეშველებოდაო.

მეც ხშირად მიფიქრია, რომ უიმისოდ ვერაფერს შევძლებდი, და თუ დღეს რამეს წარმოვადგენ, სწორედ ნინოს დამსახურებაა.

ნინო ზაალიშვილს, არა მხოლოდ კარგ მხატვარსა და ხელოვნებათმცოდნეს, კარგად იცნობს საზოგადოება.

ალბათ არ გამართულა გამოფენა თუ შემოქმედებითი საღამო, ის ან ერთ-ერთი თაოსანი არ ყოფილიყო, ან მონაწილე, რომელსაც კეთილი სიტყვა კიდეც ემეტებოდა ნიჭიერი ადამიანისათვის და კიდეც უჭრიდა, რადგან მხატვართა იმ მცირე ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ვისაც წიგნიც უყვარდა და წიგნიერებითაც გამოირჩეოდა. ამიტომ იყო, რომ ბევრ მწერალს სურდა, სწორედ მას გაეფორმებინა მათი ახალი წიგნები.

— სულ ერთად ვიყავითო, — ამბობს და ცრემლი უდგება თვალში, — ახლაც ერთად ვართ და მერე ხომ ერთად ვიქნებით და ვიქნებითო, — ტკივილი გამოერევა ხმაში, — როცა ილუსტრაციაზე ვმუშაობდი, წავიკითხავდი ტექსტს, გავაკეთებდი ჩანახატებს. კითხვას რომ მოვრჩებოდი, მონიშნულ ადგილებს ისევ მივუბრუნდებოდი და ესკიზებს ვხატავდი. მერე ნინოს ვაჩვენებდი, რომ თავისი აზრი გაეზიარებინა. ის აუცილებლად ჯერ ნაწარმოებს წაიკითხავდა და დამიწყებდა: ასე ხომ არ აჯობებდა, ისე უკეთესი ხომ არ იქნებოდაო. ვბრაზდებოდი კიდეც, მაგრამ... რომ დავფიქრდებოდი, ვხვდებოდი, მართალი იყო და ვიწყებდი რაღაცების შეცვლას, ხანდახან სულაც თავიდან ვხატავდი.

ახლა?

ახლაც, როცა ვმუშაობ, ხანდახან გავიფიქრებ: ნინოს ვაჩვენებ-მეთქი, მინდა ვკითხო, მოვუყვე, მირჩიოს რაღაც, მაგრამ...

მაშინ კი...

აი, მაშინ, ქუთაისიდან რომ მოდიოდნენ ბედნიერები და გალაღებულნი ერთად ყოფნით, გზაში შროშაში გაუჩერებიათ მანქანა, ლამაზი კალათა უყიდიათ, მერე უფიქრიათ: ცარიელს ხომ არ წავიღებთ შინო, და ნარჩევი ხილით გაუვსიათ.

გაუგრძელებიათ გზა.

მიქრის ავტომობილი, რომელსაც ისეთი მძღოლი უზის, მართვის მოწმობა მეგობრის ლუკა ხუნდაძის დახმარებით რომ აიღო და გამოცდაზე 10 კითხვიდან მხოლოდ 2 იყო სწორი, თუმცა ასეთი „ცოდნით“, მთელი თუ არა, ნახევარი საბჭოთა კავშირი მაინც აქვს მოვლილი.

სიტყვა გამექცა... იმას ვყვებოდი, ავტომობილი რომ მიქროდა.

იმ დროში იშვიათობა გახლდათ ტურისტები. და აი, უცებ შეუნიშნავთ უცხოური მანქანა, არაჩვენებური ნომრებით, და ნინოსთვის უთქვამს: — მოდი, ეს კალათა ამ უცხოელებს ვაჩუქოთ.

გახარებია ნინოს ძალიან — კარგი აზრიაო.

დასწევიან და, რომ გაუსწორდნენ, მანქანაში მჯდომი ქალებისთვის უნიშნებიათ, მინა ჩამოეწიათ.

ერთხანს ვერ მიმხვდარან ისინი, რას სთხოვდნენ საბჭოთა ავტომობილიდან, გვერდით რომ მისდევდათ, მერე კი ნინოს ხილით სავსე კალათა რომ გადაუწვდია, გახარებულებს ჩამოურთმევიათ ძღვენი და, ამ უჩვეულო ჟესტით გაოცებულებსა და მოხიბლულებს, ტკრციალითა და ჟრიამულით გაუგრძელებიათ გზა.

ამ ამბავს რომ მიყვება, სიხარული და კმაყოფილება უდგას თვალებში, ამდენი წლის მერეც რომ აბედნიერებს, როგორ გააოცეს გერმანელი ტურისტები ექსპრომტად მოფიქრებული ჟესტით.

მე კი ვუყურებ და ვფიქრობ:

ვინ იცის, ამ წუთას იქნებ იქ, სადღაც, დღეს უკვე აღარც ისე შორეულ გერმანიაშიც სხედან ის ქალები, უკვე ხანშიშესულები, ცხოვრებაგამოვლილები, და მის აღმართ-დაღმართებს რომ იგონებენ, იმ ახალგაზრდული ტკრციალით ვეღარ, მაგრამ ღიმილიანები კი იხსენებენ უცნაურ ქართველ მგზავრებს, ერთი გაქანებული მანქანიდან მეორეში რომ უმასპინძლეს უგემრიელესი ხილით.

* * *

ბავშვობაში ოცნება შორს რომ გაექცეოდა ხოლმე და უცხო ქვეყნებში მოგზაურობასაც გადასწვდებოდა, ისიც უფიქრია:

— მთელი ქვეყნიერება რომ მოვიარო, გერმანიაში არამც და არამც არ წავალ, მათ ხომ მამა მომიკლესო...

ოღონდ ცხოვრება ისეთი რამაა, მთელი ქვეყნიერება შეიძლება სულაც არ შემოევლო, გერმანიაში კი მაინც წაიყვანდა ბედისწერა.

წლების წინათ საკავშირო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო გაიხსნა, სერგო ქობულაძის ხელმძღვანელობით. ხუთი მხატვარი შეარჩიეს, მათ შორის კარლო ფაჩულიაც, ვინც ამ სახელოსნოს მთავარ მხატვრადაც დანიშნეს.

ერთი წლის შემდეგ საგზური მოსულა მოსკოვიდან — შემოქმედებითი სახელოსნოს ერთ-ერთი წევრი გერმანიაში უნდა წასულიყო მივლინებით.

სერგო ქობულაძეს უთქვამს: მთავარი მხატვარი უნდა წავიდესო.

საბჭოთა კავშირიდან ხუთნი იყვნენ.

ორი დღე ბერლინში, მერე — ნოებრანდერბურგში.

პატარა ქალაქი იყო ორსართულიანი სახლებით. ამ ქალაქში მუშაობდნენ. მერე გამოფენა-გაყიდვაც უნდა გამართულიყო და კარლო ფაჩულიას დანარჩენებისთვის შეუთავაზებია:

— მოდი, ვისი ნახატიც უნდა გაიყიდოს, თანხა ხუთად გავყოთ.

არაო, — უარზე დამდგარან სხვები, — ჩემი თუ გაიყიდა, სხვას რატომ უნდა გავუყოო.

თუმცა გამოფენის მიმდინარეობისას აზრი შეუცვლიათ, კარლოსთან მისულან და უთქვამთ:

— მგონი ეგრე სჯობს, მართალი ხარ.

კი გაკვირვებია კოლეგების ასეთი შემობრუნება, მაგრამ მოგვიანებით მიზეზსაც მიმხვდარა: აღმოჩნდა, რომ კარლო ფაჩულიასი ხუთივე ნახატი გაყიდულა, დანარჩენებისა კი — თითო-თითო.

მეორე დღეს თარჯიმანმა კონვერტით ფული რომ მოიტანა, ხუთად გაყავითო, — უთქვამს ჩვენი ამბის გმირს.

თანხა იმდენი აღმოჩნდა, სად დაეხარჯათ, აღარ იცოდნენ. საბჭოთა სამშობლოში უცხოური ვალუტის ჩამოტანა არ შეიძლებოდა და სხვა არაფერი დარჩენოდათ — აკრძალული დასავლური „ხილის“ სიტკბოება გერმანულ რესტორნებსა და კაფეებში დაადგემოვნეს სირჩებით გამოთვლილ ევროპულ კონიაკთან ერთად.

ორი საბჭოთა „ვოლგა“ ემსახურებოდათ.

ერთხელაც ღამის 12 საათზე ფრანკფურტის ქუჩებში დასეირნობენ, კაფეში ოფიციანტს სამი ფინჯანი ყავა შეუკვეთეს და სამ სირჩა კონიაკთან ერთად მიართვეს. გაიკვირვეს ამათ: ჩვენ არ შეგვიკვეთავსო. ოფიციანტს კი მეზობელი მაგიდისკენ უნიშნებია: იქიდან მოგართვესო.

ის მძღოლი აღმოჩნდა, ფრანკფურტში რომ ჩაიყვანა მხატვრები. მერე თავისთან მიუწვევიათ. სუფრაზე, სამი სირჩისთვის სამჯერ სამი დუმატებიათ და ისეთი ქართულ-გერმანული სტუმარმასპინძლობა გაუმართავთ, ერთმანეთისთვის არ დაუდიათ ტოლი.

გაკვირვებულ კარლოს ისიც რომ უკითხავს, თქვენ, ჩემო ბატონო, საქართველოშიც ხომ არ ხართ ნამყოფიო? — იმას კი, როგორც აღმოჩნდა, გაგონილიც არ ჰქონია ასეთი ქვეყნის შესახებ, საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ გულქვა, სისხლისმსმელი ფაშისტის ნაცვლად, კაცთმოყვარე, თბილი მასპინძელი ეჯდა წინ და გულიდანაც გადაუგორებია ლოდი ბავშვობაში დადებული პირობის დარღვევისა.

მერე ისეც მომხდარა, რომ მათი ჯგუფის წევრი გოგონას, მთელ მსოფლიოში ცნობილი საბჭოთა „ეტიუდნიკით“ რომ იდგა ქუჩაში, იქაური მხატვარი გამოცნაურებია და რესტორანში დაუპატიჟია. იმას რომ უთქვამს: მარტო არ ვარ, მეგობრები მელოდებიანო, — მასპინძელს თავისი მეგობრებიანად მიუწვევია და კიდევ ერთი კარგი საღამო გაუტარებიათ მასპინძლებთან ერთად. მთელი იქ ყოფნის განმავლობაში სითბო და ყურადღება არავისგან მოკლებიათ და ასე გადაფასებულა მისი შეხედულება გერმანიასა და გერმანელებზე.

შთაბეჭდილება კი თვითონაც არანაკლები დაუტოვებია იქაურებზე, რადგან მეორე წელიწადს მისი მეგობარი ომარ კაჭკაჭიშვილი რომ ჩასულა ბერლინში შემოქმედებითი მივლინებით, სადგურში დამხვდურები თურმე ბაქანზე დარბოდნენ და გაიძახოდნენ:

— კარლო ფაჩულია, კარლო ფაჩულია!..

სტუმარს ჰგონებია, კარლოც იქ იყო და ბაქანზე დაუწყია ძებნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე იმას კითხულობდნენ, კარლო ფაჩულიას ქვეყნიდან ამჯერად ვინ ჩასულიყო გერმანიაში.

თვითონ ბატონ კარლოს კი, როცა ამას მიყვება, ეღიმება, ეღიმება და ამბობს:

— უცნაური რამ კი ყოფილა ეს ბედისწერა, ვის სად წაიყვანს და როდის ვის შეგახვედრებს, მარტო იმან თუ იცისო.

* * *

ერთხელაც იყო და... საკნის კედლებიც ახეხინეს.

სულ ერთი ღამით, მაგრამ...

კაცმა რომ თქვას, ზუსტად არც იცის, რა დააშავა, მხოლოდ ის ახსოვს, რომ ნასვამი მოდიოდა თავისთვის. თბილისიდან ყოფილან შესამოწმებლად — რა ვითარება იყო ქუთაისის ქუჩებში. ქუთაისში ცნობილი მილიციელი ვალიკო ჩიტიანი ამოწმებდა იქაურობას.

ჩიტიანი ვიღა იყო?

ჩიტიანი ის კაცი გახლდათ, ქუჩაში ცოტა ხანს გაჩერებული რომ დაენახე, აუცილებლად რომ გეტყოდა:

— რატომ დგახარ, გაიარე, შენს გზას ეწიეო.

ჰოდა, ეტყობა არც ჩვენი ამბის გმირი „ეწია თავის გზას“, დაუნახავს „ობეხეს“ უფროსს და უთქვამს ჩიტიანისთვის: განყოფილებაში წაიყვანეთო.

აბა როგორ გითხრათ და, ისეთი ნასვამი იყო, მარტო ის ახსოვს, რომ საკანში ნათურა ბჟუტავდა და ნალიაზე ვიღაცები წამოწოლილიყვნენ.

დილით რომ გაიღვიძა, გვერდით პარალელური კლასელი იცნო, მძიმე წონაში მოკრივე — როკი მარჩიანოს, ოლიმპიური ჩემპიონის მეტსახელით რომ იცნობდა მთელი ქალაქი — ვისაც არაფხიზელი მეგობარი, ემანდ ვინმემ რამე არ დაუშავოსო, გვერდით დაუწვენია. დილით კი, ახალმოსულის გასაგონად, ასეც უხუმრია „ბოროტმოქმედ“ თანამოსაკნეებთან:

— რა უბედურებაა ეს, ყოველ დილით ყავა და ერბოკვერცხი, მომწყინდა უკვეო.

იმას „ერბოკვერცხი“ და „ყავა“ მოსწყენოდა, ამას საკანში თავგადაპარსული (იმას თუ გადაპარსვა ერქვა) ჯდომა. აგერ, ვიღაცას პატრონიც გამოსჩენია და თავსაც აღწევდა იქაურო-

ბას. ის ვიღაც ჭომელი კაცი აღმოჩენილა და „ბოროტმოქმედ“ ფაჩულიას დაუბარებია, იქნებ ბიძაჩემს ერმალო ქუთათელაძეს უთხრა, რა დღეშიც ვარო.

ორი საათის შემდეგ კი ის ნანატრი ფრაზაც გაისმა:

— ფაჩულია, ს ვეშჩამი!

ერთი კვირა არ ელაპარაკებოდა დედა.

ახლა ფიქრობს, რომ კიდევ იოლად გადარჩა, რადგან სულ ემუქრებოდა:

— რამე ცუდს თუ ჩაიდენთ, თქვენზე ხელს ავიღებ, არ გავამხელ, რომ ჩემი შვილები ხართ, მე ქუთათელაძე ვარ და ფაჩულიად არავინ მიცნობსო.

და შვილებიც ცდილობდნენ, როგორ არ ცდილობდნენ, მაგრამ სტუდქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა კაცის ამბავიც ხომ მოგეხსენებათ.

აი, რა უნდა გექნა ერთად რომ შეიკრიბებოდნენ ხოლმე თვითონ, ბერნარდ ნებიერიძე, რობერტ მნაცაკანიანი... და რეზო გაბრიაძეც დაადგებოდათ თავზე.

რა და... ჩაგებარებინა ცარიელი ბოთლები, გეყიდა სავსეები და...

ისეთი ტკბილი იყო ის „ჩაჯდომა“ მეგობრებთან ერთად.

ერთხელაც ასე გამოსულან სტუდქალაქიდან ნასვამები. ვაკის პარკის გვერდით რომ მაღალი სახლია, მაშინ იწყებდნენ სწორედ მშენებლობას, ფუნდამენტიც გაეთხარათ და გზიდან 5-6 მეტრი იქნებოდა სიღრმე.

— მოდი, გადავხტეთ, — უთქვამს რეზოს და... გადამხტარა.

კიდეც გადამხტარა და კიდეც დამხტარა უვნებლად — რბილი თუ იყო მიწა. საერთო მეგობარიც უკან მიჰყოლია, მაგრამ აი, კარლოს ჯერი რომ დამდგარა, ერთხანს უზომია თვალით მანძილი, მერე, ვერ გეტყვით, სიმაღლის შიში იყო თუ დედის სიტყვები წამოჰგონებია, მაგრამ გადახტომაზე უარი კი უთქვამს.

ერთი წელი უცხოვრია სტუდქალაქში. მერე იქიდანაც წამოსულა — მაშინ თუ გულისწორის მეგობრების დაპატიჟებაში ეხარჯებოდა ფული, ახლა სასადილოში მარტო სადილობა ერიდებოდა, სულ ვიღაცას იახლებდა ხოლმე თანამეინახედ და რამდენიმე დღის გემრიელად სადილობის შემდეგ ისევ მშიერი რჩებოდა.

პირველი წიგნი რომ გააფორმა და გამოიცა კიდეც, გულისფანცქალით შეუძენია და მაღაზიიდან გამოსულს თავისი ქართულის მასწავლებელი, შუქურა ლომიძე შეხვედრია — აი, ის, წლების წინათ „პირველი ნაბიჯის“ ილუსტრაციები რომ დაახატვინა და კიდეც დაინტერესა ამ ჟანრით.

— შუქურა მასწავლებელო, აი, ეს წიგნი ჩემი ილუსტრირებულია, — უთქვამს და გაუწოდებია. ოღონდ ეგ იყო, მისი სახელი და გვარი წიგნს არ ეწერა, რადგან თარგმანი გახლდათ. მას მხოლოდ დედნის ილუსტრაციათა ასლები შეესრულებინა და ქართული გამოცემის ყდაზეც ორიგინალთა ავტორი იყო მინიშნებული.

— ამდენი წელი გავიდა, მე კი, როცა ეს ამბავი მახსენდება, სულ მერიდება, ვაითუ იფიქრა, რომ მოვატყუეო.

მაშინ კი...

მაშინ იმაზე ოცნებობდა, როდის იქნება, ჩემი სახელი და გვარიც რომ დაეწერება, გადაშლი წიგნს, წაიკითხავ: მხატვარი — კარლო ფაჩულია, და ასახსნელიც აღარაფერი მექნებაო.

ასეთი წარწერა კი მერე ბევრ (300-ზე მეტ) წიგნსა თუ უამრავ ცალკეულ ნაწარმოებს დაამშვენებს, ქართულსაც და უცხოურსაც, თარგმნილსაც და ორიგინალსაც. რომელი ერთი ავტორი ჩამოვთვალოთ, ქართველიც და არაქართველიც: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლორთქიფანიძე, თამაზ ბიბილური, იაკობ ხუცესი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ოთარ და როსტომ ჩხეიძეები, ემზარ კვიტაიშვილი, ვანო ჩხიკვაძე, არჩილ სულაკაური, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, რევაზ ინანიშვილი, ნუგზარ შატაიძე... შექსპირი, ჯეკ ლონდონი, გაბრიელ გარსია მარკესი, ხორხე ლუის ბორხესი, მარგარეტ იურსენარი, ფრიდრიხ დიურენმატი, თომას ბერშაიდი, პლუტარქე, ერიკ ემანუელ შმიტი, უილიამ سაროიანი, პიერ ლაგერკვისტი, ედუარდ ჰეილი, ედგარ ალან პო, ვალენტინ რასპუტინი, ჩარლზ დიკენსი, ჯერომ სელინჯერი... და ჩამოთვლისას თვითონაც რომ აერევა ხოლმე სათვალავი, იმასაც დასძენს:

— ნეტა ყველა კეთილი ოცნება ასე კეთილად გვისრულდებოდესო.

* * *

მის ერთ-ერთ პერსონალურ გამოფენაზე, ქუთაისში რომ გაიმართა, ვიღაცას უკითხავს:

— სულ ებრაელებს რომ ხატავ, ქართველებმა რა დაგიშავესო.

აბა, რა ექნა, თუკი ქუთაისში მცხოვრები ებრაელები ისეთ სახასიათო პერსონაჟებად ჩაწერილიყვნენ ქალაქის ცხოვრებაში, რომ სწორედ მათკენ მიუწევდა გული.

აი, მაგალითად, ებრაელი ბიჭი რაფო ფიჩხაძე, სულით ავადმყოფი, ძალიან დიდი ტუჩები რომ ჰქონდა და ქუჩაში მიმავალს „რაფო ვარდოს!“ ძახილით აედევნებოდნენ ხოლმე ბავშვები.

ორი ძმა ჰყოლია რაფოს, ორივე ექიმი. ჰოდა, წაუყვანიათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ერთხელაც თბილისიდან ჩასულან შესამოწმებლად, ქალაქკომის მდივანი წაჰყოლია სტუმრებს. იქ მისულს უცვნია რაფო და უკითხავს:

— როგორ ხარ, რაფო, აბა რას იტყვი, ხომ კარგი პირობებია აქ?

იმას კი... გაუღიმია, იმ თავისი დიდი ტუჩებით გაუღიმია და:

— კი, დაგენაცვლე, კაი პირობებია ძაან, ამოიყვანე ცოლშვილი ერთი-ორი კვირით დასასვენებლადო.

ბესიონა-ბუხარა დიდი, უფრო სწორად, მაღალი ქუდით დადიოდა ქალაქში.

ხავა კოპიო, მოხუცი ებრაელი ქალი, მთელი დღის განმავლობაში სარეცხს რეცხავდა და თან მუდმივად ვიღაცას ეჩხუბებოდა, ვიღაცას „მარხავდა“ და ლანძღავდა.

რიკრიკას, მოხუც ებრაელს, ცოტა რომ „ვერ იყო“, სულ ბავშვები დასდევდნენ უკან და აბრაზებდნენ, ისიც დადიოდა ქუჩებში, ხელში პატარა ქვა ეჭირა მათ მოსაგერიებლად და აშინებდა, სროლით კი არაფრით არ ესროდა.

მაღალი, ხორცსავსე ლუბა ყოველ საღამოს თავის ძაღლს ფრანცისკას დაასეირნებდა, შინ კი პატარა, ჩია ქმარი ელოდებოდა მის მზრუნველობას.

ბორის გაპონოვს, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს, წლების შემდეგ მთელი მსოფლიო გაიცნობს, მაშინ კი ერთი ჩვეულებრივი ებრაელი ბიჭი იყო, ქართული რეალობის ნაწილად ქცეული და ქუთაისთან შესისხლხორცებული...

და კარლო ფაჩულიაც ხატავდა და ხატავდა... ფოტოგრაფსაც და მეკურტნესაც, „პონჩიკების“ გამყიდველსაც და ხახამსაც, ისინკა მკერავსაც და ქუთაისელი ბიჭების ახდენილ სურვილსაც — ფუმფულა ფამფორას თავის ფისოსთან ერთად, შუშანა სავარცხლების გამყიდველსაც, აბრაშკა, მოშე და ხაიმ დამკვრელებსაც და ჩახნიასაც, გოგოებს უკან რომ დასდევდა და ეხვეწებოდა:

— დევოჩკა, პადარი მნე ულიბკუო.

ხატავდა იმიტომ, რომ გამორჩეულად ჩაწერილიყვნენ ქალაქის ცხოვრებაში, თავიანთ ფერსა და სხივს მატებდნენ ქუთაისს, თორემ იმაზე მაშინ სულაც არ უფიქრია, რომ გავიდოდა დრო და მისი პატარა ქალაქი სულაც აღარ იქნებოდა ასეთი, ეს ადამიანებიც, მაშინ ყოველდღე რომ ხედავდა, უკანმოუხედავად მიმავალ დროს გაჰყვებოდნენ უსასრულობაში და დააკლდებოდნენ, ძალიან დააკლდებოდნენ ქალაქს, სამაგიეროდ კი ქართული მხატვრობის ნაწილად ქცეულ ნიმუშებზე იპოვნიდნენ ყველასთვის სანატრელ მარადიულობას, იმ ნახატებზე, ახლა სიამაყით რომ ვათვალიერებთ კარლო ფაჩულიას პერსონალურ გამოფენებზე.

აი, იმ კარლო ფაჩულიასი, ვისაც აგერ უკვე რამდენი ხანია თითქმის ყოველდღე ვხედავ და თითქმის ყოველდღე მიფიქრია, რომ ასეთი ადამიანების გვერდით ცხოვრება ნამდვილი ღვთის საჩუქარია.

და დროდადრო ნაამბობი მისი ისტორიები ახლა იმიტომ გიამბეთ, რომ მათ თვითკმარი ღირებულების გარდა — ბიოგრაფიაა ხელოვანისა, რომელიც დარჩება ქართულ მხატვრობის ისტორიას — ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ერთი პატარა ქვეყნის პატარა ქალაქის ისტორიაცაა, თავისი პერსონაჟებით — ცნობილითა თუ უცნობით, მაგრამ სახასიათოდ რომ წარმოაჩენენ იმ ეპოქის, იმ სხვანაირი დროის, უკვე წარსულში დარჩენილი დროისა და გარემოს ფონსაც და თავისებურებებსაც.

გია ხოფერია

„მეჩეჩი“ მეჩეჩზე არ გარიყულა

ერთი ამბავი მოჰყოლია „მეჩეჩის“ გამოქვეყნებას. გამოუდვია თავი სიმონ ჩიქოვანს, „მნათობში“ დაუბეჭდავს ეს რომანი და გადაჰყვა კიდეც - გაათავისუფლეს რედაქტორობიდან...

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანაა. მართალია ზოგიერთი რამ შეიცვალა, თითქოს მოლბა სახელმწიფო - დამსჯელი მანქანა, თითქოს მიეცა ადამიანს უფლება ცოტათი გვერდზე მიეხედა, საკუთარ ჭკუას დაყრდნობოდა (თუ ჰქონდა შემორჩენილი!), ოდნავ მაინც ეგრძნო თავისუფლება, მაგრამ მხოლოდ ოდნავ; ისევ ენერგიულად ხრჭიალებდნენ მაშინდელი სახელმწიფოს ანუ რუსეთის იმპერიის დაკბილული ბორბლები, ერთხელაც რომ გადაევლო ვინმესთვის, ნატამალი არ დარჩებოდა მისგან.

„მეჩეჩი“, როგორც ყველა რომანი ოთარ ჩხეიძისა, დიდ სატკივარს შეგვყრის. გასაგებია, რომ მწერალი არ ერიდება ეპოქის ნამდვილი სურათის წარმოსახვას, ისიც ნათელია, რომ სიმართლის პირში მთქმელია, არავისა და არაფერს ერიდება, მაგრამ უპირველესად მაგარ მწერლურ თონეს ახურებს, დიდი თვალთახედვის მხატვარია. ხელში მოიგდებს თუ არა სათქმელს, გახედ-გამოხედავს, გარანდავს და მთელ „ბრიგადას“ პერსონაჟებისას, თითოეულს თავის საქმეს ჩააბარებს. ისინიც გულდასმით „მუშაობენ“, გამოცალკევებულ-გამორჩეულები ხომ არიან და არიან, გამოყოფილ ფართს პირწმინდად ხომ ითვისებენ, ერთი ბეწო ადგილიც არ რჩებათ გამოუყენებელი, ამასთანავე მთავარ ძარღვსაც არ წყდებიან, ყველანი მწერალს, პატრონს ემორჩილებიან და მისი ფიქრის იქით არ გადიან.

არსად არ ჩქარობს ოთარ ჩხეიძე. სწორედ რომ მორგებულია მის ნიჭიერებასა და ნებისყოფაზე რომანის ჟანრი. ნელ-ნელა ითვინიერებს ყამირს, ნელ-ნელა, თანდათანობით ბარავს, ატრიალებს მიწას, შლის ბელტებს, აფხვიერებს და ასწორებს დამორჩილებულ მდელოს. თან ცალი თვალი ჩვენკენ, მკითხველისკენ აქვს, შეგიძლია თუ არა დაუდგე გვერდით, გონივრულად მიუყურადო.თუ მიჰყვები და აყურადებ, მაინც-დამაინც დიდი ხეირი არ დაგადგება, შენც მუშაობა მოგიწევს, შენც უნდა ჰბარო და თოხნო, შენც უნდა ისუნთქო იმ ჰაერით, რომანის დასაწერად გამოყოფილ დილა-საღამოს რომ სჭირდება. ნერვებიც უნდა მოითოკო, თვალებიც დაიკრიალო, ხანგრძლივ შრომას რომ გაუძლო და რასაც შეხედავ თუ შეგახედებენ, გაარჩიო და უნდა დარწმუნდე, მართლა ხედავ თუ არა.

სოფელ ჰალდეს ისტორიას კარგა ხანს უტრიალებს მწერალი და განსაკუთრებული ფიქრი არაა საჭირო, რატომ აკეთებს ამას. ხელოვნების, სამეთუნეო ხელოვნების ბუდე თუ კერა ყოფილა ეს სოფელი შუაგულ ქართლში, მტერსაც რომ სჭირდებოდა და მოყვარესაც, ერთიც აფასებდა და მეორეც. სოფელი კი არა, უფრო მეტი - ქალაქად ყოფილა დახელოვნებული. იქაურ ოსტატებს მართლაც ოსტატები ნაქვიებათ, შეუდარებელნი და უცხონი ყოფილან თავიანთ ხელქმნილობაში, საკვირველ ცოდნასა და იდუმალებას ატანდნენ თურმე თიხისაგან წარმოქმნილ საოცარ ნივთს, მზერას რომ ვერ მოწყვეტდი და არც თვალი დაგეღლებოდა. ისევ ვამბობ, როგორც ჩანს, ეს ჰალდე, უკანასკნელ ხანს სოფლად ქცეული და სულ ბოლოს — ნასოფლარი, ოდესღაც ხელოვანთა ქალაქი ყოფილა, პატარა, კლდეებში შეყუჟული, მაგრამ პატივსაცემი, მოსარიდებელი, დიდი ავტორიტეტის მქონე. ამჟამად ანუ რომანის დროს ჰალდეს განადგურებული და პატივაყრილი ხედი, მიყრუებულ-მიუსაფარი გარემო უნებლიეთ გაგახსენებს ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩას“ ან ნიკო ლორთქიფანიძის „დანგრეულ ბუდეებს“, გაგახსენებს და სევდაც შემოგაწვება, მწერალი კი არა და არ სცილდება ამ ოდესაც უნიკალურ სიმშვენიერეს სულისას, თიხისას, კაცისას, შემოქმედებითი ტკბობისას, ხელოვნების უკვდავებისას, არ სცილდება ჟამის უმკაცრესობას და მუხთლობას, ფიზიკურად რომ წალეკა, გააცამტვერა იქაურობა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ხელოვნების მარადიულად ცოცხალ უჯრედებს, ზემოდან რომ დაჰყურებენ ეპოქათა სივრცეებს. ისინი ფოტოგრაფიული სიზუსტით ინახავენ ყველაფერს. ისინი აწვალებენ და ათამამებენ კიდეც მწერლის გონების ყურსა და თვალს, მომგონებლის როლი ითამაშოს, თანაც უტყუარის. ამ მომგონებლობამ იცის ნამდვილი ცრემლი, რომლის გაკრთომაში ძალუმად ამოიკითხება მთავარი მიზანი „მეჩეჩის“ დაწერისა. ეს ცრემლი გამჭვირვალე ფარდაა. მასში შესანიშნავად ჩანს შორეული ჰალდე, სიმბოლო ჯადოქრული შემოქმედებისა, სიმბოლო უდიდესი ერთობისა და, ბოლობოლო, ადამიანის შესაძლებლობათა, ღირსებათა, ზნეობის, უარტახო ხელოვნების, თავისუფლების მომნუსხველი სიმბოლო. ამ სურათებში მხოლოდ თიხის წარმოებისა და ოსტატობის განუმეორებლობის ბადეები არაა ჩახლართული, აქაა დიდი წარსულის, უკეთესი გარდასული ეპოქების, ნამდვილი სახელმწიფოებრივი ნებელობის ექოები შეგროვებული. მიტომაც ვყოვნდებით იქ დიდხანს, მიტომაც ვერ ვაცილებთ იქაურობას თვალს.

თუნდაც მხოლოდ თიხის, მდინარე ჰალდურას სანაპიროდან მოტანილ-მოწიკული თიხის გადამუშავებასა და მისგან განუმეორებელი ღირებულების ჭურჭელზე იყოს საუბარი. თუნდაც! არც ესაა ცოტა. მართალია კარგა ხნის გაცილებული ვართ ჰალდური სიცოცხლის ეპოქას, მაგრამ მწერალი კიდევ ერთხელ უწყობს მას გამოსათხოვარ პანაშვიდს, კიდევ ერთხელ მიგვადებინებს გულს წინაპრის გულზე და, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, კომუნისტური ავადმყოფობის სივრცეში საშუალებას აძლევს წარსულს მიწისქვეშა ბიძგებივით შეგვანჯღრიოს.

მაგრამ კომუნისტური მორალის ადამიანს წარსული არ გააჩნია. მას მხოლოდ ფიანდაზი აწმყო და ვარდებითმოსილი სამომავლო გზა აქვს. განვითარების ბუნებრივი კანონების უარყოფამ არა მხოლოდ მაშინდელი სახელმწიფო სისტემა შეაგდო მეჩეჩზე, არამედ მთელი საზოგადოება. ამ პროცესის გააზრება და აშკარაობა მოგვიანებით გახდა უფრო ნათელი. ოთარ ჩხეიძემ კი ბევრად ადრე გამოუტანა განაჩენი სიყალბის მექანიზმს, მწვალებლობას. „მეჩეჩის“ გმირები და ისინიც, რომლებმაც „ცხელ კვალზე“ გამოხატეს თავიანთი ძლივს შეკოწიწებული ბრალდებები ამ რომანის მიმართ, ისინიც, ვინც ავალებდა ამ ბოროტბაცილებიან „კრიტიკოსებს“ ბრტყლად გაეშალაშინებინათ ენა და რასაც ჩასძახებდნენ, ის ამოეძახათ, ყველანი იყვნენ უკიდეგანო „ზღვის შვილები“, მაგრამ ცურვით ვერსაით მიცურავდნენ.

ბევრი რამაა შენიღბული ამ რომანში. თიხაცა და მისი წარმოება, თუ კარგად დავუკვირდებით, მალე გვერდზე დარჩება.



ოთარ ჩხეიძე არაა „ხურდაზე მომუშავე“ მწერალი. ჰალდეს ისტორია თავისთავად ერთ-ერთი გამართული თემაა ამ რომანში, მაგრამ იგი მაინც ქვეშაგებია, მძლავრად დაჰაიერებული ბალიშებით შემოწყობილი, რომანის სიღრმეში თანდათანობით შესვლისას რომ უნდა გასკდეს და უფრო ფართოდ გაგინათოს გონება. ასე რომ, ქვეტექსტური სამყარო მეტ რეზონანსს აძლევს „მეჩეჩს“, მეტი სიდიდით თუ სიდიადით წარმოაჩენს მისი დოლაბების გამოძახილს.

ამიტომაა, რომ „მეჩეჩის“ გმირები უმთავრესად რომანის პირველ სართულზე რჩებიან, ხოლო ძირითადი საქმე მეორე-მესამე სართულზე „ირჩევა“ (შეგვიძლია გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ ან „ჯაყოს ხიზნები“. ასეა იქაც: ერთი შეხედვით რაც ჩანს, დიდებულია, მაგრამ შემდგომ და შემდგომ შეხედვისას, ეპოქის კარდიოგრამასაც თუ წავიხმართ, არ იქნება ის შეხედვები საკმარისი, არ ჩაეტევა ჩვენს თვალში იმ რომანებიდან ამოვარდნილი ღლავი თემები, სხვა თვალი გვჭირდება!) . რა თქმა უნდა, ამით არაფერი ფუჭდება. როგორც კოსმოსური ხომალდის ორბიტაზე გასასვლელად აუცილებელია სხვადასხვა საფეხურისა და სიძლიერის რაკეტული ძრავები, ისითივე პრინციპითაა მოწყობილი ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება. არც „მეჩეჩია“ გამონაკლისი. ამ რომანის პერსონაჟები გიგო, ირინე,ტასო, კოტე, გელა, ნიკა, ლადო, ირაკლი, ტატო ...მართალია, პირველხარისხოვანი საქმეებით არიან დაკავებულნი, საღსალამათი ანუ ნამდვილი მწერლური ხელწერითაა გამოჭედილ-გამოყვანილი მათი ურთიერთობები, ერთი კარგა მოზრდილი დრამაა წარმოდგენილი მათი ცხოვრებისა, რაც თავისთავად ღირს რომანად, მაგრამ გაცილებით მეტი მოცულობისაა ისევ ამ რომანში ჩაწნეხილ-ჩაპრესილი წნევა, რომლის ძლიერი მუხტიც ჭირვეული ეპოქის ნამდვილ სახეს ამოაფრქვევს.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის, რომ ხელოსანს ხელოსნობისთვის ვერ მოუცლია(გიგო), მხატვარს - მხატვრობისთვის (ირინე),თავმჯდომარეს - თავმჯდომარეობისათვის (ლადო), მდივანს - მდივნობისთვის (ირაკლი), შეყვარებულს - სიყვარულისათვის (ტასო), ვერ მოუცლია თუ არ აცლიან! ყველას ხელს უშლის თავის ადგილზე არ ყოფნა, ყველას სხვაგან ექაჩებიან, სხვაგან მითითებულ ადგილისკენ, თავისი გზის აღმოჩენა და გაკვალვა დანაშაულად ითვლება. ადრე კიდევ უარესი იყო! რომანში მონიშნული დრო შედარებით მტკნარია, თორემ მაშინ გენახათ ყოველი სტრიქონიდან სისხლის დენა. თუმცა დიდი გამყინვარების დასაცხრომად მაინცდამაინც არაფერი გაკეთებულა. ესეც თვალსაჩინო და უდავოა.

ხოლო ადამიანი, რომელიც თავის გზას ვერ ნახულობს ან უკრძალავენ თავისი გზით სიარულს, როგორც ამბობენ - თავგზააბნეულია.ასეთი ადამიანი უმართავი გემივითაა და იოლად შეჯდება მეჩეჩზე. საბჭოთა ყოფიერებისას მილიონობით ადამიანმა არ იცოდა, მეჩეჩზე რომ იყო გარიყული, და ამიტომაც ბედნიერად გრძნობდა თავს, არხეინად მიყვებოდა დინებას. ძალიან დაძმობილდნენ ნამგალი და ურო...ჩვენი „მეჩეჩის“ საზოგადოება, შეიძლება ითქვას, პირველი, ჯერ კიდევ ახალგაღვიძებული და, ამდენად, ნაკლებ აქტიური, თუმცა სინამდვილის თვალებში ჩამხედავი, მიხვედრილი საზოგადოებაა. ამიტომაც ედგმება რომანს მეორე სართული, ამიტომაც ღებულობს პოლიტიკურ-ოპოზიციურ შეფერილობას და ეს ხდება მაშინ, როცა ამ კომპოზიტის მნიშვნელობა საბჭოთა მოქალაქეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც იცოდა. მიცურავდა გემი და უკან მიჰყვებოდა მილიონობით ლიფსიტა.

იდეოლოგიები და მათ შორის კომუნისტურიც გარკვეული ხანგრძლივობით წარმატებული იყო. ყველანი კომუნიზმის საერთო საბანს ელოდნენ ახლო მომავალში და მეჩეჩის არსებობა აზრადაც არ მოსდიოდათ. მაშინ კი არა, ორმოცდაათიან წლებში, დღესაც არცთუ იშვიათად შეხვდებით ადამიანებს, მეჩეჩზე რომ არიან გარიყული და ვერ გრძნობენ. დიდი საშინელებაა ეს მეჩეჩი! მასზე გარჩენის საშიშროება ყოველთვისაა, ყოველნაირი სახელმწიფოებრიობისას, რაც უნდა მაღალი ხარისხის დემოკრატიულობა იყოს, მაინცაა. მეჩეჩი თვით დემოკრატიულობაცაა თავისი ნაირგვარი ფსევდოფორმებით...

ეს ამბებიც კარგადაა მიგნებულ-გამოკვლეული...

ისევ რომანთან მიბრუნება მსურს. „მეჩეჩი“ ვერ შეაყენეს მეჩეჩზე. რაც უფრო მეტად ლანძღავდნენ მას, მკითხველიც იმატებდა, იმატებდა და კარგად ხვდებოდნენ, ოფიციოზის შემოტევანი წყლის ნაყვა რომ იყო. იქნებ ოფიციოზიც, ის ცნობილი მწერლებიც ფიქრობდნენ, მათ მიერ აყენებული მტვერი მალე რომ გაიფანტებოდა, მდუმარედ მდგარი „დასჯილის“ გონებაში გამალებით რომ ტრიალებდა ბურღი, ხვალ ან ზეგ თავის გვირაბს მაინც რომ გაბურღავდა, მაინც აანთებდა თავის სინათლეს. მაგრამ „პოლიტიკა“ იყო ისეთი და ისინიც, ერთი-ორის გარდა, მართლაც ზერელედ ნაყავდნენ შეჩვეულ წყალს. ისინი ბოლომდე დარჩნენ „გრიშა ბიძიებად“, მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის ერთგული ძაღლების როლს თამაშობდნენ. ჩემს თაობასაც ახსოვს მათი სატელევიზიო ყეფა, თავჩაღუნულნი შეუსვენებლივ რომ თქვლეფდნენ „მომაჯადოებელ“ სიტყვებს.

ერთიც , გულადობა-ვაჟკაცობისთვის არ შერჩა „მეჩეჩი“ მეჩეჩზე და, მეორეც - ნატიფი სიტყვიერების გამოც. ოთარ ჩხეიძე ნამდვილადაა იმ რამდენიმე რჩეულთაგან რჩეული, ვინაც იგრძნო სიტყვის ღვთიური ძალა. ამ ძალამ ახლადმიგნებული წყარო-ბინულივით იფეთქა მის გულში, ამოვიდა და ამოიშაქრა, ამოიტანა ტოტების სიმწვანესთან ერთად, ფესვების თვალთანადობა და კუნთები, ამოიტანა, ამოაგრიალა ახალი ხმა, მანამდე მოუნიშნავი, მანამდე ჩაუწერავ-შეუნახავი, ჟამი-ჟამად სივრცედ მომფრინავ-მოსიარულე, ამოიგრიალა ამ ხმამ, გადაწვდა მტერ-მოყვარეს.გალაღდა მოყვარე, გაღიზიანდა მტერი, თოკივით დაიხვია ეს ხმა ხელზე, წარამარა აყვედრიდა მის პატრონს ხელოვნურობას.

არადა, მართლა წყაროსავით მოდის, მორაკრაკებს „მეჩეჩის“ წყობილობა, სხვებისაც, სხვა რომანებისაც. წინა საუკუნის დანაღმულ ბილიკებზე ფეხის მოკიდება არც ენობრივი სიდარბაისლით შეიძლებოდა დაუყვედრებლად. თურმე ოთარ ჩხეიძე საერთოდ ვერ ფლობდა სალიტერატურო ქართულს, ისიცა და მისი პერსონაჟებიც ერთი ენით, ერთი ლექსიკით ლაპარაკობდნენ და ცოდვასაც იდებდნენ.

ოცზე მეტ რომანში აქვს ასეთი ცოდვა მწერალს, არც მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებში „გალიტერატურებულა“ და ვინღა დაეწევა მას, ამდენი ცოდვით სავსეს.

გასაგებია, რომ ახლის მიღება - დამკვიდრება ძნელია. საზოგადოება უცებ ვერ აღიქვამს ახალ ხედვას, ახალ გემოვნებას, ახალ ხელწერას და, საერთოდ, ახალს, მანამდე მიუჩვეველს, მიუყურადებელს.მაგრამ ოთარ ჩხეიძე ასეთი რთული ბარიერის შემქმნელი არ ყოფილა თანამედროვეობისათვის. იგი ხალხს, სოფელ-ქვეყანას თავის ენაზე ესაუბრებოდა და თავისივე ენით უჩვენებდა, სად წასულიყო, როგორ წასულიყო. ეს ენა შორეული აკვნიდან წამოსული ენაა, წმინდა ქართული სისხლია და მისი დავიწყება არ ეგებოდა. რაღაცდაგვარად ისიც ჰალდური ისტორიის მქონეა, უკანასკნელ ეპოქებში გავერანების საშიშროება რომ შეყრია, უცხოურით, მოდურით რომ „ალიტერატურებენ“, ფხაჭნიან და ასისხლიანებენ. მწერალმა „მიაგნო“ თავანკარა ღვინოენით სავსე ჭურს, კრძალვით მოხადა თავი და ამ ენით მოახსენა წუთისოფელს სატკივარი. ამ ენის დიდ მუსიკალურობა-ჟღერადობასთან

ერთად აჩვენა მისი მოქნილობა, იოლად დამყოლობა, არ დატოვა დროდაჟამში მონანავე ერთი ბგერაც კი, ყველა გამოიხმო, ყველანი „დაასაქმა“, ყველა ჩააბუდა მწერლურ მელოდიაში. გაჭირდება მეორე მწერლის დასახელება, ამდენი რძე რომ დაედინოს ენისათვის, ამდენად მიახლოებოდეს ეროვნული სიწმინდეებისა და ტრადიციების ღრმა ოკეანეს. სულაც არ მიფიქრია ამ განცხადებით სხვა რჩეულთა ჩრდილში მოქცევა. მადლობა ღმერთს, გასაოცარი ნიჭით არაერთი მწერალი გვიბოძა, ენა რომ „არ უგვალავთ“, ისეთი, მაგრამ ქმნადობით, მრავალმხრივი მელოდიურობით, ფიგურალური სიმდიდრით,ვირტუოზული მშენებლობით ოთარ ჩხეიძის ენას მეტი სინედლე, მეტი მშობლიურობა, მეტი რძე მოედინება.

რა თქმა უნდა მწერლის ყველა ეს დამსახურება „მეჩეჩს“ ვერ დაბრალდება. თუმცა მისი ენობრივ-მხატვრული მოხაზულობა, დალაგებული ფერები, ზედმიწევნითი სინათლე, ზოგჯერ ნატურალიზმამდე დასული ფოტოგრაფირება და კიდევ ბევრი რამ ესთეტიკის მაძიებელ მკითხველს არაერთი დაუვიწყარი კადრით მოამარაგებს.

შთამბეჭდავი გულისხმიერებითა და სინანულითაა გამოძერწილი რომანის პირველივე გვერდები. განსაკუთრებით გდაღავს თანამედროვეობის უმადურობა თუ ზერელობა, რომ არავის უნდა გუნდიაანთ ქიტოს საიდუმლოს ეზიაროს. ძალზედ გაუბრალოებული, გამიწიერებული, ესთეტიკურისაგან დაცლილია თანამედროვეობა:“...დიახაც, ხარხარებდა თიხაი ქიტოს ხელში, ნარნარი, მომხიბლავი, გამოსდიოდა ყველაფერი, - სურა, თასი, ლარნაკი, ამფორა, ლანგარი, მრავალგვარი, მრავალსახისა, სასმისები - ყოველგვარი ჭინჭილიდან მარნამდე, ყველაფერს ეშხი ჰქონდა, ყველაფერი მომხიბლავი იყო“ , - გვაუწყებს მწერალი, მაგრამ ნაბოლარა ხელოსნები ერთი თუ აზლუქუნდებოდნენ ქიტოს ოსტატობის გახსენებაზე, ერთი თუ ამოიკვნესებდნენ და მაინც თავიანთი იაფფასიანობით გაჰქონდათ თავი, არავის სურდა ძველი საიდუმლოსათვის ჩაეხედა თვალებში, დამორჩილებოდა დიდ ხელოვნებას, მეორე თუ მეხუთეხარისხოვანი თიხით ძერწავდნენ სხვადასხვა ნივთებს და „არც ანაღვლებდათ იგი განთქმული ჩანჩქერის თიხაი, მართლაც რო საოცარი, ფიქალივით რო ამოდიოდა წყებაწყებადა, იმსხვრეოდა, ხელში იმსხვრეოდა, იფშვნიტებოდა, მტვერდებოდა, მტვერდებოდა, ცოტა წყალსა კმარობდა, წებოვდებოდა, საოცრადა წებოვდებოდა, ოღონდ ხელს არ ედებოდა, ცურავდა, სლიკინებდა, სრიალებდა თევზივითა“. მეტი რა უნდა ქნას, რაგვარად გითხრას მწერალმა, გიჩვენოს სულამოცლილი დროის გასაჭირი, დროისა ზოგადად, თორემ კაცს, ადამიანს აქვს აკრძალული წარსულისკენ გახედვა, რობოტადაა ქცეული, კაპიკია მისი აზროვნების ფასი.

ამ ამონაწერში თითქმის მხოლოდ ზმნებია ერთიმეორეს მიყოლებით განლაგებული, მხოლოდ ზმნებია ერთმანეთზე მიწყობილი, მაგრამ თითოეული სიტყვა თანდათანობითი სიძლიერით გვაუწყებს მწერლის გულის ხმას, თავისუფლად სუნთქავს წინადადება, ყოველი პაუზა-შესვენება ახალი სურათით იტვირთება, ახალს უფრო ახალი მოსდევს და ასე აგელანდებიან ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე...აგელანდებიან და არ გღლიან, არ გაშორებენ ტექსტის შინაარსს.

აქაც ასევეა, რაღა შორს წავიდეთ:“როგორღაც ისე მოხდა, ერთად ჩაქრნენ გუნდიაანთ ქიტო და უკანასკნელი ქურაი, ერთად გამოელიათ ნიათი, ერთად ამოერთვათ სულიცა, იმ ბოლო ქურის ერთადერთი დამტირებელი ქიტო გახლდათ, ასე წავიდა ღრმა სინანულითა, დარდითა და ვარამითა...ასევე სინანულით მიკანკალებდა, მიცახცახებდა, მიფრუტუნებდა, მილასლასებდა ხოლმე ნაქურალებზე, ჩქროლვით, თრთოლვით მიაჩერდებოდა ჩამქრალ ქურებსა ანუ ქურათა სასაფლაოსა, სარკეს ყოფნა-არყოფნისა, სიკვდილ-სიცოცხლისა, გაჩენა-გარდაცვალებისა, სასაფლაოსა, რომელიც იზრდებოდა, როგორც ყველა სასაფლაო, მაგრამ დასრულდა მისი ზრდა, დამთავრდა სიკვდილი ამ სასაფლაოზე, ჩაქრა უკანასკნელი ქურაი, უკანასკნელი ჭირისუფალიცა“.

ორივენი ერთად არიან: თქმაცა და მხატვრობაც, გაფიქრებაც და წარმოსახვაც, ამბავიცა და მისი გახმიანებაც, იკვეთება გულისამომჭმელი ვითარება, ხასიათი, განწყობა, განსჯა, შეფასება, დასკვნა. აი, თუნდაც: “განძ-სამკაული, ნახატი თუ ნაქანდაკევი წარუტაცნიათ, იავარუქმნიათ, თავიანთი ალო აუღიათ საუკუნეთაცა, დაშაშრულა, დაბზარულა ტინიცა, გაპობილა კლდე-დარბაზები, წინამხარე ჩამონგრევია ვარძიასა, თუმცა ბედი მაინც ჰქონია, მიეპატრონნენ, იცავენ რაც დარჩენილა, როგორც გაეწყობათ, ისე იცავენ, უფლისციხეს ამდენიც რომ არ ჰღირსებია, უფლისციხესა, ამ კლდე-ქალაქსა, ვეება ქალაქსა, უფლისციხესა-მეთქი, ჰა, რა ეშველება უფლისციხესა. ამ ბუმბერაზ, საარაკო ქმნილებასა, რა დაიფარავს დაუდეგარ სტიქიონთაგან. რა იხსნის უმოწყალო განადგურებისგანა, ნუთუ თუნუქის ის პატარა ნაჭერი, რაზედაც კაი ბიჭობა გეთქმით თუ ამოიკითხავთ, აღრიცხულია, დაცულია, გაფუჭება აკრძალულიაო?! ნუთუ ეს იხსნის, ნუთუ აღუვსიათ ისეთი ძალითა, ქარსა და ნამქერს, წვიმასა და ნიაღვარს გადაეღობოს?! ამდენი მოვალეობა რად დაუკისრებიათ იმ მოჟანგული თუნუქისთვინა, ეგებ უბრალო თუნუქი კი არა, სვეტიცხოველია?! - ვინ იცის, ვინ უწყის. ეს ყველამ იცის, ინგრევა უფლისციხე, თვალდათვალ, ჩვენ თვალწინ იშლება ნაშთები ამ საოცარი კლდექალაქისა. ვერავისზე გაუჭრია ძალას ძელიცხოველისა. ვერც ბუნებაზე, ვერც პირუტყვებზე, ერთად მოქმედებენ, ერთნაირი თავგამოდებით ილვწიან...“

მგონი, მოყვანილ ტექსტში კარგად იგრძნობა, თუ როგორ შეუძლია სიტყვას თანდათან გახურება-გავარვარება, სწორედ რომ ქურიდან ახალგამოღებულს ჰგავს თითოეული და მანამდე ხვდებათ მძიმე ურო, სანამ ორპირად არ გაიბასრებიან.

„მეჩეჩის“ პირველი თავიდანაა მოხმობილი ეს ამონაწერები. ესენი და კიდევ სხვანი და ყველანი ერთად რამდენჯერმე მოითხოვენ გულდასმით წაკითხვას, რამდენჯერმე ჩაგვახედებენ ჰალდეს, უფლისციხისა და ვარძიის გამოხრულ თვალებში და იქვე მდგარი მწერალი უბრალო მეისტორიე-მემატიანედ კი არ წარმოგვიდგება, არამედ დანგრეული, თავზე დამხობილი, ჭერჩამოქცეული ქვეყნის მგლოვიარე ჭირისუფლად.

ყველა გვერდსა და თავს, ბუნებრივია, ვერ გამოვეკიდებით, შორს წავალთ ძალიან, მთლიანად ხომ ვერ გადმოვწერთ რომანს, იმის შიშიც არსებობს, რომელს გინდა დაარქვა გვერდასავლელი და მაგრად იდგე, ყველგან „მოსიტყვახვავიანებულობაა“.

ამჯერად რომანის 272-ე გვერდი მომყვა (მხედველობაში მაქვს „მეჩეჩის“ 2012 წლის გამოცემა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით). ერთი ფრაგმენტი მაქვს ამონიშნული, ლადოს, კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის თითქოსდა წინაინფარქტულ შემზადებას რომ გვაუწყებს. საკვირველადაა წაკითხული განწირული კაცის გამომზერილობა, მისი მსხვერპლად შეწირვის ცერემონია: „და თავი აიღო ლადომა, მხრები შეიბერტყა, მოსამართლესა და მსაჯულებს გაუყარა თვალი. ვითომ რაო, რის ცუდადა, რა ცუდადა, რის გადადება, ყველაფერი რიგზეა, ბარემ დავიწყოთ. ჰო, თვალი გაუყარა და რიხი აგრძნობინა, ოღონდ იმათ აგრძნობინა რიხი, მაგრამ თვითონ გაუწყდა მკაფიობის ზოლი თვალშია, ყველაფერი გაუბუნდოვანდა, პირველყოვლისა სასამართლოს მაგიდასთან გაქრნენ ადამიანები, ჩამოეკიდნენ მუყაოს რაღაც-რაღაც გამოსახულებანი, მკლავებს იქნევდნენ, თავს არაცრაცებდნენ, საცრისოდენა თვალებს დააჭყეტდნენ, დიდ, ლურჯ ტუჩებს დააბჩენდნენ, სისხლიან ენებს გადმოყრიდნენ, ხან ცალ-ცალკე, ხან წყვილ-წყვილადა, ხან ერთადა, იმის მიხედვითა, თუ როგორ გამოსწევდნენ ბაწრებსა, სათითაოდ რო გამოებათ ყველა ნაწილზედა. ჰოდა გადმოყრიდნენ სისხლიან ენებსა ან თითქოს ალს ამოაფრქვევდნენ პირიდანა, უმალვე გადაჰყლაპავდნენ, ცეცხლს გადაჰყლაპავდნენ და დააჭყეტდნენ თვალებსა, უშნო, უბირ, უაზრო თვალებსა...“

სასამართლო პროცესზე გასვლა იქნებ არასდროს იყოს სასიამოვნო, მაგრამ როცა ამგვარი მოჩვენებები დაგეწყება,

უკულმართადაა გადაწყვეტილი შენი საქმე და ისიც მართალია, ზღაპრულ-ფანტასტიკური ვირუსები რომ შეგეყაროს.

პოლიტიკურად რომ არასაიმედო სიტყვა იყო ეს რომანი, არ ვედავებით „საქმის გარჩევით“ დაქიჩმაჩებულ მწერლებს, მაგრამ ბუნდოვანება და კროსვორდული ფრაზები სად ნახეს, საკვირველია. შეიძლება მე ცუდად ვეძებ და ვერ ვპოულობ, ანდა რატომ უნდა ვეძიო ბუნდოვანება, როცა არსად არ შემინიშნავს მსგავსი რამ?

„მეჩეჩი“ მწიფე რომანია. ყველაფერი მწიფეა აქ: სიტყვაც, წინადადებაც, სათქმელიცა და შემსრულებელიც, ყველა თავის საქმეს აკეთებს, ყველაფერს აქვს ის ძალ-ღონე, ქვეყნის ასაფორიაქებლად რომაა საკმარისი, დინების საწინააღმდეგოდ რომ გაცუროს. მწერალი კარგად გრძნობს, სანამდე შეიძლება აღვირის მიშვება.

„მეჩეჩი“ ერთ-ერთი პირველი მოვლენათაგანია ჩვენს მწერლობაში, ყინულმჭრელის როლი რომ იკისრა, პირველი „ყამირელები“ რომ გადმოისროლა ხანგრძლივი ხმის ჩახშობიდან. მართალია, ისინი მეჩეჩზე აღმოჩნდნენ, ადგილზე მოუწიათ მიწის ტკეპნა, ვერ ამოძრავდნენ, მაგრამ არც გულში ჩაუკლიათ სათქმელი. დასამახსოვრებელი თავგადასავალი აქვთ რომანის გმირებს და ფინალშიც ღირსეულად გვემშვიდობებიან. გავიხსენოთ ირინეს, ლადოს, ირაკლისა და გიგოს ერთად ყოფნა. იწყებს ირინე:

„...დიახ, მხოლოდ მოგონებაა ჩემი მხატვრობა ან ეგებ დიდი ხნის წინათ ნანახი სიზმარია. თუმცა რაც იყო, იყო, აღარ არის, მე მეჩეჩს გამოვედე, მეჩეჩზე შევრჩი. მიდის დიდი მდინარე ხელოვნებისა, ტალღა ტალღას მისდევს, ხან მეც მომაწყდება ტალღები, მაგრამ მაინც ვერ მოვუწყვეტნივარ ამ მეჩეჩიდანა.

— მეჩეჩიდანა?! — მოწონებით შესძახა ირაკლიმა

— მეჩეჩიდანა...

— მეჩეჩიდანა, — ისევ მოწონებით გაიმეორა ირაკლიმა, — მეჩეჩი, მეჩეჩზე... წეღან, იქ სწორედ ასეთი რამის თქმა მინდოდა, მინდოდა და ვერ მივაგენი. ასეა, სწორედ ასეა, მეჩეჩზე, მეჩეჩზე ვარ...

— მეცა...-დაატანა ლადომა.

— ყველანი მეჩეჩზე ვართ, — დააბოლავა გიგომა, აუღელვებლად, დინჯად დააბოლოვა.

თითქოს ჯავრი გამონელდაო. ასე იყო თუ ისე, გიგო აღარ ახირებულა და სიტყვამაც გაიწია, უფრო განგანა. გიგო რა იყო და იმანაც შეძლო სიტყვის დაბორკილება, სხვები რაღას იზამდნენ, სხვები, რომელთაც ძალაც შესწევდათ, ცნობიერებაცა? რაღას არ იზამდნენ, ვაი სიტყვასა უგუნურებისა და ფანატიზმის სიმძიმის ქვეშა!.. მაგრამ ბევრჯერ გაუძლია უგნურობისა, შეშლილობისა თუ უბრალოდ, სიგიჟისთვისა, ბევრჯერ თავი გამოუტანია უკულმართობაში, მაშ არც ისე უსასო ყოფილა, მაშ შესაცოდიც არაფერი ჰქონია სიტყვასა. ოღონდ მაინც როგორი სიტყვა უნდა ჰქონოდათ, რაში გამოადგებოდათ იქ, მეჩეჩზე, თუ მართლა მეჩეჩზე მოხვედრილიყვნენ? სიტყვით მხოლოდ სულს მოითქვამდნენ. მაშ რაო, სიტყვა არც ისეთი ძალა იყო, მეჩეჩიდან დაეცურებინა, დიდი მდინარეებისათვის მიეცა ისინი, ესენი თუ ისინი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ“.

ამ რომანზე კიდევ კარგა ხანს შეიძლება საუბარი. არაერთი ჯებირის გადალახვა მოგვიწევს, ვიდრე ყველაფერს გავიაზრებთ, თავის ადგილს მივუჩენთ. ეს ჯებირები იგივე სცენებია, იგივე სურათებია რომანის გმირთა ბიოგრაფიიდან, მწერალი „დაუზოგავად“ ხატავს თითოეულს, დიდ „შავ“ სამუშაოს ასრულებს ბალავერისა და პირველი სართულის ასაშენებლად, დანარჩენი სართულები თვითონვე ამოილანდებიან. ვგრძნობთ მწერლის სიხარულს, განუწყვეტელ სიტყვათმშობიარობას გრძელ ტრასას თანმიმყოლი ბილიკური ხვავრიელობით და ჩვენც ვივსებით სიტყვით, ვიძირებით რომანში.

ამ განწყობაზე ასეთად მოვიდა „მეჩეჩი“. ვნახოთ, რას გვაუწყებს შემდეგი განწყობა ანუ გარკვეული დრო-ჟამის შემდეგ ამ რომანის ხელახლა წაკითხვა.

ბატონო როსტომ,

მოგეხსენებათ, შექმნა საკუთარი განუმეორებელი სამყარო და თანაც ხელოვნების სხვადასხვა სფეროში (კინემატოგრაფი, პოეზია, მხატვრობა), მხოლოდ გენიოსებს ხელეწიფებათ.

ბატონ რეზო ესაძის სტუდენტი გახლდით და მხვდა ბედნიერება მისი არაჩვეულებრივი ლექციების თანამონაწილე ვყოფილიყავი. ღმერთი სულიერების ზღაპრულ კარს უღებდა თავის რჩეულს და ჩვენც მოკრძალებით დავყვებოდით ბატონ რეზოს არაჩვეულებრივი ფერების გამოფენაზე, სადაც ის გვიქმნიდა საოცარ სივრცეს, რათა ხელოვნებით ვყოფილიყავით აღმატებულნი (ვნანობ, რომ ლექციებს არ ვიწერდი). ეს იყო ძლიერი ფილოსოფიური აზრისა და იმპროვიზაციის ზეიმი.

სულ რამდენიმე დღის წინათ ბატონი რეზო ესაძე მწერალთა სახლში მივიწვიეთ კრებულის „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში“ წარდგენაზე — კრებულში მისი ლექსიცაა დაბეჭდილი. ბატონმა რეზომ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მარგალიტის ნამცეცივით წმინდა და სუფთაა. არ მინდა ეს სიტყვაც დაიკარგოს.

ბატონ რეზოს ეს ნაზრევი გამოსაქვეყნებლად მხოლოდ „ჩვენი მწერლობისთვის“ გვემეტება, რადგანაც ამ ჟურნალში ქართველ მამულიშვილთა უამრავი ასეთი სიტყვა-მარგალიტი გამოქვეყნებულა.

ლია დაუშვილი

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

შინაგანად ვიწერ პირჯვარს

არ ვიცი რა ვთქვა. ასეთი უცოდინარი არასდროს ვყოფილვარ. სავსე ვარ იმ განცდით, იმ სიწმინდით, იმ ფანტასტიკური უშუალობით, რომელიც არის თქვენსა, აი ამ კედლებსა და ჩვენს შორის.

მე არ ვიცი ამაზე უფრო სასიქადულო და მნიშვნელოვანი სივრცე. ბავშვივით ვდგავარ თქვენს წინაშე ეს მოხუცი კაცი და შინაგანად ვიწერ პირჯვარს. პირჯვრისწერით ვარ სუფთა. ეს დიდებული საქართველოს სივრცეა და ძალიან განვიცდი. სხვა ადგილას უფრო გაბედულად ვიქნებოდი. აქ ისე ვარ, როგორც პატარა ბავშვი, მოწაფე, რომელსაც მოფერება უნდა.

დიდება ქართულ სიტყვას, დიდება ქართულ აზრს და ჭეშმარიტ ქართულ სულის სიმაღლეს.

სალოცავში, თითქოს არაფრის წინაშე, მუხლზე დაემხობი, ის არაფერი კი სავსეა ყველაფრით.

დიდება იმ პატარა გოგოს, რომელმაც პირჯვარი გადაგვწერა. დიდება იმ განცდას, იმ სისუფთავეს, რომელიც გვენატრება, რომელიც საქართველოს ენატრება.

რეზო ესაძე

როსტომ ჩხეიძე

მარტოობის სევდის პოეზია

(ვასილ კიკნაძის გამოთხოვება მოგონებებთან)

რუსთაველის თეატრის დირექტორის ადგილი რომ მოიცლიდა, ერთბაშად ბევრი მოსურნე გამოიჭრებოდა ასპარეზზე, და შეფიქრიანდებოდა აკაკი დვალიშვილი, მითუმეტეს, რომ ძლიერი მოცილე გამოუჩნდებოდა, კულტურის მინისტრის თანადგომით შეგულიანებული.

და შესჩივლებდა ვასილ კიკნაძეს, იმჟამად განყოფილების გამგეს კულტურის სამინისტროში; კარგი კი იქნებოდა დავბრუნებოდი თეატრს, ეგებ ჩემს პროფესიასაც დავბრუნებოდიო.

ამას გაუკვირდებოდა, ნეტა რატომ უნდა ყოფილიყო მინისტრი აკაკი დვალიშვილის კანდიდატურის წინააღმდეგი და მომხრე იმ პიროვნებისა, ვისაც საერთოდ არ გაეგებოდა თეატრი და პრემიერებზეც კი ვერ ნახავდით.

— სად შენ და სად ის, — გულის გაკეთებას შეეცდებოდა.

მაგრამ... რეალობა არ ეთანხმებოდა ვასილ კიკნაძის გულისწყრომას, და თანამოსაუბრესაც უკვე ხელი ჩაექნია.

ეს გადაწყვეტდა თვითონ ხლებოდა მინისტრს და მოლაპარაკებოდა, მასთან ერთად აეწონ-დაეწონა ორივე კანდიდატურა, ერთმანეთთან შეუთანასწორებელი, და დაერწმუნებინა უკეთესი თეატრალური ცხოვრების მოწადინე პიროვნება აკაკი დვალიშვილის გადირექტორების აუცილებლობაში.

მინისტრი თავს გამოიდებდა: კაკო ჩემი მეგობარიაო.

მაშ... რაღა უშლიდა ხელს იმის დანიშვნას?

და ახლაც ხელებს რატომ გაასავსავებდა: მანდ კაკოს გაშვება არაფრით არ შეიძლებაო?

თურმე ადვილად კი არ გადაეწყვიტა, საკმაოდ გულდასმით გაეთვალისწინებინა ყველაფერი და ახლა მთხოვნელს ასეთ პასუხს მიაგებებდა:

— კაკომ ძალიან კარგად იცის თეატრი და მუშაობა გაუჭირდება. იმან კი სულ არაფერი იცის თეატრისა და მისთვის ადვილი იქნება მუშაობა.

ვასილ კიკნაძე გაოცებული შეხედავდა ოთარ თაქთაქიშვილს.

არ ელოდა საკითხის ასე უცნაურად შემოტრიალებას.

თუმც რაღაცას კი იგრძნობდა და მოგვიანებით ლიტერატურულ ფორმულადაც ჩამოაყალიბებდა:

— ასეთ პარადოქსებში დიდი სიმართლეა ხოლმე.

ლიტერატურულ ფორმულად ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „გამოთხოვება მოგონებებთან“.

ვასილ კიკნაძეს — თეატრალურ კრიტიკოსსა და მკვლევარს — ბელეტრისტული უნარის გამჟღავნება შეაქმნევინებდა ბიოგრაფიულ რომანს სანდრო ახმეტელზე.

და ახლა მემუარების ჟამიც დაუდგებოდა, ავტობიოგრაფიული რომანის დაწერასაც რომ უკარნახებდა.

როდესაც გურამ ბათიაშვილი შეაგულიანებდა საამისოდ და წიგნად გამოცემამდე „თეატრი და ცხოვრებისათვის“ შეიპირებდა პირველი პუბლიკაციისათვის, ისე გამოვიდოდა, ჩიტი რომ ნარზე ზის და ხელის აქნევასღა ელოდება.

არადა, ის მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, თეატრალური კულუარების ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა, მის თვალწინ ჩავლილი უამრავი პერსონაჟი მართლაც ცოდვა იქნებოდა დასაკარგავად... ისიც კი მნიშვნელოვანი იქნებოდა, მარტოდენ ცნობებსაც რომ მოეყარა თავი... და ახლა წარმოიდგინეთ ამ მემუარების დოკუმენტური ღირებულება, როდესაც თხრობა ბელეტრისტული ხელოვნებითაც გაშლილა და იმ პირუთვნელობითაც, ამ ჟანრს რაც მოეთხოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მემუარისტს არა ჰყოფნის პატიოსნება თუ გამბედაობა ავტობიოგრაფიული რომანის კანონების დასაცავად.

ხოლო კომპოზიციური ქარგა ასოციაციურ პრინციპზე აიგება თუ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე, ეს უკვე თხრობის მხატვრული თავისებურებაა და შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი.

ისე ვასილ კიკნაძისათვის თხრობის ასოციაციური პრინციპი უფრო მახლობელი აღმოჩნდებოდა. და, როგორც ნუგზარ მუზაშვილი მიიჩნევს რეცენზიაში „სუბიექტური ისტორია“ — მომგებიანიც. ეს რომ არა, ბევრი რამ, მათ შორის მნიშვნელოვანი დეტალიც, ალბათ ტექსტის მიღმა მოხვდებოდაო („ჩვენი მწერლობა“, 2006, 17 თებერვალი).

და თუ რაიმე დარჩებოდა დაფარული ამ მემუარებში, ის ტკივილები, რაც ავტორისათვის ცხოვრებას ანუ ადამიანებს ერგუნებინათ სრულიად უსამართლოდ, დაფარული დარჩებოდა იმ მოსაზრებით: ადამიანი თვით თავის თავში ატარებს ტრაგიკულ საწყისს და ამიტომაც ბევრი რამ უნდა მივუტევოთო.

აი, სახელწოდება კი მართლაც უცნაური შეერჩია — არა „მოგონებანი“, არამედ „გამოთხოვება მოგონებებთან“, და ის ოდნავი ირონია და ოდნავი სევდა, რაც სათაურში მჟღავნდებოდა, შთაგონებულიყო სადღაც ამოკითხული ფრაზით:

— მოვა დრო და ყველანი დაგივიწყებენ შენ და ყველას დაივიწყებ შენც!

ამჯობინებდა, გაეიდუმალებინა მარკუს ავრელიუსის სახელი, რათა მეტი განზოგადება მიენიჭებინა ბრძენკაცისა და იმპერატორის ამ შეგონებისათვის, მძაფრი დრამატიზმით რომ განმსჭვალულიყო და გაგრძნობინებდა აჩქარებისა და მოსწრების აუცილებლობას, ძვირფას წამთა გადარჩენის ვალდებულებას.

ყველას დაივიწყებ შენცო...

ეს ხომ უკვე აღსასრული გახლდათ... მაგრამ ვასილ კიკნაძე საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ზეზეულად კვდომის პროცესს, როდესაც თანდათანობით იწყებ სხვათა დავიწყებას: შორს დარჩენილ ბავშვობისა და სიჭაბუკის დღეებთან ერთად ასობით ადამიანის სახისაც.

— ჩემი ასაკის ადამიანები უკვე იწყებენ მოგონებებთან თანდათანობით განშორებას. ის დროც მოვა, როცა მეც დავივიწყებ ყველას...

და იმ დროის მოსვლამდე კი დაე გამოთხოვებოდა მოგონებებს და ავტობიოგრაფიული რომანის ყდაში ჩაებინავებინა ის ხელშესახებიც და ის აუხსნელიც და იდუმალიც, კაცის ცხოვრება რასაც ჰქვია — სიზმრებიანად, თითქოს წინასწარ რომ გაფრთხილებს ხოლმე. და, ამდენად, ბიოგრაფიის გარეგნული მდინარების სრულუფლებიანი და განუყოფელი ნაწილია.

ეს წინასწარი გაფრთხილება ვასილ კიკნაძესაც არაერთხელ ეგრძნო, მაგრამ... არაფრის შეცვლა რომ არ შეეძლო?!.

ცხოვრება სიზმრისთვისაც გაუიგივებიათ?

ამასაც ყოველთვის მოსწონდა ეს მეტაფორა, ოღონდ ახლა ამ აღქმას ის ფიქრიც ჩაეჭრებოდა: როს გავიღვიძებთ, მერე რაღა იქნებაო?..

ბინდისფერი სოფელი უფრო და უფრო რომ ბინდდება, ამ „უფრო და უფრო დაბინდების“ ციაგი დაადგებოდა ირგვლივ ყოველივეს და... დაიწყებოდა თანდათანობითი გამოთხოვება მოგონებებთან, ფიქრი წარსულიდან ერთიერთმანეთზე რომ ამოჰყრიდა გარდასული ხანის სურათებს და... სად ეცადა მათი ქრონოლოგიური დალაგება-მოწესრიგებისათვის, დაე ისე წარმართულიყო თხრობა, მეხსიერება როგორც კარნახობდა.

მთავარია, მიუკერძოებლობა შეინარჩუნო როგორც სხვათა, ისე საკუთარი თავის მიმართ. და ამ მხრივ ნუგზარ მუზაშვილი ამ ავტობიოგრაფიულ რომანს ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისად მიიჩნევდა ჩვენს კულტურულ სივრცეში: პოზიორობითა და ნარცისიზმით დაღლილ და სისადავეს მონატრე-

ბულ მკითხველს ეს გარემოება ალბათ განსაკუთრებით მოხიბლავსო. და აღნიშნავდა თხრობის იმ მხარესაც, რომ საკუთარი თავის მიმართ უკომპრომისოდ განწყობილი ავტორი ცდილობდა სხვათა მიმართ გაცილებით რბილი და თავშეკავებული ყოფილიყო.

შეიძლება ცოტა მეტ პილპილს უფრო სკანდალურად საინტერესო გაეხადა ეს მემუარები?

მაგრამ...

— ეს უკვე სულ სხვა ავტორის სულ სხვა წიგნი იქნებოდა.

და გადმოცემებსა და დოკუმენტურ მასალებს გულმოდგინედ რომ აგროვებდა ქართული თეატრის ისტორიის ირგვლივ — არამარტო სანდრო ახმეტელის ცხოვრება-მოღვაწეობისა — ახლა თავის მხრივაც უნდა დაეტოვებინა დოკუმენტური ცნობები ყველასთვის, ვისაც აღელვებდა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი მოწყობის ბედი და მდინარების სიღრმეში ჩასახედად დაისაჭიროებდა იმ ეპოქის სურათებსა და ნიუანსებსაც, ვასილ კიკნაძეც რასაც მოგვითხრობდა ჩვეული ენაწყლიანობით — ნაწერშიც არანაკლები სილაღითა და ექსპრესიით, ვიდრე პირადი საუბრებისას, ლექციებისას თუ საჯარო გამოსვლებისას, ერთი მსახიობის თეატრადაც რომ შეუძლია გადააქციოს იმ წუთას ტრიბუნა და ვეებერთელა აუდიტორიები ისე აიყოლიოს, როგორც ერთი კაცი.

ნაწერშიც არანაკლები სილაღითა და ექსპრესიითო...

თორემ, მოგეხსენებათ, ხშირად სრულიად დაშორიშორებია ერთიმეორეს ზეპირმეტყველებისა და წერის უნარი — ენაწყლიანობითაც, ლოგიკურობითაც, იუმორითაც... საამისო ნიმუში აგერ, ამ ავტობიოგრაფიულ რომანშიც გაიელვებს კარლო კალაძის სახით, იშვიათი გონებამახვილობის კაცისა ზეპირსიტყვაობისას, მაგრამ კალამს მოჰკიდებდა თუ არა ხელს, იუმორი სადღაც ეკარგებოდა. მისი კომედიები ვერავის აცინებდა და პრემიერისთანავე ჩამოდიოდა სცენიდან. „ნიანგის“ რედაქტორად დანიშნავდნენ და... ჟურნალის იუმორი ერთბაშად სადღაც გაქრებოდა. „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორობისას იუმორი არა სჭირდებოდა, მაგრამ ნომრის გამოსვლას კი თავს ვერა და ვერ მოაბამდა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე რომ მოხსნიდნენ, პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ერთგვარად მაინც მოუბოდიშებდა მწერალ-სინეკურს და გათავისუფლების მიზეზს ასე განუმარტავდა: იმიტომ კი არა გხსნი, რომ ცუდად იმუშავე, საწყენი ის არის, რომ ჟურნალისათვის გამოყოფილი ჰონორარი წაართვი ინტელიგენციას. მთავრობა კარგ ჰონორარს იმიტომ აძლევს ჟურნალს, რომ ამ გზით ეხმარება ინტელიგენციას. რამდენი წერილი დაიბეჭდებოდა. ხალხი თავისი შრომის საფასურს მიიღებდა, შენ კი იზარმაცეო!..

მემუარების ავტორი მიიჩნევს, რომ ვასილ მჟავანაძემ ჭკვიანურად შეაფასა ჟურნალის გამოუსვლელობა.

კარლო კალაძე გულს იმით მოიოხებდა, რომ ერთხელაც, ორთაჭალის რესტორანში ქეიფისას, ვასილ კიკნაძის სადღეგრძელოს რომ შესვამდა, ერთ მაკვარანცხულსაც ჩაურთავდა:

— ვასილ მჟავანაძეს რომ მოხსნიან, ვასოსავით დაკიკნდება.

ამისთანები?.. და კიდევ უფრო ეფექტურებიც?..

მაგრამ რად გინდა — მისი კომედიები შემთხვევით თუ ჩაგივარდებათ ხელთ, გეგონებათ, რომ ავტორს არამცთუ იუმორის ნასახიც არ გააჩნდა, სხვის ხუმრობაზეც არ შეეძლო გაცინება.

მემუარისტი მისი კალამბურებისა და მახვილსიტყვაობის შემგროვებლად ვერ დადგებოდა, თუმც კიდევ ერთ მოხდენილ ხუმრობას კი გაიხსენებდა. მაიაკოვსკის დღეები საზეიმო ბანკეტით რომ დაგვირგვინდებოდა, სტუმრებს ორ ოთახში გადაანაწილებდნენ — ერთში, უფრო საპატიოში, ცენტრალური კომიტეტის მდივანს დევი სტურუას, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ირაკლი აბაშიძესა და სხვა ბობოლებს მიიპატიჟებდნენ, მეორეში — უფრო ნაკლები რანგისათ. კარლო კალაძე, წესითა და რიგით, იმ პირველ ოთახში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ რატომღაც აქეთ აღმოჩნდებოდა — მართალია თამამად, მაგრამ პატივმოყვარეობა მაინც შეელახებოდა. თუმც იხტიბარს არ გაიტეხდა და მთელ ქეიფს იმ პირველი სუფრის ქილიკში ჩაატარებდა, ამ სადღეგრძელოთი დაგვირგვინებულს:

— ჩვენი პერიფერიული სუფრა ესალმება თქვენს პერიფერიულ სუფრას.

სახალისო, ზოგჯერ სულაც კომიკური ეპიზოდები თუ პასაჟები არ აკლია ამ ავტობიოგრაფიული რომანის თხრობას, იუმორისტულ განწყობილებაში ნახევრადსერიოზული მსჯელობაც რომ უნდა შემოიჭრას და დრამატულმა ამბებმაც არაერთხელ მწვავედ და დაუნდობლად იჩინოს თავი — აბა, რისი თეატრალური კულუარებია, უამისოდ რომ ჩაიაროს სიუჟეტმა ანდა შემსუბუქებული სახით წარმოგვიდგეს, თითქოსდა თეატრში სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლაც გვერდიგვერდ არ თანაარსებობდეს.

დრამატულ მოვლენებს უმეტესწილად უმადურობა წარმართავდა, ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც რომ იძენდა, თორემ პირად წყენებს, უსამართლო მოპყრობის ნიმუშებს რა გაწვდებოდა.

თუნდაც ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებაში.

თვითონ მემუარისტიც აცხადებს: თითქმის ყველა ნაკლს მივუტევებ ადამიანს, უმადურობას კი — ვერა, ყველაზე ხშირად ვიწვნიე მისი სიმწარე და ამიტომაც მას ყველაზე მეტად განვიცდიო.

თორემ აკი გაეფრთხილებინა კიდეც თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის პრორექტორს შოთა გაბელაიას: გუშინ თითქმის მთელი დღე ვიჯექი შენს კაბინეტში და ერთ დღეში შვიდ ადამიანს დაეხმარე სხვადასხვა საქმეზე. ასეთი სიკეთე ვერც შენ მოგიტანს სიხარულს და ვერც ის იქნება მადლიერი, ვისაც ეხმარებიო.

თუ შეგიძლია ადამიანს დაეხმარო, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მოიქცე?

თურმე:

— მას ეგონება, რომ შენთვის ძალიან ადვილია, რასაც უკეთებ. შენთვის არაფერიც არ არის და, ბოლოსდაბოლოს, რატომ უნდა დაგიმადლოს? ასე მსუბუქად, იოლად თუ კეთდება საქმე, ერთს კი არა, ათასს მოგთხოვს, — მერე, აბა, გაბედე და თუნდაც ერთი თხოვნა არ შეუსრულო, — დაგემდურება, იტყვის, უბრალო რამე არ გამიკეთაო. ცხოვრებაში იმდენ უმადურობას შეხვდები, რომ ბევრჯერ გეტკინება გული. ტკივილის მიზეზი კი ისევ შენ იქნები.

მაგრამ თუკი ყოველთვის სიკეთის ქმნისაკენ მიგიწევს გული?

ჰქენი სიკეთეო, — შეაგონებდა შოთა გაბელაია, — მაგრამ მან უნდა იგრძნოს, რომ სიკეთის გაკეთება ცუდის გაკეთებაზე ბევრად უფრო ძნელიაო.

და დასძენდა: სიბერეს ჩაგიმწარებს ეგ შენი სიკეთე! მანამ ადამიანებს სჭირდები, ვერ იგრძნობ, მაგრამ როცა საჭირო აღარ იქნები, საშინელი განცდები გექნება, როცა სიკეთეს დაივიწყებენო.

ასე როგორ უნდა ზომო სიკეთე? — გუნება წაუხდებოდა ვასილ კიკნაძეს.

და არაერთხელ რომ მოაგონდებოდა შოთა გაბელაიას შეგონება, მწუხარედ გაიფიქრებდა: წუთისოფლისა მას გაეგე-

ბა, თუ გაეგება, მაგრამ მეც რა ვქნა, ხასიათს ხომ ვერ შევიცვლიო!..

არადა, ვეღარ აუვიდოდა გულისტკენას, როდესაც ამისთანა შემთხვევები თავზე დაეყრებოდა.

ერთი რეჟისორის თხოვნას გაითვალისწინებდა და ერთ-ერთ აბიტურიენტს დაეხმარებოდა. სტუდენტი მადლობასაც არ ეტყოდა. დაამთავრებდა ინსტიტუტს და ისევ ეს მოაწყობდა პატარა ადგილას. მადლობას ისევ არ ეტყოდნენ ამ დახმარებისთვისაც. მერე თვითონ ის სთხოვდა თავის უახლოეს ადამიანზე დახმარებას — ეს კვლავ მზად აღმოჩნდებოდა ხელის წასაშველებლად. ახლა მეორეზე სთხოვდა. ეს შეპირებით შეპირდებოდა, მაგრამ შეაგვიანდებოდა. ის ვეღარ მოითმენდა, გამოეცხადებოდა კაბინეტში და საყვედურებით აავსებდა: რატომ შეგაგვიანდათ? მე ხომ არ შემიძლია ამდენი გელოდოთ, ვნერვიულობო!..

— გაეთრიე! — ეს თავს ვეღარ დაიოკებდა და... წყალს გაატანდა ყველა იმ დახმარებას.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მარკ ტვენის ნოველის — „საქველმოქმედო ლიტერატურის შესახებ“ — დაკარგულ ფრაგმენტს ეცნობოდე. უმადურობა იმას ეწვნია თუ ეწვნია ათასგვარი სიკეთის საზღაურად და თავისი მწარე გულისტკივილი ამ სატირული ნოველისათვის მიენდო, განეზოგადებინა და ღრმა ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური დაკვირვების საგნადაც ექცია, თუ რაოდენ უკუღმართად შეიძლება შემოგბრუნებოდა სიკეთე, ქველმოქმედება. ამისთვის კი სიკეთის ქმნის, ქველმოქმედების ცნობილ, ქრესტომათიულ სიუჟეტებს, მკითხველის აღტაცებასა და გულაჩუყებას რომ იწვევდა, „ხანგრძლივი კვლევა ძიებისა და თავაუღებელი მუშაობის შემდეგ“ რეალისტურ გაგრძელებას გამოუძებნიდა და... აღმოჩნდებოდა, რომ თურმე სინამდვილეში სავალალოდ მთავრდებოდა ყველაფერი.

სიკეთის მთესველნი თავში ხელს იცემდნენ და ნანობდნენ თავიანთ საქციელს.

და მარკ ტვენი თავისი „ღვთიური მისიის აღსრულებას“ ადამიანური ბუნების ამ მანკიერ მხარესა თუ თვისებაში ხედავდა.

ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც რომ იძენდაო...

სანდრო ახმეტელის რეაბილიტაციისათვის ბრძოლა 1956 წლიდან რომ დაიწყებოდა, მაშინ რუსთაველის თეატრში მასთან დაკავშირებული ათასი ჭორი, ტყუილი თუ მართალი აფუთფუთდებოდა, ვასილ კიკნაძეს ფანტაზიას გაუცხოველებდა და რაღაც შეუცნობელ მითოსურ სამყაროში გადაიყვანდა და ღამეებს გაათენებდა იმაზე ფიქრით, რომ შეეძლო დაჩაგრული კაცისათვის ებრძოლა, კაცისათვის, ვინც ჯერაც „ხალხის მტრად“ რჩებოდა და ეს იყო მისი ადგილი თეატრალური ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

და კიდეც გადაეჯაჭვებოდა მისი სახელი ტრაგიკულად აღსრულებული რეჟისორის სახელს — მისი შემოქმედებითი ღვაწლის აღდგენასა და საკადრისი ადგილის გამოძებნა-დამკვიდრებას ისტორიაში — გამუდმებული კვლევა-ძიებით, ათეულობით სტატიის გამოქვეყნებითა და სანდრო ახმეტელის ნაწერების შეგროვება-პუბლიკაციით.

მითუმეტეს:

— ახმეტელის რეაბილიტაცია ხდებოდა საბჭოთა სისტემაშივე, სადაც წუთითაც ვერ დავივიწყებდით იმ იდეოლოგიურ მოდელს, რომლის პირობებშიც ყალიბდებოდა ახმეტელის პოლიტიკური თეატრის ახალი ესთეტიკა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ სანდრო ახმეტელი, ვიდრე რეჟისორი გახდებოდა, პოლიტიკური მოღვაწე იყო, ანუ „ანტიპარტიელი“, როგორც მას უწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბებისთანავე. მან ხომ 1923 წლამდე არ დაშალა თავისი პარტია.

ყველაზე ძნელი მაინც ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა აღმოჩნდებოდა.

ვასილ კიკნაძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს ამ სახელის დაბრუნების წინაშე ყველა შეშინდა — ბრალიანიც და უბრალოც... თითქოს მისი დამსახურება ვიღაც-ვიღაცებს გადაენაწილებინათ და ახლა უკან დაბრუნება რომ მოუხდებოდათ, ამას ვერ ეგუებოდნენ. ...ზოგი იმას შიშობდა, რომ ცალკე კოტე მარჯანიშვილთან კონფლიქტიდან ამოტივტივდებოდა ბევრი რამ, ცალკე — აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძესთან კონფლიქტიდან...

— ფსიქოლოგიური ფაქტორი ბევრად უფრო რთული დასაძლევი აღმოჩნდა, ვიდრე დღეს ამის წარმოდგენა შეიძლება.

სანდრო ახმეტელზე საუბრის წამოწყება მემუარისტს იმდენ რაიმეს მოაგონებდა, მიხვდებოდა, ამ ყოველივეს ცალკე წიგნიც კი დასჭირდებაო, მაგრამ ვიდრე ცალკე დაიწერებოდეს, დაე ამ ავტობიოგრაფიულ რომანშიც გამოხმობილიყო ცალკეული რეალია ზოგადი სურათის აღსაქმელად.

სანდრო ახმეტელისა და კოტე მარჯანიშვილის გვერდიგვერდ მოხსენიება ისე გააგულისებდა ბესარიონ ჟღენტს, დაემუქრებოდა: ვასო, შენთვის ჯერ ვერ მოვიცალე, უნდა გაგაკრიტიკოო.

თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ პლენუმზე ვერიკო ანჯაფარიძე დაესხმოდა თავს ახმეტელს და ვასილ კიკნაძე იძულებული გახდებოდა დაემარტოხელებინა აღიარებული მსახიობი და შეეხსენებინა: ვიცი, თქვენი და ახმეტელის კონფლიქტი ამხანაგურ სასამართლომდე რომ მივიდა და თქვენგან დაიწყო „დურუჯის“ დაშლაო.

ის სიტყვას აღარ დაამთავრებინებდა, უეცრად შეიცვლებოდა, გარდაისახებოდა და საოცრად თბილი ღიმილი გადაუვლიდა სახეზე: ვინ ჩაგიკაკლა ეგ ამბები? სად წაიკითხე? ახმეტელის არქივი განა არსებობსო?

ამისთვის დოდო ანთაძეს გაეცნო საიდუმლოდ სასამართლოს სხდომის ოქმი, მაგრამ ხომ ვერ გაუმჟღავნებდა სახელოვან მსახიობს. მთავარია, რომ გააფრთხილებდა: თუ ახმეტელზე კიდევ იტყვით რაიმეს, ამ ამბავს საჯაროდ გამოვიტანო. მისი საქციელი შანტაჟს კი წააგავდა, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, პირადი ინტერესისათვის ხომ არ ვმოქმედებდიო?

მაშინ ვერ აეხსნა დაპირისპირების ასეთი სიმწვავე — მარჯანიშვილის თეატრის ოთხი მსახიობი, რომლებიც კონფლიქტით წავიდოდნენ რუსთაველის თეატრიდან, ოც წელიწადს რუსთაველის თეატრში ფეხს აღარ შედგამდა, ხოლო კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ისე დაიღუპებოდნენ, 1926 წლის შემდეგ ერთიმეორის წარმოდგენას აღარ ნახავდნენ.

მოგონებებში კი ამ ახსნას უძებნის, რომ ამგვარ საქციელს ქართული ხასიათის საშინელ სენთან აკავშირებს — რადიკალიზმსა და გაუგებარ გულგრილობასთან.

„შანტაჟი“ თავის ნაყოფს გამოიღებდა და ვერიკო ანჯაფარიძე ჩამოცილდებოდა სანდრო ახმეტელის სახელის აღდგენის გააფთრებულ მოწინააღმდეგეებს.

სამაგიეროდ, რუსეთში წამოყოფდნენ თავს ამ „ნაციონალისტი ხალხის მტრის“ სამუდამოდ დასასამარებლად. პროფესორი გოიანი მოსკოვში სტატიას გამოაქვეყნებდა ახმეტელის წინააღმდეგ. ვასილ კიკნაძე საპასუხო წერილს გაამზადებდა და ლიტერატურული გაზეთის რედაქციას წარუდგენდა, კორექტურასაც წაიკითხავდა სტამბაში, მაგრამ... გადაშლიდა პარასკევის ნომერს და სტატია იქ არ დახვდებოდა!.. აღმოჩნდებოდა, რომ ბესო ჟღენტს, როგორც მწერალთა კავშირის მდივანს, თავისი გავლენა გამოეყენებინა და წერილი ამოეგდებინებინა.

მიზეზის ძიებას წაჰყვებოდა გაწბილებული ავტორი და, როგორც გამოირკვეოდა, სანდრო ახმეტელს თავის დროზე ხელწერილი დაედებინებინა ბესო ჟღენტისათვის, რომ მის წინააღმდეგ არაფერს დაწერდა, და ამას ვერა და ვერ მოენელებინა ის ამბავი. თანაც, პოლიტიკური კონიუნქტურაც აქეთ უბიძგებდა და კონიუნქტურის მოთხოვნას, აბა, როგორ გადაუხვევდა.

გაგულისებული ვასილ კიკნაძე თეატრალური საზოგადოების პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკებდა ბესო ჟღენტს. და როდესაც ლიტერატურულ ცერბერს თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი ილია თავაძე გამოექომაგებოდა („კიკნაძე და შვანგირაძე ჩვენი საზოგადოებიდან კოსტუმის ღილებივით უნდა მოწყვიტო და გადაისროლო“), არც მას შეეპუებოდა: თქვენი დრო წავიდაო, — და ისეთებსაც მიაყოლებდა, ის თავყრილობას მიატოვებდა.

ასეთ სიმკაცრეს იმიტომაც გამოიჩენდა, რომ ნიკა აგიაშვილისაგან სმენოდა, ილია თავაძემ ცუდი როლი შეასრულა ლადო ასათიანის პირველი წიგნის დაჭრასთან დაკავშირებითო.

ნურც იმას დავფარავთ, თუ ვინ და რატომ წააქეზა ილია თავაძე, რომ ცენტრალურ კომიტეტს გამომცემლობისათვის „წინაპრების“ მთელი ტირაჟის განადგურება ებრძანებინა — ირაკლი აბაშიძემ. ხოლო უარესი პოეტი უკეთესი პოეტის მოძულე თუ რატომ შეიძლება გახდეს, ამის ახსნა უკვე აღარავის ესაჭიროება. ეს პოეტური შუღლი რომ არა და ცენტრალური კომიტეტის ამოყენება გვერდით პოლიტიკური ბეზღობის წყალობით: ლადო ასათიანის პოეტურ კრებულში ბელადებზე არცერთი ლექსი არ ჭაჭანებსო, — ილია თავაძეს რა ჰქონდა გასაყოფი „სალაღობოს“ შემოქმედთან?!.

ხოლო სანდრო ახმეტელის წინააღმდეგ ბრძოლას მოძულეთა ერთი ნაწილი კულისებში რომ წარმართავდა და მეორე ნაწილი — ახდილად, მისი თაობიდან დამცველი არავინ გამოუჩნდებოდა. აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე კრინტსაც რომ არა ძრავდნენ, მემუარისტი ამ გარემოებას ასე განგვიმარტავს: მათ ირგვლივ ცუდი ატმოსფერო სუფევდა. ხალხმა ერთმანეთში აურია 1935 წლის კონფლიქტი ახმეტელსა და ამ მსახიობებს შორის 1937 წლის ტრაგედიასთან, თითქოს 1937 წლის ტრაგედია 1935 წლის კონფლიქტის შედეგი ყოფილიყოსო.

მისი მტკიცებით:

— საქმე კი არ იყო ასე მარტივი და სწორხაზოვანი, მაგრამ მაშინ ყველაფერი ნათელი არ იყო.

ცდილობს ნამუსი მოწმინდოს სახელოვანი რეჟისორის უმცროს მეგობრებს — ორ სახელოვან მსახიობს, თუმც... რა ეშველება იმ დოკუმენტს, აკაკი ვასაძის განცხადებას, რომლის ერთი პასაჟიც დაბეჯითებით ირწმუნება, რომ იგი დაეხმარა პარტიას ხალხის მტრის — სანდრო ახმეტელის — გამომჟღავნება-განადგურებაში?..

განცხადება დაიწერებოდა კომუნისტურ პარტიაში შესვლის სურვილით, ამ სწრაფვას კი ამაგრებდა ის დამსახურება ახალი რეჟიმის წინაშე, რომ:

“... ახმეტელი განაგრძობდა კორპორატიული მეთოდებით მუშაობას თეატრში და ახალი ფაშისტური წრე ჩამოაყალიბა ფარულად, რომელიც ც. კომიტეტის დახმარებით ჩემი და აკაკი ხორავას მეთაურობით, გამომჟღავნებული და განადგურებული იქმნა რუსთაველის თეატრში”... (საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი: ფ.I საქმე 1236 ხ 210102/23495).

ეს დოკუმენტი საზოგადოებრივ მიმოქცევაში პირველად შემოვიდოდა ზვიად გამსახურდიას დისიდენტური ჟურნალის “საქართველოს მოამბე” (1976, №1) წყალობით, ოფიციალურად კი თამარ წულუკიძის მემუარების „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“ (1983) ფურცლებზე გამომზეურდებოდა — რუსულ ენაზე.

ხოლო იმხანად ყველა რომ დაინახავდა, თუ რარიგ თავდაუზოგავად იბრძოდა ვასილ კიკნაძე ისტორიიდან უსამართლოდ გაძევებული რეჟისორის დასაბრუნებლად საზოგადოებრივ სინამდვილეში, წერილი წერილზე მოუვიდოდა — ზოგი აქებდა და მოითხოვდა, ემხილებინა ახმეტელის დამღუპველები, ზოგიც ემუქრებოდა. როდესაც იგრძნობდა, ძალიან გაჭირდება მიზნის მიღწევაო, ის და ნინო შვანგირაძე მოიფიქრებდნენ, რომ ვასილ მჟავანანაძემდე მიეტანათ ეს საკითხი. ნინო შვანგირაძე შორეულად ენათესავებოდა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გარისკავდა, ეახლებოდა შინ და ამცნობდა ყოველივეს, სანდრო ახმეტელის ირგვლივ რაც ხდებოდა. დააჯერებდა და ისიც ერთ-ერთ თათბირზე განაცხადებდა: ვინც ახმეტელს ებრძვის, ან სინდისი არა აქვს სუფთა და ან მისი დიდი სახელისა ეშინიაო.

რა გინდა, რა — იუბილის საქმე წინ ვერ წაიწევდა!..

ასე გადაიკეცებოდა წლები.

ვასილ კიკნაძე სახელოვან რეჟისორზე გამოაქვეყნებდა ჯერ მარტო ხუთ წიგნს, თორემ სტატიას, მოხსენებას, რადიო და ტელეგამოსვლებს ვინ მოთვლის.

და, აი, მოაწევდა სანდრო ახმეტელის 100 წლის იუბილე.

ეს მოამზადებდა საჭირო დოკუმენტაციას მთავრობაში გასაგზავნად.

და კიდეც შეიქმნებოდა საიუბილეო კომისია საქართველოს კომუნისტური პარტიის დადგენილებით.

ვასილ კიკნაძის თავდადებულ ბრძოლას ბოლოსდაბოლოს გამოეღო ნაყოფი.

ნაყოფი კი გამოეღო, მაგრამ... საიუბილეო კომისიაში მას არ შეიყვანდნენ.

ნინო შვანგირაძესაც რომ არა, თავისთავად ცხადია.

მაშ ისინი ვიღა იყვნენ, რომლებითაც დაეკომპლექტებინათ კომისია?

ვასილ კიკნაძე სიას რომ ჩაათვალიერებდა, ეს სიტყვები აღმოხდებოდა:

— ახმეტელის მოძულენი!

მათ ეგდოთ ხელთ იუბილის წარმართვა.

რაკიღა ვერაფრისდიდებით ვერ მოეხერხებინათ ზეიმის ჩაშლა, მაშ კიდეც უნდა მიეტაცებინათ და გადაენაწილებინათ ვასილ კიკნაძის დამსახურება და, როგორც სჩვეოდათ, კვლავაც ნიღბებით მოვლენოდნენ ხალხსაც და ხელისუფლებასაც.

ეს გაოგნებული შეჰყურებდა ამ ფარსს და სახელი ვერ დაერქმია მის მიმართ ჩადენილი საქციელისათვის. საშინელ გულისტკივილს რომ განიცდიდა და ღამეები არ დაეძინებოდა, ადვილი მისახვედრია... და დაჟინებული ფიქრი ამ შეკითხვის ირგვლივ ინასკვებოდა: რატომ არიან ადამიანები ასეთი დაუნდობლები მკვდრებისა და ცოცხლების მიმართო? — და პასუხი კი ვერ ეპოვნა.

თუმც ეს რა გასაკვირია იმ ეპოქასა და გარემოში, სადაც პავლე ინგოროყვას მიგნებისა და ყოველგვარი წინასწარი მომზადების წყალობით გადაიხდებოდა შოთა რუსთველის დაბადების 800 წლის იუბილე, თანაც საქართველოსა თუ საკავშირო კი არა, სულაც მსოფლიო მასშტაბით, ხოლო შთამაგონებელს არამცთუ არ გააკარებდნენ ზეიმს, ლაფგადასხმულს გაუშვებდნენ ასპარეზიდან.

ირაკლი აბაშიძეს ჰქონდა იმჟამად ის გავლენა, ხელისუფლება ამოეყენებინა გვერდით და მათი მეოხებით გამოეძევებინა პავლე ინგოროყვა რუსთველური დღესასწაულიდან.

ამ ფონზე ამას რა, ლაფს მაინც არ შეასხამდნენ და ისტორიის გამყალბებლად მაინც არ გამოიყვანდნენ — მხოლოდ მიაყრუებდნენ მის დამსახურებას, ეგაა და ეგ.

ისევე, როგორც რუსთაველის თეატრის იუბილის გადახდისას.

ამ თეატრის დაარსების თარიღს ვისაც როგორ ენება, ისე წერდა, და ამიტომაც ხან 1920 წელი აღინიშნებოდა, ხან 1921, ხან 1924. არადა, ვასილ კიკნაძე დაიბეჯითებდა: 1879 წლიდან უნდა ვიანგარიშოთ, მუდმივი თეატრის შექმნიდანო, — და ამ მოსაზრებას დიმიტრი ჯანელიძეს გაუზიარებდა. ის დათანხმდებოდა და ორივე ცალ-ცალკე გამოაქვეყნებდა სტატიას ამ თემაზე „კომუნისტის“ ფურცლებზე. ოფიციოზი უნდა ჩაერთოთ პროცესში, თუკი თარიღის დადგენას იუბილეც უნდა მოჰყოლოდა.

ამასობაში მემუარისტი ეროსი მანჯგალაძესაც მოეთათბირებოდა, ის აკაკი ბაქრაძესა და რობერტ სტურუასთან შეხვედრა-მოლაპარაკებას ურჩევდა. მათი მხარდაჭერის შემდეგ

კულტურის სამინისტროსაც მიადგებოდა. მოამზადებდა წერილს პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის სახელზე. რამდენიმე დღის მერე შეატყობინებდნენ, რომ ცენტრალური კომიტეტი ითხოვდა დამატებით განმარტებებს. ეს განმარტებანიც წარედგინებოდა მისივე ხელით. და კიდეც გადაწყდებოდა რუსთაველის თეატრის იუბილის გამართვა.

შეიქმნებოდა საიუბილეო კომისიაც და... ვასილ კიკნაძე მის წევრებს შორის არ აღმოჩნდებოდა!..

მის მიერ წამოწყებული და ორგანიზებული ზეიმის რიგით წევრადაც არ გარევდნენ. იუბილისა, რომელიც უიმისოდ სრულიად უჩუმრად ჩაივლიდა და კაციშვილს არ მოუვიდოდა აზრად, არამცთუ ორგანიზება გაეწია.

და მემუარისტს ძალაუნებურად ახსენდებოდა გურამ რჩეულიშვილის სიტყვები: თუ გინდა, რომ არ გეშინოდეს სიკვდილისა, ცხოვრებაში ხშირად უნდა შეხვდე მას, რათა შეეჩვიოო.

და თავის მხრივ დასძენდა: ბევრჯერ შევხვედრივარ სულის მოკვლას. ზოგს ჰგონია, რომ ადამიანები უცებ კვდებიან ან მკვლელობა მხოლოდ ტყვიით შეიძლება. უსამართლობა პიროვნების სულში ჯერ ერთ ნაწილს ჰკლავს, შემდეგ მეორეს, მესამეს და ასე ზეზეულად კვდებიან ადამიანებიო...

ეს სტრიქონი გადაძახილიცაა გახმაურებული სპექტაკლის სათაურსა და სულისკვეთებასთან: ხეები ზეზეულად კვდებიან!..

მეხსიერება ამოატივტივებდა ოთარ ეგაძის სილუეტს, ბრძოლების დიდი ოსტატისას, ადვილად ვერავინ ვერაფერს რომ უბედავდა, და მის რჩევას: თუ გინდა ცხოვრებაში არ დაიჩაგრო, ყოველთვის ეცადე გაღმა შეედავო, წინასწარ დასდო ბრალი. მათ კი იმართლონ თავი. შენი უნდა ეშინოდეთ და მაშინ ვერაფერს ვერ გაგიბედავენო.

გაღმა შედავებისა და დემაგოგიის ოსტატი თვით ედუარდ შევარდნაძეს არ დაეჩაგვრინებოდა, და ეს მაშინ, როდესაც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბრძანება უსიტყვოდ სრულდებოდა. და, აი, იგი გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორობიდან გაათავისუფლებდა ოთარ ეგაძეს, ვინც ისარგებლებდა იმით, რომ ამ გამომცემლობაში მისი ხელქვეითი გახლდათ პირველი მდივნის ქალიშვილი მანანა შევარდნაძე. სასწრაფოდ მოხსნიდა სამსახურიდან წინა დღის რიცხვით მასაც და მის რამდენიმე მეგობარსაც და... კრემლში საჩივარს აფრენდა: ედუარდ შევარდნაძის შვილი გავათავისუფლე სამსახურიდან უდისციპლინობისათვის და მან კი პირადი შურისძიების მოტივით მომხსნა დირექტორობიდანო. და კიდეც მოვიდოდა იქიდან ბრძანება: აღადგინეთო!.. როგორც აქ სრულდებოდა უსიტყვოდ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებანი, ისე იგი გახლდათ სრული მორჩილი კრემლის განკარგულებებისა და... ოთარ ეგაძე დაუბრუნდებოდა თავის თანამდებობას.

შენი უნდა ეშინოდეთო...

თეორიულად ეს ყოველივე ვასილ კიკნაძესაც კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ... პრაქტიკულად? რა ეღონა — ხასიათს ხომ ვერ შეიცვლიდა.

ამ იუბილედან დიდი დრო გავიდოდა და, აი, მოულოდნელად რობერტ სტურუა ერთ-ერთ ინტერვიუში — ისიც ჭიათურის გაზეთში და არა ცენტრალურ პრესაში — განაცხადებდა: რუსთაველის თეატრის დაარსების თარიღი არ ვიცოდი, ვიდრე ვასო კიკნაძემ არ გვითხრაო.

ხელოვანის გულახდილობა კარგიაო, — მოუწონებდა მემუარისტი, თუმც ეს გულისტკივილიც როგორ დაეფარა: მაშინ რატომღა არ გაახსენდა, როდესაც იუბილე იმართებოდაო?

უსამართლობის დროს ადამიანში აკი რაღაც კვდება...

სანდრო ახმეტელი და რუსთაველის თეატრის ისტორია ვასილ კიკნაძის ცხოვრების უდიდესი ნაწილი რომ გახლდათ, ეამაყებოდა, ორივეს რაღაც ღვაწლი ხომ დავდეო... მაგრამ ამის აღიარება არავის სურდა — აგერ, მის თვალწინაც და მერე, ოდესმე ვიღა გაიხსენებდა?..

ყოველთვის სხვები იტაცებდნენ, სხვები ისაკუთრებდნენ.

ეგებ აღარც ღირდა თავის გადაკვლა საქვეყნო საქმეთათვის?!.

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისაო!..

სხვათა შორის, რუსთაველის თეატრის იუბილესათვის აკაკი ბაქრაძე საგანგებოდ მოამზადებდა სიტყვას, რომლის ლიტერატურულ ვერსიასაც შეადგენდა „ხვალინდელი დღისათვის“, დაწერილს მისთვის ჩვეული სტილით — გარიდებოდა საიუბილეო ზეიმისათვის ნიშანდობლივ პანეგირიკულ ღაღადისს და თეატრის მოღვაწეობა შეეფასებინა ანალიტიკური სიღრმითა და განზოგადებულად. მისი გამოსვლა ამჯერადაც უნდა ყოფილიყო საქმიანი, შესაფერისი ისტორიული მოსახვევისათვის ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში — რუსთაველის თეატრი ეთხოვებოდა ერთ საუკუნეს და იწყებდა მეორე ასწლეულს. ამიტომაც გაუჩნდებოდა წადილი, სულ ცოტა ხნის წინათ ამ გარემოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ფხიზელი და სურვილების თვალით შეეხედა ახალი საუკუნისათვის, რადგანაც მომავალში მიმავალ კაცს ჰორიზონტი ყოველთვის ღია და დაუნისლავი უნდა ჰქონდეს.

მაგრამ ამ სიტყვას აკაკი ბაქრაძეს საიუბილეო ზეიმზე არავინ წარმოათქმევინებდა.

სიტყვის მიცემას ვიღა ჩივის, საერთოდ არ მიიწვევდნენ.

ესეც არაფერი — იუბილეზე გაკვრითაც არ მოიხსენიებდნენ მის ღვაწლს თეატრის ბოლოდროინდელ თვალსაჩინო წარმატებებში.

და კიდევ უარესიც — თეატრზე გადაღებული ფილმიდანაც ამოჭრილი აღმოჩნდებოდა ის კადრები, სადაც იგი მოჩანდა.

იმასაც, ვინ მოთვლის, რამდენი მაგალითი შეეძლო გაეხსენებინა უმადურობისა!.. სკეპსისამდე სხვა რა მიიყვანდა.

აქ კი, ვასილ კიკნაძე თავის მოგონებებს რომ ეთხოვებოდა:

უმადურობისა თუ უსამართლობის ამ ეპიზოდთა წამოგონებას ძალდაუტანებლად მოჰყვებოდა თავიდანვე წამოწყებული მსჯელობის, პირველი სტრიქონების განწყობილების თავისებური ვარიაცია: მეხსიერებიდან თანდათან იდევნება ხან ერთი ამბავი, ხანაც — მეორე. დავიწყების წყვდიადში ქრებიან სახელები, სიცოცხლე თანდათან ღარიბდება, როგორც ნაგვიანევი შემოდგომის ხეები ფოთლებისაგან. და დღეები სულ უფრო და უფრო ერთფეროვანი და უინტერესო ხდებაო.

არადა, ამ „ერთფეროვანსა და უინტერესო დღეებშიც“ უთუოდ მოხდება ბევრი ისეთი რამ, რაც ერთბაშად გაარღვევს დარდიანი თუ სკეპტიკური განწყობილების მიჯნებს და მოგონებათა სრულუფლებიან და განუყოფელ ნაწილად იქცევა ჯერ მეხსიერებასა და შემდგომ უკვე ფურცლებზეც.

ეგებ არანაკლებ მღელვარეც.

ეგებ არანაკლებ მგზნებარეც და რომანტიკულიც.

ეგებ არანაკლებმა სახეებმაც ჩაიქროლონ შენს თვალწინ.

და შეიგრძნო მონდომებაც და ძალაც მათი შემოტანისა მემუარების მეორე წიგნში, ახლა უკვე ამ მოგონებებსაც რომ გამოეთხოვები — მეხსიერების მიერ კვლავაც აბნეულად ნაკარნახევს, ქრონოლოგიურ დალაგებაზე ისევ რომ არ იზრუნებ და ბოლომდე შეინარჩუნებ თხრობის მოზაიკურ აგებულებას, მინიატურებად და ნოველებად ასხმულს, მკითხველს მძაფრად რომ ჩაეჭრება ცნობიერებაში სრულიად უცნობი თუ მოულოდნელი რეალიები და შტრიხები, გამოჩენილ პიროვნებებს განსხვავებული რაკურსით რომ წარმოსახავს, უჩინართა ბედით კი ძალზე დაგაინტერესებს.

ეს ხომ თეატრია, პარადოქსების სამყარო, სამოთხისა და ჯოჯოხეთის ერთობლიობა, ერთ დღეს შემოქმედებითი ექსტაზის საუფლო, მეორე დღეს — ტორიჩელის სიცარიელისა, როდესაც ვეღარ გაგიგია, მსახიობები თამაშობენ თუ... ზეზეულად თვლემენ სცენაზე.

ესეც ხედვის ის რაკურსი, რომელიც უცვლელი რჩება.

ვასილ კიკნაძე — როგორც თვითონვე აღიარებს — საკუთარი თავის დამკვიდრებისა და წარმოჩინებისათვის „საქმეს

გაიჩენდა“. ყოველდღე დაესწრებოდა სპექტაკლს, დირექციის ხავერდოვან ლოჟაში მოკალათდებოდა და, ფურცელს ლოჟის სახელურზე რომ შემოდებდა, დემონსტრაციულად ჩაინიშნავდა შენიშვნებს — არამარტო მაყურებელთა, არამედ სპექტაკლის მონაწილეთა თვალწინაც.

— მე ეს ძალიან მსიამოვნებდა. საერთო ყურადღების ობიექტი ვიყავი და იგი სავსებით აკმაყოფილებდა ახალგაზრდა კრიტიკოსის ამბიციებს, — პროვინციულ ამბიციებს, რადგან არცერთი სერიოზული კრიტიკოსი ამას არ გააკეთებდა.

ერთხელაც კალამმომარჯვებული რომ უყურებდა „ოტელოს“, იგრძნობდა, რომ სპექტაკლი რაღაც ისე ვერ მიდიოდა... დაიწყებოდა მეორე მოქმედება — მსახიობები უხალისოდ თამაშობდნენ, ფორმაში არ იყო აკაკი ხორავა და მისი მონოტონური თამაშის განწყობილება სხვებსაც გადასდებოდათ. ეს შენიშვნას შენიშვნაზე ჩაინიშნავდა, თანაც ჩვეული დემონსტრაციულობით — ხორავას დასანახავად. და, აი, იგი დაამთავრებდა მონოლოგს, ლოჟას მიუახლოვდებოდა და... თეატრალურ კრიტიკოსს ხმადაბლა მიმართავდა: მანდ რას უზიხარო!.. მესამე აქტის დროს კი... სულაც გამოაძევებდა.

თავმომწონე ახალგაზრდას ისეთი განცდა დაეუფლებოდა, თითქოს ჭერი ჩამოინგრაო, და ეროსი მანჯგალაძეს რომ შესჩივლებდა: ლოჟიდან გამომაგდესო, — ის უბედნიერესი ადამიანივით გადაიხარხარებდა: ვენაცვალე აკაკის, ოხ, ჯიგარია, ეს რა ჭირი მოგვაშორა. აბა, რა არის, ყოველდღე კალმით ხელში რომ გამოიჭიმები ლოჟაში და ფეხებში მოგვჩერებიხარ. ასე შეიძლებაო?

მანამდე რამდენჯერმე რომ შეეჩივლათ სახელოვანი მსახიობისათვის, იმას დაეცვა ახალგაზრდა კრიტიკოსი... და ახლა თვითონაც რომ ეწვნია, ვეღარ მოეთმინა!..

ერთი კვირის თავზე შერიგების სუფრა რომ გაიმართებოდა, აკაკი ხორავა მოუბოდიშებდა: არ გეწყინოს, მაგრამ შენ ჯერ არ იცი, რა არის თეატრიო.

— ეს საოცრად რთული საქმეა. ჩვენ სცენაზე ყოველდღე ვკვდებით და ყოველდღე ვცოცხლდებით. ამ პროცესში რაღაც ღვთის ხელი ურევია, შენ დაგიჭერია კალამი და მომჩერებიხარ როგორ მოვკვდები? ასე შეიძლება? მე არ შემიძლია ყოველთვის ერთნაირად ვითამაშო. ზოგს შეუძლია, მე კი — არა. მოვა დრო და გაიგებ, რა არის თეატრი, არაუშავს... ისწავლი, კარგად გაგვიცნობ, ბევრჯერ გულიც გაგიტყდება, გეწყინება, მაგრამ შეეჩვევი.

საოცრად რთული საქმეა თეატრიო...

და უდასტურებდა უეცრად გამოცხადებული სანდრო ახმეტელის ლანდი: რთულია, ძალიან რთულიო, — შემწყნარედ რომ გადმოჰყურებდა თავის გამოზრდილსა და უმცროს მეგობარს, ვიდრე... ვიდრე...

მაგრამ რა გინდა იღონო, როდესაც ჯოჯოხეთი და სამოთხე გვერდიგვერდ თანაარსებობენ!..

მეხსიერების მრუმე ტალანიდან ამოსხლტებოდა ხან ერთი წამი და ხან მეორე სურათი, ხან ერთი სილუეტი და ხან მეორე ეპიზოდი.

ყველა თავთავისებურად საგულისხმო, შთამბეჭდავი თუ გზისგამკვალავი ეპოქის სულსა თუ პიროვნების ხასიათის სიღრმეში.

იქ ნოდარ ჩხეიძეს უნდა გამოეთქვა გულმოყირჭება: თეატრი სულ ნიღბების თამაშია. ჩვენ სულ ვთამაშობთ. მე დავიღალე, აღარ მინდა მათ გვერდით თამაშიო, — და განცხადებაც დაეწერა თეატრიდან წამოსვლაზე, მაგრამ კოლეგებს, იმ თანამოთამაშეებს არ გამოეშვათ.

იქ გიგა ლორთქიფანიძეს უნდა ესაყვედურა ვასო გოძიაშვილისათვის: თქვენ გენიალური მსახიობი ხართ, ხვალ რომ პიესა დავდგა, მაინც თქვენ დაგაკავებთ, მაგრამ თქვენი ჭკუით ჩემმა მტერმა იარა. თქვენ ისეთი მსახიობი ხართ, მედეა ჯაფარიძე რომ ჭრიჭინას თამაშობს, ისიც თქვენ გინდათ ითამაშოთო.

იქ ვასო გოძიაშვილი სესილია თაყაიშვილზე უნდა ანთხევდეს გულისწყრომას: გიგას შეეკრა და ახალგაზრდებს უჭერს მხარს. მსახიობმა წერტილის დასმა უნდა იცოდესო. პენსიაზე დროზე უნდა გავიდესო. მერე ვინ უშლის — გავიდეს. ჩვენ რას „გვინამიოკებს“, ჰა, მაშ ეგრე როგორ შეიძლება, არტისტის პენსია გაგონილა? თუ მართლა არტისტი ხარ, სულ სცენაზე უნდა იყო, იქ უნდა მოკვდე. ვითომ ახალგაზრდა არ შეიძლება პენსიონერი იყოს? რამდენი ახალგაზრდა მსახიობია ჩემზე მოხუცი? აგერ არ არის? კარგი, მიდიან, მიდიან, ვითომ ყველა ნიჭიერიაო?..

იქ ეროსი მანჯგალაძემ ქრისტეზე ნაკლებად საინტერესო სახედ არ უნდა მიიჩნიოს იუდა. არა, კი არ აიგივებდა, სხვაზე ნაკლებ არც მას მოეხსენებოდა — სად ქრისტე და სად იუდა, მაგრამ... სპექტაკლში რომ გეთამაშა მეთორმეტე მოწაფის როლი, მაცხოვრის როლზე ნაკლებ საინტერესო სამუშაო ნამდვილად არ იქნებოდა.

იქ კიდევ ესეც უნდა წამოსცდეს: მენატრება დიდი სცენაო, — და მემუარისტმა თვალნათლივ იხილოს ეროსის სულში დატრიალებული მძვინვარე ქარიშხალი, მთელ შინაგან სამყაროს რომ ურყევდა, არ შეეძლო გაქცეოდა მას და ამიტომაც მოწამებრივი მოთმინებით უნდა აეტანა ტანჯვა.

და ეროსის ცნობიერებაში უეცრად რომ ამოტივტივდებოდნენ მისივე სულის ორეულები და მოგონებანი და მოსვენებას არ აძლევდნენ?

— უნდა გაეძლო, უნდა გადაეტანა ეს საშინელებადქცეული, ოდესღაც ნეტარი დრო თეატრში სპექტაკლის დაწყებისა, საგრიმიოროში მოსამზადებლად მისვლისა. მას არც გიორგი დავითაშვილივით შეეძლო მისულიყო თავის საგრიმიოროში, დამჯდარიყო სარკის წინ და ფარულად წაესვა ტონი თავისი გარდასული გმირებისა, რათა წარსული ცხოვრებით ეცხოვრა. ის ჯერ არ იყო წარსულის, მოგონებების კაცი. მას ჯერ ენერგია ჰქონდა და დიდი არტისტული ნიჭიერება არ ასვენებდა. არც აკაკი ხორავასავით განმარტოება შეეძლო ავადმყოფობის გამო, თუმცა გული აწუხებდა და წამლებსაც უხვად იმარაგებდა. არტისტული ათეულების რიგით ჯარისკაცობაზეც არ ამბობდა უარს, მაგრამ ზოგჯერ არც იქ იყო მისი ადგილი. ვაჟკაცურად ითმენდა და არც არასოდეს უფიქრია ან „პარტიზანულ ომებში“ ჩართულიყო, ან თავად გაემართა ვინმესთან ომი.

იქ მიხეილ თუმანიშვილს უნდა გაემხილა, თუ როდის იყო ხოლმე ყველაზე ცუდ გუნებაზე.

და ეს აღმოჩნდებოდა... პრემიერის დღე.

დოდო ალექსიძეს რომ გაეცინებოდა, ეს რა ორიგინალური ხუმრობაა, — ის აუხსნიდა მიზეზს და გაირკვეოდა, რომ სახელოვანი რეჟისორის სიტყვებში ხუმრობის ნატამალიც არ ერია:

— როცა პრემიერის ზეიმი დამთავრდება, ყველა თავისთავის გზაზე მიდის, მე ვდგავარ თეატრის წინ, ჩემს თვალწინ მირბიან მსახიობები, ზოგი სად მიდის, ზოგი — სად, ვდგავარ და ვგრძნობ, რომ აღარავის ვახსოვარ, აღარავის ვჭირდები. აი, სულ სხვაა პიესის არჩევის დროს, ვიდრე როლებს გავანაწილებ, ყველანი ჩემს ირგვლივ ტრიალებენ, ყველა როლს ელის, მაშინ საჭირო ადამიანად ვგრძნობ თავს...

იქ სერგო ზაქარიაძემ უნდა დაიკვნესოს: აღარ შემიძლია, ამდენ უმადურობას ვეღარ ვუძლებო, — და ლამის გადაირიოს, სკამიდან წამოვარდეს, ხელები გაშალოს, თავში წაიშინოს და დაიგმინოს: რას სჩადიხართ! თქვე უღმერთოებო, მაგას ჩემზე როგორ ამბობთო?! — ეს მაშინ, როდესაც საჯაროდ ბრალს დასდებდნენ:

— თქვენ იცით, რომ სერგო მეგობრობდა უშანგისთან, მაგრამ მკვდარიც კი არ დაინდო, ხომ გახსოვთ, დროულად არ დაგვამარხვინა მიცვალებული... უნდოდა გვამი გახრწნილიყო... აი, რა ჩაიდინა, ეგ ცოცხალს დაგვინდობს?!.

იქ შალვა დადიანმა ასეთი რჩევა უნდა გაუზიაროს: ყმაწვილო! თუ საქართველოში გინდათ მშვიდი ცხოვრება, მხოლოდ კარგი უნდა ილაპარაკოთო.

იქ აკაკი ვასაძემ უნდა შესჩივლოს: უკვე გამაგონეს, რომ ბერიას კაცები ვართ, მის მიერ შეთხზული მსახიობები... რას მერჩიან, ვინც ახლა მებრძვის, მათ ხომ ყველაფერი გავუკეთე. რომელ ახალგაზრდას შევუშალე ხელი?.. ეტყობა, ჩვენი წასვლის დროც მოვიდა... არა უშავს, დადგება დრო და ყველაფერი გაირკვევა. საშა (ახმეტელი) ჩემი მასწავლებელიც იყო და მეგობარიც. რა გვქონდა ჩვენ საჩხუბარი. ყველაფერი გააკეთეს, რომ ერთმანეთს დავპირისპირებოდითო...

იქ ალექსანდრე მიქელაძის ცხოვრებიდან უნდა გაელვებულიყო ერთი ეპიზოდი, ანეკდოტად რომ შემორჩენილიყო.

რეჟისორი თავისი ანტისაბჭოური განწყობილებისათვის ციხეში რომ მოხვდებოდა, ძმა მოინახულებდა და ჰკითხავდა: როგორ ხარო?

— შენზე უკეთესად, — მიუგებდა პატიმარი.

იმას გაუკვირდებოდა:

— ეგ როგორ, შენ ციხეში ხარ, მე გარეთ!

და პასუხად კი:

— ჩემო ძმაო, მე ციხიდან გამოსვლას ველოდები, შენ — დაჭერას. რომელი ვართ უკეთესად?

ამ ფრაზაში მთელი საბჭოთა ეპოქაა არეკლილი.

იქ დემნა შენგელაიამ თაყვანება უნდა გამოთქვას უშანგი ჩხეიძის მიმართ: მსახიობზე მეტი იყო. იწვოდა ფანატიკურად, რაღაც შიგნიდან, უალოდ, ტემპერამენტის ცეცხლით იწვოდა... საოცარი იყო. უშანგის საღამოზე მოგონებით გამოვიდა სერგო ზაქარიაძე. თქვა, რომ ერთხელ თეატრში უშანგი მხრებზე აყვანილი მოიყვანა. რა უტაქტო ხალხი ვართ, უშანგიზე მეტი ვერაფერი მოიგონაო?

იქ სანდრო ახმეტელის საკანში მოხვედრილი კაცი უნდა გაეცნო და მისგან შეეტყო, თუ როგორ მიეთითებინა უკვე განწირულ რეჟისორს ერთ პიროვნებაზე, ფეხზე რომ ვეღარ დგებოდა ნაწამები: ჩვენი პოეტის, გოგლა ლეონიძის ძმაა, ლევანი, მართალი კაცია, მაგრამ არ დაუჯერეს და ხედავ, რა დღეშიაო?!.

იქ დოდო ალექსიძე განაწყენებას ვერ დაფარავდა იმ კრიტიკის პასუხად: ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ საროსკიპოს სცენაში მსახიობები მოკლე კაბებში გამოიყვანაო, — და საჯაროდ მოიოხებდა გულს: მთელი დარბაზი ბოზებით არის სავსე და სცენაზე მოკლეკაბიან ქალებს აკრიტიკებენ ეს „სვოლოჩებიო“.

რექტორატის სხდომაზე კი მსჯელობა რომ გაიმართებოდა საბჭოთა მორალისათვის შეუფერებელ საქციელზე — ახალგაზრდა რეჟისორს იური კაკულიას რომანი გაეჩაღებინა სტუდენტთან — დოდო ალექსიძესაც უნდა მოეთხოვა სიტყვა.

რექტორი — ძველი პარტიული მუშაკი, ერთ დროს ბერიას თანაშემწე ილია თავაძე, პრორექტორი კი ეთერ გუგუშვილი (ეს ის ქალბატონი გახლავთ, ვისი დაქორწინებაც ბესო ჟღენტთან გიგა ლორთქიფანიძეს ასეთ სიტყვებსაც კი ათქმევინებდა: რუსეთ-საქართველოს შეერთების შემდეგ ასეთი საზარელი აქტი, ეს რომ არის, ჩვენს ისტორიაში აღარ მომხდარაო!..)

და ასეთ გარემოში დოდო ალექსიძე დაგმობდა მის საქციელს, ნამდვილად აღმაშფოთებელიაო:

— რა მოგვიდა ბოლოს და ბოლოს, შეიკავე თავი, ახალგაზრდა პედაგოგი ხარ, ნიჭიერი... თუ მაინცდამაინც ვერ ითმენ — უქენი ეთერ ნიკოლაევნას... ბოლოს და ბოლოს უქენი ილია ყაისაროვიჩს...

თქვენ ახლა ეთერ ნიკოლაევნასა და ილია ყაისაროვიჩის მდგომარეობა წარმოიდგინეთ!..

— რას ამბობ, დოდო!.. — გაისმოდა ხმები. ეგონათ, დავაშოშმინებთო, მაგრამ რეჟისორსა და კათედრის გამგეს ეს შეძახილები კიდევ უფრო წააქეზებდა ისედაც ექსტაზში შესულს:

— დიახ, დიახ, ოღონდ მოეშვი სტუდენტებს, ბოლოს და ბოლოს მიქენი მე... მეტი რა გითხრა!..

რექტორატზე ერთი აურზაური და სიცილ-ხარხარი რომ ატყდებოდა და ამხანაგური სასამართლო ფარსად გადაიქცეოდა, ეს თავისთავად, მაგრამ ახლა იმ კუთხითაც შევხედოთ — რომელ ვოდევილურ თუ კომიკურ ეპიზოდს ჩამოუვარდება ეს სცენა? და დაბეჯითებით ვირწმუნებთ ვასილ კიკნაძის იმ მოსაზრებას, ამ კიდევ ერთ უსამართლოდ გაძევებულ რეჟისორს რომ გაუზიარებდა: ბატონო დოდო! თქვენ ბრწყინვალე არტისტული მონაცემები გაქვთ, მოდი, ერთხელ ითამაშეთ ყველაზე დიდ სპექტაკლშიო. იმას ჯერ უნდა გაეოცებინა, მაგრამ მერე ჭკუაში დაჯდომოდა: საინტერესო იდეაო.

იქ უცნობი აბიტურიენტის პასუხით უნდა მოხიბლულიყო შეკითხვაზე: რა გენატრებათ? ყველაზე ემოციურად რა დაგამახსოვრდათო? — და მოსწონებოდა ისე ძალიან ეს: ბებიაჩემის ქინძიანი ხელების სურნელიო, — რომ ნიშნების დაწერისას მტკიცედ დაიცავდა უცნობ ჭაბუკს და ამ თავგამოდებით გზას გაუხსნიდა მომავალ რეჟისორს ელდარ მდინარაძეს.

იქ გზად უეცრად შემოხვედრილ სიმონ ჩიქოვანს უნდა დაეჩივლა: ყოველდღე მაკლდება ჩინი, ახლა ვიგრძენი, მართლაც ბინდისფერი ყოფილა სოფელიო, — და შეჩერდებოდა, თითქოს უკან გაბრუნებას აპირებსო, მაგრამ მერე დაინტერესდებოდა, მწერალთა სასახლის ბაღში რომელიმე მწერალი თუ იმყოფებოდა. რომელი მწერალი? სულერთი გახლდათ, რადგან რაღაც მარტო ეგრძნო თავი. ვინ — სიმონ ჩიქოვანი და... მარტოობის განცდა? იმდენი ადამიანი ეხვია გარს. თუმც იმ სადარდებელს ვინ უშველიდა:

— მე სულ სხვა მარტოობაზე გელაპარაკები... ალბათ, მალე ვერაფერს ვერ დავინახავ... ყველაფერი გაქრება... ნაცნობი მარტო ხმები დარჩება...

და პოეტის ამ სიტყვებთან უნდა განასკვულიყო მემუარების პირველი წიგნის ფინალური კვანძი.

მთელ ამ მოგონებებსაც ხომ მარტოობის ტკივილი გამოსდევდა.

მემუარისტის მარტოობისაც და... სხვებისაც!..

ერთხელ კრუალების გაბმული მონოტონური ხმა რომ მოესმოდა, სოფელი მოაგონდებოდა და მოუნდებოდა, რომ მარტო კრუალების ხმა გაგრძელებულიყო სიჩუმეში. აღმოსავლური თარის სევდიან, მონოტონურ ხმას მიამსგავსებდა და თავისთვის აღმოაჩენდა, რომ მსოფლიოს ლექსიკონებში ყველაზე დიადი და ტრაგიკული სიტყვა ეს და მხოლოდ ეს შეიძლება ყოფილიყო — მარტოობა.

მაშ უდიდესი პოეზია რაღა გახლდათ?

ალბათ... ალბათ კი არა, ნამდვილად მარტოობის სევდა.

ასერიგად აუცილებელი მემუარული ჩანაწერებისათვის — მისი არსიც, მელოდიაც, თხრობის რიტმიკის განმსაზღვრელიც.

მოგონებათა ერთი წყება უკვე გამოთხოვების ზღვარს იქით აღმოჩნდებოდა.

და ახლა სხვა წყება მოიწევდა, ნურც მე დამტოვებ გამოთხოვების გარეშეო.

ბორგავდა პარადოქსების საუფლო ფიქრსა და განცდაში ჩაკირული წუთების გამოსხივებათა წინაშე.

სამოთხისა და ჯოჯოხეთის ერთობლიობა ამჯერად ვასილ კიკნაძის კალამს ითხოვდა და... კიდეც შემოდიოდა მის თვალთახედვაში ახალ-ახალ ფრაგმენტებად გარდასაქმნელად, საბოლოოდ ავტობიოგრაფიული რომანის მეორე წიგნი რომ უნდა დარქმეოდა და შემატებოდა ჩვენი თეატრალური, ჩვენი საზოგადოებრივი, ჩვენი კულტურული ცხოვრების ისტორიას... ისტორიას ჩვენი გაუნელებელი სევდისა.

* * *

ისე ნეტა მართლა თუ შეიძლება სიზმრისეული სამყარო რეალობად იქცეს?..

ნინო დეკანოიძე

მაჩაბლის 13 — პოეზიის მასპინძელი

მწერალთა სახლის სარკეებიან დარბაზში წარდგინება გაიმართა **გივი ალხაზიშვილის** სოლიდური პოეტური კრებულისა **„შენ ცოცხლობ ჩემში“.** გამოცემა შერჩეულია უკეთესად მიჩნეული იმ ნიმუშებით, ლექსების 20 წიგნიდან რომ ამოკრიბა ავტორმა.

ამ ჩინებულ წიგნს, ალბათ ბევრი კალმოსანისათვის შესანატრებელს, თვითონ პოეტი უწოდებს „რჩეულის კონტურებს“, უფრო ლოკალურად — „შემაჯამებელს“.

ერთი სიტყვით, ღონისძიება რომელიც გაიმართა შესაფერის გარემოში და შესაფერის დროს — ადრეული შემოდგომის ხავერდოვან საღამოს, სიმბოლოებზე მონადირეებს ანუგეშებდა, რომ პოეზიას არც სძინავს და არც ემუქრება გარდაცვალება.

რასაკვირველია, დარბაზი — გადავსებული, სიჭარბე — ახალგაზრდებისა, მათგან ბედით ნებიერ(თ)ს, თამამი და უდრეკი ნაბიჯებით, ნახტომიც ხომ გამოუვიდა ლიტერატურის უანგარო სამსახურში კვალის დასამჩნევად.

მიესალმა რა შეკრებილ საზოგადოებას ქალბატონი **ნატა ლომოური**, როგორც მასპინძელმა გულწრფელი სიხარულიც გამოხატა, რომ მკითხველთან შესახვედრად სწორედ მწერალთა სახლი აირჩია გივი ალხაზიშვილმა. და რომ იგი ამ კულტურული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა, ქომაგი და მხარდამჭერი ახლებური იდეებისა; დაუმადლა მთავარიც, ქარტეხილების დროს პრინციპულად ჩვენ გვერდით იდგაო. სასიამოვნო მასპინძელმა, მალევე, ღონისძიების წარმართვა **კატო ჯავახიშვილს** შეასახელა; უკვე გზიან პოეტსა და გივი ალხაზიშვილის ახალგაზრდა კოლეგას.

რახან წიგნი **საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა** და გამომცემლობა „**საუნჯის**“ ერთობლივი მოწადინებით დაიბეჭდა, უშუალოდ მინისტრის, **გურამ ოდიშარიას** გულითადი შემონათვალი გაახმაურა **დეა მეტრეველმა**, როგორც სამინისტროს წარმომადგენელმა და, თავის მხრივ, შემოქმედებითი წარმატებებიც უსურვა გივი ალხაზიშვილს.

ბარემ არდასამალავიც რომ არ დაიმალოს და აქვე ითქვას, ამდენ ახალგაზრდა შემოქმედს შორის არ გამოჩნდა ერთიც, საზოგადოების წინაშე ესაუბრა ხმამაღლა ლექსების ახალ კრებულზე და პროფესიული სიტყვით თავი დაემახსოვრებინა. ეტყობა ე.წ. კომენტარები ვირტუალურ სივრცეში უფრო მოარულია, უფრო პრესტიჟულად გამონათებული. არადა, ცოცხალი სიტყვა ცოცხალ გარემოში საამოდ დარჩებოდა...

სამაგიეროდ, გულითადობა არ აკლდა უფროსი თაობის სახელოვანი პოეტების: **ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახაძისა** და **დავით წერედიანის** სიტყვებს. მათი ლაკონიური გამოსვლები იტევდა მეგობრობისა თუ ძმობის დადასტურებას; გივი ალხაზიშვილის შემოქმედების აღიარება-დაფასებას, სამწერლო გზის დასაწყისიდან ვიდრე დღემდე. იყო საუბარი აგრეთვე კონვენციურ ლექსსა და ვერლიბრზე, და იყო გამეორებაც: რომ მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ხერხს ირჩევს პოეტი, ოსტატობაა მთავარი, და ამ მხრივ გივი ალხაზიშვილს ვერავინ შეედრებაო.

დროდადრო პოეტი კითხულობდა ახალი კრებულიდან ლექსებს. რა თქმა უნდა, შერჩევით და სხვადასხვა ჟანრისას. ხოლო ნიმუშები „ქაცვიას დღიურიდან“ იმ დღესაც არ დაუტოვებიათ ხალისიანი კომენტარების გარეშე... იმის გახსენებაც არ ეზედმეტათ, რა დღეც აწიეს ავტორს ამ სკაბრეზისათვის.

პოეზიის საღამოს მომხიბლაობა შემატა ამერიკელი პოეტისა და მთარგმნელის, **ლინ კოფინის** სიტყვამ. უცხოელმა ქალბატონმა დაადასტურა სიმპათია ქართული პოეზიისადმი ზოგადად და კერძოდ, გივი ალხაზიშვილისადმი. მან აგრეთვე გაახმაურა ერთი ამერიკელი ქალის მრავლისმთქმელი კომენტარი ფეისბუქიდან, პოეტის მისამართით — ეს ლექსები ელაპარაკებიან მტკივან გულსო. მერე კი გაიცნო მსმენელს რამდენიმე ნიმუში მისეული თარგმანისა. აუდიტორიასთან საკომუნიკაციოდ უცხოელ სტუმარს **დათო თავართქილაძე** ეშველებოდა.

იმდღევანდელ ამაღლებულ განწყობას შეუზავა სიტყვა ფილოსოფოსმა **გიორგი ბარამიძემ**: ყველასგან განსხვავებული სამყაროს თანაზიარი გამხადა გივი ალხაზიშვილის ლექსებმაო.

ემოციური იყო მისალმება **თამარ ტიზლიარაშვილისა**: ისტორიკოსმა, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მაგისტრმა ახალგაზრდული მღელვარება საფანელად დაუდო თავის გამოსვლას და ცრემლნარევი ხმით დაუდასტურა უზომო სიყვარული პოეტს.

P.S. მიღმა რჩება რა ითქვა ე.წ. ალაფურშეტზე. გახანგრძლივებული პოეზიის საღამოს მერე იმ დარბაზში რომ გაეშალათ, სადაც უწინ ბიბლიოთეკა იყო და სამოთხისებური სიმშვიდეც სუფევდა. ბაღისკიდა განიერ ფანჯრებში იხატებოდა ულამაზესი პეიზაჟი. ფრთხიალებდნენ ჩიტები, განსაკუთრებით შაშვები — მარადმწვანე ხეების ბინადარნი. და ვისაც ეს ყველაფერი ახსოვს, მოენატრება ოდნავ სევდიანი ორი კდემამოსილი ქალბატონიც, **დოდო** და **ლაურა** — უზომოდ მზრუნველნი მიბარებული საგანძურისა, ბევრი ქართველი მწერლის მესაიდუმლენი და დობილები, მოშუღართა შორის (ყოველ დროს რომ ატყვია) ფრთხილად და ტაქტიანად „მანდილის ჩამომგდებნიც“ შეძლებისდაგვარად...

ჯერჯერობით მაინც სიცარიელე მეტობს იქ. სახელდაურქმეველი სამძიმრის განცდა რომ გადაიყაროთ, გაჭინაურებული რესტავრაციის არტახებიდან დაელოდებით აკაკის წყაროს ამოჩუხჩუხებას; „კარგო სტუმარო, დაუვიწყარო, შესვი, გაამოს ეს წმინდა წყაროო“.

ადგილმიუჩენელი თუ დაწუნებული, შეუფერებლად მისაგნებელი გალაკტიონის თავი განცალკევებული ბიუსტისგან თითქოს გზაფრავთ იდუმალი ირონიით და რატომ უნდა დარჩეს ვინმეს საწყენად და გასაკვირად, თუკი მოგინდება იქაურობა დაინახო უკეთესად.

და ნურც იმედი დაშრეტილიყოს, რომ მწერალთა სახლად გარდაქმნილი ეს კულტურული ცენტრი, მისი ახლანდელი მესვეურების მოწადინებით, აგრეთვე, შეძლებულთა ხელგაშლილობითა თუ ხელშეწყობით, კვლავ იხარებს კერად, სადაც არ წაიშლება ტრადიციები საუკეთესო და ახალიც დაემატება.

მიხაილ ბულგაკოვი

წარწერები მანჟეტებზე

ეძღვნება ზღვასა და ხმელეთზე მოგზაურობაში მყოფ და დატანჯულ რუს მწერლებს.

ნაწილი პირველი

I

აწ განსვენებული „რუსული სიტყვის“ პირში სიგარაგაჩრილმა გეტრებიანმა თანამშრომელმა მაგიდაზე ხელი სტაცა დეპეშას და პროფესიონალურად გაწაფული თვალით, პირველიდან ბოლო სტრიქონამდე, ერთ წამში სულმოუთქმელად ჩაიკითხა. გვერდზე ანგარიშმიუცემლად მიაწერა: „ორი საკორექტურო სვეტი“, — მაგრამ ანაზდად ტუჩები მოპრუწა და სასტვენად მოემზადა:

— ფუ-უ-უ!

თუმცა შეჩერდა, მერე დეპეშა აჩქარებით პატარა ქაღალდი მოახია და ზედ მოჩხაპნა:

ტიფლისამდეა ორმოცი მილი...
ვინმემ გაყიდოს ავტომობილი.

ზემოთ დაამატა: „პატარა ფელეტონი“, გვერდით — „კორპუსი“, ქვემოთ კი — „ჭილყვავი“.

მაგრამ უცებ დიკენსის ჯინგლივით ალუღლუღდა:

— ჰო, ჰო, დიახ! ასეც ვიცოდი! შეიძლება აქაურობის დატოვება და გამგზავრებაც კი მომიწიოს! მერე და რა! მე ხომ რომში ექვსი ათასი ლირა მაქვს. Credito Italiano. რა, რა? ექვსი... და არსებითად მე იტალიელი ოფიცერი ვარ! ჰო-ჰოო!

Finita la comedia!

კიდევ ერთხელ დაუსტვინა, ქუდი კეფაზე მოიგდო და ტელეგრამითა და ფელეტონით შეიარაღებული კარებში გავარდა.

— მოიცადეთ, მოიცადეთ! — წამოვიყვირე გონზე მოსულმა — მოითმინეთ! როგორ თუ Credito, რა Credito? Finita?! რა? კატასტროფა?!

თუმცა მას თვალი ვეღარც კი შევასწარი, ისე გამქრალიყო.

მინდოდა უკან დავდევნებოდი, მაგრამ ხელი უიმედოდ ჩავიქნიე, შუბლი უხალისოდ შევიჭმუხნე და დივანზე ჩამოვჯექი. მოითმინეთ, მოითმინეთ, ნეტავი რა მტანჯავს? გაუგებარი Credito? ჰო... თავი! მეორე დღეა მტკივა თავი; აჰ, როგორ მაწუხებს თავი! აი, ახლაც, ამ წუთში ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა, თუმცა მალე პირიქით თავიდან ფეხებამდე წამომახურა, შუბლი კი აუტანლად დამისველდა. საფეთქლები არაადამიანურად მიფეთქავს, როგორც ჩანს, გავცივდი. აჰ, ეს შეჩვენებული თებერვლის ჯანღი; ოღონდ ახლა არ გავხდე ავად, ოღონდ ახლა არ გავხდე ავად!

ირგვლივ ყველაფერი უცხო და შორებელია, მაგრამ ამ თვენახევრის განმავლობაში, როგორც ჩანს, მივეჩვიე კიდეც. აჰ! რა კარგია, მგონი ნისლი და ჯანღი ისე მძიმედ აღარაა ჩამოწოლილი. შინ ვარ. ოქროს ჩარჩოში მოჩანს ზღვა და ფრიალო კლდე!.. კარადაში წიგნები აწყვია. ტახტზე კი ისეთი ხაოიანი და ხორკლიანი ხალიჩაა, წამოწვები და ვერ დაისვენებ, ბალიშიც კი ქვასავით გამაგრებულა... თუმცა წამოდგომის თავი არცა მაქვს... საოცარი სიზანტე დამეუფლა! ხელის აწევა არ შემიძლია. უკვე ნახევარი საათია მინდა ხელი გავიწვდინო, სკამიდან ასპირინის ფხვნილი ავიღო, მაგრამ ვერც ერთ ხელს ვერ ვანძრევ!

— მიშუნია, ჩაიდეთ თერმომეტრი!..

— აჰ, ვერ ვიტან სიცხის გაზომვას!.. არ მჭირდება, არაფერი მჭირს!..

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო! ოცდათვრამეტი და ცხრა...

ერთიც ვნახოთ და ტიფით გავხდი ავად! არა, არა, შეუძლებელია, საიდან უნდა დამმართოდა? მაგრამ დავუშვათ და მართლაც ტიფია... რაც გინდა იყოს, მხოლოდ ახლა არა, ახლა არა! ეს ხომ წარმოუდგენელი საშინელება იქნება... მგონი არაფერი მჭირს, მხოლოდ შიში მტანჯავს და ნერვები მღალატობს... მეტი არაფერი... ეტყობა გავცივდი... ინფლუენცაა ალბათ... აი, ძილის წინ ასპირინს დავლევ და დილით ჩიტივით ვიქნები, ისე ავდგები, ვითომ არაფერი მტკიებია!..

— ოცდაცხრამეტი და ხუთი!

— ექიმო, ტიფი ხომ არა მაქვს, აა? ტიფია განა? მგონი ეს მხოლოდ ინფლუენცაა! ხომ ასეა? აა? აჰ, ეს ნისლი!..

— ჰო, ჰო... ნისლია, ნისლია. აბა, ღრმად ისუნთქეთ გეთაყვა... ასე, ასე!

— ექიმო, აუცილებელი საქმე მაქვს... ცოტა ხნით წავალ... ხომ შეიძლება?

— ხომ არ გაგიჟდით!..

ვარვარებს ზღვა, ვარვარებს ფრიალო კლდე და ტახტიც გავარვარებულა. ბალიში გადავაბრუნე, როგორც კი თავი დავდე, მაშინვე ისე გაცხელდა, თითქოს არც გადამიბრუნებია. არა უშავს, არა უშავს!.. აი, ღამით გამოვშუშდები, ხვალ კი აუცილებლად წავალ, წავალ! თუ საჭიროა, გავემგზავრები კიდეც სადმე, გავემგზავრები! არ უნდა მოვდუნდე და მოვეშვა, ეს ხომ უბრალო ინფლუენცაა... განა ცუდია ავადმყოფობა? სიცხეს გაძლევს, აღარაფერი გაღელვებს, არაფერზე ფიქრობ, დაწვები და ისვენებ; მხოლოდ ახლა არ მინდა, არა! ღმერთმა დამიფაროს! ამ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში კითხვის დროც კი არ მაქვს... ახლა კი ძალიან მსურს რაიმეს წაკითხვა. ნეტავ რას წავიკითხავდი? ჰო, მართლა, ტყეები, მთები. მაგრამ ეს შეჩვენებული კავკასიის მთები კი არა... ჩვენი, შორეული... მელნიკოვ-პეჩერსკი... სავანე თოვლშია ჩაფლული... სინათლე ციმციმებს და აბანო ხურდება... სწორედაც რომ ტყეები და მთები მინდა. ნახევარ სამეფოს გავცემდი გაღულუნებულ აბანოში მოსახვედრად... რა ნეტარებით დავწვებოდი აბანოს გავარვარებულ ტახტზე; მაშინვე, იმ წუთშივე მეშველებოდა... მერე კი სასწრაფოდ ნამქერში გადავეშვებოდი დედიშობილა... ჩვენი ტყეები! უღრანი და უსიერი ფიჭვის ტყეები... სახომალდე ხე-ტყე... მწვანე ხიფთანიანი პეტრე დიდი ჭრიდა და კაფავდა სახომალდე ხე-ტყეს. იღვაწეთ!.. ...რა დიდებული და საიმედოა საქვეყნო მნიშვნელობის ეს სიტყვა, ი-ღვა-წეთ! იღვაწეთ ძალისა და შეძლებისდაგვარად! ტყეები, ხევები, ხრამები ღრანტეები, წიწვის ხალიჩა, თეთრი მონასტერი — სავანე... რა ნაზად და ხმაშეწყობილად გალობს მონაზონთა ქორო!..

რჩეულ ვოევოდას ვუგალობოთ ძლევამოსილი გამარჯვების სადიდებელი!..

აჰ, არა! რა მონაზვნები, რის მონაზვნები, ისინი იქ სულაც არ არიან; სად არიან მონაზვნები, სად არიანო? შავები, თეთრები, ფაქიზები, ნატიფები, ვასნეცოვისეულები?..

— ლარისა ლეონტიევნა, სად არიან მო-ნაზ-ვნები?!

— როგორ აბოდებს საწყალს, როგორ აბოდებს!..

— არაფერსაც არ მაბოდებს, რატომ უნდა მაბოდებდეს? მონაზვნები! არ გახსოვთ განა? აბა, მომაწოდეთ წიგნი! აი, აი, ის წიგნი, მესამე თაროზე რომ დევს, მელნიკოვ-პეჩერსკი...

— მიშუნია, თქვენთვის კითხვა არ შეიძლება!..

— რა თქვით? ვითომ რატომ არ შეიძლება? მე ხვალვე უნდა ავდგე, პეტროვთან მივდივარ! თქვენ არ გესმით, რომ შეიძლება თავი მიმანებონ და მიმატოვონ! უთუოდ მიმატოვებენ, ბედის ანაბარა დამტოვებენ!..

— კარგით, კარგით, ადგებით, ადგებით! აი, აიღეთ ეს წიგნი!

— რა მშვენიერი წიგნია. რა ნაცნობი სიძველის სუნი აქვს! მაგრამ სტრიქონებმა ხტუნვა დაიწყეს, ხტუნავენ, დახტიან, თანდათან იბრიცებიან, იგრიხებიან... ჰო, ჰო, გამახსენდა, იმ სავანეში თურმე რომანოვების ყალბ ფულს ჭრიდნენ... აჰ, რა კარგი მეხსიერება მქონდა!

არა მონაზონ-ბერები, თურმე ფულის მომჭრელები...

— ლარისა ლეონტიევნა... ლაროჩკა! გიყვართ ტყეები და მთები? მონასტერში წავალ, უთუოდ წავალ მონასტერში! მიყრუებულ და მივარდნილ ადგილას, სავანეში წავალ! ხშირი და გაუვალი ტყე, ჩიტების ჟივჟივი. იქ ადამიანები არც იქნებიან...

მომბეზრდა ეს იდიოტური ომი! პარიზში უნდა გავიქცე, იქ დავწერ რომანს, მერე კი მართლაც სავანეში წავალ; მაგრამ ხვალ კი ანამ რვა საათზე გამაღვიძოს. გაიგეთ, რომ ჯერ კიდევ გუშინ უნდა წავსულიყავი საქმეზე... გესმით თუ არა?

— მესმის, მესმის, გავიგე; მხოლოდ ახლა გაჩუმდით!

ნისლი და ჯანღი. მოწითალო, ცხელი ნისლი... ტყეები... ტყეები... მწვანე ქვაზე უსასრულოდ იცრემლება ნაპრალიდან ნაშობი კამკამა და ბროლივით კრიალა წყლის გრეხილი ჭავლი. იქამდე მიღწევაა საჭირო, უნდა მივბობღდე და დავლევ თუ არა, მაშინვე მომეშვება სატკივარი. თუმცა რა ძნელია წიწვებზე ბობღვა. წიწვი გჩხვლეტს და გეწებება. თვალებს ახელ და წიწვის მაგივრად ზეწარია!

— ღმერთო ჩემო! ეს რა ზეწარია... ქვიშა დააყარეს თუ რა არის!.. მწყურია, მწყურია!

— ახლავე, ახლავე!..

— ააჰ, რა თბილი წყალია, გულს აურევს ადამიანს!

— რა საშინელებაა, ისევ ორმოცი და ხუთი ხაზი!

— ყინულიანი ბუშტია საჭირო!..

— ექიმო, მოვითხოვ, რომ ახლავე გამგზავნონ პარიზში! აღარ მინდა რუსეთში ყოფნა... თუ არ გამგზავნით, მაშინ ნება იბოძეთ და მომინახეთ ჩემი ბრაუნინგი! — ...ლაროჩკა! მომეცით ბრაუნ... ბრაუ!..

— კარგით, კარგით, აუცილებლად მოგიძებნით, ოღონდ ნუ ღელავთ!..

რა წყვდიადია! მაგრამ თითქოს უცებ განათდა... კვლავ სიბნელე, ისევ ნათება. გინდა მომკალით, აღარაფერი მახსოვს...

თავი! თავი! როგორ მტკივა თავი! აღარ არიან მონაზვნები, აღარავინ უგალობს ძლევამოსილ ვოევოდას, უამრავი დემონი კი ჩაჰყვირის საყვირს და ყველანი ერთად გავარვარებული შანთებით შეუბრალებლად მიშანთავენ თავს! თავი! თავი! ძალიან მტკივა თავი!

სინათლის გამონათება... სიბნელე და წყვდიადი. სინათ... აღარაფერი ჩანს! აღარაფერი მზარავს, უკვე ყველაფერი სულერთია... აღარ მტკივა თავი. ისევ წყვდიადი... ორმოცდაერთი და ერთი!..

II
რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

ბელეტრისტი იური სლეზკინი მდიდრულ სავარძელში მოკალათებულიყო. ღარიბულად ჩაცმული უბადრუკი გარეგნობის ბელეტრისტი მდიდრულად მოწყობილი ოთახის ფონზე უცნაურ დისონანსად გამოიყურებოდა. ტიფიანობის შედეგად უწყალოდ გადაპარსული მისი თავი მარკ ტვენის მიერ აღწერილ ბიჭუნას თავს მოგაგონებდათ, ავტორმა პილპილმოყრილ მოხარშულ კვერცხს რომ შეადარა. სლეზკინს ტანზე ემოსა ჩრჩილისგან მთლად შეჭმული, იღლიაგამოხეული ფრენჩი. ფეხებს რუხი ფერის წვივსახვევები უფარავდა, რომელთაგან ერთი უფრო გრძელი იყო, ვიდრე მეორე; პირში ორკაპიკიანი სიგარა გაეჩარა, მის თვალებსა და გამოხედვაში კი შიშსა და უიმედობას ართურმა გაეჩაღებინათ.

— რა გვეშველება, რა, მოგველის რა? — ვიკითხე და საკუთარი ხმა ვერც ვიცანი. ბოლო შეტევის შემდეგ იგი მთლად დამწვრილებოდა, თან გაბზარული და ჩახლეჩილიც კი მომეჩვენა.

— რა, რა?

საწოლზე შევბრუნდი და ფანჯარაში ნაღვლიანად გავიხედე, საიდანაც ჯერ კიდევ შიშველი ტოტები მოჩანდა; ისინი წყნარად და ჩუმად ირხეოდნენ. ჩემს კითხვაზე პასუხი ვერ მივიღე; ვერაფერი მიპასუხა თვალწარმტაცმა ზეცამაც, რომელსაც ოდნავ მოჰფენოდა თითქმის უკვე დაფერფლილი და მიმქრალი დაფიონი. სლეზკინმაც დუმილი ამჯობინა, თან დაგონჯებულ თავს აკანტურებდა. გვერდით ოთახში კაბის შარიშური გაისმა; ამას ქალის ჩურჩული მოჰყვა:

— შუაღამისას ქალაქში ინგუშები შემოიჭრებიან და გაგვძარცვავენ!..

სლეზკინი სავარძელში მთლად მოიკრუნჩხა და თითქოს ათრთოლდა კიდეც, მერე ქალს შეუსწორა:

— ინგუშები კი არა, ოსები. ღამით კი არა, ხვალ დილით.

კედლის იქით ნერვიულად აწკარუნდა ჭურჭელი.

— ღმერთო ჩემო! ოსები? ეს ხომ საშინელება იქნება?..

— რა განსხვავებაა?

— როგორ თუ რა განსხვავებაა? თუმცა თქვენ არც კი იცით აქაური ამბები. ინგუშები თუ ძარცვავენ, მხოლოდ ძარცვავენ, ოსები კი ძარცვავენ და თან ხოცავენ კიდეც ხალხს.

— ყველას დახოცავენ? — საქმიანად იკითხა სლეზკინმა, თან მყრალ ჩიბუხს აბოლებდა.

— აჰ, ღმერთო ჩემო! რა უცნაური ადამიანი ხართ! რა თქმა უნდა ყველას არა... აი, მაგალითად ვინც... ჰო, რას ვამბობდი? დამავიწყდა, ჩვენ ხომ ვანერვიულებთ ავადმყოფს!

კვლავ აშარიშურდა კაბა. დიასახლისი ჩემკენ დაიხარა.

— სულაც არ ვღელავ...

— არაფერია, არაფერი! — მკვახედ მოსჭრა სლეზკინმა.

— რა, რა? როგორ თუ არაფერია?

— აი, აი, ეს ოსებიო, ვიღაცებიო, სისულელეა ეს ყველაფერი! — წარმოთქვა სლეზკინმა და მისი ჩიბუხის გამონაბოლქვით კვლავ აყროლდა იქაურობა.

ძალაგამოცლილმა და დასუსტებულმა კვლავ წუწუნი დავიწყე.

— დედა! დედა! რა გვეშველება, რა გზას დავადგეთ?

— მართლაცდა რა უნდა ვქნათ?

სლეზკინმა ცალყბად გაიცინა, შემდეგ კი დაფიქრდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო; შევატყვე, შთაგონება და აღმაფრენა დაუფლებოდა.

— ხელოვნების „პოდოტდელს“[1] დავაარსებთ!

— ეს რა არის?

— რა?

— აი, ისა... „პოდუდელი“

— აჰა, არა. „პოდ-ოტ-დელი“.

— პოდ“? [2]

— ეს ისა... იცი რა... — შეირხა იგი, — არსებობს „ოტნარობრაზი“[3] ან „ობნარობრაზი“[4] ოტ.

(„ნარობრაზი“[5]. „დიკობრაზი“[6]. „ბარბოსი“[7]. „ბარბიუსე“[8])

დიასახლისი აღშფოთებამ მოიცვა.

— ღვთის გულისათვის, ნულარ ელაპარაკებით! ექიმო... ისევ ბოდვას დააწყებინებს...

— სისულელეა! — მკაცრად წარმოსთქვა იურამ, — სისულელეა! ყველა ეს მინგრელები, იმერები... ჰო, იმათ რა ქვიათ? ჩერქეზები. უბრალოდ ბრიყვები და ჩერჩეტები არიან!

— რა არიან?

— უაზროდ დარბიან. ისვრიან, თითქოს მთვარეს ესვრიან. ისინი არ დაიწყებენ ძარცვას...

— ჩვენ რა ვქნათ, რა გვეშველება?

— არაფერია, არაფერი! უნდა დავაარსოთ...

— ხელოვნების განყოფილება?

— ჰოო; ყველაფერი იქნება. „იზო“[9]. „ლიტო“[10]. „ფოტო“[11]. „ტეო“[12]

— არაფერი მესმის.

— მიშენკა, ნუ ლაპარაკობთ! ექიმო!

— მერე აგიხსნით! ყველაფერი გვექნება, ყველაფერი! მე უკვე ვიყავი გამგე. ჩვენ არაფერი გვემუქრება, რადგან აპოლიტიკურები ვართ. ჩვენ ხომ ხელოვნების ხალხი ვართ!

— რით უნდა ვიარსებოთ? ცხოვრება ხომ გვინდა!

— ხალიჩისთვისაც კი გამოვნახავთ ფულს!

— რა ხალიჩა, რის ხალიჩა?

— აჰ, იმ პატარა ქალაქში, სადაც გამგედ ვმუშაობდი, კედელზე ხალიჩა გვეკიდა, განვადებით ვიყიდეო. როგორც კი ჯამაგირს ავიღებდით, მე და ჩემი ცოლი საჭირო თანხას მაშინვე ვიხდიდით. მძიმე დრო იყო, მაგრამ კვებას არ ვუჩიოდით. ულუფასაც კი გვაძლევდნენ.

— მე, მე რა ვქნა?

— შენ იქნები „ზავლიტო“[13] აბა!

— რა „ზავლიტო“, რა?

— მიშუნია! გემუდარებით!

III
ლამპარ-კანდელი

ლივლივებს ღამე. ღამე მრუმე, ბნელი, კუპრივით შავი. ძილი არ მეკარება; კანდელი ნაზად თრთის და ციალებს. ქუჩაში სადღაც შორს ისვრიან. თავი მიხურს და თითქოს გონებაც მიბნელდება.

— დედა, დედა, ჩემო დედა! რა ვქნათ, რა გვეშველება?

სლეზკინს რაღაცის დაარსება განუზრახავს. აარსებს. „ფოტო“. „იზო“. „ლიტო“. „ტეო“. „ლიზო“[14]. „ტიზო“.[15]

თავს უყრის და აგროვებს ფოტოგრაფიულ ყუთებს. რისთვის ნეტავ? „ლიტო“-ში ხომ ლიტერატორები არიან? აჰ, რა უიღბლოები ვართ. „იზო“. „ფიზო“[16] ინგუშები თვალებს აკვესებენ, ცხენებს მოაჭენებენ. ყუთებს გვტაცებენ. ხმაური. ესვრიან მთვარეს. ფერშალი ქალი ფეხში ქაფურს მიშხაპუნებს. მესამე შეტევა მაქვს!..

— ო, ოო! რა იქნება, რა იქნება! გამიშვით! უნდა წავიდე, უნდა წავიდე!

— დაწყნარდით მიშენკა, დაწყნარდით, ძვირფასო!

მორფის შემდეგ კი ინგუშები ქრებიან! ირხევა და ირწევა ხავერდოვანი ღამე. ზღაპრული ღვთაებრივი თვალივით ციალებს ლამპარი და თითქოს ციურ ხმასაც კი გამოსცემს; დედა, დედა!

IV
აი, ისიც — „პოდოტდელი“

კაშკაშებს მზე. ორადგილიანი ეტლის ბორბლებს იქით მტვრით სავსე ღრუბლები მოჩანს. ხმაურიან შენობაში შედიან, გამოდიან, ჩქარობენ. ერთ-ერთ ოთახში, მეოთხე სართულზე ორი კარებმომძვრალი კარადა და დაკოჭლებული მაგიდა დგას. სამი იისფერტუჩებიანი ქალიშვილი ხან თამბაქოს ეწევა, ხან კი სამივენი საბეჭდ მანქანას აჩხაკუნებენ.

თითქოს ჯვარცმული ჩამოხსნესო, შუა ადგილას ზის მწერალი და ცდილობს ქაოსიდან „პოდოტდელი“ შეაკოწიწოს. ტეო. იზო. აჭარხლებული მსახიობები გულს უწყალებენ, მოსვენებას არ აძლევენ, ფულს სთხოვენ.

ამასობაში ისევ შემიქცია — ირგვლივ ყველაფერი ლივლივებს; მაბარბაცებს და მაზიდებს კიდეც. მაგრამ მე ხომ გამგე ვარ, გამგე, „ლიტო“-ს გამგე, ვეჩვევი თანდათან. — „ზავპოდისკი“.[17] „ნარობრაზი“. „ლიტკოლეგია“.[18]

მაგიდებს შორის ვიღაც დადის. რუხი ფრენჩი და უცნაური გალიფე აცვია. ნაღმმტყორცნივით იჭრება თავმოყრილთა შორის და ისინი ელვისებური სისწრაფით იფანტებიან. ვისაც შეხედავს, ყველას ფერი მისდის, თვალები სად წაიღონ, არ იციან. მხოლოდ ქალიშვილები არაფრად აგდებენ მას; საყოველთაოდ ცნობილია, რომ გოგონებს შიშის გრძნობა არ გააჩნიათ.

მომიახლოვდა, თითქოს თვალებით განმგმირა, სულში ჩამიძვრა და იქ ფათური დაიწყო; ყურადღებით შემისწავლა, კრისტალური გამოვდექი. ჩადგა გული საგულესა... მოწყალედ გამიღიმა და მკითხა:

— „ზავლიტო“.

— „ზავ. ზავ“.

მერე სხვისკენ გაემართა; არა უშავს რა, კარგი ყმაწვილი ჩანს, მაგრამ გაუგებარია, რა საქმე აქვს ჩვენთან. „ტეო“-ს არ ჰგავს „ლიტო“-ს მით უმეტეს.

პოეტი გოგონა გვეწვია. შავი ბერეტი ეხურა, ქვედაკაბა გვერდზე ჰქონდა შეკრული, ჩულქები კი გვარიანად მობრეცოდა... ლექსები წარმოგვიდგინა:

ტა, ტა, ტა, იქ, იქ, იქ
გული მიცემს, ლამის გასკდეს
დინამიტის ჭურვივით!

ცუდი ლექსები არ იყო. ჩვენ ალბათ ისა, ჰო, რა ჰქვია, კონცერტზე წავიკითხავთ...

ქალიშვილს რატომღაც ხალისი ჩასდგომოდა თვალებში. კარგი გოგონა იყო, მაგრამ ნეტავ ჩულქის სამაგრებლები რატომ არ გააჩნდა?

V
კამერ-იუნკერი პუშკინი

აჰ, რა კარგად მიდიოდა ყველაფერი, რა მშვენივრად იყო ყოველივე! ჰოდა, კინაღამ დავიღუპე ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინის გამო, ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს მისი სული.

აი, რაში იყო საქმე:

რედაქციაში, ხრახნული კიბის ქვეშ ბუდე გაიკეთა და ბინა დაიდო ადგილობრივი პოეტების საამქრომ. მათ შორის იყვნენ ერთი ლურჯ სტუდენტურ შარვალში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი და ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც თურმე სიბერეში პოეზიის მუზამ ისე შეუბრალებლად დარია ხელი, რომ სამოცი წლისას ლექსების წერა დაუწყია. მათ გარდა საამქროში კიდევ რამდენიმე ადამიანი ირიცხებოდა.

ერთ დღეს ჩვენთან თამამად და უშიშრად არწივისებური სახის მამაკაცი შემოიჭრა; ქამარში უზარმაზარი რევოლვერი ჰქონდა გაჩრილი; სახეში პირდაპირ არავისთვის შეუხედავს, მაგრამ მელანში უშურველად ჩასველებულმა მისმა ბასრმა კალამმა უპირველესად იმათი გულები განგმირა, რომლებიც გასული ზაფხულის თავყრილობაზე გადაურჩნენ მის მსახვრალ ხელს; როგორც აღმოჩნდა, ყველანი კარგად დამახსოვრებია და თითოეული მათგანი ნიშანშიც ჰყავდა ამოღებული. მღვრიე თერგის დაუოკებელ გუგუნსა და ზრიალში მან შეაჩვენა იასამანი და დასჭექა:

საკმარისად უმღერეს თოლიას და მთვარეს,
საგანგებო და საჭირო ლექსს მოგაწვდით მალე...

რომ იცოდეთ რა ეფექტური იყო ეს ყველაფერი!

ამის შემდეგ კიდევ ერთმა წაიკითხა მოხსენება გოგოლისა და დოსტოევსკის შესახებ და ორივენი აღგავა პირისაგან მიწისა. მართალია მომხსენებელმა პუშკინის მიმართ არაკეთილგანწყობა გამოამჟღავნა, მაგრამ ეს იყო გაკვრით და ზერელედ; თუმცა დაგვაიმედა, რომ საგანგებო მოხსენებას მი-

უძღვნიდა მას. მართლაც, ივნისის ერთ ღამეს მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და გვარიანად დაამუშავა პუშკინი თეთრი შარვლის, კამერ-იუნკერობის, მონური სტიქიის, ფსევდორევოლუციონერობის, ფარისევლობის, უხამსი ლექსების, ქალებთან არშიყობის გამო და სიტყვებისათვის:

უდრტვინველად ვუმზერ მყოფადსა და მომავალს...

ვიჯექი პირველ რიგში და სულისშემხუთველი სიცხისაგან ოფლში ვცურავდი, თან ვუსმენდი, რა შეუბრალებლად გლეჯდა იგი ნაკუწ-ნაკუწ პუშკინის თეთრ საცვალს; ხოლო როცა პირი მთლად გაუშრა და ჭიქა წყლის მირთმევის შემდეგ ცოტა შვება იგრძნო, წინადადება წამოაყენა — პუშკინი ცეცხლისთვის მიეცათ.

უცნაური და იდუმალი ღიმილით გამეღიმა; ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, ეს რა საოცარი და გრძნეული ღიმილი დამეუფლა.

— აბა, გასწიეთ ოპონენტობა!

— რაღაც არ მსურს.

— როგორც ჩანს, თქვენ მოქალაქეობრივი გამბედაობა არ გაგაჩნიათ!

— აჰა! რადგან ასეა, მოვამზადებ მოხსენებას.

მართლაც დავწერე მოხსენება. სამი დღე და ღამე ვემზადებოდი. წითელაბაჟურიანი ლამპის შუქზე მუხლებზე მედო წიგნი, რომელიც ცეცხლოვანთვალებიანი ადამიანის მიერ იყო დაწერილი.

ფუჭი და ფუყე ცრუ სიბრძნე ბჟუტავს,
თან დღენაკლული და წარმავალია,
უკვდავი გონების მზესავით კაშკაშთან,
იგი რა მოსატანია.

ის ამბობდა აგრეთვე:

„ცილისწამებას შეხვდი გულგრილადო“!

როგორ თუ გულგრილად! არა და არა! მე იმათ ვაჩვენებ!

დამაცადონ ერთი! — გაავებული ვამბობდი ჩემთვის და თან კუნაპეტ ღამეში მუშტებით ვიმუქრებოდი... შევასრულე დანაპირები... საამქრო აწრიალდა და აფორიაქდა. მომხსენებელი ორივე ბეჭით მიწას გავაკარი. მაყურებელთა თვალებში რაღაც ჩუმი და უტყვი სილაღე და სიკასკასე შევნიშნე.

— აბა, ბოლომდე, ბოლომდე, ბოლო მოუღე და გაასავათე!..

მაგრამ სამაგიეროდ რა იყო შემდგომ!!! რა იყო შემდეგ!!! მე თურმე „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ვყოფილვარ“, თან „ბატონი და მბრძანებელი“ და ამასთან ერთად „ბურჟუაზიის დამქაში“...

აჰ, ეს მტვრიანი დღეები და სულის შემხუთველი ღამეები!

იდგა ზაფხული, ქ.დ. 1920-ე წელსა. ტიფლისიდან ადამიანი მოგვევლინა ეს გამოცხადება გახლდათ. ღრმა მოხუცი ადამიანივით სახედანაოჭებულმა, მთლად მოტეხილმა და მოშვებულმა ახალგაზრდა კაცმა საკუთარი თავი წარმოგვიდგინა: პოეზიის შფოთისთავიო; თან ჩამოიტანა პატარა წიგნი, რომელიც ღვინის პრეისკურანტს მოგაგონებდათ... იმ წიგნში მისი ლექსები იყო დაბეჭდილი. აი, ასეთი რითმაც ვნახეთ:

შროშანი და ნაგერალა,
ის ყოფილა ნაძირალა;

ალბათ ჭკუიდან შევიშლები, ნამდვილად გავგიჟდები, ნამდვილად! პირველი ნახვისთანავე ახალგაზრდამ ამითვალწუნა, და ჩემს მიმართ ზიზღით განეწყო. ყოველ გაზეთში აურზაურსა და აყალმაყალს ტეხს (განსაკუთრებით გამოირჩევა მე-4 გვერდი, მე-4 სვეტი).

ჩემს შესახებაც წერს და პუშკინზეც, სხვაზე არაფერზე. პუშკინი უკვე ეზიზღება ყველას, ჩემზე მეტად პუშკინი. იმას რა უჭირს, დიდი ხანია მარადისობაშია, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!

დავიღუპები, ნამდვილად დავიღუპები, ჭიასავით გამსრესენ...

VI
ბრინჯაოს საყელო

რა დაწყევლილი ქალაქია ეს ტიფლისი!

იქიდან მეორეც გვეწვია! ბრინჯაოს საყელოიანი, ბრინჯაოსი!

ჟურნალის ხმაურიან კრებებზე გამოდიოდა... სულაც არ ვხუმრობ! ბრინჯაოს საყელოთი... გესმით?!..

(ბელეტრისტი სლეზკინი გააგდეს, მოიშორეს თავიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას მთელ რუსეთში კარგად იცნობენ, თან ფეხმძიმე ცოლი ჰყავს. ეს ახლადმოვლენილი კი მის ადგილზე მოკალათდა. ესეც შენი „იზო“. „ლიზო“. ესეც შენი სახალიჩე ფული...)

VII
ბიჭუნები ყუთში

თავს გვირგვინი დასდგომია მთვარეს. მე და იურა აივანზე ვზივართ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცის თაღს მივჩერებივართ. შვებას ვერ ვგრძნობთ. რამდენიმე საათში ვარსკვლავები გაქრება და ჩვენს თავზე ცეცხლოვანი სფერო აელვარდება; ჩვენ კი კვლავ დავიწყებთ სულის ღაფვას ქინძისთავზე გაკრული ხოჭოებივით.

აივნის კარს მიღმა, თითქოს სადღაც დასაკარგავში ბავშვის გაუთავებელი ჭყივილი ისმის. მთების ძირას, სრულიად უცხო ქალაქში, ერთ მოცუცქნულ, სამხეცე გალიასავით პატარა ოთახში მშიერ სლეზკინს ბავშვი გაუჩნდა. ბავშვი ყუთში ჩააწვინეს, ყუთი კი ფანჯრის რაფაზე შემოდგეს, ზედ ასეთი წარწერა გაუკეთეს: — me Marie. Modes et Robes.

პაწაწინა არსება გამუდმებით წკმუის.

საცოდავი ბავშვი!

ბავშვი კი არა, ჩვენ თვითონ ვართ საცოდავები!

ირგვლივ მთები შემოჯარულან. მთვარის შუქზე მათაც ჩასძინებიათ. შორს, ძალიან შორს ჩრდილოეთში უკიდეგანო დაბლობებია. სამხრეთში ხეობები, ხევები და ღრანტეები, შფოთიანი მდინარეებიც უამრავია. სადღაც დასავლეთით კი ზღვაა. თავზე მას „ოქროს რქა“ დაჰნათის.

...გინახავთ Tangle-foot-ზე ბუზები?!

როგორც კი ბავშვის ჭყივილი წყდება, გალიაში შევდივართ.

პომიდორი, ცოტაოდენი შავი პური და არაყი. ფუ, რა საშინელი არაყია! მაგრამ, დალევ თუ არა, უკეთესობას გრძნობ!

როცა ირგვლივ ყველაფერი ღრმა ძილში იძირება, მწერალი თავის ახალ ნაწარმოებს მიკითხავს. მას სხვა მსმენელი არა ჰყავს. ღამე კი კვლავ ლივლივებს. ნაწარმოების ავტორი კითხვას ამთავრებს, ფრთხილად კეცავს ხელნაწერს და ბალიშის ქვეშ ინახავს, რადგან, მაგიდაც კი არ გაგვაჩნია. მიმქრალ აისამდე ვჩურჩულებთ!..

(რა დიდებული სახელები წარმოთქვა ჩვენმა გამშრალმა პირმა, რა სახელები! პუშკინის ლექსები კი საოცრად გვეხმარება ჩვენი გაბოროტებული სულის დასაშოშმინებლად. რუსეთის მწერლებო! მოერიდეთ გაგულისებასა და გაბოროტებას).

მხოლოდ ტანჯვის შედეგად მოდის ჭეშმარიტება... დარწმუნებული იყავით, ეს მართლაც ასეა! თუმცა ჭეშმარიტების შეცნობაში არც ფულს გიხდიან, არც ულუფებს იძლევიან; სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

VIII
გამჭოლი ქარი

ევრეინოვი ჩამოვიდა. ჩვეულებრივი თეთრი საყელო ამშვენებს. შავ ზღვაზე ყოფილა და პეტერბურგში მიემგზავრება. აქ გავლით მოხვედრილა.

სადღაც ჩრდილოეთში იყო ასეთი ქალაქი.

ნეტავ თუ კიდევ არის? ამაზე მწერალს გაეცინა, გვარწმუნებს, დღესაც არსებობს ეს ქალაქიო, თუმცა იქამდე ჩასვლას დი-

დი დრო სჭირდება, სამი წელი თბილანა ვაგონში უნდა იცხოვრო. მთელი საღამო ვტკბებოდი თეთრი საყელოს ყურებით და სულგანაბული ვისმენდი სათავგადასავლო მოგზაურობის ამბებს.

მთლად უფულოდ ვიყავი, ნივთებიც კი მომპარეს... ხოლო მეორე და უკანასკნელ საღამოს ვიჯექი სლეზკინთან ერთად იმ სასტუმრო ოთახში, რომელიც დიასახლისმა გამოგვიყო. ოთახი მთლად გაბოლილი იყო თამბაქოს კვამლით. პიანინოსთან იჯდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, რომელიც რკინისებური ნებისყოფითა და არნახული გამძლეობით იტანდა მის მიმართ ცნობისმოყვარეობის მტანჯველ გამოვლინებას; ოთხი პოეტი კაცი, პოეტი ქალი და საამქროს მხატვარი ისხდნენ დარბაისლურად და თვალმოუშორებლად და ხარბად მისჩერებოდნენ სტუმარს.

ევრეინოვი საზრიანი ადამიანია:

— აი, „მუსიკალური გრიმასებიც“...

წარმოთქვა მან, მაშინვე კლავიატურისკენ მიბრუნდა და დაიწყო: თავდაპირველად იმის შესახებ, თუ როგორ უკრავდა როიალზე სტუმრად მყოფი სპილო, შემდეგი იყო შეყვარებული პიანინოს ამწყობი, დიალოგი ოქროსა და ფოლადს შორის, ბოლოს კი პოლკა.

ათიოდე წუთის შემდეგ საამქრო მთლად მოიშალა, დაიშალა, არსებობის უნარი დაკარგა, ჯდომა და დგომა აღარავის შეეძლო, ყველანი ჭერეხებივით იატაკზე ეყარენ, ხელებს ასავსავებდნენ, კვნესოდნენ... ცოცხალთვალებიანი ადამიანი კი შორს გაემგზავრა. აღარავითარი გრიმასები...

თითქოს გამჭოლმა ქარმა აიტაცაო, ისე დაქრიან!

ერთი მიიჩქარის ქერჩიდან ვოლოგდაში, მეორე კი პირიქით, ვოლოგდიდან — ქერჩში. აბურძგნული ოსიპი ჩემოდნით ხელში მიძვრება და ეტენება, ბრაზობს და თან გაჰყვირის:

— აი, ნახავთ, ნახავთ, ვერ ჩავაღწევთ, მორჩა და გათავდა!

— რა თქმა უნდა, ვერსადაც ვერ ჩააღწევ. თუ არ იცი სად მიდიხარ!

გუშინ კი რიურიკ ივნევი გაემგზავრა, ტიფლისიდან მოსკოვში მიდიოდა.

— მოსკოვში უკეთესიაო!

იმდენი იარა და იმოგზაურა, რომ ერთხელ სარუე თხრილთან დაწვა:

— არ ავდგები, ხომ უნდა მოხდეს რაიმე?

მართლაც მოხდა: შემთხვევით ნაცნობი დაადგა თავს, წაიყვანა და სადილით გაუმასპინძლდა;

მეორე პოეტი მოსკოვიდან ტიფლისს გაემგზავრა.

— ტიფლისში უკეთესიაო!

მესამე კი ოსიპ მანდელშტამი გახლდათ. ერთ ნისლიან დღეს იგი მოულოდნელად გვეწვია. თავი პრინცივით ამაყად მაღლა ეჭირა. ლაკონიურობით ლამის გაგვანადგურა:

— ყირიმიდან მოვდივარ. ცუდადაა საქმე... ხელნაწერს ხომ არ შეისყიდით?

— ...მაგრამ ფულს არ გვიხ... — ის-ის იყო დავიწყე, მაგრამ დამთავრება არ დამაცადა, ისე გავარდა; წავიდა, გაემგზავრა, არავინ იცის, საით გასწია...

ბელეტრისტი პილნიაკი როსტოვში ჩასულა, ფქვილის გადასაზიდი მატარებლით უმგზავრია, თურმე ქალის კოფთა სცმია.

— განა როსტოვში უკეთესია?

— არა, არა, დასასვენებლად მივდივარ!

ორიგინალური ადამიანია — მოოქროვილ სათვალეს ატარებს.

სერაფიმოვიჩი ჩრდილოეთიდან მოგვევლინა!

დაღლილი თვალებითა და მოგუდული ხმით იგი ჩვენს საამქროში მოხსენებას კითხულობს.

— ალბათ გახსოვთ ტოლსტოისთან ჯოხზე წამოცმული და საგულდაგულოდ მიმაგრებული თავსაფარი; იგი ხან ეტმასნება, ხან ისევ გაიშლება და თან ფარფატებს; ის თავსაფარი ხომ როგორც ცოცხალი არსება, ისე წარმოგვიდგება... მახსოვს, არყის ბოთლზე მისაკრავად ლოთობის საწინააღმდეგო იარლიყი უნდა შემედგინა. დავწერე ფრაზა, ერთი სიტყვა წავშალე და ზემოთ სხვა სიტყვა დავამატე. ცოტა კიდევ ვიფიქრე — ისევ რაღაც წავშალე და რამდენჯერმე ასე გავიმეორე, სამაგიეროდ ისეთი გამოვიდა, როგორიც საჭირო იყო, სხარტი და მოქნილი... ახლა კი წერენ, დიახ, უჩვეულოდ წერენ!

აიღებ ხელში, წაიკითხავ, არა, არა! ვერაფერს გაუგებ! კიდევ სხვა რაღაცას წაიკითხავ, იქაც ისეთივე ამბავია, იძულებული ხარ, ყველაფერს თავი მიანებო და აღარაფერს გაეკარო!..

კედელთან ბინადრობს ადგილობრივი საამქრო in corpore. ისეთი თვალებით იყურებიან, თითქოს არ ესმით, რაზეა ლაპარაკი. რაც უნდათ, ის ქნან, თავიანთი საქმეა.

სერაფიმოვიჩი გაემგზავრა... ანტრაქტი გამოცხადდა.

IX
ᲓᲘᲓᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„პოდოტდელის“ დეკორატორმა ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვი დახატა მობრეცილი ცხვირითა და ისეთი საზარელი პენსნეთი, რომ შორიდან გეგონებოდათ ჩეხოვს საავტომობილო სათვალეები უკეთიაო. პორტრეტი უშველებელ მოლბერტზე მოვათავსეთ. პავილიონში ჟღალ-წითური ფერები სჭარბობდა, იდგა პატარა მაგიდა გრაფინით და ნათურაც ენთო.

წავიკითხე შესავალი სტატია „ჩეხოვის იუმორის“ შესახებ. დროდადრო თითქოს გონება მიბნელდებოდა, როგორც ჩანს იმის გამო, რომ სამი დღის უსადილო ვიყავი, შესაძლოა რაიმე სხვა მიზეზითაც. ის ღონისძიება თეატრში ტარდებოდა, დარბაზი ისე იყო გადაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. ხანდახან ვიბნეოდი კიდეც, ბუნდოვნად ვხედავდი ერთმანეთში არეულ სახეებს, რომლებიც თითქოს გუმბათამდე აჩხორილიყვნენ. გაღიმებოდა მაინც ვინმეს... თუმცა მალე ერთსულოვანი და მქუხარე ოვაციები გაისმა. შეცბუნებული და დარცხვენილი მაშინვე მივხვდი, ეს აღტაცება და ოვაციები ჩემი გამოსვლის დასრულებით იყო გამოწვეული. ცოტა შვება მაინც ვიგრძენი და კულისებს მივაშურე. ორი ათასი ვიშოვე, ხუმრობა ხომ არ იყო; ახლა სხვებმაც იმტვრიონ თავი-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის. მოსაწევად გავწიე და მესმოდა, როგორ წუხდა ერთი წითელარმიელი:

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ თავიანთი იუმორით! კავკასიაში შემოვიარეთ და აქაც გვაბრიყვებენ და თავგზას გვიბნევენ!..

სრულ სიმართლეს ამბობდა ეს ტულელი მეომარი!

მალე ჩემს მიერ ამოჩემებულ ადგილს მივაშურე და სარეკვიზიტოს უკან ბნელ კუთხეში შევიკუნჭე. მესმოდა, როგორ გუგუნებდა და რა ჟრიამული გაუდიოდა დარბაზს. ვაშა! იცინიან, იცინიან! ყოჩაღ მსახიობებო! ძალზე დაგვეხმარა „ქირურგია“ და ის ისტორიაც, თუ როგორ დააცემინა ჩინოვნიკმა.

გამარჯვება! წარმატება! ვირთაგვების სოროს მსგავს ჩემს კუთხე-კუნჭულში სლეზკინი მოვარდა, იგი ხელებს ისრესდა და თან სისინებდა:

— აბა, მეორე პროგრამასაც შეუდექი!

გადავწყვიტე, „ჩეხოვის იუმორის საღამოს“ შემდეგ „პუშკინის საღამო“ წარმომედგინა.

მე და იურა შეთანხმებულად და დიდი შეხმატკბილებით ვწერდით პროგრამას!

— ამ რეგვენს არ სცოდნია ხატვა! — მძვინვარებდა სლეზკინი. — მარია ივანოვნას დავავალოთ!

მაშინვე ავბედითი წინათგრძნობა დამეუფლა, რადგან ვგრძნობდი, მარია ივანოვნას ისე ეხერხებოდა ხატვა, როგორც მე ვიოლინოზე დაკვრა. ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როცა მარია ივანოვნა „პოდოტდელში“ გამოგვეცხადა და განგვიცხადა, თვით -ის ნამოწაფარი ვარო (მახსოვს იგი მაშინვე დანიშნეს „იზო“-ს გამგედ).

ღონისძიების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სადეკორატოროში შევედი და გავშეშდი, ოქროს ჩარჩოდან ნოზდ-

რიოვი მომჩერებოდა. აჰ, რა საოცრად გამოიყურებოდა... თავხედური და გადმოკარკლული თვალები, ერთი ბაკენბარდი მეორეზე უფრო მომცრო და მეჩხერი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ხარხარს ატეხდა და მეტყოდა:

— ძმობილო, ეს-ეს არის ბაზრობიდან დავბრუნდი! მომილოცე — რაც გამაჩნდა, ყველაფერი წავაგე!

არ ვიცი, რა სახე მქონდა, მაგრამ მხატვარი ქალი საშინლად აღშფოთდა და ისე აჭარხლდა, რომ პუდრის სქელმა ფენამაც ვერ დამალა მისი სახის სინითლე.

— მგონი არ მოგწონთ, არა?..

— რას ამბობთ, ჰე, ჰე! მშვენიერია, მშვენიერი! მხოლოდ აი, ცოტა ბაკენბარდები...

— რა, რა ბაკენბარდები? ესე იგი თქვენ ვერ სცნობთ პუშკინს! ლიტერატორი კი გქვიათ! ჰა, ჰა, ჰა! როგორ ფიქრობთ, პუშკინი გაპარსული უნდა დაიხატოს?

— მაპატიეთ, ბაკენბარდები ბაკენბარდებია, მაგრამ პუშკინი ხომ კარტს არ თამაშობდა, თუმცა თუკი თამაშობდა, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე!

— რა კარტის თამაში! არაფერი მესმის, როგორც ვხედავთ, მე თქვენ აბუჩად მიგდებთ!

— მოითმინეთ, მოითმინეთ! სწორედ ეს არის აბუჩად აგდება! თქვენს პუშკინს ხომ ყაჩაღის თვალები აქვს.

— აჰა... მაშ ასე, არა?

ფუნჯი დააგდო, კარებისკენ გაემართა და მომაძახა:

— „პოდოტდელში“ გიჩივლებთ...

ეს რა იყო! ეს რა იყო!.. როგორც კი ფარდა გაიხსნა, ჩაბნელებულ დარბაზს თვალწინ წარმოუდგა თავხედურად და კადნიერად მომღიმარი ნოზდრიოვი. დამსწრე საზოგადოებას სიცილმა გადაურბინა.

მხატვარი თამარ მინაშვილი

ღმერთო ჩემო! ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჩეხოვის იუმორს პუშკინის იუმორი მოჰყვებოდა! ცივი ოფლი მასხამდა, მაგრამ როგორღაც ძალა მოვიკრიბე და ლაპარაკი დავიწყე „რუსული სიტყვიერების დათოვლილ სივრცეებში ჩრდილოეთის ციალის შესახებ“. დარბაზში კი ბაკენბარდების გამო გაუთავებელი ხითხითი ისმოდა. ჩემს ზურგსუკან ნოზდრიოვი აყუდებულიყო და მეჩვენებოდა, თითქოს რაღაცას მებუტბუტებოდა:

— მე რომ შენი უფროსი ვიყო, პირველივე ხეზე ჩამოგახრჩობდიო!

ცოტა ხანს კი ვიკავებდი თავს, მაგრამ მერე მეც ხითხითი ამიტყდა. არნახული და არგაგონილი წარმატება მხვდა წილად. არც მანამდე და არც შემდგომში არასდროს მღირსებია ასეთი მხურვალე ოვაციები. ყოველივე ამას მოჰყვა crescendo. როცა სცენურ წარმოდგენაში სალიერიმ მოწამლა მოცარტი, თეატრის მაყურებლებმა თავიანთი კმაყოფილება წამახალისებელი ხარხარით გამოხატეს და თან მჭექარე შეძახილიც მიაყოლეს: „ის“?

შეშინებული ვირთხასავით გავრბოდი თეატრიდან და ბუნდოვნად მოვკარი თვალი, როგორ მიიჩქაროდა უბის წიგნაკიანი პოეზიის შფოთისთავი რედაქციისკენ!

ასეც ვიცოდი! გაზეთი უკვე ბოძზე გაეკრათ. მასში კი მე-4 გვერდი ეკავა შემდეგს:

ი ს ე ვ პ უ შ კ ი ნ ი!

(დედაქალაქის ლიტერატორებმა, აფარებენ რა თავს ხელოვნების ადგილობრივ „პოდოტდელს“, კვლავ დამოუკიდებლად მიიღეს თვითნებური გადაწყვეტილება და კიდევ ერთხელ სცადეს საზოგადოების გარყვნა, რისთვისაც მას თავიანთი კერპი პუშკინი წარუდგინეს, თან საკუთარ თავს იმის ნებაც კი მისცეს, ეს კერპი ბაკენბარდებიან მემამულედ წარმოეჩინათ. თუმცა დავუშვათ, იგი მართლაც იყო მებატონე და ყმების მეპატრონე!.. და ა.შ. და ა.შ.)

ღმერთო ჩემო! ნუთუ არ შეიძლება, რომ ეს შფოთისთავი მიიცვალოს და გაქრეს? ირგვლივ ხომ ტიფის ეპიდემიაა და რა იქნება, ისიც რომ ავად გახდეს! ეს კრეტინი უთუოდ ციხის კარამდე მიმიყვანს!

აჰ, კიდევ ის გაპუდრული ჯოჯოხეთის მოციქული „იზო“?

დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა!.. მსგავსი საღამოები აკრძალეს!

...დგება აუტანელი შემოდგომა. დაუდგრომლად შხაპუნობს დამრეცი წვიმა. არ ვიცი რა გვეშველება, რა ვქნათ, რა ვიღონოთ? რა უნდა ვჭამოთ? საჭმელი გვექნება?

X
წვივსახვევი და შავი თაგვი

სიბნელეში, გვიან ღამით წუმპეებში მივაბიჯებ მშიერ-მწყურვალი. ფეხებზე მაცვია დახეული, პირდაფჩენილი ფეხსაცმელები და წინდების ნაგლეჯები. ცა არ ჩანს, მის მაგივრად უშველებელი წვივსახვევი ჰკიდია. არაფერი დამილევია, მაგრამ მაინც მთვრალივით მივბარბაცებ სასწარკვეთილი, თან ჩემთვის ვბუტბუტებ:

— ალექსანდრე პუშკინი, Jumen coeli. Sankta rosa.

ჭექა-ქუხილივით ჩამესმა მისი მუქარა.

შევიშალე თუ რა ამბავია ჩემს თავს? ამოძრავდა და თითქოს გარბის ფარნის ჩრდილი. ვიცი, ეს ჩემი ჩრდილია, ჩრდილს ცილინდრი ახურავს, მე კი — კეპკა; ცილინდრი ხომ შიმშილის გამო ბაზარზე გავყიდე, კეთილმა ადამიანებმა იყიდეს და მისგან „პარაშა“ გააკეთეს. გულსა და ტვინს ნამდვილად ვერ წავიღებ ბაზარში გასაყიდად, სულიც რომ გამძვრეს. კვლავ სასოწარკვეთა მეუფლება, თავზე წვივსახვევი დამფრიალებს, გულს კი შავი თაგვი მიღრღნის.

XI
კნუტ ჰამსუნზე მოხერხებულად ვიქცევი

(ვ შ ი მ შ ი ლ ო ბ)

.....

XII
უნდა გავიქცე, უნდა გავიქცე!

— ასი ათასი მაქვს... ასი ათასი!..

ჩემი შრომით მოვიპოვე!

ყველაფერი კი ადგილობრივი ნაფიცი ვექილის თანაშემწემ მასწავლა. სტუმრად მოვიდა ჩემთან, დაინახა, რა გაოგნებული ვიჯექი, ხელებზე თავი ჩამოიდო და მომმართა:

— არც მე მაქვს ფული. არსებობს ერთადერთი გამოსავალი, პიესა უნდა დავწეროთ, რა თქმა უნდა, ეს იქნება ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებიდან; კარგი იქნება, რაიმე რევოლუციური თუ გამოვა. ჰოდა, მერე გავყიდოთ.

გამოთაყვანებული შევყურებდი მას და ბოლოს ვუპასუხე:

— ადგილობრივების ცხოვრებიდან ვერაფერს დავწერ და საერთოდ, მე მგონი, არაფრის წერა აღარ ძალმიძს; დავიღალე და ლიტერატურისადმი მიდრეკილებაც თითქოს სადღაც გამიქრა.

აი, რა მიპასუხა მან:

— სისულელეს ლაპარაკობთ. ეს ყველაფერი შიმშილის ბრალია. ვაუკაცურად მოიკრიფეთ მხნეობა, ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრება უმნიშვნელო რამაა. მშვენივრად ვიცნობ მათ ყოფას... ერთად დავწერთ, ფულს კი გავიყოფთ.

იმ დღიდან მოყოლებული გამუდმებით ვწერდით. ჩემს თანაავტორს პატარა მრგვალი ღუმელი ედგა. მისი ცოლი ოთახში გაბმულ თოკებზე ფენდა სარეცხს, ჩვენთვის ვინეგრეტს ამზადებდა და ამასთან ერთად სახარინიანი ჩაითაც გვიმასპინძლდებოდა. შეხმატკბილებულნი ვმუშაობდით; ჩემი კოლეგა იქაურ წეს-ჩვეულებებს მიყვებოდა, ადამიანებს მისახელებდა, მე კი ფაბულას ვწერდი. ქალიც მოგვიჯდებოდა ხოლმე და რჩევას გვაძლევდა. სხვათა შორის, დავრწმუნდი, რომ ცოლ-ქმარს უფრო მეტი ნიჭი და უნარი აღმოაჩნდათ ლიტერატურისა, ვიდრე მე. მათ მიმართ სულაც არ მიგრძვნია შური, რადგან მტკიცედ გადავწყვიტე, ეს იქნებოდა უკანასკნელი ნაშრომი ჩემს ლიტერატურულ ასპარეზზე.

აი, ასე ვწერდით!

ჩემი თანამოსაქმე ნებივრობდა და ღუმელთან განცხრომას ეძლეოდა.

— ძალიან მიყვარს შემოქმედებითი წვა! — იმეორებდა იგი დროდადრო.

მეც, რაც ძალი და ღონე მქონდა, კალამს ვაწრიპინებდი.

შვიდი დღის შემდეგ სამმოქმედებიანი პიესა მზად გვქონდა. როცა ღამით ჩემს გაყინულ ოთახში პიესა კიდევ ერთხელ გადავიკითხე, მინდა გამოგიტყდეთ და არც მრცხვენია იმის აღიარება, რომ ცხარე ცრემლით ავტირდი, რადგან ეს იყო უნიჭობისა და გონებაჩლუნგობის წარმოუდგენელი და შემაძრწუნებელი გამოვლინება. ამ კოლექტიური ნაშრომის ყოველი სტრიქონიდან საოცარი სიყეყეჩე და აღვირახსნილი კადნიერება იფრქვეოდა. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. მე უგუნურს რისი იმედი უნდა მქონოდა, თუკი უკეთესად წერა არ შემეძლო? მუქი მწვანე ფერის კედლებიდან და საოცრად ჩაბნელებული ფანჯრებიდან თვით სირცხვილი შემომყურებდა და თვალებით მჭამდა.

გადავწყვიტე ხელნაწერი დამეხია, მაგრამ შევჩერდი, რადგან გამახსენდა იმათი მოსაზრება, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლებელია დაწერილის განადგურება და მოსპობა! შეიძლება დაწვა, დახიო, ხალხის თვალს მოაშორო, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს მოუხერხებ, ვერაფერს; დამთავრდა, მორჩა! ეს ყველაფერი წარუშლელ კვალს სტოვებს... ეს საოცრება შევქმენი მე, იგი ჩემი შრომის ნაყოფია!

ადგილობრივ „პოდოტდელში“ პიესამ ფურორი მოახდინა. იგი მაშინვე იყიდეს ორასი ათასად, ორი კვირის შემდეგ კი უკვე სცენაზე იდგმებოდა. ათასობით მაყურებლის ერთად შეკრულ მზერას წარმოუდგა მოელვარე ხმლები და სატევრები, ანთებული თვალები, მასრები. მას შემდეგ, რაც მესამე მოქმედებაში მამაცი მხედრები შემოცვივდნენ, დაუნდობლად ეკვეთნენ ბოქაულსა და ჩაფრებს და ყველანი შეიპყრეს კიდეც, — ჩეჩნები, ყაბარდოელები და ინგუშები ერთად აყვირდნენ:

— ვაა! ეგ არამზადა და გათახსირებული! მაგის ღირსი იყო, მაგისი!

„პოდოტდელის“ ქალიშვილებთან ერთად სცენაზე გაუთავებლად იხმობდნენ ავტორს, კულისებში კი მადლობისა და კმაყოფილების გრძნობით აღსავსენი მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხელს გვართმევდნენ და იმეორებდნენ:

— რა კაი რამეა, აჰ, რა კაი პიესაა! — ო, მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, თან მთელი სულითა და გულით აულში გვეპატიჟებოდნენ.

...უნდა გავიქცე, უნდა გავიქცე! სხვანაირად არ შემიძლია. გზისთვის ასი ათასი მეყოფა... წინ, მხოლოდ წინ — ზღვისკენ! იქ კი ზღვით — საფრანგეთში, ხმელეთზე, პარიზში!

...სახეში უმოწყალოდ მცემდა ირიბი წვიმა.

ჩიხებითა და შესახვევებით უკანასკნელად გავრბოდი სახლისაკენ... — მოგმართავთ თქვენ, ბელეტრისტებო, დრამატურგებო, პარიზში, ბერლინში! აბა სცადეთ, სცადეთ თავის შესაქცევად და გასართობად შეძლებთ განა რაიმე უარესის დაწერას? ისეთივე ნიჭიერები რომ იყოთ, როგორც კუპრინი, ბუნინი ან გორკი — მაინც ვერ შეძლებთ ამის გაკეთებას. ეს შევძელი მხოლოდ მე, კოლექტიურ შემოქმედებაში რეკორდი მოვხსენი... ჩვენ ხომ სამნი ვწერდით ერთად: მე, რწმუნებულის თანაშემწე და გაავებული შიმშილი; ეს იყო 21 წლის დასაწყისში...

XIII

.....

გაქრა, დაიკარგა; აღარ არსებობს ქალაქი მთის ძირში. ღმერთმა დაგწყევლოთ და შეგაჩვენოთ... ციხისძირი, მახინჯაური, მწვანე კონცხი! ყვავიან მაგნოლიები, იმხელა თეთრი ყვავილები აქვთ, თეფშები გეგონებათ. ბანანი, პალმები! გეფიცებით, საკუთარი თვალით ვიხილე, პალმაც მიწიდან ამოზრდილიყო. ზღვა კი დაუსრულებლად შეღიღინებს გრანიტის ლოდებს. წიგნებში არ იტყუებიან, მზე მართლაც იძირება ზღვაში. აჰ, ეს თვალწარმტაცი და მშვენიერი ზღვა, ეს თვალშეუდგამი ცისქვეშეთის სიმაღლეები, მცოცავი და ხვიარა მცენარეებით დაფარული ციცაბო კლდეები და ქარაფი. ჩაქვი, ციხისძირი, მწვანე კონცხი.

ნეტავი ვიცოდე, საით გამიწევია, საით? სად მივემგზავრები? მაცვია ობლად დარჩენილი უკანასკნელი პერანგი. მანჟეტებზე დაბრეცილი ასოები დამიწერია, — გულში კი ურთუღლეს იეროგლიფებს დაუდიათ ბინა. იდუმალი ასო-ნიშნებიდან მხოლოდ ერთადერთის გაშიფვრა მოვახერხე. ეს ნიშნავს: ვაი ჩემს თავს! დანარჩენებს განმიმარტავს ნეტავ ვინმე?

უსულოსავით ვწევარ ზღვის მარილიანი წყლით შემოჩარხულ და მოვარაყებულ კენჭებზე. შიმშილისაგან მთლად დავსუსტდი. დილიდან მეწყება თავის ტკივილი და მთელი დღე არ მეშვება, შუაღამისასაც ზღვაზე ვარ, თუმცა ზღვას თითქოს ვერცა ვხედავ, მესმის მხოლოდ, როგორ გუგუნებს იგი, ხან აქეთ მოასკდება ნაპირს, ხან კი უწყალოდ მოწყდება და პირს უკან იქცევს. დაგვიანებით შობილი ტალღა კი შიშინებს და დუდუნებს. მოულოდნელად, ჩამუქებული კონცხის მიღმა სამწყება შუქის ნათება იფრქვევა.

„პოლაცკი“ „ოქროს რქისაკენ“ მიილტვის.....

ცრემლებიც ისეთივე მარილიანია, როგორც ზღვის წყალი.

უცნობი პოეტებიდან ერთ-ერთი მათგანი შემხვდა; იგი ნური-ბაზრობაზე დადიოდა, თავიდან მოეხადა ფარფლებიანი ქუდი და ყიდდა. „კაცოები“ დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ.

პოეტი დარცხვენილი იღიმებოდა და ყველას უხსნიდა, რომ სულაც არ ხუმრობდა, ქუდს თურმე იმიტომ შეელია, რომ მისთვის ფული მოუპარავთ. ამჯერად იგი იტყუებოდა, დიდი ხანია მას ფული არ გაჩნდა და რამდენიმე დღე შიმშილობდა კიდეც... მოგვიანებით, როცა ორივემ ერთი გირვანქა მჭადი ვიშოვეთ და მეგობრულად გავიყავით, პოეტი გამომიტყდა, რომ პენზიდან იალტაში მიდიოდა, კინაღამ სიცილი ამიტყდა. მაგრამ უცებ საკუთარი თავი გამახსენდა: მე, მე რას ვაპირებმეთქი? ვფიქრობდი უიმედობით შეპყრობილი.

მოთმინების ფიალა აივსო. თორმეტ საათზე „ახალი გამგე“ მოგვევლინა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე გამოგვიცხადა:

— სხვა გზა უნდა ავირჩიოთ! აღარ გვჭირდება ეს პორნოგრაფიები: „ვაი ჭკუისაგან“ და „რევიზორი“. გოგოლი. მოგოლი. საკუთარ პიესებს დაწერთ.

თქვა ეს, ჩაჯდა მაშინვე მანქანაში და წავიდა.

მისი სახე თავში ისე ჩამებეჭდა, მთელი სიცოცხლე არ მავიწყდებოდა.

ერთი საათის შემდეგ ბაზარზე ჩემი მაზარა გავყიდე. გემი საღამოს გადიოდა; არ ამიშვეს; თქვენ წარმოგიდგენიათ, გემზე არ მიშვებდნენ!

საკმარისია! დე, ანათოს „ოქროს რქამ“, მე იქამდე მაინც ვერ მივაღწევ. მოთმინებასა და გამძლეობასაც თავისი საზღვარი აქვს. ძალა აღარ შემრჩა, მშიერ-მწყურვალი ვარ, მთლად მოვტყდი და დავუძლურდი, თითქოს ტვინიც კი დამეშრიტა და გონებაც აღარ მიმუშავებს. დავსუსტდი და შიშმაც შემიპყრო; მაგრამ რაც უნდა იყოს, აქ აღარ დავრჩები. რადგან ასეა... ესე იგი... ესე იგი...

XIV
შინისაკენ

ვბრუნდები შინ! მივემგზავრები ზღვით, შემდეგ კი თბილანათი. თუ ფული არ მეყოფა, ფეხით გავაგრძელებ გზას, მაგრამ გეზს შინისკენ არ შევიცვლი. სახლში მიმეჩქარება...

(მოსკოვისკენ, მოსკოვისკენ!!!)

...

მშვიდობით ციხისძირო, მშვიდობით მახინჯაურო, მწვანე კონცხო!!!

წარწერები მანჟეტებზე
მოსკოვის თვალუწვდენელი უფსკრული;
დიუვლამი

უკიდეგანო წყვდიადი. ღრჭიალი, ჩხარუნი; კვლავ მიგორავენ და მიჰქრიან ბორბლები, მაგრამ თანდათან ანელებენ სვლას, სულ უფრო ნელა, სულ უფრო ნელა და გაჩერდნენ. როგორც ჩანს, ეს არის დასასრული, ყველაფრის ბოლო, დასასრულის დასასრული. წასასვლელი აღარსადაა. ეს მოსკოვია. მ-ო-ს-კ-ო-ვ-ი!

წამიერად ყურადღებას იპყრობს წყვდიადიდან ამოხეთქილი ხანგრძლივი და მძლავრი ხმა. საშინელი გრიალი და გრუხუნი გაუდის ჩემს თავს.

C’est la lu-u-tte fina-a-le!..

...L’internationa-a-a-le!!!

აქაც ასევე ხრინწიანად, ხმაჩახლეჩილად, საზარლად და შიშისმომგვრელად გაისმის: ინტერნაციონალთან ერთად!

უკუნ სიბნელეში მწკრივად ჩარიგებულან თბილანა ვაგონები, სტუდენტური ვაგონიც ჩაწყნარებულა... როგორც იქნა გავბედე და ჩავხტი ქვემოთ. ჩემთან ერთად კვნესა-კვნესით რაღაც რბილი საგანი ჩამოცურდა, მე კი რელსს ჩამოვედე და სადღაც სიღრმეში ჩავიკარგე. ღმერთო ჩემო, ნუთუ ფეხქვეშ მართლა უფსკრულია-მეთქი, გავიფიქრე შეძრწუნებულმა...

ამოძრავდნენ, დაიძრნენ, მიდიან და მიღოღავენ ზურგზე ვეებერთელა ტვირთაკიდებული რუხი ფერის მოძრავი არსებები.

ანაზდად ქალის ხმა მომესმა:

— აჰ, აღარ შემიძლია!..

კუნაპეტ ჯანღში გავარჩიე კურსისტკა, სამედიცინოს სტუდენტი გოგონა. მან ხომ მოკუნტულმა და მობღუნძულმა სამი დღე და ღამე ჩემთან ერთად იმგზავრა.

— მომეცით, მოგეხმარებით!

მყისიერად მომეჩვენა, რომ მრუმე და კუნაპეტი უფსკრული შეინძრა და შეტორტმანდა, შემდეგ მთლად გამწვანდა; რა არაადამიანური სიმძიმეა, ნეტავ რა წონაა?

— სამი ფუთია, ვტენიდით და ვტკეპნიდით ფქვილს.

თვალებიდან ლამის ნაპერწკლები გადმომცვივდა, ძლივს მივბარბაცებდი, მაგრამ მაინც მივიწევდი სინათლისკენ.

სინათლეს შუქ-სხივები გამოეყო...

შუქ-სხივისკენ მიცოცავდა და მიიკლაკნებოდა წარმოუდგენელი რუხი ქვეწარმავალიც. აი, შუშის გუმბათიც. ისმის ხანგრძლივი და დაუსრულებელი გუგუნი. შუქი და სინათლე დაუნდობლად სჭრის ადამიანს თვალს. ბილეთი. კუტიკარი. ერთად იჭექა უამრავმა ხმამ რაც თავაშვებულ ლანძღვა-გინებად გადაიქცა. კვლავ წყვდიადი. მას კვლავ სინათლის სხივი ენაცვლება. სიბნელე. სინათლე. მოსკოვი! მოსკოვი!

ტვირთმზიდავი ისე დაუტვირთავთ, ლამის ეკლესიის გუმბათს გაუტოლდეს, ეკლესიის გუმბათს კი არა, ხავერდოვან ცის თაღსაც მისწვდება. გრიალით, ბათქითა და ზავთით მიჰქროდა და მიგორავდა მზიდავი. რუხბალახონიანები არაადამიანური და დემონური ხმით თათხავდნენ მეეტლეს, ცხენებს რომ დასჭყიოდა და უწრუპუნებდა, ლანძღავდნენ და აგინებდნენ საზიდარსაც, ყველაფერს რომ ედებოდა და გზაში გამუდმებით იჩხირებოდა.

ტვირთმზიდავს მთელი ჯგრო მისდევდა... ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ თავს იჩენდა კურსისტკა გოგონას მოთეთრო და მოგრძო პალტო. როგორც იქნა გავაღწიეთ არეულ-დარეული და ჩახერგილი ბორბლებიდან, აღარ ჩანდნენ წვერებიანი სახეები. გზას შევუდექით აყრილ-დაყრილ და ანგრეულ ქვაფენილზე. ირგვლივ კვლავ წყვდიადი და კუნაპეტი უკუნი! ნეტავ სადა ვართ? რა ადგილია? სულერთია, არა აქვს მნიშვნელობა, მთელი მოსკოვი ჩამუქებული და ჩაშავებულია. შენობები დუმან, გულცივად და გოროზად გამოიყურებიან.

ო-ჰო-ჰოო! აი, ეკლესიაც ამოლივლივდა, ნათლად და მკაფიოდ არც კი მოჩანს, თითქოს სიცხადე აკლიაო, თანაც მალე ისევ სიბნელეში ჩაინთქა.

შუაღამის ორი საათია. ღამე სად გავათიო? უამრავი სახლია, რამდენიც გნებავთ! ამაზე ადვილი რა არის? ნებისმიერ სახლზე შეიძლება დააკაკუნო და ღამის გათევა სთხოვო. წარმომიდგენია, რა მოხდება!

მესმის კურსისტკა გოგონას ხმა:

— სად მიდიხართ?

— არ ვიცი!

— როგორ თუ არ იცით...

...ქვეყნად კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. აი, აქვე ახლოს მდგმურების ოთახია! ერთი მდგმური სოფლიდან ჯერ არ დაბრუნებულა, როგორმე ღამეს გაგვათევინებენ!..

— ოო, თქვენი დიდი მადლობელი ვარ! ხვალ კი ნაცნობებს მოვძებნი!

ცოტა გავხალისდი, იმედიც ჩამესახა და საოცარი რამ მოხდა. როგორც კი გაირკვა, რომ ღამის თავშესაფარი მაქვს, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ სამი ღამის უძილო ვიყავი.

ხიდზე ორი ფარნის შუქს წყვდიადი გაურღვევია. იმავე წყვდიადში ვიღაცამ ტყაპანი მოადინა. ფარანმაც იმძლავრა, გავარჩიე რუხი ღობე, მასზე კი აფიშა უზარმაზარი კაშკაშა ასოებით რაღაც სიტყვა მოჩანს; ღმერთო ჩემო! ეს რა სიტყვაა! „დიუვლამი“. ნეტავ რას ნიშნავს? რას ნიშნავს, რას?

ვლადიმერ მაიაკოვსკის მეთორმეტე იუბილე.

საზიდარი გაჩერდა. ბარგი გადმოვიღეთ. პატარა სკამზე ჩამოვჯექი და მონუსხულივით მივჩერებივარ იმ სიტყვას. აჰ, როგორც ჩანს კარგი რამაა ეს სიტყვა; მე კი უბადრუკი პროვინციელი ვარ. მე ხომ იქ, მთებში ვხითხითებდი და დავცინოდი განყოფილების გამგეს; თურმე რას მივედრები!..

მოსკოვი კი არც ისე საშიში ყოფილა, როგორც მას აღწერდნენ!..

მოსვენებას არ მაძლევს აკვიატებული სურვილი, სადმე ვნახო სრულიად სხვა იუბილარი; არასდროს მინახავს, მაგრამ ძალიან კარგად ვიცნობ, ვიცნობ!.. იგი ორმოცი წლისაა, პატარა ტანის, მელოტი, სათვალიანი, ძალზე მოძრავი და მოუსვენარია. აკეცილტოტებიანი მოკლე შარვალი აცვია; მსახურობს, არ ეწევა. აქვს ფარდებიანი დიდი ბინა, რომელშიც იგი

ცოტა შეავიწროვეს, შეამჭიდროვეს და ნაფიცი ვექილი შეუსახლეს, თუმცა იგი ახლა ნაფიცი ვექლი კი აღარ არის, არამედ სახელმწიფო შენობის კომენდანტია. ბინის მეპატრონე ბუხრიან კაბინეტში ბინადრობს. ბუხარს კი არ ანთებს. უყვარს კარაქი, თავშესაქცევი და სასაცილო ლექსები და წესრიგი ოთახებში. მისი საყვარელი მწერალია კონან დოილი, საყვარელი ოპერა — „ევგენი ონეგინი“. პრიმუსზე თვითონ იმზადებს კატლეტებს, ვერ იტანს ვექილ-კომენდანტს და ოცნებობს იმაზე, თუ როდის გაასახლებს მას საკუთარი ბინიდან. მერე კი დაქორწინდება და ხუთ ოთახში უდარდელად იცხოვრებს.

ტვირთმზიდავი აჭრიალდა, შემდეგ შეირხა, ატოკდა, ცოტა გაიარა და ისევ შეჩერდა. ათასნაირმა ორომტრიალმა და პოლიტიკურმა ქარტეხილმა ვერაფერი დააკლეს შეუვალ და გაუტეხავ მოქალაქე ივან ივანოვიჩ ივანოვს.

საზიდარი გაჩერდა ერთ სახლთან. იქედან იმდენი რამ გადმოიტვირთა, რომ იგი შესამჩნევად დაპატარავდა. შიშისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა, სახლიც კი ისეთი უზარმაზარი მომეჩვენა, ლამის თხუთმეტსართულიანი მეგონა. წყვდიადსა და უკუნეთში თვალთან თითს ვერ მიიტანდი; ასეთ სიბნელეში სადარბაზოსთან პატარა არსება მოუსვენრად წრიალებდა, შფოთავდა და თან ჩურჩულებდა: „მამი, მამი კარაქი? მამი ღორის ქონი? მამი, თეთრი... მამი...“ მამა კი იდგა სიბნელეში და ბურტყუნებდა: „აჰა, მაშ ლორი, ხომ, მაშ კარაქი... თეთრი... შავი... აჰა... ჰოდა, ესე იგი...“

შემდეგ კი ანაზდეული ნათებით წყვდიადს მამიკოს კოტიტა თითი გამოეყო, რომელიც მან საგულდაგულოდ დაინერწყვა და მეფორნეს 20 ცალი ქაღალდის ფული მიუთვალა.

აჰ, რა ქარიშხალი და გრიგალი გველის! დიდი ამბებია მოსალოდნელი და ამ ყველაფერს ბევრი ვინმეც შეეწირება, თუმცა მამიკოს არაფერი ემუქრება, გადარჩება, გადარჩება!!!

ტვირთმზიდავი უზარმაზარ ბაქანს დაემსგავსა, სადაც უგზო-უკვლოდ ჩაიკარგა ჩემი თანამგზავრი გოგონას ტომარა და ჩემი საკვოიაჟიც. ჩამოვჯექით, ფეხები ჩამოვაკონწიალეთ, მერე კი ჩვენც უკუნ წყვდიდაში ჩავინთქით.

ᲡᲐᲮᲚᲘ №4, ᲛᲔ-6 ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝ, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲑᲘᲜᲐ 50, ᲝᲗᲐᲮᲘ 7

მართალი გითხრათ, არც ვიცი, რატომ გადავკვეთე მთელი მოსკოვი და რისთვის მოვაშურე ამ უზარმაზარ შენობას. ოფიციალური ქაღალდი, რომელიც მთაგორიანი საუფლოდან დიდის ამბით წამოვიღე, შეიძლება ყველა ექვსსართულიან შენობას შეეხებოდა, ანდა უფრო სწორად სულაც არ ეხებოდა არც ერთ მათგანს.

მე-6 სადარბაზოში წყობიდან გამოსული ლიფტის ბადიან მილთან შევჩერდი და ცოტა სული მოვითქვი. კარებს მივუახლოვდი, დავინახე ორი წარწერა. ერთი მათგანი იყო: „ბინა 50“, ხოლო მეორე იდუმალი და ჩემთვის გაუგებარი გამოდგა. ეს გახლდათ „ხუდო“.[19] კვლავ სული მოვითქვი. ისე კი ნამდვილად დასაფიქრებელია, ასე თუ ისე ადამიანის ბედი წყდება.

კარი არ ჩანდა ჩაკეტილი, ვკარი ხელი და შევედი. ნახევრადბნელ დერეფანში ქაღალდებით სავსე უზარმაზარი ყუთი იდგა. იქვე როიალის თავსახური შევნიშნე. მალე ოთახი კარგად მოვათვალიერე, იქ კვამლში ჩაფლული უამრავი ქალი იჯდა. უცებ საბეჭდი მანქანის ხშირი და მწყობრი კაკუნი გაისმა, მაგრამ მაშინვე მიწყნარდა. ვიღაც ბანმა წარმოთქვა: მეიერხოლდი.

— სად არის „ლიტო“? — ვიკითხე ხმამაღლა და თან ხის მოაჯირს დავეყრდენი.

იქვე, მოაჯირთან მოკალათებულმა ქალმა ჩემს კითხვაზე გაღიზიანებულად აიჩეჩა მხრები და უარით მიპასუხა. მეორემაც არაფერი იცოდა. განვაგრძე გზა ჩაბნელებულ-ჩაშავებულ დერეფანში. ბუნდოვნად და გაურკვევლად, ალალბედზე მივდიოდი. ერთი კარი შევაღე, სააბაზანო აღმოჩნდა. მეორე კარზე ქაღალდის ნაგლეჯი იყო მიკრული, ჩანდა დაბრეცილად მიეკრათ, თან ნაპირებიც აგრეხოდა. „ლი“, აა, მადლობა ღმერთს. ჰო, ჰო, „ლიტო“ — გულმა ბაგაბუგი დამიწყო. კარს იქით კი ისმოდა: დუ-დუ-დუ...

თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, რა ხდებოდა კარს მიღმა: პირველ ოთახში უნდა ყოფილიყო მოზრდილი ხალიჩა, სანერი მაგიდა და წიგნის კარადები... ირგვლივ საზეიმო და ზეაწეული სიჩუმე; აი, მაგიდასთან ზის მდივანი, ალბათ იგი ერთ-ერთი იმათგანი იქნება, რომელსაც ჟურნალებიდან კარგად ვიცნობ. მოშორებით კიდევ ერთი კარია. იქ გამგის კაბინეტია და უფრო ღრმა და შთამბეჭდავი სიჩუმეა, ვიდრე სხვაგან. როგორ ფიქრობთ, ვინ ზის, სავარძელში? ვინ და „ლიტო“, „ლიტო“ მოსკოვში. დიახ! დიახ! გორკი მაქსიმე; „ფსკერზე“, „დედა“. აბა, სხვა ვინ შეიძლება იყოს? დუ-დუ-დუ... მესმის საუბარი, ერთიც ვნახოთ და ესენი ბრიუსოვი და ბელი არიან...

ჰოდა, საოცარი სიფრთხილით დავაკაკუნე. დუ-დუ-დუ შეწყდა. ვიღაცამ ყრუდ წარმოთქვა: დიახ! დიახ! შემდეგ კი კვლავ გააგრძელეს: დუ-დუ-დუ! სახელურს შევეხე და იგი ხელში შემრჩა; გავშეშდი, კარიერის შესანიშნავი დასაწყისია, — გასაღები გავტეხე! კვლავ დავაკაკუნე: დიახ! დიახ, შემოდით!

— ვერ შემოვდივარ! — წამოვიყვირე მე.

— სახელური გადაატრიალეთ ჯერ მარჯვნივ, შემდეგ კი მარცხნივ. თქვენ ხომ ჩაგვკეტეთ!

მარჯვნივ, მარცხნივ. ...კარი მართლაც ადვილად გაიღო და...

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠ

როგორც ჩანს სხვაგან მოვხვდი. ეს „ლიტო“ არ არის? დავინახე მოწნული სააგარაკე სკამი, ცარიელი ხის მაგიდა, ღია კარადა, კუთხეში კი ზემოთ ფეხებაშვერილი კიდევ ერთი პატარა მაგიდა. ოთახში ორი ადამიანი მოჩანდა. ერთი მათგანი იყო პენსნეიანი, ძალზე მაღალი ახალგაზრდა კაცი. თვალში მომხვდა მისი თეთრი წვივსახვევები; მას ხელში ეკავა სიძველისგან მთლად დამსკდარი, აქერცლილი პორტფელი და ტომარა. იქვე იდგა მეორე ადამიანი, ჭაღარაშერთული მოხუცი, ცოცხალი და მომღიმარი თვალებით. მას თავზე ფაფახი ეხურა და ტანზე ჯარისკაცის მაზარა ეცვა, რომელზეც ერთი ადგილი არ იყო, რომ დახეული არ ყოფილიყო, თან მთლად ნასვრეტებით იყო სავსე, ჯიბეები კი ნაგლეჯებივით ეკიდა. სამეჯლისო, ბაფთებიან ლაქის ფეხსაცმელებთან ერთად მასაც წვივსახვევები ემოსა, თუმცა ყმაწვილისგან განსხვავებით ისინი რუხი ფერის იყო. უსიცოცხლო მზერა შევავლე მათ სახეებს, შემდეგ კედლებს და კარს დავუწყე ძებნა. კარი ვერ დავინახე. გაწყვეტილსადენებიანი ოთახი უიმედოდ ჩაკეტილ სივრცეს მოგაგონებდათ. ენაბლუსავით ძლივს წარმოვთქვი:

— ეს... „ლიტოა“?

— დიახ!

— გამგის ნახვა შეიძლება?

მოხუცმა თავაზიანად და ალერსიანად მიპასუხა:

— მე გახლავართ.

მერე ხელში აიღო მოსკოვური გაზეთის უზაგრმაზარი ფურცელი, მეოთხედი მოახია, წეკო ჩაყარა, „თხის ფეხივით“ შეახვია და შემეკითხა:

— ასანთი ხომ არა გაქვთ?

ანგარიშმიუცემლად გავკარი ასანთს, თან მაშინვე ჯიბიდან სანუკვარი ქაღალდი ამოვიღე. ამასობაში მოხუცებული ალერსიან და ცნობისმოყვარე მზერას არ მაცილებდა. მან ჩემს მიერ გაწვდილი დოკუმენტი ხელში აიღო და თვალიერება დაუწყო. მე კი შევყურებდი მას და ვიტანჯებოდი, მინდოდა გამომეცნო, ვინ იყო იგი... ყველაზე მეტად წვერგაპარსულ ემილ ზოლას მაგონებდა.

ახალგაზრდა მისკენ გადაიხარა და მოხუცის მხარზე გადახრილი ისიც ყურადღებით კითხულობდა ჩემს ოფიციალურ საბუთს. როცა კითხვა დაამთავრეს, ორივემ გაკვირვებით და თან პატივისცემით დამიწყო ცქერა.

— ესე იგი თქვენ?..

მე მაშინვე ვუპასუხე.

— „ლიტო“-ში მინდა მუშაობა!

ახალგაზრდამ აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ჩინებულია, ჩინებული! იცით რა...

მან მოხუცს ხელი ჩასჭიდა და ჩურჩულს მოჰყვა.

მოხუცი ქუსლებზე შემოტრიალდა, მაგიდიდან კალმისტარი აიღო და სასწრაფოდ სხაპასხუპით წარმოთქვა:

— განცხადება დაწერეთ!

განცხადება მზად მქონდა, უბეში ვინახავდი, იგი მაშინვე გავუწოდე ორივეს.

მოხუცმა კალმისტარი მოიმარჯვა, ქაღალდს აძგერა და თითქოს ააღრჭიალა კიდეც იგი, მაგრამ „ფხრინ“ და ქაღალდი გაიფხრიწა... კალამი მშრალი აღმოჩნდა, მისი სამელნეში ჩაწობა კი უაზრობა იყო, რადგან იქაც სიმშრალეს დაესადგურებინა...

— იქნებ ფანქარი მოძებნოთ?

ფანქარიც მქონდა თან, გამგემ ირიბად მოჩხაპნა:

„გთხოვთ დანიშნოთ „ლიტო“-ს მდივნად“, ბოლოს ხელიც მოაწერა.

რამდენიმე წამს პირდაღებული მივჩერებოდი ფანქრის ერთი მოსმით ოსტატურად გამოჩარხულ ხელმოწერას.

ახალგაზრდამ სახელოზე მომქაჩა:

— სასწრაფოდ ადით ზემოთ, სანამ არ წასულან! ჩქარა, ჩქარა!

შურდულივით გავვარდი, ზემოთ გავეშურე, კარებს ვეცი, ქალებით სავსე ოთახში ჩავიქროლე და კაბინეტში შევვარდი. კაბინეტში მყოფმა ჩემი განცხადება ხელში აიღო და ზედ წააწერა: „დაინიშ. მდივ“... ასოები მოაკაუჭა, ერთი გემრიელად დაამთქნარა და მომმართა:

— ქვემოთ ჩადით!

გონებაარეული კვლავ ქვემოთ დავეშვი. თვალი მოვკარი საბეჭდ მანქანას. ამჯერად არა ბანმა, არამედ სოპრანოს მსგავსმა წკრიალა ხმამ მაუწყა: „მეიერხოლდი. „ოქტომბერი თეატრში“.

მოხუცის ირგვლივ ახალგაზრდა ტრიალებდა, იქაურობას იკლებდა, თან ხმამაღლა იცინოდა;

— დანიშნე ხომ? შესანიშნავია! ყველაფერს მოვაგვარებთ, ყველაფერს! აი, ნახავთ, რა წესრიგს დავამყარებთ!

მერე მეც მომწვდა, მხარზე ხელი დამარტყა და განაგრძო:

— არაფერი ინაღვლო, გული არ გაიტეხო!

ბავშვობიდანვე ვერ ვიტანდი მოურიდებელ და ძმაბიჭურ მოპყრობას და თავიდანვე მაინც მუდამ ამის მსხვერპლი ვხდებოდი. ამჯერად კი ისე ვიყავი ამ მოვლენებით დათრგუნული, რომ გაოგნებულმა ძლივს წარმოვთქვი:

— ხომ საჭიროა მაგიდები... სკამები... ბოლოს და ბოლოს სამელნეც!

ახალგაზრდამ კვლავ დიდი შემართებით წამოიძახა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ! იქნება, ყველაფერი იქნება!

მაშინვე მოხუცს მიაშურა და ჩემზე თვალით ანიშნა:

— საქმიანი ყმაწვილია. უცებ როგორ მოიფიქრა მაგიდების შესახებ! ყველაფერს მშვენივრად მოაგვარებს, ყველაფერს!

დაინიშ. მდივნ.! ღმერთო ჩემო! „ლიტო“ მოსკოვში.

მაქსიმ გორკი... „ფსკერზე“, „შეჰერეზადა“, „დედა“!..

ახალგაზრდამ ტომარა გამობერტყა, მაგიდაზე გაზეთი გაშალა და ზედ დაახლოებით 5 გირვანქა ბარდა გადმოყარა.

— ეს თქვენ! თქვენი ულუფის 1/4...

— ეს კი თქვენ...

„ლიტო“ უნდა ავამოქმედო...

ლიტერატურის ისტორიკოსს არ უნდა დაავიწყდეს, რომ 21 წლის დასასრულს რესპუბლიკაში ლიტერატურას მისდევდა სამი ლიტერატორი:

მოხუცი (შენიშვნა: იგი, რა თქმა უნდა, არ გამოდგა ემილ ზოლა, არამედ ჩემთვის სრულიად უცნობი ადამიანი აღმოჩნდა), ახალგაზრდა (იგი მოხუცის თანაშემწედ ითვლებოდა და წინათ არც მას ვიცნობდი, თურმე ლექსებს წერდა) და მე (მე კი არაფერს ვწერდი).

ისტორიკოსმა უნდა იცოდეს: „ლიტო“-ში არ იყო არც სკამები, არც მაგიდები, არც მელანი, არც ნათურები, არც წიგნები, არც მწერლები და არც მკითხველი. მოკლედ და კონკრეტულად: არაფერი იყო.

სიცარიელიდან ძველებური წითელი ხის კონტორულა მაგიდა ამოვათრიე, შიგ ვიპოვნე ძველი, გაყვითლებული ოქროსფერი მუყაო შემდეგი წარწერით: „ქალბატონები ნახევრადღია სამეჯლისო კაბებში, სამხედროები სამხრეებიან სერთუკებში, სამოქალაქო საზოგადოება მუნდირებსა და ზონრებიან ფრაკებში, სტუდენტებიც აგრეთვე მუნდირებში... მოსკოვი, 1899 წ.“

იგრძნობოდა ნაზი, მოტკბო სუნი. როგორც ჩანს, იმ უჯრაში ოდესღაც ფრანგული სუნამოს ფლაკონი იდო. იმ ძველისძველ მაგიდას მოვაყოლე სკამი, მელანი, ქაღალდი და, წარმოიდგინეთ, ქალიშვილიც კი, ნაღვლიანი, ნელი და აუჩქარებელი გოგონა. ჩემი შეგონებით მან მაგიდაზე გაშალა და დასტა-დასტად დაალაგა ყველაფერი ის, რაც კარადაში მოვიძიეთ: ბროშურები ვიღაც მავნებლების შესახებ, „პეტერბურგის გაზეთის“ 12 ნომერი, საგუბერნიო განყოფილებათა ყრილობებზე დასასწრები წითელი და მწვანე მოსაწვევი ბარათების მთელი შეკვრა...

მალე „ლიტო“ კანცელარიას დაემსგავსა. მოხუციც და ახალგაზრდაც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ბეჭებზე ხელს ალერსიანად მიტყაპუნებდნენ, თუმცა ორივენი მალე სადღაც გაქრნენ.

საათობით ვისხედით ერთად მე და ის სევდიანი ქალიშვილი. ის თავის მაგიდას უჯდა, მე კი ძველისძველ კონტორულას. ვკითხულობდი „სამ მუშკეტერს“. განუმეორებელი დიუმას ეს წიგნი სააბაზანო ოთახში იატაკზე ვიპოვე. სევდიანი და სანდომიანი ქალიშვილი ჩუმად იჯდა და დროდადრო ღრმად ოხრავდა. ერთხელ შევეკითხე:

— რატომ ტირით?

პასუხად მას ქვითინი აუტყდა; ეტყობოდა, ძალზე აწუხებდა რაღაცა.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ თავისი ამბის მოყოლა დაიწყო:

— არ ვიცოდი და როცა გავთხოვდი, მაშინ გავიგე, რომ ჩემი ქმარი ყაჩაღი და ავაზაკი ყოფილა.

არ მეგონა, ამ ორი წლის საოცარი თავგადასავლების შემდეგ თუ რაიმე გამაკვირვებდა, მაგრამ ამჯერად ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

გამოთაყვანებულივით შევყურებდი გოგონას:

— ნუ ტირით, ნუ ტირით, რა არ ხდება! — ვუთხარი და ვთხოვე, ყველაფერი მოეყოლა.გოგონა ცრემლებს იწმენდდა და თან მიყვებოდა, თუ როგორ გაჰყვა ცოლად ვითომ სტუდენტს, როგორ გაადიდა მისი ფოტოსურათი და ჩამოკიდა ოთახში. შემდეგ კი მოსულა რწმუნებული, დაუნახავს კაცის ფოტო და უთქვამს, რომ იგი სულაც არ იყო კარასევი და თურმე უამრავ გვარს ატარებდა. იყო დოლსკი, გლუზმანი და აგრეთვე სენკა-მომენტი.

— მომენტი... — იმეორებდა საცოდავი ქალი, გაუთავებლად კრთოდა, თრთოდა და ცრემლად იღვრებოდა.

— გაიქცა? ჯანდაბამდე გზა ჰქონია, რას იზამთ!

გავიდა სამი დღე, მაგრამ არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა, არც არავინ მოსულა, არავითარ სიახლეს ადგილი არ ჰქონია.

მე და ის ქალიშვილი მარტო ვიყავით. დღეს კი უცებ თითქოს გონება გამინათდა და მივხვდი — „ლიტო“ ამქვეყნად არსად ირიცხებოდა; „ლიტო“ არ არსებობდა.

ჩვენს ზემოთ რაღაც სიცოცხლის ნიშანწყალი იგრძნობოდა, ადამიანები დადიოდნენ, ისმოდა ფეხების ბაკუნი, თითქოს კედლის იქითაც იგრძნობოდა ცხოვრება, ხან სიცილი გვესმოდა, ხან საბეჭდი მანქანა კაკუნობდა, მათთან გაპარსული ადამიანები მიდი-მოდიოდნენ. ამ შენობაში ძალზე პოპულარული გახლდათ მეიერხოლდი, თუმცა ერთხელაც არ გამოჩენილა.

ჩვენთან კი არაფერი ხდება, არც არაფერი გვაქვს, არც ქაღალდი, არც სხვა რამ.

გადავწყვიტე „ლიტო“ ავამოქმედო!

კიბეზე ქალს გაზეთების დასტა ამოჰქონდა. ზედა გაზეთზე ეწერა:

— „იზო“-ს.

— აბა, „ლიტო“-ს არაფერი?

ქალს ისე შეეშინდა, ვერც კი მიპასუხა. ავედი ზემოთ. მივედი გოგონასთან, რომელიც პლაკატს ადგენდა; მგონი, მდივანი გოგონა იყო. მან მომისმინა და შეცბუნებულმა მეორე ქალიშვილს გადახედა:

— მართლაცდა, „ლიტო“?! — წარმოთქვა პირველმა მათგანმა;

მას მეორე გამოეპასუხა:

— ლიდოჩკა, მგონი მათთვის რაღაც დოკუმენტია.

— მერედა, რატომ არ გამოგვიგზავნეთ? — შევეკითხე შეუვალი ხმით.

გოგონებმა დაძაბულად შემომხედეს და მიპასუხეს:

— ჩვენ გვეგონა, იქ არავინ იყო!..

„ლიტო“ ამოძრავდა, შრომის ფერხულში ჩაება. ზემოდან, სადაც ქალიშვილები მუშაობდნენ, მიმართვა მივიღეთ. დოკუმენტი თავსაფრიანმა ქალმა მოიტანა, თან დავთარში ხელი მომაწერინა.

სამეურნეო განყოფილების სახელზე განცხადება დავწერე, საბეჭდი მანქანა გვჭირდება-მეთქი.

ორიოდე დღის შემდეგ ერთ-ერთი თანამშრომელი გამოგვეცხადა; მხრები აიჩეჩა:

— ნუთუ საბეჭდი მანქანა გჭირდებათ?

— ვფიქრობ, ყველაზე მეტად გვჭირდება ჩვენ, ვიდრე ვინმეს ამ შენობაში.

გამოჩნდა მოხუცი, ახალგაზრდაც გვეახლა. როცა მოხუცმა საბეჭდი მანქანა დაინახა, თქვა, რომ მასაც სჭირდებოდა რაღაც დოკუმენტის შედგენა, თან დაჟინებით დიდხანს მომჩერებოდა, შემდეგ კი, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და წარმოთქვა:

— თქვენში ნამდვილად არის რაღაც; აუცილებლად ეცადეთ, რომ სააკადემიო ულუფა დაგინიშნონ...

მე და ბანდიტის ახალგაზრდა მეუღლემ სახელფასო უწყისებზე მოთხოვნის შედგენა დავიწყეთ. როგორც იქნა „ლიტო“-მ ფეხი მოიკიდა. ჩემმა ბიოგრაფმა უნდა იცოდეს — ეს გავაკეთე მე!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ

დილის 11 საათზე ახალგაზრდა პოეტი გვეწვია. ეტყობოდა მთლად გაყინულიყო; წყნარად წარმოთქვა: შტორნი.

— რით გემსახუროთ?

— „ლიტო“-ში მინდა მუშაობა.

გავშალე ფურცელი, რომელზეც ეწერა: „შტატები“. „ლიტო“-ში 18 ადამიანი იყო საჭირო. კარგა ხანია მოსვენებას არ მაძლევდა შტატების საკითხი და ვოცნებობდი მის შემდეგნაირ განაწილებაზე:

პოეზიის სფეროს ინსტრუქტორები: ბრიუსოვი, ბელი... და ა.შ.

პროზაიკოსები: გორკი, ვერესაევი, შმელიოვი, ზაიცევი, სერაფიმოვიჩი და ა.შ.

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან ჩვენთან არავინ მოდიოდა.

ამიტომაც შტორნის წერილობით თხოვნას მკვირცხლად მივაწერე: გთხ. დანიშ. გამგ. ინსტრ. ბოლოში ასოები მარჯვედ მოვაკაუჭე.

— ადით ზემოთ, ვიდრე არ წასულან!

შემდეგ კი გვეწვია ხუჭუჭთმიანი, ღაჟღაჟა და ხალისიანი პოეტი სკარცევი.მასაც ისევე ვუთხარი, როგორც შტორნს:

— ადით ზემოთ, ვიდრე არ წასულან!

ციმბირიდანაც ჩამოვიდა დაახლოებით 25 წლის უჩვეულოდ პირქუში, სათვალიანი ახალგაზრდა, ისეთი ჩასკვნილი, თითქოს სპილენძისგან იყო ჩამოსხმული.

— ადით ზემოთ!.. — ვუთხარი მასაც.

მან კი მიპასუხა:

— არსადაც არ წავალ! — წარმოთქვა თუ არა ეს, მაშინვე დამტვრეულ და კორიკა სკამზე ჩამოჯდა კუთხეში, ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და მოკლე სტრიქონებით რაღაცის წერა დაიწყო. როგორც ჩანდა, გამოცდილი ადამიანი იყო...

ერთ დღეს კი კარი გაიღო და შემოვიდა ზღვის წავის ბეწვის ქუდიანი და მშვენიერ თბილ პალტოში ჩაცმული მამაკაცი. პოეტი ყოფილა, სახელად საშა.

მოხუცმა მის განცხადებას მაგიური სიტყვები წააწერა. საშამ ოთახი ყურადღებით დაათვალიერა, ჩამოკონწიალებული გაწყვეტილი სადენი მოსინჯა, რატომღაც კარადაშიც შეიხედა, ამოიოხრა, მომიახლოვდა და საიდუმლოდ მკითხა:

— ფული გვექნება?..

ᲕᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲗ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ

მაგიდებთან ყველა ადგილი დაკავებული იყო, წერდნენ ლოზუნგებს. მათთან ერთად ჩანდა კიდევ ერთი ახლადმოვლენილი ადამიანი, ხმაურიანი, მოუსვენარი, ოქროს სათვალიანი. იგი თავის თავს რეპორტიორების მეფეს უწოდებდა. მეფე მეორე დილით გვეწვია, როგორც კი ჩვენთან ავანსის გაცემა დაიწყო. ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა; შემოვიდა თუ არა, წარმოთქვა:

— მომისმინეთ, ამბობენ თქვენთან ფული დაურიგებიათ?

გადაწყვიტა ჩვენთან ემუშავა.

ლოზუნგებს კი რაც შეეხება, აი რაში იყო საქმე.

ზემოდან მივიღეთ განკარგულება:

„ლიტო“-ს ეძლევა წინადადება, ამა და ამ რიცხვში, დღის 12 საათზე სასწრაფოდ წარმოადგინოს მთელი რიგი ლოზუნგებისა. ეს ყველაფერი თეორიულად შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ჩემი დახმარებითა და მონაწილეობით მოხუცს უნდა გამოეცა განკარგულება ან გაევრცელებინა მოწოდება იმ სივრცეში, სადაც სავარაუდოდ იყვნენ ანდა შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მწერლები. ლოზუნგები უნდა გამოგზავნილიყო ყველა მხრიდან და ყოველგვარი საშუალებებით: ტელეგრაფით, წერილებით, ზეპირად. შემდეგ კი ათასი ლოზუნგიდან კომისია აარჩევდა საუკეთესოებს და წარადგენდა ამა და ამ რიცხვის 12 საათისთვის. მე და ჩემს საუწყებო კანცელარიას (ე.ი. ყაჩაღის ნაღვლიან მეუღლეს) უნდა შეგვედგინა მოთხოვნის უწყისი, უნდა მიგვეღო ფული და გაგვენაწილებინა ყველაზე უკეთესი ლოზუნგების ღირსეულ ავტორებს შორის.

მაგრამ ეს მხოლოდ თეორიული მხარე იყო.

რეალურად კი აი რა ხდებოდა:

1) მოწოდების გავრცელება შეუძლებელი იყო, რადგან არავინ არსებობდა, რომ ეს მოწოდება აეტაცებინა და შეესმინა. მაშინ ხომ თვალსაწიერზე თითებზე ჩამოსათვლელად იყვნენ ლიტერატორები: ზემოთჩამოთვლილთ პლუს — მეფე.

2) აქედან გამომდინარე, სულაც არ იყო მოსალოდნელი ლოზუნგების მოზღვავება;

3) ამა და ამ რიცხვში, 12 საათზე შეუძლებლად მიგვაჩნდა ლოზუნგების წარდგენა იმ მარტივი მიზეზით, რომ ქაღალდი მიღებულ იქნა მხოლოდ ამ რიცხვში 1 საათსა და 26 წუთზე.

4) არ იყო საჭირო უწყისის შედგენა, რადგან არ არსებობდა გრაფა „ლოზუნგი“.

მოხუცს კი თურმე ფარული და გაუხმაურებელი თანხა ჰქონია, რომელიც სამსახურებრივი გადაადგილებისთვის ყოფილა გამიზნული.

ამიტომ: ა) ლოზუნგები სასწრაფოდ უნდა შეედგინა ყველას, ვინც სახეზე იყო.

ბ) ჩვენს ირგვლივ რეალურად არსებული წევრებისგან უნდა შემდგარიყო ლოზუნგების განმხილველი კომისია, რომელიც იქნებოდა ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი.

გ) თითოეული ლოზუნგისთვის გადავუხდიდით 15 ათასს და, რა თქმა უნდა, შეირჩეოდა საუკეთესო.

დავიწყეთ მუშაობა 1 ს. და 50 წუთზე, ხოლო 3 საათზე ლოზუნგები მზად იყო. თითოეულმა შეადგინა და შექმნა 5-6 ლოზუნგი; გამონაკლისი შეადგინა მეფემ, რომელმაც 19-მდე როგორც პოეტური და გარითმული, ასევე პროზაული ლოზუნგი წარმოგვიდგინა.

კომისია მართლაც რომ სამართლიანი, მკაცრი და მიუკერძოებელი გამოდგა.

მე — ლოზუნგების ავტორს — არაფერი მქონდა საერთო იმ ჩემს პიროვნულ მე-სთან, რომელიც განიხილავდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა წარდგენილ ლოზუნგებს.

ბოლოს და ბოლოს, მიღებულ იქნა:

მოხუცის — 3 ლოზუნგი

ახალგაზრდის — 3 ლოზუნგი

ჩემი — 3 ლოზუნგი

და ა.შ. და ა.შ.

ერთი სიტყვით, თითოეული მიიღებდა 45 ათასს.

უ-უ-უ, როგორ უბერავს... აი, დაიწყო აუტანელი სიცივეები, და ჟინჟლავს კიდეც. ღუმელის მილზე ღვეზელი დევს, წვიმას მთლად დაუსველებია, მაგრამ ისეთი გემრიელია, ჭკუას დაკარგავ. სახარინის პატარა მილაკი და 2 გირვანქა თეთრი პურიც მაქვს.

შტორნი დავინახე, გზა მომიჭრა, ისიც რაღაცას იღეჭებოდა.

მოულოდნელი კოშმარი

...ვფიცავ, ეს რაღაც საოცარი სიზმარია, ჯადოსნობაა თუ რა არის, ვერ გამიგია...

დღეს სამსახურში 2 საათი დავაგვიანე.

მივედი, გადავატრიალე სახელური, კარი გავაღე, შევედი და რა დავინახე: ოთახი ცარიელი იყო. გავშეშდი, აღარც მაგიდები, აღარც საბეჭდი მანქანა, არც ნაღვლიანი ახალგაზრდა ქალი. ასე გასინჯეთ, ელექტროგაყვანილობაც კი სადღაც გამქრალიყო; მოკლედ, ირგვლივ აღარაფერი ჩანდა...

აჰა! ესე იგი, ეს ყველაფერი სიზმარი იყო? გასაგებია, გასაგებია!

კარგა ხანია მეჩვენება, რომ ირგვლივ მირაჟია, ბუნდოვანი და ამოუხსნელი მირაჟი. იქ, სადაც გუშინ... თუმცა ეშმაკმა უწყის, რატომ გუშინ? იქნებ ასი წლის წინ? იქნებ მარადისობაში?.. ან იქნებ ეს ყველაფერი არც კი იყო?.. შეიძლება არც ახლაა? კანატჩიკოვის აგარაკი...

ეს ნიშნავს, რომ კეთილი მოხუცი... ახალგაზრდა პოეტი... მოღუშული შტორნი... საბეჭდი მანქანა... ლოზუნგები... ეს ყველაფერი არ იყო?

იყო, იყო, გიჟი ხომ არა ვარ, ეშმაკმა დალახვროს!

აბა მაშ სად გაქრა ყველა და ყველაფერი?..

მერყევი ნაბიჯით ნახევრადბნელ კორიდორში მივიკვლევ გზას... თვალებს ვმალავ, ვცდილობ არაფერი შემეტყოს, რათა ხელი არ მტაცონ და არ გამაქანონ. საბოლოოდ დავრწმუნდი, ჩემს თავს რაღაც საოცრება ტრიალებს. სიბნელეში კარები მოჩანს, რომლითაც გვერდით, განათებულ ოთახში შევდივარ. კარზე ცეცხლოვანი წარწერა აინთო, ზუსტად ისე, როგორც კინოშია.

1 8 3 6

მარტის 25 რიცხვში პეტერბურგში უცნაური და უჩვეულო შემთხვევა მოხდა. დალაქი ივან იაკოვლევიჩი...

კითხვა აღარ გავაგრძელე და შეძრწუნებული ჩუმად გამოვიძურწე. მოაჯირთან შევჩერდი, თვალები რაც შეიძლებოდა დავხარე და ყრუდ ვიკითხე:

— მითხარით, ხომ არ იცით, სად გაქრა „ლიტო“?

შავ თმაში ალისფერზონარჩაწნულმა დაღვრემილმა ქალმა გაღიზიანებულად მიპასუხა:

— აჰ, რა „ლიტო“, რის „ლიტო“, არაფერი ვიცი...

თვალები დავხუჭე. მეორე ქალი კი გულისხმიერად და თანაგრძნობით შემეხმიანა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ეს აქ სულაც არ არის! — თქვენ სხვაგან მოხვდით. ეს ვოლხონკაზეა!

თავიდან ფეხებამდე სიცივემ დამიარა... კიბეზე გამოვედი... შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე. გადავწყვიტე კვლავ უკან დავბრუნებულიყავი, მთელი მოსკოვი უნდა გადამესერა, რომ რაზუმიხინთან მოვხვედრილიყავი. ყველაფერი უნდა დავივიწყო. თუკი წყნარად ვიქნები და ხმას არ ამოვიღებ, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდებიან; ალბათ რაზუმიხინთან ვიცხოვრებ, იატაკზე დავწვები ხოლმე, ნუთუ სულით ავადმყოფს გარეთ გამოაგდებს?!

გულში კი სუსტი იმედი მაინც მიღვიოდა. გადავწყვიტე წასვლა და წავედი. ეს ექვსსართულიანი შენობა ჯოჯოხეთი გეგონებოდათ. იქაურობა ჭიანჭველების ბუდესავით ათასნაირი გასასვლელებითა და ხვრელებით იყო სავსე. შიგნით იმდენი სასიარულო იყო, რომ ქუჩაში არც კი მოგიწევდათ გასვლა. მივუყვებოდი ჩაბნელებულ და უღიმღამო ხვეულებსა და ზიგზაგებს. დროდადრო ხის ტიხარსა და მოაჯირს იქით ნიშას ვაწყდებოდი. ზოგან არაეკონომიური ნათურებიც კი ენთო. ვეჩეხებოდი შეწუხებულ და შეურვებულ ადამიანებს, რომლებიც სადღაც მიიჩქაროდნენ. ათობით მემანქანე ქალი იჯდა და ყველანი საბეჭდ მანქანებს არახრახებდნენ. გამუდმებით გაიელვებდნენ და ციალებდნენ წარწერები: „ფინგანი“,[20] „ნაცმენი“.[21]

განათებული კიბიდან კვლავ წყვდიადში ვინთქმებოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვედი აივანზე. გამოთაყვანებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. იქ თითქოს სხვა სამყარო სუფევდა... რაც უფრო შორს მივდიოდი, სულ უფრო ნაკლები იმედი მქონდა იმისა, რომ ოდესმე ვიპოვიდი იმ ჯადოსნურ „ლიტოს“.

იმედი აღარაფრისა მქონდა! როგორც იქნა, ძირს ჩავაღწიე და ქუჩაში გავედი. მოვიხედე, თურმე 1-ელი სადარბაზო ყოფილა...

რა დაუნდობელი და ავი ქარია. ციდან გაუთავებლად ეშვება ცივი ნაკადი. თავზე საგულდაგულოდ ჩამოვიფხატე ზაფხულის ქუდი და, რაც ძალა და ღონე მქონდა, ფარაჯის საყელო ავიწიე. რამდენიმე წუთში ძირგამოგლეჯილი ჩექმები წყლით ამევსო. ცოტა სული მოვითქვი და გზა განვაგრძე. თავს სულაც არ ვიტყუებდი და არც ვინუგეშებდი, რომ არ დავსველდებოდი და სახლამდე მშრალად მივაღწევდი. მართალია, გზას საგრძნობლად ვიგრძელებდი, მაგრამ ქვიდან ქვაზე გადახტომა და ასკინკილით სიარული არც განმიზრახავს და პირდაპირ წუმპესა და გუბეებში მივაბიჯებდი.

მე-2 სადარბაზო, 1-ლი სართული, ბინა 23, ოთახი 40

დავინახე ცეცხლოვანი წარწერა:

ჩვენს ირგვლივ საოცრებები ხდება, ხანდახან ბევრი რამ დამაჯერებლობასაც კი არის მოკლებული; ვიღაც თავმომწონე ყოყოჩა, რომელიც ადრე სახელმწიფო მრჩეველი იყო, დარბაისლურად დაიბღინძებოდა და თან ქალაქში ათასი რამ ჩაიდინა, თითქოს არაფერი მომხდარაო, კვლავ თავის ძველ ადგილს დაბრუნებია.

მართალი უთქვამთ: „დილით უფრო ხარ ჭკუაზე“. ნამდვილად ასეა. როცა დილით სიცივემ გამაღვიძა და აბურძგნულ-თმიანი დივანზე ჩამოვჯექი, მომეჩვენა, თითქოს გონება ცოტა გადამეწმინდა.

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, არ იყო განა „ლიტო“? რა თქმა უნდა, იყო. რიცხვიც კარგად მახსოვს და ისიც ვიცი, რა მქვია. მაგრამ სად გაქრა ყველაფერი? ესე იგი, საჭიროა მოძებნა! აბა ის ქალები, ის ქალები ვოლხონკაზე? აჰ, რა სისულელეა... იმ ქალებს შეიძლება ცხვირწინ ისე აწაპნონ ყველაფერი, ვერაფერს მიხვდებიან. საერთოდ, ძალიან მაინტერესებს, იქ მათ რისთვის აჩერებენ? სატანჯველია და მეტი არაფერი!

ტანზე ჩავიცვი, წყალი დავლიე; ჭიქა წყალი გუშინ მოვიმარაგე; პატარა ნაჭერი პურიც შევჭამე და ერთადერთი კარტოფილი მივაყოლე... შემდეგ რაღაც გეგმაც კი შევიმუშავე:

შენობაში ხომ 6 სადარბაზოა და თითოში 6 სართულია, 36-ჯერ ორ-ორი ბინა=72, 72-ჯერ ექვს-ექვსი ოთახი=432. შეიძლება განა პოვნა? ალბათ შეიძლება. გუშინ არეულ-დარეულად და უწესრიგოდ 2-3 სადარბაზო ჰორიზონტალურად გადავკვეთე. დღეს კი გადავწყვიტე მთელი შენობა გადამეჩხრიკა წესიერად და სისტემურად, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. აუცილებლად ვიპოვნი, თუ რა თქმა უნდა ჩემი ძებნის საგანი სადღაც მეოთხე განზომილებაში არ ჩაიკარგა, თუ ასე მოხდა, მაშინ ეს დასასრულია, დასასრული.

მე-2 სადარბაზოსთან პირისპირ შევეჩეხე შტორნს.

გუშინ ჩემს მოსვლამდე ერთი საათით ადრე თურმე ადმინისტრაციული ნაწილის გამგეს ორი მუშა მიუყვანია და „ლიტო“ გადაუტანიათ მე-2 სადარბაზოს 1-ლ სართულზე, 23-ე ბინის მე-40 ოთახში. ჩვენს ადგილზე ბინას დაიდებს „მუზო“.[22]

— ნეტავ რატომ?

— არ ვიცი. რატომ არ მოხვედით გუშინ? მოხუცი ძალზე ღელავდა;

— მომიტევეთ, რას ბრძანებთ! საიდან უნდა მცოდნოდა, სად გადახვედით? კარებში ბარათი მაინც დაგეტოვებინათ.

— გვეგონა, გეტყოდნენ!..

ლამის კბილების ღრჭიალი დამაწყებინა.

— კარგად მოგეხსენებათ, იქ რომ ქალები სხედან, რა უმაქნისებიც არიან!

— მართალი ხართ, მართალი! — დამეთანხმა შტორნი მაშინვე.

სრული სვლით

...გამომიყვეს თუ არა ოთახი, ძალთა ისეთი მოზღვავება ვიგრძენი, თითქოს სრულიად ახალი ცხოვრება დავიწყე. „ლიტო“-ში ნათურაც კი გავაკეთეთ, საბეჭდი მანქანის ლენტიც ვიშოვე. მალე მეორე ქალიშვილი მოგვევლინა.

გთხ. დანიშ. საქმ. მწ.

პროვინციებიდან ხელნაწერებმა იწყო დენა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი მშვენიერი ქალიშვილი მოგვემატა, ჟურნალისტი, მხიარული ახალგაზრდა; შესანიშნავი მეგობარი გამოდგა.

გთხ. დანიშ. მხატვ. ფელეტ. ბიურ. მდივ.

ბოლოს კი სამხრეთიდან ყმაწვილი კაცი გვეწვია, ისიც ჟურნალისტი; მისთვის ბოლო თხოვნა დაიწერა: გთხ. მეტი ადგილი აღარ გვქონდა.

„ლიტო“ შეივსო და მუშაობაც გაჩაღდა.

ფული! ფული!

სახარინის 12 ტაბლეტი მაქვს, მეტი აღარაფერი...

— ზეწარი სჯობს თუ პიჯაკი?

ხელფასის შესახებ სიტყვა არავის დასცდენია, არაფერი ისმის.

...დღეს ზემოთ ავედი. ქალიშვილები ძალზე ცივად და თავშეკავებულად შემხვდნენ. რატომღაც ვერ იტანენ „ლიტოს“.

— თუ შეიძლება თქვენი უწყისის შემოწმება?

— რაში გჭირდებათ?

— მინდა გავარკვიო, ყველანი თუ არიან აღრიცხულნი.

— მიმართეთ madame კრიცკაიას!

madame კრიცკაია წამოდგა, შეჭაღარავებული თმის ბუჩქი შეარხია და ფერწასულმა წარმოთქვა:

— დაიკარგა.

სიჩუმე.

— რატომ არასდროს გითქვამთ?

madame კრიცკაიამ ცრემლმორეულმა მიპასუხა:

— აჰ, ლამის თავრეტი დამესხას, რომ იცოდეთ აქ რა ხდება, აღარაფერი გამეგება. უწყისი შვიდჯერ შევავსე, უკან მიბრუნებდნენ, ცუდადაა შედგენილიო; თქვენ მაინც ვერ აიღებთ ხელფასს, რადგან სიაში ვიღაცა არ არის ბრძანებით გატარებული...

ეშმაკსაც წაუღია ყველა და ყველაფერი! ნეკრასოვიც და მკვდრეთით აღმდგარი ალკოჰოლიკები. გავქანდი საქმის გასარკვევად. კვლავ ბნელი დერეფნები, წყვდიადი, სინათლე, კვლავ წყვდიადი. მეიერხოლდი. პირადი შემადგენლობა. ნათურები დღეც უნთიათ. რუხი მაზარა. ქალი ჩამპალ-ჩასველებული თექის ჩექმებით. მაგიდები.

— ვინ არ არის ბრძანებით გატარებული?

პასუხი:

— არც ერთი არ არის გატარებული.

საინტერესო და საოცარია ის, რომ თვით „ლიტო“-ს დამაარსებელი მოხუციც კი არ ყოფილა გატარებული! რა, რა? თვითონ მეც არ ვყოფილვარ შეტანილი? ეს რას ჰგავს?

— როგორც ჩანს, თქვენ არ შეგივსიათ ანკეტა!

— როგორ თუ არ შემივსია. მე თქვენთან ოთხი ანკეტა შევავსე და პირადად თქვენ გადმოგეცით. ხოლო რაც ადრე მაქვს შევსებული, მთლიანად 113 ანკეტა იქნება!

— ალბათ დაიკარგა, თავიდან დაწერეთ!

ასე გავიდა სამი დღე, სამი დღის შემდეგ ყველანი აღადგინეს თავიანთ უფლებებში. შედგა ახალი უწყისები.

მე სიკვდილით დასჯის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ თუ madame კრიცკაიას დასახვრეტად წაიყვანენ, დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი. ასევე შემიძლია ვთქვა ზღვის წავის ბეწვისქუდიან ქალიშვილზე და ლიდოჩკაზეც, საქმის მწარმოებლის თანაშემწეზე. ...ყველას გავყრიდი და გავცოცხავდი!..

madame კრიცკაიას ხელში შერჩა უწყისები. მე კი ყველას გასაგონად საყოველთაოდ ვაცხადებ, ხელს აღარაფერზე მოვაკიდინებ. ვერ ამიხსნია, რისთვის მოხვდა აქ ეს ჯოჯოხეთური თმის ბღუჯა. ვინ ანდო მას ეს სამუშაო, ვინ? ეს განგების რაღაც ბოროტი ძალაა და მეტი არაფერი!!!

გავიდა ერთი კვირა. ვიყავი მე-4 სადარბაზოს მე-5 სართულზე. იქ ჩამირტყეს ბეჭედი. საჭიროა კიდევ ერთი ბეჭედი, მაგრამ ორი დღეა ვერსად ვპოულობ სატარიფო-შემფასებელი კომისიის თავმჯდომარეს.

ზეწარი გავყიდე.

ფული ორ კვირაზე ადრე არ იქნებაო!

ხმა გავრცელდა, ამ შენობაში მომუშავეებიდან თითოეულს ავანსი ერგება 500-ის ფარგლებშიო.

სიმართლე გამოდგა. ოთხი დღე ვისხედით და უწყისებს ვავსებდით.

ავანსისთვის გავეშურე უწყისებით შეიარაღებული. ყველაფერი რიგზეა. ყველა ბეჭედი ჩარტყმულია. მე-2-დან მე-5 სართულზე მოსახვედრად ისე გავრბოდი, რომ დერეფანში

კედლიდან გამოშვერილი რკინის ჭანჭიკი გამოვგლიჯე... როგორც იქნა ჩავაბარე უწყისები. შემდეგ ისინი უნდა გადაიგზავნოს მოსკოვის დასალიერში, რომელიღაც სხვა შენობაში. იქ კი იმედია დაამტკიცებენ. აი, მაშინ კი უთუოდ დაგვირიგებენ ფულს...

დღეს, როგორც იქნა, ავიღე ფული! ფული!

ვიდრე სალაროსკენ წავიდოდი, 10 წუთით ადრე მე-4 სართულზე მომუშავე ქალს საბოლოო ბეჭედი უნდა ჩაერტყა. მან ჩახედა უწყისს და წარმოთქვა:

— არასწორადაა შევსებული! უნდა შევაჩეროთ უწყისი!

კინაღამ გონება დავკარგე. ვერ გავიგე, რა მოხდა, თვალთ დამიბნელდა და რაღაც სულისშემძვრელი ამოვიყვირე:

— მასხრად მიგდებთ თუ რა არის?

ქალმა პირი დააღო:

— ااه, თქვენ ასე...

რაღას ვიზამდი, ბედს შევურიგდი, გავჩერდი; ავუხსენი, რომ ძალზე აღელვებული ვარ, ბოდიშიც მოვიხადე და ვუთხარი, რომ ჩემი სიტყვები უკან მიმქონდა. ისიც თავის მხრივ დათმობაზე წავიდა და დამთანხმდა, რომ წითელი მელნით შეასწორებდა. დაიწერა: გაიცეს! — მოკაუჭდა ასოები.

სალაროში, სასწრაფოდ სალაროში!

აჰ, ეს გრძნეული სიტყვა: სალარო! მაშინაც ვერ დავიჯერე, როცა მოლარემ ფული გამომიწოდა.

ძლივს მოვედი გონს: ფ უ ლ ი!

უწყისის შევსების შემდეგ ფულის მიღებამდე გავიდა 22 დღე და 3 საათი. ჰო, სახლში აღარაფერი დამრჩა, აღარც ზეწარი, აღარც წიგნები, აღარც ქურთუკი.

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჭამოს ადამიანმა

გაუფრთხილებლობის გამო გავხდი ავად. დღეს ხორციანი წითელი ბორშჩი გეახელით. თეფშში პატარა ოქროს რგოლები დაცურავდნენ (ცხიმი იყო), სამი მათლაფა შევჭამე; მთელი დღის განმავლობაში სამ გირვანქა პურს ვჭამ. ამჯერად მჟავე კიტრიც მივაყოლე, კარგად ვისადილე და ჩაიც დავაყენე. ოთხი ჭიქა შაქრიანი ჩაი დავლიე, მალე ძილიც მომერია, დივანზე წამოვწექი და ჩამძინებია...

დამესიზმრა, ვითომ ტოლსტოი ვიყავი და იასნაია პოლიანაში ვიმყოფებოდი, თანაც ჩემი ცოლი სოფია ანდრეევნა იყო. ვზივარ ჩემს კაბინეტში, საჭიროა წერა, მაგრამ რა დავწერო არ ვიცი. გაუთავებლად მოდიან ადამიანები და მეუბნებიან: „წამობრძანდით და სადილი მიირთვითო“.

ადგილიდან ფეხს არ ვიცვლი, რაღაცის მეშინია. მგონი რაღაც დიდი გაუგებრობაა, სისულელე ამეკვიატა, მე ხომ არ დამიწერია „ომი და მშვიდობა“, აბა რატომ ვარ აქ? თვით სოფია ანდრეევნა ამოდის კიბეებზე და მეუბნება:

— ჭამის დროა, დღეს ვეგეტარიანული სადილი გვაქვს.

უცებ სიბრაზემ შემიპყრო, როგორ თუ ვეგეტარიანულიმეთქი. ახლავე გააგზავნეთ ხორცის მოსატანად, აუცილებლად გააკეთონ კატლეტი. სირჩა არაყიც არ დაგავიწყდეთ!

ქალი ატირდა; ვხედავ, მორბის ვიღაც დუხობორი, ფართო და ხშირი წითურწვერიანი და საყვედურით მომმართავს:

— არაყიო? აი, აი, აი! რას ამბობთ, რას ამბობთ ლევ ივანოვიჩ!

— ლევ ივანოვიჩი კი არა, ნიკოლაევიჩი! აბა გაეთრიე ჩემი სახლიდან! ახლავე გაეთრიე, არც ერთი დუხობორი აქ არ დავინახო!

აუჰ, რა სკანდალი ატყდა!

ღონემიხდილსა და ძალაგამოცლილს გამომეღვიძა. ბინდი ჩამოწოლილიყო. კედლის იქით ვიღაცა გარმონიკით იქცევდა თავს.

სარკესთან მივედი; აჰ, ეს რა სახე მაქვს, სარკიდან ვინ შემომცქერის? ჟღალი წვერი, ფერმიხდილი ღაწვები, შეშუპებული ქუთუთოები... ამას კიდევ რა უჭირს, მაგრამ აი, თვალები? რაღაც მჭირს, თვალები არ მომწონს. ჩემს თვალებს რაღაც უცნაური ელვარება მისცემია.

ჩემი რჩევაა, გეშინოდეთ და ყურადღება მიაქციეთ თვალების ელვარებას. როგორც კი ამას შეამჩნევთ, მაშინვე ბურჟუას ფულს დაესესხეთ (რა თქმა უნდა, არ გაუსტუმროთ), იყიდეთ სურსათი, რაც გენებოთ, და მიირთვით. მხოლოდ გაფრთხილებთ, ერთბაშად ბევრი არ მიირთვათ; პირველ დღეს ბულიონი და ცოტაოდენი თეთრი პური. შემდეგ ცოტ-ცოტა მიუმატეთ... ის სიზმარი ნამდვილად არ მომეწონა, რა აუტანელი სიზმარი იყო. კვლავ ჩაი დავლიე, მაგრამ სახარინი აღარ მქონდა, გამითავდა. გასული კვირა გამახსენდა. ორშაბათს კარტოფილი ვჭამე ზეთით და 1/4 გირვანქა პური მივაყოლე. დავლიე 2 ჭიქა სახარინიანი ჩაი. სამშაბათს არაფერი მიჭამია, დავლიე 5 ჭიქა ჩაი. ოთხშაბათს ზეინკალს ორი გირვანქა პური დავესესხე. ხუთშაბათს კი არაჩვეულებრივად ვისადილე. აი, ეს როგორ მოხდა.

ორ საათზე ნაცნობებთან წავედი. კარი გამიღო თეთრწინსაფრიანმა მოახლე ქალმა. უცნაური შეგრძნება მქონდა. მეხსიერებაში ამომიტივტივდა ათი წლის წინანდელი ამბავი... სამ საათზე მესმის, როგორ აწყობს მოახლე ქალი მაგიდას სასადილო ოთახში. ვსხედვართ და ვსაუბრობთ (დილით საგულდაგულოდ გავიპარსე). ლანძღავენ ბოლშევიკებს და ჩივიან, თუ როგორ იტანჯებიან. ვგრძნობ, ელოდებიან, როდის წავალ. მე კი წასვლას არც ვაპირებ.

ბოლოს დიასახლისი ამბობს:

— იქნებ ჩვენთან ერთად გესადილათ! არ გნებავთ?

— დიდი მადლობა! სიამოვნებით დაგთანხმდებით!

გეახელით მაკარონიანი წვნიანი თეთრი პურით, მეორეზე — კატლეტი და მჟავე კიტრი, შემდეგ ბრინჯის ფაფა მურაბით და ჩაიც მურაბით.

უნდა გამოვტყდე, ბინძური აზრები დამეუფლა; როცა შინ ვბრუნდებოდი, თვალწინ წარმომიდგა მათი ბინის ჩხრეკის სურათი. აი, შეიჭრნენ მათთან, ყველაფერი გადააქოთეს, კომოდში ქვედა საცვალში დამალული ოქროს მონეტები იპოვეს, საკუჭნაოში კი ფქვილი და შაშხი. ოჯახის პატრონს აპატიმრებენ.

რა სულმდაბლობაა ასეთი აზრები, მაგრამ რა ვქნა, ასე ვფიქრობდი!

ვინც სარდაფში მშიერ-მწყურვალი ზის და წერს ფელეტონს, ნუ მიბაძავთ პიწკია და გულაზიზ კნუტ ჰამსუნს. მიბრძანდით ისეთ ოჯახში, ვინც შვიდ ოთახში ცხოვრობს და ისადილეთ. ღმერთმა შეგარგოთ. პარასკევს სასადილოში წვნიანი და კატლეტი გეახელით, დღეს კი, შაბათს, ფული ავიღე, ზომაზე მეტი საჭმელი ვჭამე და ამის გამო ავადაც გავხდი.

თოვლი. ელჭექი.

მგონი რაღაც საშიშროება გვემუქრება. ალღო ნამდვილად არ მღალატობს. „ლიტო“-ს თავს რაღაც ამბავია, მგონი საქმე ჩაგვეშლება და ჩაგვეფუშება.

დღეს მოხუცი მოვიდა და ლაპარაკი დაგვიწყო, თან თითით ზემოთ, ჭერზე გვითითებდა; იქ ხომ ქალიშვილებს მოეყარათ თავი!

— მგონი, ჩემს წინააღმდეგ ხრიკებს აწყობენ! — გვითხრა მან.

როგორც კი ეს გავიგე, მაშინვე გამოვიანგარიშე რამდენი სახარინი მქონდა კიდევ მარაგში. აღმოჩნდა მხოლოდ 5-6 დღის სამყოფი.

გამხიარულებული მოხუცი ხმაურით შემოვიდა:

— მორჩა, დამთავრდა, ჩავშალე მათი ხრიკები. — ის-ის იყო მან ეს სიტყვები წარმოთქვა, რომ კარებში თავსაფრიანი ქალის თავი გაიჩხირა. ქალმა კარებიდანვე შეგვავლო თვალი და ჩაიბურტყუნა:

— აბა, აქ ვინც ხართ, ხელი მოაწერეთ!

ხელი მოვაწერე დოკუმენტს, რომელიც იუწყებოდა, რომ ამა და ამ რიცხვიდან „ლიტო“ ლიკვიდაციას ექვემდებარებოდა.

ჩაძირული გემის კაპიტანივით ყველაზე ბოლოს დავტოვე იქაურობა. ვუბრძანე, აეკინძათ და ჩაებარებინათ ნეკრასოვისა და მკვდრეთით აღმდგარი ალკოჰოლიკის საქმეები, ნაშიმშილარი კრებულები, ლექსები და „ლიტო“-ს სამაზრო განყოფილებებისთვის გამიზნული ინსტრუქციები. საკუთარი ხელით ჩავაქრე ნათურა და გარეთ გამოვედი. ბარაქიანი თოვა დაიწყო, მერე წვიმაში გადავიდა, შემდეგ კი ველარ გავიგე, თითქოს არც თოვლი იყო და არც წვიმა, თუმცა ყოველი მხრიდან მთელ სახეზე მცემდა და შეუბრალებლად მასველებდა.

რა საშინელია მოსკოვი ასეთი ამინდისა და შტატების შემცირების დროს. დიახ, ბატონებო! ეს შემცირება გახლდათ! ამ საზარელი შენობის სხვა ბინებიდანაც ბევრი ვინმე გამოასახლეს.

თუმცა, მადამ კრიტკაია, ლიდოჩკა და ზღვის წავის ქუდიანი დარჩნენ, რადგან ისინი დატოვეს.

რუსულიდან თარგმნა
ნანული ნოზაძე-ჯუღაშვილმა

[1] **ქვეგანყოფილება.**
[2] **(ქვე.)**
[3] **სახალხო განათლების განყოფილება.**
[4] **საყოველთაო სახალხო განათლება.**
[5] **სახალხო განათლება.**
[6] **მაჩვ-ზღარბი.**
[7] **ცუგრია, ეზოს ძაღლი.**
[8] **აქ: სიტყვების თამაში: მ. ბულგაკოვი ცხოვრობდა კიევში, სადაც თურმე იმხანად იყო ანრი ბარბიუსის სახელობის ქუჩა და მას უწოდებდნენ „ბარბიუსეს“.**
[9] **საგამომცემლო განყოფილება.**
[10] **ლიტერატურული განყოფილება.**
[11] **ფოტოგანყოფილება.**
[12] **თეატრალური განყოფილება.**
[13] **ლიტერატურული განყოფილების გამგე.**
[14] **ლიტერატურული გამომცემლობის განყოფილება.**
[15] **თეატრალური გამომცემლობის განყოფილება.**
[16] **ფოტოგამომცემლობის განყოფილება.**
[17] **ხელოვნების ქვეგანყოფილების გამგე.**
[18] **ლიტერატურული კოლეგია.**
[19] **მხატვრული განყოფილება.**
[20] **საფინანსო განყოფილება.**
[21] **ნაცუმცირესობა.**
[22] **მუსიკალური განყოფილება.**

30 სექტემბერს ქუთაისის **ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში** გაიმართა შეხვედრა მწერალთან და გამომცემელთან **ელგუჯა თავბერიძესთან**. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და ელგუჯა თავბერიძეს **„საბას“** ლიტერატურული პრემიის ლაურეატობა მიულოცა ბიბლიოთეკის დირექტორმა **ნარგიზა ჩოგოვაძემ.**

სიტყვით გამოვიდნენ: **ნანული ცხვედიანი, გიზო თავაძე, გია ხოფერია, რიტა წაქაძე, მერაბ გვაზავა, ამირან ხვადაგიანი,** რომლებმაც აღნიშნეს, რომ ელგუჯა თავბერიძის **„კოლიმგრაფი“** მართლაც გამორჩეული წიგნია სიმართლისმოყვარე დიდ რუს მწერალზე — **ვარლამ შალამოვზე.** ითქვა, რომ ამ მწერლის შემოქმედება უფრო მეტად უნდა იცოდეს ქართველობამ, რადგანაც ვარლამ შალამოვი, ბევრ რუსთაგან განსხვავებით, ქართველთმოყვარეც გახლდათ, რაც მკაფიოდ დასტურდება მისი კოლიმური მოთხრობებიდან.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს, აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ ლიტერატურული პრემია „საბა“ გასცდა დედაქალაქის ფარგლებს და აღნიშნეს, რომ იგი მიიღო არა ქუთაისელობით, არამედ მხატვრული სრულყოფილებით გამორჩეული წიგნის ავტორმა ელგუჯა თავბერიძემ.

ელისო კალანდარიშვილი

სანიმუშო — ამ ყაიდის გამოკვლევებში

ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერულ კვლევას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი. ეს ის დროა, როცა ძველი ხელნაწერებისა და წიგნების ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება ჯერ კიდევ დაუდგენელია, არც მათი სისტემური აღწერა-კატალოგიზაცია მომხდარა. არსებითად ქართველობამ არც კი იცოდა, რა სიმდიდრის მფლობელი იყო. 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა თაობა და მის გარშემო შემოკრებილი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი იწყებს ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის თავმოყრას, სისტემატიზაციასა და მეცნიერულ დამუშავებას.

ჩვენი ისტორიის სწორედ ამ პერიოდს ეხება **ლია კარიჭაშვილის** მონოგრაფიული ნაშრომი „**მსახურება ღვთისა და ერისა (დავით კარიჭაშვილის ღვაწლი)**“. მასში თვალნათლივაა ასახული ის ლიტერატურული პროცესები, რომელიც XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში მიმდინარეობდა. მკვლევარს მოუძიებია დიდძალი მასალა, თავი მოუყრია მნიშვნელოვანი ისტორიული და ლიტერატურული წყაროებისათვის, რაც დღემდე ყურადღებული არ ყოფილა. ამ მხრივ მისი ნაშრომი უნაკლოა. მკვლევრის მხედველობის მიღმა არ დარჩენილა მცირე საგაზეთო პუბლიკაციებიც კი, რასაც შეეძლო დახმარება გაეწია მისთვის.

მონოგრაფიის მიზანია სრულყოფილად წარმოაჩინოს ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, დავით კარიჭაშვილის შემოქმედებითი გზა, მისი ლიტერატურული საქმიანობა.

პირველ თავში მიმოხილულია დავით კარიჭაშვილის საზოგადოებრივი საქმიანობა, მისი დიდი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სახელმწიფო მუზეუმის დაარსებაში, ქართულ წიგნსაცავთა და ხელნაწერი ფონდების სისტემატიზაციაში, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაფუძნებაში, საერთოდ საგანმანათლებლო სფეროში.

მეორე თავში განხილულია დავით კარიჭაშვილის გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაშრომები. ავტორი თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხთა კვლევისას დავით კარიჭაშვილი დიდი მეცნიერული გამბედაობითა და პირუთვნელობით გამოირჩეოდა. არ ერიდებოდა საყოველთაოდ გავრცელებული აზრებისა და ტრადიციულად დამკვიდრებულ შეხედულებათა კრიტიკას, მათ ახლებურად განხილვა-გაანალიზებას. როგორც მკვლევარი მიუთითებს, მისი ვარაუდებისა და დასკვნების უმრავლესობამ შემდგომ ჰპოვა დადასტურება. ამის თვალსაჩინო მაგალითია

„კალმასობის“ ავტორის საკითხის დადგენა. დავით კარიჭაშვილის ვარაუდი, რომ ამ თხზულების ავტორი არ შეიძლება ყოფილიყო იონა ხელაშვილი, შემდგომ დაადასტურა მოგვიანებით აღმოჩენილმა წერილმა, სადაც იონა ხელაშვილი თვითონვე აღიარებს, „კალმასობისა“ მხოლოდ პერსონაჟი ვარ და არა ავტორიო.

საინტერესოა დავით კარიჭაშვილის შეხედულებანი მობიდან ეპისკოპოსის ვინაობის თაობაზე. მისი აზრით, „მობიდანი“ საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ საზოგადო და აღნიშნავს ცეცხლთაყვანისმცემელთა სასულიერო პირს. მკვლევარი მობიდანის საერო თანამდებობის გარკვევასაც შეეცადა. მართალია, მისი მოსაზრებანი ბოლომდე არ იქნა გაზიარებული, მაგრამ კვლევისას ზოგი მონაცემი მართლაც გასათვალისწინებელია.

ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ნიკიფორე ირბახის ვინაობისა და მოღვაწეობის დავით კარიჭაშვილისეულ ინტერპრეტაციაზე. მიუთითებს იმ მსგავსება-განსხვავებაზე, რაც მისსა და სხვა ქართველ მკვლევართა მოსაზრებებში შეინიშნება. ასეთ საკითხთა რიგს მიეკუთვნება, აგრეთვე, სუმბატ დავითის ძის ვინაობა, წარმართული პანთეონის ღმერთების — აინინას და დანინას — გენეზისისა და წარმომავლობის პრობლემები.

ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს დავით კარიჭაშვილის განსაკუთრებულ მიმართებას ნიკო მარისა და მარი ბროსეს მოღვაწეობისადმი. მკვლევარს აღაფრთოვანებდა მათი ღრმა ერუდიცია და მეცნიერული კეთილსინდისიერება.

საინტერესოდ წარმოაჩენს დავით კარიჭაშვილს, როგორც რუსთველოლოგს, იგი პოემის ორი გამოცემის რედაქტორი იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ურთულეს საქმეში დიდი წვლილი შეუტანია, გაუსწორებია შერყვნილ-დამახინჯებული ადგილები, გაუმართავს ბევრი გაუგებარი სიტყვა თუ სტრიქონი, შემოუთავაზებია ახლებური წაკითხვა, განსხვავებული ვარიანტები, რომელთა უმრავლესობა გაზიარებულია დღესაც.

დავით კარიჭაშვილი პირველი ყოფილა იმ რუსთველოლოგთა შორის, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოხსენიებული მეტაფორა „მეფე-მზის, თამარის ლომი“ დაუკავშირეს მისი ქმრის, დავით სოსლანის სახეს.

მართალია, დავით კარიჭაშვილი პროლოგის არარუსთველურობის ვერსიას ემხრობოდა, მაგრამ, ავტორის დაკვირვებით, „პროლოგის წაკითხვის მისეულმა მეთოდმა მიგვანიშნა იმაზე, რომ ამგვარ წაკითხვას რიგ საკითხებთან დაკავშირებით ჩიხში შევყავართ და, მკვლევართა დიდი მონდომების მიუხედავად, ყველაფრის ახსნა და დალაგება ვერ ხერხდება“. მისი აზრით, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ დავით კარიჭაშვილის მიერ შემჩნეული წინააღმდეგობანი პოემის ტექსტში ჯერ კიდევ ძალაშია და საფუძვლიან განმარტებას მოითხოვს.

მკვლევარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შეუსწავლია არა მხოლოდ გამოქვეყნებული შრომები დავით კარიჭაშვილისა, არამედ საარქივო მასალაც. ცხადი ხდება, რომ მასში თავმოყრილი შრომებიც იმ დროისათვის სრულიად ახლებურ შენიშვნებსა და მოსაზრებებს შეიცავდა. დავით კარიჭაშვილის მიერ წამოჭრილი საკითხები კვლევის გვიანდელ ეტაპზეც იჩენს თავს და საფუძველს უყრის ჭეშმარიტი, უტყუარი ვერსიების ჩამოყალიბებას. სწორედ ამგვარ მასალებს მიეკუთვნება გამოკვლევა „შუშანიკის წამება“, წერილი „ჩემი შენიშვნები და მინაკვლევები“, ასევე არქივში დაცული ხელნაწერი, რომელშიც განხილულია XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის შემოქმედება. ესენია: სარგის თმოგველი, შავთელი, ჩახრუხაძე, ძაგნაკორი, ფილოსოფიური მწერლობიდან — იოანე პეტრინი, უფრო მოგვიანო ხანიდან: სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ I, მარიამ-მაკრინა, ბესიკი, საიათნოვა. ავტორი ცხადყოფს, რომ დავით კარიჭაშვილის ზოგიერთი მოსაზრება დღემდე აქტუალური და გასაზიარებელია. აქვე მიუკერძოებლადაა შენიშნული, რომ ხელნაწერებში აღმოჩენილი ეს ნაშრომები უფრო ერთგვარი მონახაზია, ვიდრე დასრულებული გამოკვლევები, თუმცა ქართული მწერლობის ისტორიულ-ფილოლოგიური შეფასების მცდელობა აქაც შეინიშნება, ეს კი უდავოს ხდის მათ მნიშვნელოვნებას.

დავით კარიჭაშვილის — როგორც მრავალმხრივი მოღვაწის — წარმოსაჩენად, მკვლევარი მის ენათმეცნიერულ ძიებებსაც ყურადღებით მიმოიხილავს. ქართული ენის ყოველმხრივი, საფუძვლიანი კვლევის მიზნით 1908 წელს დავით კარიჭაშვილს დაუარსებია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტური განყოფილება, რომელსაც უპირველეს საქმიანობად მიუჩნევია ახალი ქართული ლექსიკონების შედგენა. დავით კარიჭაშვილის არქივში ინახება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, სხვადასხვა ლექსიკოლოგიური ნარკვევები, რომელთა დაუბეჭდაობის მიზეზი უცნობია.

დავით კარიჭაშვილი ნათელს ჰფენს ენათმეცნიერების მრავალ ისეთ საკითხს, რომელნიც დღეს უდავოდ ითვლება, თუმცა კვლევის იმ ეტაპისთვის საკამათო ყოფილა, მაგალითად: არის თუ არა გრამატიკა მეცნიერება. დავით კარიჭაშვილს ეკუთვნის პოლემიკური წერილი, სადაც ის კრიტიკულად აფასებს მისი თანამედროვის, პავლე კვიცარიძის აშკარად მცდარ და უმართებულო დასკვნებს გრამატიკის სფეროში.

როგორც ჩანს, იგი იზიარებდა ნიკო მარის თვალსაზრისს ქართული ენის ენათა იაფეტურ შტოსთან ნათესაობის შესახებ. ამ მიზნით უთარგმნია მარის წერილი ამის თაობაზე.

1930 წელს გამოცემულა დავით კარიჭაშვილის „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც თავისი დროისათვის უფრო თანმიმდევრული, სისტემური და მეცნიერულია, თუმცა დღეს მხოლოდ ისტორიული ღირებულება გააჩნია.

სრულყოფილადაა წარმოჩენილი დავით კარიჭაშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, ღვაწლი. მკვლევარს თეორიულადაც ჰქონია გააზრებული ის ძირითადი პირობები, რომელთაც წიგნის გამოცემა უნდა აკმაყოფილებდეს. იგულისხმება მისი წერილი „ჩვენს წიგნთა გამომცემლობაზე“. 1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად გამოუცია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და წერილები. მკვლევარი ამ გამოცემას აფასებს, როგორც უფრო სრულს თავის წინამორბედებთან შედარებით. 1910 და 1919 წლებში ბარათაშვილის კრებულები კვლავ გამოცემულა. ყოველი ახალი გამოცემა ახლებური გადამუშავების კვალს ატარებს. განხილულია ასევე ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა დავით კარიჭაშვილისეული გამოცემა. ამ თავის დასასრულს აღნიშნულია, რომ „დავით კარიჭაშვილისთვის წიგნის გამოცემა დიდ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა. მის მიერ განხორციელებულ თითოეულ გამოცემას წინ სერიოზული ტექსტოლოგიური სამუშაო უძღოდა“.

განსაკუთრებით საინტერესოა მონოგრაფიის მეხუთე თავი — „დავით კარიჭაშვილის საისტორიო პუბლიკაციები“. მასში განხილული ნაშრომები ძალზე მნიშვნელოვანია ისტო-

რიული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით. მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს მათი ავ-კარგის შესახებ. ცხადყოფს, რომ დავით კარიჭაშვილი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ კატეგორიას, რომელნიც ქართულ საისტორიო წყაროებს ნდობით ეკიდებოდნენ და აღიარებდნენ მათ ისტორიულ ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიის ავტორი აბსოლუტური სიზუსტით აფასებს დავით კარიჭაშვილის მოღვაწეობას. იგი არ ერიდება იმის წარმოჩენას, რომ ამ მეცნიერის წვლილი ქართული ისტორიის შესწავლის საქმეში მაინც მოკრძალებულია, თუმცა უაღრესად საჭირო. ეს არის ერთი საფეხური, ერთი ეტაპი, ურომლისოდაც არ აშენდება უფრო დიდი შენობა.

ნაშრომს ახლავს დავით კარიჭაშვილის გამოქვეყნებულ ნაშრომთა სრული ბიბლიოგრაფია, რაც დიდად ღირებულია ამ ტიპის გამოკვლევისთვის.

ლია კარიჭაშვილის მონოგრაფია შესრულებულია მაქსიმალური პასუხისმგებლობით. წერის მანერა, სტილი დახვეწილი და ნათელია. ნაშრომი დაწერილია ლაღი, ძალდაუტანებელი ენით, არ შეინიშნება არცერთი, თუნდაც მცირე, მექანიკური შეცდომაც კი. „მსახურება ღვთისა და ერისა“ მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა დაიწეროს ამ ყაიდის გამოკვლევები. მასში სრულყოფილადაა წარმოჩენილი არა მხოლოდ დავით კარიჭაშვილის ღვაწლი, არამედ მისი თანადროული ეპოქის სულისკვეთება, ისტორიული თუ ლიტერატურული პროცესები, რომელნიც საფუძვლად დაედო შემდგომი ხანის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

საზოგადოდ ისეთი ტიპის გამოკვლევებში, რომელიც ამა თუ იმ მკვლევრის მოღვაწეობის ანალიზს ისახავს მიზნად, ძნელდება ორიგინალურ მიგნებათა, სიახლეთა, წმინდა ლიტერატურულ ძიებათა განხორციელება. ასეთი შრომა შემკრებლობითი ხასიათისაა და უფრო სხვათა ნაღვაწის შეფასებისა და განსჯის სახეს ღებულობს. ამიტომაც ამ ყაიდის ნაშრომზე მუშაობისას მკვლევარს მართებს საკვლევი მასალისადმი უკიდურესად ანალიტიკური მიმართება, რათა წარმოჩნდეს მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნის უნარი.

ლია კარიჭაშვილის მონოგრაფიაში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი და დასმული, რომელნიც გარკვეული გადამუშავების შედეგად უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებდნენ და ნაშრომსაც მეტ ორიგინალობას შესძენდნენ.

როდესაც ავტორი მსჯელობს დავით კარიჭაშვილის მოსაზრებებსა და ვარაუდებზე ლიტერატურისა თუ ისტორიის სფეროში, რიგ შემთხვევაში იმოწმებს სხვა მკვლევართა მოსაზრებებს, მათ არგუმენტებსა თუ კონტრარგუმენტებს და საკუთარ დასკვნასაც გვთავაზობს. ასეა, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პრობლემატიკაზე მსჯელობის დროს. მაგრამ ზოგან თავს არიდებს საკითხის ამომწურავ ანალიზს და მისი უბრალო კონსტატაციით კმაყოფილდება. მაგალითად, როდესაც განიხილავს დავით კარიჭაშვილის შეხედულებებს „შუშანიკის წამების“ შესახებ, უკმარისობის გრძნობას ბადებს ავტორისეული კომენტარისა და დასკვნების სიმცირე. მითუმეტეს, რომ ეს გამოუქვეყნებელი შრომაა და მის შესახებ არცერთი სხვა მეცნიერის მიერ მოსაზრებანი არ გამოთქმულა. დავით კარიჭაშვილის ეს ნაშრომი საინტერესო ვარაუდებს შეიცავს. მაგალითად, მკვლევარს არაბუნებრივად ეჩვენება, რომ თხზულების ტექსტში ჯერ კიდევ ცოცხალ შუშანიკს პერსონაჟები ისე მიმართავენ, როგორც ეს მიღებულია პარაკლისებში: „სძალო და მხევალო ქრისტესო“, „წმიდაო მოწამეო და მარტვილო სანატრელო ქრისტეის ღმრთისაო“. ეს აფიქრებინებს, რომ ავტორი არის არა თანამედროვე დედოფლისა, არამედ გვიანდელი მწერალი, რომელიც ცდილობს თხზულება დედოფალ შუშანიკის თანამედროვე პირის, იაკობ ხუცესის ნამოღვაწევად წარმოგვიდგინოს. რა თქმა უნდა, დავით კარიჭაშვილის დასკვნა არასწორია, რაც შემდგომი ხანის კვლევებმაც დაადასტურა, მაგრამ თვით დაკვირვება, რომელმაც მკვლევარი ამ დასკვნამდე მიიყვანა, არ უნდა იყოს უმართებულო. მართლაც, რამდენად ბუნებრივია, რომ ცოცხალ პერსონაჟთან დიალოგში ავტორ-პერსონაჟი, იაკობ ხუცესი, იყენებდეს ისეთ სახე-სიმბოლოებს, რომელთაც უმთავრესად ცად ამაღლებულ, ნეტარ, სასუფეველში დამკვიდრებულ წმინდანებთან მიმართებით გამოიყენება. გავიხსენოთ თუნდაც „აბოს წამება“, სადაც მსგავსი მიმართვები მხოლოდ აბოს აღსასრულის შემდეგ, თხზულების IV თავში გვხვდება. თანაც, ეს სახე-სიმბოლოები აგიოგრაფიისა თუ ჰიმნოგრაფიის მოგვიანო ეტაპზე ყალიბდება. აშკარაა, რომ დიალოგები მაშინვე არაა დაწერილი, ისინი უშუალოდ საუბრის მომენტს არ ასახავენ, თუმცა ეს არ გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, თითქოს ისინი სხვა ავტორის მიერაა შეთხზული და სხვა დროს. იაკობ ხუცესმა თხზულება რომ შუშანიკის შვიდწლიანი ტანჯვა-წამების შემდეგ დაწერა და დიალოგებსაც შემდგომ შეთხზავდა, როცა დედოფალი უკვე წმინდანად იყო შერაცხული. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ იაკობი იცნობს მოწამეთა სახელზე არსებულ რაღაც სხვა ტექსტებსაც („წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“), რაც შეიძლებოდა მისთვის პირველწყარო ყოფილიყო ქრისტიანული სახე-სიმბოლიკის ასათვისებლად. ავტორს მართებდა მსჯელობა ამ მიმართულებით გაეშალა და მოეხმო ამ ვარაუდის უარმყოფელი ან დამადასტურებელი ვარაუდები.

ასევე უკომენტაროდ არის დატოვებული დავით კარიჭაშვილის ვარაუდი იმის შესახებ, რომ შუშანიკის სასწაულთმოქმედებანი და ხალხის მიერ მისი აღიარება გვიანდელი გამონაგონია. მას ურთიერთგამომრიცხავად ეჩვენება ერთი გარემოება: როგორ განითქვა სახელი დედოფალმა, თუ ის ციხეში იყო გამოკეტილი და მასთან არავის უშვებდნენ. არ შევუდგებით ამ წინააღმდეგობათა ჩვენეულ ანალიზს, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ავტორს მართებდა ამ საკითხის ცხადყოფა.

სასურველი იყო აქვე ყურადღება გამახვილებულიყო დავით კარიჭაშვილის კიდევ ერთ ვარაუდზე. კერძოდ, ეს ეხება პურობის სცენის ანალიზს იმავე „შუშანიკის წამებიდან“. მეცნიერი მიიჩნევს, რომ შუშანიკის მიერ წარმოთქმული ფრაზა — „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური“ არ შეიძლება V საუკუნით დათარიღებულ ძეგლში ამოგვეკითხა. ამის დასადასტურებლად აცხადებს, რომ იმ დროის საქართველოში არ არსებობდა წესი, რომელიც კრძალავდა ქალისა და მამაკაცის ერთად სადილობას. ავტორი საფუძვლიანს უწოდებს დავით კარიჭაშვილის განმარტებას იმის თაობაზე, რომ პურობა ამ სახით მართლაც უნებართვო თუ იქნებოდა, ამას შუშანიკი მაშინვე აღნიშნავდა, როცა სადილად მიიწვიეს, და არა მოგვიანებით, უკვე სუფრასთან მჯდომი. დავით კარიჭაშვილის აზრით, აღნიშნული წესი საქართველოში გვიან შემოვიდა, აქედან კი დაასკვნის, რომ მწერლის ცხოვრების დრო შუშანიკის ცხოვრების დროსთან საკმაოდ დაშორებულია.

ვფიქრობთ, ამ მოსაზრებასაც აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ავტორს მართებდა უფრო ღრმად გაეანალიზებინა ეს საკითხი, ან მოეხმო სხვა მკვლევართა მოსაზრებანი და ეჩვენებინა, რა არის მისაღები დავით კარიჭაშვილის ვარაუდში და რა — უკუსაგდები. მითუმეტეს, რომ ეს სცენა თხზულებაში ერთ-ერთი საკვანძოა. საერთოდაც, მონოგრაფიის ეს თავი უფრო ზედაპირულ შთაბეჭდილებას ტოვებს სხვა მონაკვეთებთან შედარებით.

ვფიქრობთ, ამ შენიშვნების მიუხედავად, ლია კარიჭაშვილის მონოგრაფია „მსახურება ღვთისა და ერისა (დავით კარიჭაშვილის ღვაწლი)“ უდავოდ ღირებული მეცნიერული გამოკვლევაა.

გივი გამრეკელი

მატჩი მსოფლიო პირველობაზე 5 ნოემბერს: ანანდი — კარლსენი

როგორც კი ოფიციალურად ცხადდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისთვის საგანგებოდ ემზადებიან არამარტო მონაწილეები და მწვრთნელები, არამედ მთელი საჭადრაკო სამყაროც. ყველა ქვეყნის რადიოსადგურები და ტელევიზია არათუ დიდ ყურადღებას უთმობენ თითოეულ პარტიას (რომლის სვლებსაც დაუყოვნებლივ, პირდაპირ ელვის სისწრაფით გადასცემენ), არამედ საგანგებო კომენტატორებად იწვევენ ისეთ დიდოსტატებს, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებში თვით ხელეწიფებათ... მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშიც! აი, უმაღლესი კვალიფიკაციაც სწორედ ამას ჰქვია! რაც შეეხება ანანდისა და კარლსენის მატჩს, რომელიც 5 ნოემბერს იწყება ინდოეთში, ქალაქ ჩინაოში, ის შეიძლება ითქვას, ყველანაირად განსაკუთრებულია.

ვიშვანათან ანანდი და მაგნუს კარლსენი

ხომ არ შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ ამჯერად ანანდს რომელიმე სხვა პრეტენდენტი შეხვედროდა, ვთქვათ, ტოპალოვი, კრამნიკი ან გელფანდი. ჯერ ერთი, ბოლო წლებში ინდოელმა სამივე უკვე დაამარცხა. მართალია, პრეტენზია აქამდე შემორჩათ, მაგრამ კარლსენის მიღწევები, თუნდაც ბოლო წლებში, იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ რომელიმე სხვა მატჩს მსოფლიო პირველობაზე საჭადრაკო სამყარო არაბუნებრივად ჩათვლიდა.

მაშ ასე, მსოფლიო ჩემპიონი ბოლოსდაბოლოს, უნდა შეხვედროდა იმ მეტოქეს, რომელიც ამას, საყოველთაო აღიარებით, ყველაზე მეტად იმსახურებდა.

ახლანდელი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ჯერ კიდევ 2007 წელს ვეიკ-ან-ზეეში, მაშინ, როდესაც ნორვეგიელი სულ 15 წლისა იყო, ანანდს კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე ჰქონდა ნათამაშევი მსოფლიო პირველობის მატჩი გარი კასპაროვთან, სადაც მან — ერთ მომენტში — უპირატესობაც კი მოიპოვა, თუმცა ბოლოს კასპაროვმა მაინც გასტეხა მისი წინააღმდეგობა.

ერთი სიტყვით, ანანდისა და კარლსენის მეტოქეობა უკვე 7 წელს ითვლის, დასაწყისში ისინი მხოლოდ „სრულმეტრაჟიან“ 6-7 საათიან პარტიებს თამაშობდნენ, შემდეგ ამას მოჰყვა მრავალი სწრაფი და ელვისებური შეხვედრაც. ყველა ეს პარტია კომენტატორებმა დეტალურად შეისწავლეს. ზოგი სპეციალისტი ამ წინასწარ შეხვედრებს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს (ასეთი მაგალითიც მოჰყავთ, სპასკი-ფიშერის შეხვედრების ანგარიში მსოფლიო პირველობაზე მათი შეხვედრის წინ იყო 3:0 სპასკის სასარგებლოდ), მაგრამ ზოგიერთი დასკვნის საშუალებას ისინი მაინც იძლევიან.

მაშ ასე: დავიწყოთ **2007 წლით**. ვეიკ-ან-ზეეში მათი შეხვედრა (ნორვეგიელი თეთრებით თამაშობდა) ყაიმით დასრულდა, ლინარესში კი ორ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონმა მძიმედ დაატყო თავისი ხელი ყმაწვილს — 2:0. პირველ შეხვედრაში ინდოელმა თეთრებით თავის საყვარელ ესპანურ პარტიას მიმართა, რომელიც მის ხელში მრისხანე იარაღია (ცნობილმა დიდოსტატმა ხალიფმანმა წიგნიც კი დაწერა „როცა ანანდი ესპანურს თამაშობს“), მეორეში კარლსენმა ლაზიერის გამბიტში ვერაფერს მიაღწია, შემდგომ ტაქტიკურ ბრძოლაში კი შავების „კლანჭებში“ მოხვდა.

2008 წელი როგორც ყოველთვის, ისევ ვეიკ-ან-ზეეთი დაიწყო კარლსენმა თეთრებით კვლავ წააგო, კიდევ ერთხელ გამორჩა ტაქტიკური დარტყმა, რომელიც მას უაღრესად იშვიათად ემართება (ემართებოდა!). ანგარიში გახდა უკვე 3:0. ლინარესში ანანდმა (შავებით!) კვლავ მოიგო — ესეც 4:0. წლის დანარჩენი 5 პარტია უკვე სწრაფი კონტროლით მიმდინარეობდა: მაინცში ერთი ინდოელმა მოიგო (ანგარიშში არ ვთვლით), მეორე ყაიმით დასრულდა. ამას დავუმატოთ ორი ყაიმი „დიდი სვლების ფინალში“.

დაბოლოს, ორი შეხვედრა კანში, სადაც დაფაზე დაუხედავად კვლავ ანანდმა მოიგო, სწრაფი პარტია კი კარლსენმა (როგორც იტყვიან, ჩხირი კედელს, მაგრამ იგი ხომ საერთო ჩათვლაში არ შედიოდა!).

როგორც ჩანს, 2009 წლიდან ჭაბუკმა თანდათან ალღო აუღო თავის მრავალნაცად მეტოქეს. ჯერ ერთი, ლინარესში მან თეთრებით ბოლოსდაბოლოს მოიგო და, როგორც იტყვიან, ანგარიში დაასველა 1:4! მეორე პარტია ყაიმით დასრულდა, ისევე, როგორც ფრიად საინტერესო შეხვედრა ტალის მემორიალში. სწრაფ ჭადრაკში, მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, კარლსენმა ორჯერ დაამარცხა ანანდი, ისევე, როგორც კანში დაფაზე დაუხედავად (დავიცვათ ჩვენი პირობა და არც ეს სამი მოგება ჩავთვალოთ, თუმცა მათ, რა თქმა უნდა, დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდათ!).

ასე მოვედით 2010 წლამდე, როდესაც მეტოქეები უკვე ათჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ვეიკ-ან-ზეეში სწრაფი ყაიმის შემდეგ, ანანდმა ლონდონში კიდევ ერთხელ მოიგო: ესეც 5:1. ყველა დანარჩენი შეხვედრა სწრაფი კონტროლით იყო (ერთი მოიგო ანანდმა, მეორე კარლსენმა, დანარჩენები ყაიმით დასრულდა).

2011 წელს კვლავ 10 პარტია გათამაშდა. ბოტვინიკის მემორიალში (სწრაფ ჭადრაკში) ჯერ ყაიმი აღინიშნა, შემდეგ კი ანანდმა მოიგო, ამავე წელს ტალის მემორიალში კვლავ ყაიმი აღინიშნა. ასეთივე შედეგით დასრულდა სწრაფი შეხვედრები 5 სხვადასხვა ასპარეზობაში. კანში სწრაფ პარტიაში ნორვეგიელმა გაიმარჯვა, დაფაზე დაუხედავად კი — ანანდმა.

ვგრძნობთ, რომ მკითხველი გავაბეზრეთ ამდენი სტატისტიკით, ამასთან, 2012 წლიდან ისიც გავითვალისწინოთ, რომ კარლსენი, რომელსაც კასპაროვი ეხმარებოდა, უკვე მსოფლიო ჩემპიონობის სავსებით რეალური პრეტენდენტი

გახდა. მან ბილბაოში თეთრებით, ბრწყინვალე სტილით სძლია ჩემპიონს — 2:5. მოუგო დიდოსტატების ტურნირის ფინალშიც 3:5. ერთი სიტყვით, იმ საშინელი თავდაპირველი ანგარიშიდან თითქმის აღარაფერი დარჩა.

დავუმატოთ ამას 2013 წლის ორი ყაიმიც „ტა ტა სტილში“ (ყოფილი ვეიკ-ან-ზეე), ერთიც ლონდონის „ზე დიდოსტატების“ ასპარეზობაში, ტალის წლევანდელ მემორიალში კი ერთი კარლსენმა მოიგო 4:5!

გამოვაკლოთ ყველა სწრაფი თუ ელვისებური პარტია (ისედაც ხომ არ ვთვლიდით!) და გამოვა, რომ ანანდი მაინც ინარჩუნებს უპირატესობას. ტალის მემორიალის შემდეგ რახან დროც აღარ ჰქონდათ, მეტოქეებს არსად უთამაშიათ და ასე ხვდებიან თავიანთ მომავალ ასპარეზობას: ანანდი მაინც ერთგვარი კმაყოფილების გრძნობით, კარლსენი კი რევანშის აღების სურვილით!

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ბოლო სამი წლის მანძილზე კარლსენი პირველ ადგილებს იკავებდა ყველა იმ შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა. დიდ გამონაკლისად ჩაითვალა მისი მეორე ადგილი ტალის უკანასკნელ მემორიალზე, სადაც მას ერთი ნაბიჯით გაუსწრო სერგეი კარიაკინმა (და ამით ყველა გააოცა!). ამავე დროის განმავლობაში ანანდი ცოტას თამაშობდა, ძირითადად ბორის გელფანდთან მატჩისათვის მზადებით იყო დაკავებული, და ტურნირებში უფერული შედეგები ჰქონდა. მას შემდეგ, რაც გელფანდთან დაიცვა თავისი წოდება, ჩემპიონი დარწმუნდა, რომ სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლდა და შეეცადა ამ ნაკლის გამოსწორებას. 2013 წლის დასაწყისში მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშა ვეიკ-ან-ზეეში (მესამე ადგილი კარლსენისა და არონიანის შემდეგ), პირველი ადგილი დაიკავა ბადენ-ბადენში ახალი ვარსკვლავის ფაბიანო კარუანას წინ, მესამეზე გამოვიდა ალიოხინის მემორიალზე არონიანისა და გელფანდის შემდეგ. ერთი სიტყვით, კარლსენისა და ანანდის ბოლო წლების სატურნირო შედეგების შედარება არც კი შეიძლება.

ეს ასეა, მაგრამ სულ მალე ანანდი და კარლსენი ტურნირებში კი არ უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს, არამედ 12 პარტიისაგან შემდგარი მატჩი ითამაშონ. ეს კი სულ სხვა სფერო გახლავთ.

მრავალი კომენტატორი ანანდისა და კარლსენის ორთაბრძოლას არამარტო 2013 წლის, არამედ მთლიანად ახალი საუკუნის უმნიშვნელოვანეს საჭადრაკო მოვლენად მიიჩნევს. მან უნდა დაჩრდილოს ყველაფერი, რაც კი მას შემდეგ მოხდა, რაც ჭადრაკს გარი კასპაროვი გამოეთხოვა.

უამრავი სპეციალისტის პროგნოზებიდან, რომლებიც კარლსენს უტყუარ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ, ჩვენ გვინდა გამოვყოთ ერთი, რომელიც ეკუთვნის ანანდის მრავალწლიან მწვრთნელს **ელიზბარ უბილავას**. იგი კარლსენს უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს. აი ზოგი ნაწყვეტი უბილავას ინტერვიუდან, რომელიც მან სულ რამდენიმე ხნის წინათ მისცა:

— როდესაც 22 წლის ადამიანი ყველა წარმოუდგენელ ჯეგირს ამსხვრევს, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს ერთ-ერთ უდიდეს ფიგურასთან მთლიანად ჭადრაკის ისტორიაში. მან რეიტინგის თვალსაზრისით შორს ჩამოიტოვა ყველა უძლიერესი თანამედროვე მოჭადრაკე. მხოლოდ გენიალურმა რობერტ ფიშერმა და ლეგენდად ქცეულმა გარი კასპაროვმა შეძლეს ასე გაესწროთ ყველა მდევრისათვის. კარლსენს სულ ცოტაღა დარჩა, რომ დაძლიოს 2900-იანი რეიტინგი. ნორვეგიელის ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მე მას ფიშერსა და კასპაროვთან ერთად შევიყვანდი ჭადრაკის ისტორიის უდიდესი ფიგურების სამეულში. ფიშერისა და კასპაროვის სტატუსი არავის აეჭვებს, მათ ხომ ჭადრაკის განვითარებაში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს. რაც შეეხება კარლსენს, იგი ასეთივე მაღალი შეფასების ღირსია.

ერთი სიტყვით, აღდგომა და ხვალეო. თითქოს არავის ეპარება ეჭვი, რომ 22 წლის (მაშინ იგი უკვე 23 წლისა იქნება!) კარლსენი მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონი გახდება. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ პროგნოზები ყოველთვის როდი მართლდება. ასე რომ, ცოტა უნდა მოვიცადოთ.

აი კიდევ რამდენიმე სხვა დიდოსტატის აზრიც:

ალექსანდრ ხალიფმანი (მსოფლიო ექს-ჩემპიონი ფიდეს ვერსიით, ანანდზე დაწერილი სპეციალური წიგნის ავტორი):

— ანანდი უკვე კარგა ხანია არადამაჯერებლად თამაშობს. უფრო ზუსტად, თუკი შესაძლებლობა აქვს, ბრძოლას თავიდან იცილებს. ეტყობა, რომ დაიღალა. ისე კი ასაკი ბევრს ნიშნავს. ამ მხრივ მას არ უნდა ვაკრიტიკებდე. რა თქმა უნდა, ანანდი შეეცდება მეტოქეს მედგრად დახვდეს. ამ მატჩს მისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ხომ პირველად აღმოჩნდა ანტიფავორიტის როლში. ეს, ერთი მხრივ, ამოცანას ურთულებს, მეორე მხრივ კი — უმსუბუქებს.

ეტყობა, მომავალი მატჩი კარლსენზეც ძლიერ გავლენას ახდენს. შარშანდელ წელთან განსხვავებით, წლეულს ვეიკ-ან-ზეეში გამარჯვების შემდეგ მან სტავინგერსა (ნორვეგია) და მოსკოვში, ტალის მემორიალზე მეორე ადგილები დაიკავა. უჩვეულოა, რომ ტალის მემორიალის სამ პარტიაში — გელფანდთან, კარუანასა და მამედიაროვთან — მძიმე შეცდომები მოუვიდა. ჩვენ კი უკვე მივეჩვიეთ, რომ საფირმო ნიშანი „კარლსენი“ სტაბილურობასა და შეუცდომლობასაც ნიშნავს.

ერთადერთი პარტია ტალის მემორიალიდან, რომელიც კარლსენმა ბრწყინვალედ წარმართა, არის ჩინებული გამარჯვება ანანდთან. ამ პარტიის შედეგის მიხედვით რაიმე პროგნოზის გაკეთება მაინც შეუძლებელია. რაღაც ფსიქოლოგიურ როლს იგი მაინც შეასრულებს. მომავალ მატჩში. კარლსენი — აშკარა ფავორიტია, მაგრამ არის ზოგიერთი რამ, რითაც ანანდმა შეიძლება ისარგებლოს.

ლონდონში პრეტენდენტთა ტურნირის დასასრულმა ცხადჰყო, რომ კარლსენი, როცა მასზე დიდი ზეწოლაა, ზოგჯერ არადამაჯერებლად მოქმედებს. მატჩი ხომ თავისებური შეჯიბრებაა, სადაც ანანდს უზარმაზარი გამოცდილება აქვს. კარლსენზე ამას ვერ ვიტყვით, მატჩს იგი პირველად თამაშობს და გარკვეულ მღელვარებასაც თავიდან ვერ აიცილებს.

დიდოსტატი **დმიტრი ანდრეიკინი,** რომელმაც ტალის უკანასკნელ მემორიალში ანანდს მიუგო და კარლსენთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა: ვფიქრობ, ტალის მემორიალზე, როგორც კარლსენი, ისე ანანდიც თავიანთ შესაძლებლობებზე უარესად თამაშობდნენ. ბოლო შეჯიბრებებმა კარლსენის თამაშის ზოგიერთი სუსტი მხარე გამოავლინა. თუკი ანანდი ირწმუნებს თავის ძალებს და სტაბილურად ითამაშებს, მისი შანსები 50 პროცენტით უნდა შევაფასოთ. მისი სამატჩო გამოცდილება და „საკუთარი მინდვრის“ ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ.

დიდოსტატი **იგორ ზაიცევი:** რა თქმა უნდა, წინასწარ შეუძლებელია რაიმეს თქმა მატჩის შედეგზე. შეიძლება ანანდი კაპაბლანკას შევადაროთ, როგორც ორი გენიალური პოზიციური მოთამაშე, ანდა კარლსენი ალიოხინს, როგორც ნამდვილი უნივერსალები.

ექსტრემულ სიტუაციებში კარლსენის ნერვული სისტემა ისეთ სიმყარეს როდი იჩენს, როგორც ამას ანანდთან ვხედავთ. ანანდს უდიდესი სამატჩო გამოცდილება კი აქვს, მაგრამ ენერგიის უკმარისობასაც მივაქციოთ ყურადღება — იგი ხომ 50 წელს უახლოვდება. თუმცა ისიც გავითვალისწინოთ, რომ იგი ვეგეტარიანელია და უმკაცრეს რეჟიმს იცავს. ასე რომ, იცის, როგორ აღიდგინოს ძალები და ჭადრაკშიც გამუდმებით მუშაობს.

* * *

ორჰან ფამუქის რომანში „უმანკოების მუზეუმი“ მოთხრობილია, თუ რარიგ აღფრთოვანებით შეხვდნენ როგორც სტამბოლელი, ისე პროვინციელი კინომოყვარულები ფილმს „დამსხვრეული ცხოვრებანი“, და გაყიდვის თვალსაზრისით ყველა რეკორდიც მოიხსნებოდა. ფაფათიას უბედურ ცხოვრებას მიეძღვნებოდა ფილმის ბოლო ორი სიმღერა, რომელზეც, განსაკუთრებით პროვინციებში, ქალები ცრემლად იღვრებოდნენ. კინოთეატრების ნესტიანი და უჰაერო დარბაზებიდან თვალებდასიებულები გამოდიოდნენ ახალგაზრდებიცა და მოხუცებიც.

მაყურებელზე ძალიან იმოქმედებდა ბოლოსწინა სცენა, სადაც ფაფათია, თხოვნა-ვედრების მიუხედავად, ჰკლავს მდიდარს, რომელმაც იგი, ლამის ბავშვი, გააუპატიურა.

ამ კაცის როლს ასრულებდა ექრემ ბეი, ვინც უმთავრესად ბიზანტიელ მღვდლებსა და სომხური საზოგადოების წევრებს განასახიერებდა. ხალხი ისე აღშფოთდებოდა მისი როლით, რომ ექრემ ბეი ერთხანს შინიდან ვეღარ გამოდიოდა, რადგანაც ქუჩაში რომ ხვდებოდნენ, აუცილებლად მისცვივდებოდნენ, ლანძღავდნენ და სცემდნენ კიდევ.

ცხადია, რომანში რეალისტური განწყობილებაა გადატანილი, თუ რარიგ განიცდის თურქი მაყურებელი ფილმში დატრიალებულ ამბებს და, მსახიობს კინოგმირთან რომ აიგივებს, არ პატიობს პერსონაჟის ცოდვა-დანაშაულს.

ვინ იცის, რამდენი კინომსახიობი ემალებოდა მაყურებლის რისხვას, რადგანაც ყოვლად შეუძლებელი გახლდათ გაცოფებული თავდამსხმელებისათვის შეეგონებინათ, დამნაშავე პერსონაჟია, მე კი არა, ეს ნამდვილად იმსახურებს თქვენს რისხვას, მაგრამ მე რა შუაში ვარო?!.

ეს განწყობილება რა, ჩვენთვის კი უჩვეულოა?

„ბრინკაო“, მისძახოდნენ ნოდარ მგალობლიშვილს, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ თეიმურაზ ხევისთავის როლის ბრწყინვალედ შესრულებისათვის: ცოლი ჯაყოს როგორ დაუთმე, ასე როგორ გეძინა, რომ ვერ გაიგე, შენს გვერდით რა ხდებოდაო.

არც ნანა ფაჩუაშვილს მოაკლდებოდა კილვა და გმობა მარგარიტა ხევისთავის განსახიერებისათვის, ხოლო თემურ ჩხეიძეს „ჯაყოს ხიზნების“ ტელევერსიის შექმნისათვის ლამის რომ გაუმეორდებოდა ის რისხვა, რაც ოდესღაც მიხეილ ჯავახიშვილს დასტეხოდა თავს, ეს კიდევ სხვა.

წივილ-კივილით მიესეოდნენ და გააქცევდნენ ქალები მშობლიურ ზუგდიდში ჩასულ ბორის წიფურიას, და ეს — ფილმში „მიზანი“ შესრულებული როლისათვის: ამან წუხელ ქალი შეურაცხყო და მერე ჭაობში ჩაახრჩო და ახლა რა უტიფრად დაიარება ქუჩაში, იმის ნაცვლად, ციხეში იჯდეს და განაჩენს ელოდესო.

„კიკუ, კიკუო“, ამ ძახილისაგან მოსვენება აღარ ექნებოდა გიორგი ხარაბაძეს „დათა თუთაშხიაში“ შესრულებული ეპიზოდური როლისათვის, ვერ ეპატიებინათ ჭკუასუსტი გოგონას გაბახება, და ეს კი გიგა ლორთქიფანიძეს საყვედურობდა: რა დაგიშავე, ეს როლი რომ შემირჩიე, ეტყობა, მთელი ცხოვრება ეს ძახილი უნდა ვითმინო, როდესაც არ ახსენებენ, მაშინაც ყურში მიდგასო.

ეს ორიოდ ნიმუში — სახელდახელოდ რაც წამომაგონდა, თორემ მთელი კოლექციაც კი შეიძლება შეგროვდეს, პერსონაჟთან გაიგივებული მსახიობი მაყურებელთა სიძულვილსა თუ დაცინვას რომ მოიმკიდა.

„უმანკოების მუზეუმი“ კოლექციის შეგროვებით გატაცებული გმირის თავგადასავალს გვიამბობს და რომანის ბოლო ნაწილი თავისებური ესთეტიკური ტრაქტატიც კი არის ერთიერთმანეთზე ორიგინალური კოლექციებისა და მათზე ამოზრდილი მუზეუმების თემაზე.

და თურმე ეს კოლექციაც შეიძლება მიემატოს — მსახიობთა წყება, გარეთ რომ ვეღარ გამოსულა მაყურებელთაგან გაბეზრებულნი თუ სულაც დაშინებულნი.

სანუგეშოდ ესღა რჩებოდათ: ეტყობა, ურიგოდ არ გვითამაშია, მაყურებლის აღქმაში ასე რომ გავუიგივდით პერსონაჟსო.

როდესაც მიიჩქარი სადმე თავის შესაფარებლად, უკან კი კიჟინით მოგდევენ კინომოყვარულები, ეს ნუგეშიც გმატებს სირბილის ძალას!..

* * *

რონალდ რეიგანი კალიფორნიის გუბერნატორობისასაც და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისასაც ყოველთვის ცდილობდა გაელღო ოფიციალურობის ყინული და მოლაპარაკების მაგიდას თვითონაც ჰუმანური სულისკვეთებით მისჯდომოდა და მოწინააღმდეგეც საამისოდ განეწყო.

სანიმუშოდ არაერთი პასაჟის მოხმობა შეიძლება მისი ავტობიოგრაფიული რომანიდან „ამერიკული ცხოვრება“, თუმც ამჯერად ეს იყოს:

ინაუგურაციიდან ერთი თუ ორი თვის თავზე თეთრ სახლში ერთ ყველაზე თავგამოდებულ ოპოზიციონერს თიფ ო’ ნილს რომ მიიწვევდა ცოლთან და კიდევ რამდენიმე სტუმართან ერთად, ნენსის, პრეზიდენტის მეუღლეს, იქაურობის განახლება უკვე დაწყებული ჰქონდა და სტუმარი ამას ფეხის შედგმისთანავე იგრძნობდა და არც მადლიერების გამოთქმას დაინანებდა: ოცდაშვიდი წელია აქ დავდივარ და აქაურობა ასეთი ლამაზი არ მახსოვსო.

ორივე გუშინდელი მოწინააღმდეგე თავს ჩინებულად იგრძნობდა ერთმანეთის საზოგადოებაში, გაიხსენებდნენ თავიანთ ირლანდიურ წარმოშობას და რას აღარ მოყვებოდნენ მამებისაგან გადმოცემული ირლანდიური ამბებიდან.

რეიგანს ისეთი გრძნობა დარჩებოდა, თითქოს მეგობარი შეეძინოს.

მაგრამ გავიდოდა რამდენიმე დღე, გადაშლიდა გაზეთს და... აღმოაჩენდა, რომ ო’ნილი ეკონომიკურ პროგრამასთან დაკავშირებით პირადად პრეზიდენტს ძალზე უხეშად აკრიტიკებდა.

ამგვარ ფორმას იწყენდა, თორემ კრიტიკული შენიშვნების გაზიარების დიდი მოსურნე და დამცველიც გახლდათ.

გაკვირვებითაც გაუკვირდებოდა, თორემ გული ხომ დაწყდებოდა და დაწყდებოდა.

მაშინვე დაურეკავდა:

— თიფ, ახლახან წავიკითხე, რაც გუშინ გითქვამს. მეგონა დავმეგობრდით და კარგი ურთიერთობა დავამყარეთ...

ოპოზიციონერი სულაც არ მიიჩნევდა, რომ რაიმე დაეშავებინოს, ის კი არა შეგონებასაც გაუზიარებდა:

— ძმაო, მეგობრობა ექვსი საათის მერე გამიგია, მანამდე კი ყველაფერი პოლიტიკაა.

როგორც ჩანს, დიდად არა სჯეროდა იმგვარი თეორიისა, რომელიც ჩვენში ნიაზ დიასამიძეს ასე ჩამოეყალიბებინა: მეგობრობა მე „კრუგლოსუტოჩნი“ მეგონაო.

გაწბილებულიყო და ეს დაჩივლება ამისა გახლდათ — მეგონაო... თუმც თვით ამერიკის პრეზიდენტსაც რომ გააწბილებენ, შენ რიღას იმედი უნდა გქონდეს!..

* * *

ლუბა ელიაშვილი ტელეკომპანია „იბერიას“ საინფორმაციო გადაცემებს ხელმძღვანელობს.

უკვე საკმაო გამოცდილება აქვს ტელეჟურნალისტიკაში და მოწაფეებიც კი დაუფრთიანებია.

ამჯერად კიდევ ახალი ასპარეზი გადაშლილა მისთვის და ჩვეული მუყაითობითა და ენერგიულობით გადაშვებულა საქმიანობაში, რათა ამ არხის საინფორმაციო სამსახური დროულად ამოქმედდეს და მიუკერძოებლობითა და მიზანდასახულებით დაამტკიცოს, თუ როგორი უნდა იყოს დამოუკიდებელი ტელეკომპანია, გარიდებული ყოველგვარ პარტიულ დიქტატს.

ახალგაზრდა ჟურნალისტებს გარს იკრებს და წვრთნის მნიშვნელოვან საქმეთათვის. რას წარმოიდგენს, რომ ვარდების რევოლუციად მონათლული სახელისუფლებო გადათამაშებით მოსული ახალთაობა უპირველესად „ომეგა ჯგუფს“ მიეჭრება შეიარაღებულ ნიღბოსანთა რაზმით და მათ შორის ტელეკომპანია „იბერიასაც“ დაიკავებენ. ერთწლიანი ბლოკირების შემდეგ „ომეგა ჯგუფი“ კი აღადგენს მუშაობას, მაგრამ „იბერიას“ ლიცენზია — სახელისუფლებო ძალადობით — საგანგებოდ შექმნილი ტელეკომპანიის ხელთ აღმოჩნდება.

ასე რომ, „იბერიას“ მოღვაწეობა შეჩერდება.

მაგრამ აქამდე ჯერ შორია და ლუბა ელიაშვილისთვისაც და მის მოწაფეთა ახალი გუნდისთვისაც ყველაფერი გაზაფხულის სურნელით სუნთქავს, გარშემო სიხალისე და მხიარულება იფრქვევა.

ლუბა ნაცნობ-მეგობრებს სთხოვს: სადაც კი ერთად თავმოყრილი ხალხი დაინახოთ, მაშინვე მაცნობეთ, რათა სასწრაფოდ გავაგზავნო ჟურნალისტებიო.

ისინიც დაუზარებლად ამცნობენ.

ახალგაზრდებიც მიეშურებიან მითითებულ მისამართზე.

და იცინის ლუბა ელიაშვილი:

— ბავშვებს აღარ შეუძლიათ პანაშვიდებსა და გასვენებებზე სიარული!..

სადაც კი ერთად თავმოყრილი ხალხი დაინახოთო...

ასეთ დროს იყრის თუ იყრის თავს ხალხი. არადა, მის ნაცნობ-მეგობრებსაც თავთავისი საქმე აქვთ და შორიდან რა არკვიონ, რაღაც ამბავია მომხდარი თუ კიდევ ერთი ადამიანი გამოთხოვებია საწუთროს.

ამის დაზუსტება დაე ახალბედა ჟურნალისტებს მიენდოთ... გამოცდილებას კი ყოველგვარ ვითარებაში შეიძენ, თუკი ამ საქმიანობისთვის ხარ დაბადებული.

* * *

მხატვარი ბეშქენ გოლეთიანი

კურიოზი ყველას შეიძლება შეემთხვეს ცხოვრებაში, თვით უაღრესად განათლებულ და ინტელექტუალურ ადამიანებსაც.

ერთი ასეთი ეპიზოდი ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერებშიც („ტკბილ-მწარე ამბები“) შეგვხვდება, როდესაც იგი გაიხსენებს, რომ ასპირანტურაში სწავლისას სადისერტაციო თემად აირჩევდა „დიკენსის ბავშვებს“ (ბავშვთა სახეები ჩარლზ დიკენსის შემოქმედებაში). ერეკლე ტატიშვილი მაშინვე დაყაბულდებოდა, მაგრამ თემა უნდა დაემტკიცებინა შალვა ნუცუბიძეს, ვინც სტუდენტობის დროს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას უკითხავდა.

ესეც ეახლებოდა და მოახსენებდა: ამ თემას ვირჩევო.

და პასუხად:

— კი, ბატონო, თუკი პედაგოგიური განხრა გაინტერესებს, მე წინააღმდეგი არ ვიქნები.

ჩანაწერში თავშეკავებითაა გამოთქმული გაკვირვება: რა შუაში იყო აქ პედაგოგიკაო!..

რეზო ჭეიშვილის მოთხრობაში „ცისფერი მთები“ ჟურნალის რედაქტორის მოადგილე ოთარი სოსო კენჭაძის თხზულების „ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი“ სათაურს რომ დახედავს, ავტორს განუცხადებს: ჩვენ მაინც ფიზკულტურის ინსტიტუტში უნდა წავიღოთ ოფიციალურადო.

— რატომ უნდა წავიღოთ? — უკვირს ავტორს.

— ისე მაინც, ყოველი შემთხვევისათვის... მთებია, მწვერვალები, შემდეგ არაფერი თქვან...

ამ დეტალითაც უნდა შეივსოს მოთხრობის აბსურდულ-გროტესკული რეალობა.

ყველას შეიძლება შეემთხვესო...

ეგაა, ის, რაც შალვა ნუცუბიძისათვის შემთხვევითობაა, რეზო ჭეიშვილის მოთხრობის პერსონაჟისათვის ჩვეულებრივი რამაა — მისი აზროვნების წესი და სტილი... და დამთრგუნველ შთაბეჭდილებასაც ამიტომ ახდენს ეს პასაჟიც, თორემ შალვა ნუცუბიძეს თავისი ის ნათქვამი თუ წამოაგონდებოდა, იცინებდა და რას იცინებდა: ეს როგორ დამემართა!.. ისე სახალისოდ ნამდვილად გამოდგებაო!..

ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერებშიც სწორედ ამ აზრით, სახალისოდაა გახსენებული.

შექსპირი ნიურნბერგის პროცესზე

მთელი დარბაზი ხმაგაკმენდილი უსმენდა მოწმედ გამოძახებული პოლონელი ქალის — სევერინა შმიგლევსკას ჩვენებას ოსვენციმის კონცლაგერის საშინელებათა შესახებ. მსმენელთ ცრემლი მოადგათ თვალებში, როდესაც ნატუსაღარმა ქალმა დაიწყო იმის თხრობა, თუ დედებს როგორ ართმევდნენ შვილებს გავარვარებულ ღუმელებში დასაწვავად.

და მრისხანედ აჟღერდა მოწმის საბოლოო სიტყვები: „ევროპის ქალთა სახელით მე მინდა ვკითხო გერმანელ დედებს — სად არიან ჩვენი შვილები?“

შესვენებისას ადვოკატი ეკითხება ნიურნბერგის პროცესის ნომერ პირველ ბრალდებულს ჰერმან გერინგს (ნაცისტური გერმანიის „მეორე კაცად“ შერაცხულ პირს), ნუთუ არავინ არაფერი იცოდაო? გერინგს პასუხად უთქვამს: „რასაკვირველია, არა. ბატალიონის მეთაურმაც კი არაფერი იცის იმის გარდა, რაც უშუალოდ მის ბატალიონს ეხება. რაც უფრო ზემოთ დგახარ, მით უფრო ნაკლები იცი იმის შესახებ, რაც ქვემოთ ხდება“.

მაშასადამე, ამგვარი ლოგიკით ჰიტლერი ბაიბურშიც არ იქნებოდა, არსებობდა თუ არა ამქვეყნად, ვთქვათ, აუშვიცი (ასე ერქვა ოსვენციმს გერმანულად).

ყოველი ბრალდებული თავგამოდებთი ლამობდა თავის დაძვრენას პასუხისმგებლობისგან. ენერგიულად ებღაუჭებოდნენ გადაბრალებას.

გესტაპოს შეფი ერნსტ კალტენბრუნერი პროცესის დაწყებამდე ავად გახდა (მიკროინსულტი) და სასამართლოს პირველ სხდომებს არ ესწრებოდა. როცა გამოკეთდა, ცხადია, მიაბრძანეს ბრალდებულთა სკამზე. პრესა, ეტყობა, წინასწარ იყო გაფრთხილებული — კინოოპერატორები და ფოტოკორესპონდენტები საგულდაგულოდ მოემზადნენ, კალტენბრუნერის მობრძანება რომ გადაეღოთ. მთელი დარბაზი მიაჩერდა ბრალდებულთა კოჰორტას. კალტენბრუნერი თანამებრძოლებს გულთბილი ჟესტით მიესალმა, მაგრამ ბრალდებულთა მხრიდან ციმბირული სუსხი მიაწყდა გესტაპოს შეფს. ყველამ პირი იბრუნა მისგან — ამ ჯალათთან ჩვენ რა გვესაქმებაო?! მისმა ადვოკატმაც კი იუარა სალამი და კალტენბრუნერს გაწვდილი ხელი გაუშეშდა ჰაერში.

ყოველი ბრალდებულის უსიამოვნება იწყებოდა იმ მომენტიდან, როდესაც ბრალმდებელი დაკითხვას იწყებდა, ხოლო ადვოკატის ჯერი რომ დადგებოდა, ბრალდებული სულს ითქვამდა.

მაგრამ კალტენბრუნერს აქაც არ გაუმართლა. მისი ადვოკატი, გვარად კაუფმანი, ეკითხება, იცოდა თუ არა ოსვენციმის არსებობა; იცოდა თუ არა, რომ იქ უდანაშაულო ადამიანებს ჟლეტდნენ?

ადვოკატი მოითხოვდა ლაკონიურ პასუხს: ჰო ან არაო. კალტენბრუნერი უჩვეულო გასაჭირში ჩავარდა. ადვოკატის ცნობისმოყვარეობა უსაზღვრო იყო.

— როდის შეიტყვეთ, რომ ოსვენციმი იყო განადგურების ლაგერი? როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება ამის მიმართ? მიპასუხეთ ნათლად და მოკლედ.

გაოგნებული კალტენბრუნერი უმწეოდ ლუღლუღებდა რაღაცას. ეშმაკმა დალახვროს, თავისი ადვოკატი მოევლინა კირკიტა პროკურორად!

— ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა გააკეთეთ თქვენ, როდესაც შეიტყვეთ ოსვენციმის შესახებ. უკანასკნელად გეკითხებით, რა მოიმოქმედეთ?

ეჰ, ნეტა გესტაპოში მომხვედროდიო, — ალბათ ასე ფიქრობდა კალტენბრუნერი.

ადვოკატმა თავისი უცნაური ქცევა იმით გამოასწორა, რომ საბოლოო სიტყვაში ასეთი რამ დაახეთქა:

— დღეს კალტენბრუნერი ნატრობს, რომ ხელახლა დაბადებულიყო. მე მჯერა, რომ იგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდა თავისუფლებას და დემოკრატიას.

ადვოკატ კაუფმანის სრულ ანტიპოდად გამოდგებოდა ადვოკატი მარქსი (დიახ, დიახ, ასეთი გვარი ჰქონდა), რომელიც მოწმედ გამოძახებულ ფრანგ ქალბატონს ჩააცივდა:

— თუკი ოსვენციმში ასეთი ცუდი პირობები იყო, თქვენ როგორ გადარჩით? რატომ არ მოკვდით? საავადმყოფოში მაინც რატომ არა ხართ?

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ ადვოკატ მარქსის რიტორიკას ასე გამოეხმაურა:

„რა თქმა უნდა, არ შეიძლება აუკრძალო ადამიანს თავისი სიმპათიების გამოხატვა. საკითხავი მხოლოდ ისაა, რა უნდა იფიქრო იმ სუბიექტზე, რომელიც საჭიროდ არ მიიჩნევს დუმილს, როდესაც ისმენს ნაციზმის მსხვერპლთა გოდებას, და ექომაგება სადისტ-მკვლელებს. ასეთი პერსონა უნდა გაირიცხოს წესიერი საზოგადოებიდან“.

ციხის უფროსი, ინგლისელი პოლკოვნიკი ენდრიუსი კი თავისი პრობლემებით იყო დაკავებული და აღშფოთებით ამბობდა:

— გესმით, ეს გასიებული გერინგი მართლაც უმადური ღორია. მე ხომ გადავაჩვიე ამ საზიზღარ ჩვეულებას, მუჭობით რომ იყრიდა პირში ნარკოტიკულ აბებს. აქ რომ ჩამობრძანდა, ნარკოტიკებით გატენილი ჩემოდანი ჩამოიტანა და წავართვი. ილანძღებოდა, მაგრამ ბოლოს შეეგუა. კაცად ვაქციე და ვიხსენი სამარცხვინო სიკვდილისგან. მადლობას იმით მიხდის, რომ მლანძღავს და მიჩივის.

გერინგი ნაცისტური გერმანიის დიდკაცთა შორის იმით გამოირჩეოდა, რომ ფერწერა უყვარდა და ეწადა მოხვეჭა სურათების ისეთი კოლექციისა, რომელიც გაეჯიბრებოდა ლუვრისა თუ პრადოს საგანძურებს. მისი საგანგებო რწმუნებულნი დაძრწოდნენ ოკუპირებული ევროპის ქალაქებში და უხვ მოსავალს იმკიდნენ გერინგისათვის. როდესაც მოწონებული სურათის კონფისკაცია ვერ ხერხდებოდა, მფლობელს გაცვლას სთავაზობდნენ. გერინგი გულუხვობას იჩენდა ანუ ერთში ათს იხდიდა. ვან დეიკის, ვერმეერის, რუბენსის შედევრებში — თანამედროვე გერმანული ფერწერის ნიმუშები (თქვენთვის რომ ეჩუქებინათ, არაფრით არ იჩუქებდით).

სპეციალური მატარებელი ფელდმარშალ გერინგისა შედგებოდა 25 ვაგონისგან და განუწყვეტლივ ივსებოდა ფასდაუდებელი ტილოებით.

ნიურნბერგში მორცხვად აცხადებდა: „ერთადერთი ბნელი ლაქა ჩემს ბიოგრაფიაში — კოლექციონერის ვნებაა. მეწადა ხელთ მეგდო ყველაფერი, რაც მშვენიერი იყო. მდარე ადამიანები ამას ვერ გაიგებენ“.

ბობოლა ბანკირი იალმარ შახტი, მთავარი დამფინანსებელი ჰიტლერისა, ასე აფასებდა თავის თანამებრძოლს: „გერინგი დაბადებულია დამნაშავედ. გული მერევა, რომ ვუყურებ. ქურდობა, გარკვეული აზრით, მკვლელობაზე უარესიც კი არის. შეიძლება გაუგო ადამიანს, აფექტისას მკვლელობა რომ ჩაუდენია, მაგრამ ქურდობა... ღმერთო ჩემო, ქურდები და ყაჩაღები მართავდნენ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას“.

ჰიტლერის პირადი არქიტექტორის ალბერტ შპეერის სიტყვით, ნაცისტებმა, რომლებიც ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ ხელისუფლებაში, მყისვე დაიწყეს ძარცვა მარჯვნივ და მარცხნივ.

ამას ამბობდნენ ბრალდებულნი.

ბრალმდებელნი რაღას ამბობდნენ?

ყველაზე ეფექტური შეიძლება ვუწოდოთ მთავარი ამერიკელი ბრალმდებლის რობერტ ჯეკსონის გამოსვლას, ასისტენტად თვით უილიამ შექსპირი რომ მოიხმო:

„ისინი დგანან ამ სამსჯავროს წინაშე მსგავსად იმისა, როგორც იდგა სისხლში მოსვრილი ჰერცოგი გლოსტერი [მომავალი რიჩარდ III] მის მიერ მოკლული მეფის ცხედართან და ევედრებოდა ქვრივს, ისევე როგორც ესენი გვევედრებიან: „თქვი, რომ მე არ მომიკლავს“. და დედოფალი პასუხობდა: „მაშინ შენა თქვი, რომ ისინი არ მოუკლავთ. მაგრამ ისინი მოკლულნი არიან შენი ხელით, სატანის მონავ!..“ და თუკი ჩვენ ამ ბრალდებულთ უდანაშაულოებად მივიჩნევთ, იმავე საფუძველზე უნდა ვთქვათ, რომ არ ყოფილა ომი, არ ყოფილა მკვლელობანი, არავის ჩაუდენია დანაშაული!“

უმარტივესი სიმართლითა და გენიალური უბრალოებით შემოსილი ტექსტი შექსპირისა არაფრით ჩამოუვარდებოდა უტყუარ მტკიცებულებათა ოკეანეს.

მგლები და ძაღლები

დიდებულ უნგრელ პოეტს შანდორ პეტეფის, რომელიც გრიგოლ აბაშიძემ საუცხოოდ აამეტყველა ქართულ ენაზე და ლამის ჩვენიანად აქცია, მოეპოვება ორი ლექსი, ერთიმეორის გვერდიგვერდ რომ იბეჭდება ხოლმე პოეტის კრებულებში; ერთს ჰქვია „მგლების სიმღერა“, მეორეს — „ძაღლების სიმღერა“.

ორივე ლექსი ერთნაირად იწყება და ბუნების ჩვეულ ცელქობას გვამცნობს: „ცაში ტრიალებს ბუქი, ქარი გიჟივით დაჰქრის, მოდის თოვლი და წვიმა — ორი ტყუპი ძმა ზამთრის“.

ამას მოსდევს, ცხადია, განსხვავებანი და მერე როგორი! მგლებს უკაცრიელ სტეპში ბუჩქიც არსად ელანდებათ თავის შესაფარებლად, ფერდებს ულეწავთ სასტიკი სუსხი და მუცლებს უნგრევთ შიმშილი. ღმუიან და უძლებენ, თუმცა აგერ ჩნდება მესამე, ყველაზე დაუნდობელი მტერი — ადამიანი თოფით ხელში და თეთრ თოვლს წითლად ღებავს მგლის სისხლი.

მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, ისინი ამაყად გვაუწყებენ: „გვცივა, გვშიან და ვუძლებთ, ერთით ვჯობივართ მრავალთ: ყმად არ ვეკუთვნით არვის, თავისუფალნი დავალთ“.

ძაღლები რაღას მღერიან?

ძაღლებს არც ქარი აფიქრებთ, არც სარჩოს შოვნა ედარდებათ. ბატონის თბილ ბუხართან ნებივრობენ და ბატონის სუფრიდან მუდამ ერგებათ ნასუფრალი. მართალია ხანდახან მწვავე შოლტი ზურგს აუწვავთ, მაგრამ... „ბატონს გაუვლის რისხვა, მისვლას გვანიშნებს მშვიდად, ფეხებს ვულოკავთ ენით, ბედნიერი ვართ დიდად!“

აი, ასე დაუხატავს უნგრელ პოეტს ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული და ერთმანეთს გამიჯნული, სამყარო — მგლებისა და ძაღლებისა.

რა თქმა უნდა, ეს ორი ლექსი ზოოლოგიის სახელმძღვანელოდ არ გამოდგება და წმინდა წყლის ალეგორიას წარმოადგენს, მაგრამ ალეგორიაც ხომ თავისი ფესვებიდან საზრდოობს, ჭერიდან ხომ არ ჩამოფრენილა, და ცხოვრებისეული სინამდვილე ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება პოეზიას.

მარტივად რომ ვთქვათ, მგელი დაუმსახურებლად არის აღზევებულ-განდიდებული და ძაღლი, ასევე დაუმსახურებლად, დაკნინებული და გათათხული.

აბა გლეხისა თუ მეცხვარისათვის ეკითხა პეტეფის მგლისა და ძაღლის ამბავი, რა პასუხს მიიღებდა. რომელი მათგანი გაიზიარებდა პოეტის მიერ გამოთქმულ ხოტბას იმ მგლის მისამართით, მთელ ფარას რომ დაერევა ხოლმე ორიოდე ლუკმის შესაჭმელად და ტყუილ-უბრალოდ ყელს გამოუღადრავს ცხვრების ბატალიონს.

ესეც თქვენი თავისუფლება და თავისუფლების ტრფიალი მგელი!

პოეზია, რომელსაც სჩვევია მოწყვეტა მიწისგან და ლტოლვა ცისკენ, ერთს ამბობს, და ცხოვრება — მეორეს. ტომებია დაწერილი იმ სამსახურზე, ძაღლს რომ გაუწევია ადამიანისათვის. შვეიცარიაში ძეგლიც კი დაუდგეს სენ-ბერნარის ჯიშის ძაღლს, ალპებში ათასობით ადამიანის გადარჩენის გამო.

მაგრამ სანუკვარ თავისუფლებას დანატრებული პოეტი სიყვარულით შეჰყურებს მგლებს — თავისუფლების ბაირახტრებად რომ წარმოუდგენია.

თავისი მტრები კი ზოგს ესახება ძაღლებად, ზოგსაც — მგლებად.

კაცია და გუნებაო, როგორც ბრძანებს ბრძნული ქართული ანდაზა.

...1966 წლის გაზაფხულზე საქართველოს მწერალთა კავშირში, მაჩაბლის ქუჩის ცამეტ ნომერში, სამდღიანი დისკუსია მიეძღვნა პავლე ინგოროყვას მონოგრაფიის („შოთა რუსთაველი“) განხილვას. ისტორიკოსები, ლიტერატორები, ფილოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ბიოლოგები, კარდიოლოგები და ა.შ. — ყველა თავისი სამრეკლოდან უტევდა. ღვაწლმოსილი მკვლევარი კი მშვიდად უსმენდა ყველას და ფანქარს ამოძრავებდა ქაღალდზე. სხდომის თავმჯდომარე ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ნეტავი რასა წერსო — ალბათ გამომსვლელთა თეზისებს იწერს, მერე ანგარიში რომ გაუსწოროსო. ვეღარ მოითმინა და ცალი თვალი გააპარა გვერდით მჯდომისკენ. თურმე ძაღლებს ხატავდა, ძაღლებად შეერაცხა თავდამსხმელნი.

ახლა მაჩაბლის ქუჩიდან გადავფრინდეთ პირდაპირ წითელ მოედანზე და თავი ამოვყოთ იმ ოხერ-ტიალ კრემლში!

1941 წლის შემოდგომაზე, როდესაც გერმანელებს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდათ მოსკოვამდე, სტალინმა კრემლში მიიღო აშშ პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის პირადი წარმომადგენელი ავერელ ჰარიმანი, რომელიც თავის მემუარებში, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ მასთან საუბრისას სტალინი ანგარიშმიუცემლად ქაღალდზე ხატავდა მგლებს.

ალბათ იმავე ჰარიმანს უნდა ეკუთვნოდეს ანალოგიური დაკვირვება, რომელსაც გვამცნობს ინგლისელი მკვლევარი საიმონ მონტეფიორე თავის წიგნში „სტალინი“. 1943 წლის ნოემბერში „დიდი სამეულის“ შეხვედრაზე თეირანში სტალინი გამუდმებით ეწეოდა თამბაქოს და თავის ბლოკნოტში წითელი ფანქრით მგლის თავებს ხატავდაო.

და კიდევ ერთი ამერიკელი დავიმოწმოთ. ჩარლზ ბოლენი, რომელიც 1947 წლის მარტში თარჯიმნობას უწევდა მოსკოვში ჩაბრძანებულ აშშ სახელმწიფო მდივანს ჯორჯ მარშალს, გვაუწყებს, რომ „სტალინი წითელი ფანქრით მაშინალურად ხატავდა მგლის თავებს“.

როგორც ირკვევა, მგლების გამოსახვა სიკვდილამდე არ მოუშლია.

ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ჰარისონ სოლზბერი თავის მემუარებში იმოწმებს ინდოეთის ელჩს მენონს, რომელსაც 1953 წლის თებერვალში შეხვედრა ჰქონია სტალინთან.

მენონის სიტყვით, საუბრისას სტალინი თავის ბლოკნოტში წითელი ფანქრით ხატავდა მგლებს (დახეთ, ისევ წითელი ფანქარი! ფანქრებიც სისხლისფერი უყვარდა!!!).

სტალინს მენონისთვის უთქვამს: რუსმა გლეხებმა მშვენივრად იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოექცე მგლებს, ისინი უნდა მოსპო.

მენონს ეს სიტყვები თურმე ეუცნაურა, სოლზბერის — ძაან ეუცნაურა.

სახელგანთქმული სოვეტოლოგის აბდურაჰმან ავტორხანოვის მიხედვით, სტალინი მენონს ეუბნება: რუსი გლეხები ბრძნულად იქცევიან, როდესაც ცოფიან მგლებს სპობენო (ოდნავ განსხვავდება სოლზბერის ვერსიისგან).

ავტორხანოვის მოსაზრებით, სტალინი ამას რომ ამბობდა, თითქოსდა გულისხმობდა „ცოფიან მგლებს“ პოლიტბიუროდან.

როგორც ბოლო ხანებში ამტკიცებენ, სწორედ პოლიტბიუროს წევრთა ცნობილმა დაჯგუფებამ გამოასალმა წუთისოფელს კრემლის მბრძანებელი.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში გამომცემლობა **„ინტელექტის“** თაოსნობით გაიმართა წარდგინება **ამირან არაბულის** ახალი წიგნისა **„სულუქცევრად საკითხავნი“,** რომელიც **„ჩანაწერების“** პროექტით გამოვიდა.

„სულუქცევარი“ სულმოუთქმელის ხევსურული შესატყვისია და წიგნიც ამ ყაიდაზეა აგებული: მცირე ფორმის ესეისტური თუ მხატვრულ-დოკუმენტური ჩანახატები, სხარტ და ექსპრესიულ სადინარში მიშვებული ფიქრები და განსჯანი, გამოწვეული ცხოვრებისეული და ლიტერატურული დაკვირვებებით, ღრმა და მახვილგონივრული ანალიზი ყოველთვის ორიგინალური კუთხიდან რომ შეახედებს მკითხველს ამა თუ იმ მოვლენასა თუ პიროვნებას. განსაკუთრებით მაინც ხევსურეთის, საერთოდ, ჩვენი მთიანეთის ბედისწერის ერთი ნატეხია სულუქცევრად საკითხავთა ეს ციკლი.

ცნობილი ფოლკლორისტი და ლიტერატურის მკვლევარი ახლა ამ განსხვავებული მხრიდანაც წარმოდგა, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ოსტატი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა **როსტომ ჩხეიძე,** ვინც ეს წიგნი ამ შესანიშნავი სერიის სრულუფლებიან მონაწილედ შერაცხა.

კრებულის მხატვრულ ღირსებებზე, მის ენობრივ გამომსახველობაზე ისაუბრეს: ამ საგამომცემლო პროექტის ავტორმა **ზვიად კვარაცხელიამ,** წიგნის რედაქტორმა **იოსებ ჭუმბურიძემ, მარიამ წიკლაურმა, ნონა კუპრეიშვილმა, ოთარ ჯანელიძემ, მიხო მოსულიშვილმა, მზეო გოგოჭურმა, მექა ხანგოშვილმა, ტრისტან მახაურმა, ზაზა აბზიანიძემ**, რომელთაც დაადასტურეს, რომ **ამირან არაბულის** დებიუტი ამ ჟანრში საკმაოდ წარმატებულია და კვლავაც უნდა გააგრძელოს ეს ციკლი.

ფოლკლორულმა გუნდმა **„ლაშარი“, გიორგი უშიკიშვილის** ხელმძღვანელობით, შეასრულა ხალხური სიმღერა **„წინწყარო“**, ხოლო გუნდის ერთ-ერთმა წევრმა **თორნიკე სხიერელმა** საგანგებოდ შეარჩია სიმღერა **„ამირანიანის“** ციკლიდან — მისი რაჭული ვარიანტი.